ეროვნული ბიბლიოთეკა



5-6

1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ჭკუიდან გადასულები

დავალ თავმოძულებული,
აღარც ძილი, აღარც ძალა,
ღმერთო ჩემო, არც ველოდი,
რამდენი რა შეიცვალა.

ბევრმა თავი მოიჭრა და
სამუდამოდ შეირცხვინა,
მე რად უნდა მათქმევინოთ,
თვით უწყიან კარგად — ვინაც.

ბოღმით სავსეს და გამკილავს
თვით ირჩევენ კილოს, თემას,
ღმერთო, დამხსენ, გამარიდე —
ამ სიბილწეს, ამ დაცემას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

მაისი – ივნისი № 5-6

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მოგვარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალთაზარ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
დავით თედორაძე
ლეონან ქალაზონია
ვლზა მეტრეველი
დავით მჭედლური
ჯემალ ქირია
(პმ/გ მდივანი)
ჯანო ჯანელიძე

გამოიღვიძე, ძნარო!

3. **ფსალმუნები** — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პოეზია და პროზა

7. **ემზარ კვიტაიშვილი** — ლექსები
13. **გულო კობიაშვილი** — ნოველები
23. **ესმა ნოზაძე** — თაობა ანუ თავისუფლების რიტმები. პოემა.
35. **ჯარჯი ფხოველი** — ფურცლები. გაგრძელება.
51. **დალი ცაავა** — ლექსები
54. **ნინო ხაბეიშვილი** — ლექსები
59. **აკაკი დაუშვილი** — დანაღმული წარსული. მოთხრობა
75. **ზურაბ ფირცხალაიშვილი** — ლექსები
77. **სიმონ ციხკაძე** — ლექსები
80. **ზაზა პაპიძე** — მოთხრობები
90. **თემნა გეძეიშვილი** — ნაცარი, მაღალუელიანი ფეხსაცმელები, გაჩერებები და სხვა. ლექსი
94. **ქეთევან ტაბაღუა** — ლექსები
96. **მარინე რჩეულიშვილი** — მწერალ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის. გაგრძელება

დრამატურგია

114. **ირაკლი სოლომანაშვილი** — ქაღალდის ფრინველი. პიესა
148. **თამაზ ფილაძე** — ირაკლი სოლომანაშვილის პიესის „ქაღალდის ფრინველის“ გამო

ახალი თარგმანები

150. **ფელიქს გაღჩინიანი** — ლექსები. თარგმნა ბაღათერ არაბულმა
152. **სვეტლანა ალილუევა** — წიგნი შვილიშვილთათვის. გაგრძელება. თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

წერილები

161. **გიორგი ნოდია** — ეროვნულ მოძრაობათა თავისებურება კომუნისტური სისტემის ნგრევის ფონზე
178. **გიზო ზარნაძე** — გაუმეორე სიზმარი, ღმერთო!
182. **ნათელა ფერეთელი** — ნ. ბარათაშვილი და ხალხური ზეპირსიტყვიერება
186. **შალვა ამინაშვილი** — ს. ჩიქოვანის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

გამოსათხოვარი

192. „ჩემი ცხოვრება იყო და გავდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნები

ფსალმუნი 48

სიმღერა. კორახის ძეთა საგალობელი.

2. კურთხეულია ადონაი —
უფალი ჩვენი,
განდიდებული ჩვენი ღმერთის ციხე-ქალაქში,
მის წმინდა მთაზე ამაღლებული.

3. ღირსმშვენიერი მაღლობი იგი —
მთა სიონისა — სიხარული ქვეყნიერების
და ჩრდილოეთით —
საღვთო ქალაქი
საბრძანისი და
სამკვიდრო მეფის.

4. გაცხადებულა ტაძარში ღმერთი,
როგორც ბურჯი და
საყრდენი მისი.

5. რადგან მეფენი შეიკრიბნენ,
აჰა, ესერა, —
ჩაირონინეს,
უჩუმრად ჩავლეს.

6. იხილეს მათ და
ეოცათ ხილვა,
შეჩოჩქოლდნენ და
აჩქარდნენ ძრწოლვით.

7. ურვა-ვაებამ დარიათ ხელი,
იკლაკნებიან მშობიარე დიაცის დარად.

8. დამსგავსებიან თარშიშის ნავებს —
აღმოსავლეთის ქარიშხლებით
მიმოფანტულებს.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993 წ., 1, 1994 წ., 1-2, 3-4, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. რაიც ვისმინეთ,
ეგივ ვიხილეთ
საბაოთ უფლის — ადონაის ციხე-ქალაქში,
ციხე-ქალაქში ჩვენი ღმერთისა;
ღმერთმა ამძლავროს სამკვიდრო ეგი
და ფუძე მისი
განამტკიცოს უკუნისამდე!

10. შენს წყალობაზე,
ღმერთო მაღალო,
ჩავფიქრებულვართ შენეული ტაძრის წიაღში.

11. სახელის შენის მსგავსად და დარად
დიდება შენი განფენილა ქვეყნის კიდემდე,
ღმერთო, სიმართლით აღსავსეა
მარჯვენა შენი.

12. დე, განიხაროს სიონის მთამან
და იუდეველ ქალწულთა დასმა
იმხიარულოს შენმიერი მართლმსაჯულებით.

13. გარემოდექით სიონის ბჭესთან,
შემოწერეთ და
შემოვლეთ ეგი
და სათვალავით მიითვალეთ მისი კოშკები.

14. დაუდეთ გული ზღუდეებს მისას
და მოიხილეთ პალატნი მისნი,
რომ ყოველივე უანდერძოთ
შთამომავლობას.

15. რადგან ეს ღმერთი ჩვენი ღმერთია, —
მეუფე ჩვენი
უკუნითი უკუნისამდე,
და ის იქნება სიკვდილის დღემდე
წინამძღვარი და
მეგზური ჩვენი.

ფსალმუნი 49

ლოტბარისადმი. კორახის ძეთა საგალობელი.

2. ისმინეთ ესე,
ქვეყნის ხალხებო,
მომაყურადე, სამყაროის მკვიდრო ყოველო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მდაბიორმაც და
დიდგვაროვანმაც,
აზნაურმაც და უაზნომაც —
ერთად ყოველმან.

4. ბაგენი ჩემნი
იტყვიან სიბრძნეს,
გონიერებას განაცხადებს გულისთქმა ჩემი.

5. ყურს გავამზადებ იგავთა სმენად,
საგალობლებზე ვიგალობებ ქარაგმას ჩემსას.

6. ვის შევუშინდე ავბედობისას,
როს გზათა ჩემთა უსჯულობა
გარემომიცავს?

7. ძალმოსილებით მოიმედენო,
რომ გადიდგულებთ უსაზომო სიმდიდრე თქვენი, —

8. კაცმა ვერ იხსნას მოძმის სიცოცხლე,
ღმერთს ვერ მიაგოს საზღაურად
სანაცვლო მისი;

9. დია ძვირია სასყიდელი მისი სულისა
და არ ეგების უკუნისამდე,

10. რომ ცოცხლად დაშთეს სამარადჟამოდ,
ვერღა იხილოს ვერაოდეს
საფლავი თვისი.

11. რამეთუ ხედავს:
ბრძენნი კვდებიან,
მსგავსად ბრიყვთა და უმეცართა მიინქრევიან
და უცხოს ვისმე უტოვებენ
მონაგარს თვისას.

12. გულში ფიქრობენ —
უკვდავია მათი სახლები,
ნათესავიდან
ნათესავამდე
განეფინება სამკვიდრო მათი, —
და თავის სახელს აკუთვნებენ მიწას და
მამულს.

13. აჰა, ესერა,
უხანოა კაცის დიდება —
სულს გაეყრება პირუტყვის დარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. გზა მათეული —
მათეული უგნურებაა,
თუმც მათ დიდებას ღაღადებენ
შემდგომნი მათნი.

15. განაწესებენ ჯოჯოხეთში ცხოვართა დარად,
დაემწყემსებათ სიკვდილის ლანდი,
უბატონებენ წმინდანები დილაცისმარე
და გაილევა სიმაგრე ივი —
საცხოვრისი და
საფლავი მათი.

16. ჩემი სული კი ღმერთმა დაიხსნას, გამოარიდოს
ქვესკნელის მღვიმეს,
შემიწყნარებს და
შემინდობს რაჟამ.

17. ნუ შეძრწუნდები —
ოდეს კაცი დავლას მოიხვეჭს,
ოდეს დიდებით აღივსება სამკვიდრო მისი;

18. რადგან წავა და
ვერას წაიღებს,
ვერც ამქვეყნიურ ავლადიდებას ვერ დაიმგზავრებს
სიკვდილის გზაზე,

19. თუმც კი თავის სულს განადიდებს სიცოცხლეშივე:
ქება-დიდებას შეგასხამს ყოვლი,
ოდეს სიკეთეს მოიხვეჭ შენთვის.

20. ბოლოდ შეერთვი მამათა მოდგმას
და ვერაოდეს იხილავ ნათელს.

21. კაცი დიდებით შემოსილი,
მაგრამ უბირი
აღესრულება პირუტყვის დარად.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

საგალობელი

ვერ ხარობდეს შხამის ხე,
დაიშრიტოს გესლი;
დიდო ხეო ცხოვრების,
დაგელოცოს ფესვი,
ძალშიც შენი შრიალი,
შენი ოხვრა გვესმის.

ნაწამები, ნაგვემი,
სული შენით ლაღობს,
არ გათავდე, მარად შენსას
ვიგემებდეთ ნაყოფს.

ნაშიერო ადამის,
სიკეთის გზით გევლოს,
რომ გაჩენა თავისი
კაცმა არ დაწყევლოს.

შენ, ნათელო, დაძრულო
სურნელოვან ნაძვად,
იგრძენ ჩემი ვედრება,
მიმახვედრე, რაც ვარ,
მმართებს სახით, ტანითაც
ღმერთის მე მიბაძვა.

არ წამერთვას თვალთა ჩინი,
ძარღვს ნუ გადამჭრი,
შემარჩინე ერთადერთი —
სიყვარულის ნიჭი.

მოუღლელად მბრუნავო,
ლურჯო, მადალო ცავ,
სასწაულის შემყურე,
შენს სიმაღლეს ვლოცავ.

ხონჩით, გობით მიაგებე
უსასოოდ შთომილს
მზით მოსილი მოსავალი
ზაფხულ-შემოდგომის.

მზეო, ღმერთის ხატებავ,
ყოვლის ძირო, თავო,
ჩოქვით მუხლისთავები
მინდა გადვიტყავო.

შროშანს კაბა ჩაცვა,
ჩიტსაც მისცა ბინა,
ეს მინდვრები ცხვარ-ძროხით
ვინატ აღმოფინა.

მწადის, წმინდა, შეუღწევი
ნისლი ვისაც ბურავს,
მისთვის ყელამოჭრილად
ვიქცე სალამურად.

თუ რამ დამრჩა სამზერი,
გადიქროლებს, წავა...
ბაგეები მეხსნება,
დახსნილს, სალოცავად.

წელიწადის სამყოფი
ხმები ამოვზიდო,
ზსოვნად მიწის, დავადევნო
თვეს თვითეულს, ოითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი მიკვირს

მზე ანათებს მინდორს ცვრიანს,
ქაფი წყდება ცხენის ქვიქვირს,
ქვის წისქვილი ოხრავს იქვე, —
მიკვირს, ყველაფერი მიკვირს.

ხან ტკაცუნობს ბნელში კვარი,
ხან შეეყურებ სანთლის ღვარღვალს;
დავცქერ მწვანე ფოთოლს იის,
ვამბობ: ასე რამ დაძარღვა.

გულდაღარულს ვლოცავ ღეროს,
ვუმზერ სალამურის გათლას...
როგორ ხდება — ეკლის ბუდე
რომ იფარავს წაბლის ატლასს.

თუ არ დაწდა სისხლის ღელე,
რისთვის მოგვეკლინა ქრისტე.
ფიფქის კრისტალს ნეტა ვისი
საჭრეთელი აგვირისტებს?!

ცაში კენტად მოკრიალე
ნარინჯისფერ იმ ვარსკვლავთა
ვინ დაკიდა ოქროს შუქი,
მე რომ გაჩენიდან მკლავდა.

მეცინება, რა შევძელი,
რა მინდოდა ან რას ველი?!
ხედ, ვეებად, რამ აქცია
თესლი, თვალით უხილველი.

სხვას ვერავის გავაკვირვებ,
არცრას ვეუბნებით ახალს,
საით მივალ, არას მქონე,
ნურც შემაქებთ, ნურც დამძრახავთ,
ერთი ვიცი — სამარეშიც
შემკრთალს, გაოცებულს მნახავთ.

ღვთის წყალობა

ის დღე, ის მზე სხვა იყო თუ
თვალი მქონდა სხვა მე;
დავბერდი და არც მინახავს
იმის მსგავსი რამე.

თითქოს ვპოტნი კარს აჭედილს,
გამიკეთეს ჯადო,
ვერ აღვადგენ იმ სასწაულს,
ბევრიც რომ ვეცადო.

იყო ახალგამქრალი
ზამთრის სუსხი, თოშა:
დავცქერ იებს, ამოხეთქილს
ახალდამდნარ თოვლში.

იმდენია, თვალო, თვალო —
ვერა და ვერ დათვლი...
ვმალავ ღეროს ლაფნისას,
სალამურად გათლილს.

მკერდში ახტუნებული,
გული მიდევს ნაღმად,
მოჩქრიალებს ორაგვე,
მივდევ აღმართ-დაღმართს.

ხან მინდორი ცას მცინარს,
ხან ცა მინდორს დაცემს,
სატირალში მივყავარ
ბეჩავ მამიდაჩემს.

ათი წლისა, ყვინჩილას
ვგავარ ღამის მთევარს,
ქალებია „გარშემო,
ბიჭი ერთი მე ვარ...

საათ მეზიდებოდა
ხან მიწა და ხან ცა;
მუხლი ჩემი ვერც ერთმა,
მახსოვს, ვერ მოქანცა.

სალამურად ლაფნის ღეროს
მე აწ რაღას გავთლი...
თუ რამ კარგი დამცდენია,
იმ დღის არი მადლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის კიბესთან

(გაიყიდა სამი თვის მოზვერი)

ყველაფერზე გვეტყობა —
ცოდვა ჩვენი დიდია;
შესდექ, მიმოიხედე,
აქ ყველაფერს ყიდიან.

იდგა სვეტთან თოკჩაბმული,
კვამლისფერი ბოჩოლა...
ღმერთო ჩემო, მდუღარესი,
ვიგრძენ ცრემლის მოწოლა.

მყიდველს უნდა წაეყვანა
შავტუჩა, მიამტი;
იდგა ექვსი ათასად და
დასაკლავად ნაყიდი.

ვაი, ნეტავ არ მენახა,
გუშინ იყო, პარასკევს, —
გასანთლული თოკი თითქოს
ჩემს კისერზეც განასკვეს.

(უმზადებდნენ სადღაც მაყალს),
თვალი გამომაყოლა...
გუშინ იყო, რაც გითხარით,
არც კი ღირდა მოყოლა.

რეიდი ვაკე-საბურთალოს გზაზე

ბიჭს არაყი უსხია
საიგაკის რქაში;
ერთბაშად არ ჩამოუდგან
ნივრიანი ხაში.

ყველი მოფცქვნა, გაყინულ პურს
წაატეხა ყუა,
მოტყუებულ ქვეყანაზე
თავი მოიტყუა.

დაკარგული

ერთხელ, ყრმობისას, მახსოვს —
ბროლის ჭურჭელში ჩამსვეს...
აღარც მგონია — როსმე
თუ ვეღირსები ამ სვეს.

თვალის წამერთვა ჩინი,
სხივთა გვირგვინით მოსილს,
ჩვილ ყელზე ბროლისავე
მეკიდა ავგარიზი.

ჭურჭლის წახნაგი რვავე —
ენთო, ელავდა მზეზე...
გარს ვუტრიალებ, მას მერე
იმ კოშკის კარებს ვეძებ.

ჯერ არ ვეთმობი უფალს

არ აკავებს ვინმეს ხათრი,
არც უამინდობა,
გუშინ მასთან ვიყავი,
დღესაც დამიტოვა,
ელის ჩემგან რაღაცას,
ეგებ — ამიტომაც.

ფიქრობს, არ ვარ დაშრეტილი,
იქნებ — ამადაცო,
მერე იზამს, ბუმბულივით,
ცაში ამიტაცოს,

როცა უნდა, გამაშორებს,
ცოდვილს, ამ მიწასო...

იცის, არამს, დამადლებულს,
არ შევირგებ წამსაც,
როცა მინდა, მოვასწრებ
პირზე მურის წასმას,
რაა ჩემი აქედან
აბარგება, წასვლა;
ჩემი გზა მაქვს, არა კაცის
არ ვიქცევი ასლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედი კველი აივანიდან

ხან გასცქერიან ტაშირს
მთები ახლო და შორი,
ხან დაყვინთავენ ტბაში,
ხან დასტრიალებთ ქორი.

ხან ხურავთ ლურჯი ჭერი,
ხან ბურავთ ნისლის ბადე.

სულ ვაკვირდები — ფერიც
სხვადასხვაგვარი ადევთ.

მესაიდუმლე არ ვარ,
არც მათი თანასწორი —
გადააშიშვლა ქარმა
მთები ახლო და შორი.

დახვეულ, ნაცრისფერ ღრუბლებში მოქცეული მზის დანახვაზე

ვინ მიხვდება, ამ უწვდომელ
სიმაღლეზე ვინ აგაწყო...
გაჭიმული უსასრულოდ,
შენ ხარ წამი, მარად აწმყო.

ნუ დამჟანგავ, მზეზე მქრილავ
რკინის ფრთებზე გამაკარი,
რომ სახეში აწყვეტილი,
სამუდამო მცემდეს ქარი.

შაშვი განძარცულ ტალავერში

ხტის შაშვი ყვითელნისკარტა,
არცარას ითხოვს შენგან;
ყორეს მოჰყვება, შარშანდელ,
დამსკდარ ბროწეულს კენკავს.

გაწელა ყელი აწვდილი,
მხარი თრთის, ჩაზნექია,
ლივლივებს, თავზე ევლება
გალავანს მაღალს, ქვიანს.

წითელ შხეფს ენა ნამცეცა
იჭერს, უბზინავს კეფა...
ხომ ვიცი, რა საამოა
ნაყოფის, ტკბილის, სვლეპა.

მტვერს, ხმაურს გარიდებული
კუთხე — პატარა, ღია,
მან რომ არ დაიჭახჭახოს,
ხომ ვიცი, სამოთხეა.

ტირიფზე ჩამოჯდარი ჩიტი

(კავთურის პირას)

ისეთ ხმაზე გლოვობდა
ერთი გულყვითელა,
ვთქვი, მაგ ყელში დაგენაცვლოს
მგალობელი ყველა.

მწამს, პირველად ვისმენდი
იმ ჰანგს გასაკვირალს,
მისას სწუხდა, მოსთქვამდა
თითქოს ჩემს სატირალს.

ახლო მისვლა ვისურვე
(ვარ ნამდვილი შეთე),
ნაბიჯის ხმამ დააფრთხო,
გაქრა, დავაფეთე.

ადრეც, ახლაც, გზა ჩემი
უკუღმართად მიდის;
ვეჭვობ, კიდევ მეღირსოს
ნახვა მე იმ ჩიტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსენდება...

ბევრი წავიდა, ვისაც მე
ვთვლიდი ახლობლად, ღვიძლად;
გაქრა დუქანიც. სად ერთხელ
სარგისმა გვიმასპინძლა.

სადღაც აქ იყო, ვიცხელდით,
ჩვენს ბიჭობაში, ადრე...
ვწუხვარ, მტკვრის პირას, გაჩხოტილს,
ფეხით მოვყვები ჭადრებს.

უაზროდ მოარული

წუთისოფელი ჭრელი
მიიკლაკნება, მიხტის,
რაც მაქვს, ყველაფერს ვალაგებ,
კაცი არაფერს მიხდის.

ბაზარს ჩავუვლი, მეცემა
სუნი ნაგვისა მჟავე,
სულ ამაოა შეკითხვა:
„ვინ არის დამნაშავე?!“

გვეღუჯება მომავალი

რა ღვთის წყრომაა ჩვენ თავს,
რა ღმერთმა შეგვაჩვენა, —
შპრიცებით დაძიძგნილი
რამდენი ლურჯი ვენა...

საით მივაგნოთ საშველს,
რა სასწაული გვიხსნის,
იდაგვის, იწამლება
ჩვენი ხორცი და სისხლი...

სანამდე...

სადაურ ცას გავეკვრები,
რა ვარსკვლავებზე გადვივლი...
ოროდის გავიგებ —სიკვდილი
ძნელი არი თუ ადვილი.

ასე სანამდე ვეკიდო,
წყვეტებავ ჩემო ქარულო,

მიწაზე სანდო, იოლი,
სად ვნახო სასიარულო.

დამწყლულებელზე, წყეულზე
ეს კი ითქმება ადვილად —
მე რომ სიცოცხლე გავლიე,
იმას აჯობებს ნამდვილად.

მიწის ღიმილი

იდუმალ შრიალს ვისმენ,
ღმერთის ნებაა, მაშ რა...
სასწაულია, თეთრო
ყვავილო, შენი გაშლა;

არც მსურს გაგება იმის —
რა წვიმებს მოჰყევ, რა შლამს,
ისიც გეყოფა, წამით
შვებას რო მოგვრი მაშვრალს.

ამ ბოლო დროს

ვკითხულობ უპირატესად
ძველ რომაელებს, ბერძნებს,
შინ მარტო ყოფნას ვუმატე,
გული უმათოდ ვერ ძლებს.

ავიც და კარგიც, ამ ქვეყნად,
ყოველი გამოსცადეს,
აჩრდილნი, მათ რომ აჯობოს,
აღარც მიუვა ჭადესს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ არ მომბეზრდა

ახალ სურვილებს მივდევ,
წუხს სული, თუ არ დათვრა,
რას მოგანიჭებს იმდენს
ასრულებული ნატვრა.

თითო სიცოცხლე თითოს,
ხეს, მტირალს, უგებს ხევე...
როგორღა მიგიზიდოს,
რაც უკვე დაატყვევე.

ავყურებ დამეულ ცას

ის ვარსკვლავი ხედავს, კენტი,
მოვიკუნტე საცოდავად,
ცად მიმავალს, მაცოდინა —
ასე რამ დამაცოტავა.

ვალს წაიღებს გარდუვალი,
გინდ დაუხვდე მამაცადაც;
ბედმა ჩემმა, უცაბედმა,
სიკვდილი არ დამაცადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულო კობიაშვილი

ნოველები

რობიზონა, დეზდემონა რომ უყვარდა

— არ გეგონოთ, შვილო, ოთახის კუთხე იმიტომ გავაქირავე, ფულს დავხარბდი. არა, სულ არ მინდა თქვენი ფული, ხმის გამცემი მჭირდება, უბრალოდ, სხვა არაფერი. ვიდრე ვმსახურობდი, კიდევ ვუძლებდი ამ საშინელებას, — მარტოობას, — თვალზე ცრემლი მოადგა რუსუდანს. — თანაც სამსახური მქონდა ისეთი: მთელ დღეს ბავშვებთან, საღამოს რვეულების სწორება... რაც პენსიაზე გავედი, ადგილს ვეღარ ვპოულობ. შიშიც დამჩემდა. ადრე ეს საკითხი მაინც არ მაწუხებდა, შემეძლო, ავად თუ კარგად საკუთარ ჭერქვეშ მეთია ღამე. ახლა კი დავღალე ნათესავები, ხან ერთთან მივდივარ, შესაღამოვდება თუ არა, დასაძინებლად, ხან მეორესთან. ლიდამ მირჩია მერე, ჩამესახლებინა ვინმე ახალგაზრდა, სოფლიდან ჩამოსული გოგო, კანდიდატურაც თვითონვე შემომთავაზა, — ღიმილით შეათვალიერა მდგმური რუსუდანმა, — პატიოსანი, საქმიანი, უმაღლესდამთავრებული ქალიშვილიაო.

მდგმურმა სალათის ჭამა მოამთავრა, ისევ კატლეტი გადაიღო და კვლავ კუშტად მოათვალიერა სამზარეულო.

— ჩაისაც ხომ არ დააყოლებდით? — თავისი თეფში განზე გასწია და წამოიწია რუსუდანმა.

მდგმურმა კუშტი მზერა თაროდან მინებზე, მინებიდან იატაკზე, იატაკიდან მაცივარზე გადაიტანა და ბოლოს, კატლეტის დამთავრების შემდეგ, მსხალი შეათვალიერა.

რუსუდანმა ვერ ვაიგო სურდა თუ არა ჩაი მდგმურს, ყოველი შემთხვევისათვის მაინც დადგა ჩაიდანი და ისევ სუფრას მიუბრუნდა.

— ძნელი პროფესია აგირჩევიათ; წარმოდგენილი მაქვს, რამდენი კლიენტი გაწუხებთ ალბათ. ერთხელ დამჭირდა იურიდიული კონსულტაცია და თითქმის მთელ დღეს ვიდექი რიგში. ღმერთო, ვიღა არ იყო, ვინ ჩიოდა, ვინ თავს იცავდა... თანაც ყველას რატომღაც მართალი რომ ჰგონია თავი, — გაიღიმა რუსუდანმა, მაგრამ როგორც კი მდგმურის მკაცრ მზერას გადააწყდა, მაშინვე, შემკრთალმა, მოსხიპა ღიმილი.

მდგმურმა ბოლომდე, სლაპასლუპით ჩაამთავრა მსხალი, ხელები შეიწმინდა, დასლოკინა, კბილი ასანთის ღერით გამოიჩიჩქნა და ჭურჭლის ალაგებას შეუდგა.

— უკაცრავად, ხმას რატომ არ მცემთ? — ჰკითხა უცებ რუსუდანმა და ოავის შეკითხვაზე თვითონვე წამოწოლდა: „ვაიმე, იქნებ ყრუა... თუმცა ფასზე რომ მელაპარაკებოდა, მაშინ ნორმალურად ესმოდა...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭამის დროს ლაპარაკი უკულტურობაა! — უსიამოვნო, წიკვინა ხმით თქვა უცებ მდგმურმა და ჭურჭელი ხმაურით ჩაახვავა ნიჟარაში. — ცხელი წყალი მოდის, ხომ, ყოველდღიურად?

— ო, დიახ! — რატომღაც ფეხზე წამოდგა და წინსაფარი შეისწორა ნირწამხდარმა მოხუცმა. — ნუ წუხდებით, მე თვითონ.

— ვერავის გარეცხილ ჭურჭელს ვერ ვიტან! — ცივად, მკაცრად გამოცხადა მდგმურმა და გაზქურა გამორთო — ვერც ჩაის!

— აჰა... — თავი დაუქნია შემკრთალმა რუსუდანმა და დასჯილი ბავშვივით მიჯდა კუთხეში.

— ფანჯრები დასაწმენდია, იატაკს ხომ ნუღარ იტყვი! ამ კარს საღებავი ვერ გადაუსვი?

— რა ვიცი, აღარ მაქვს აღარაფრის თავი, შვილო და... — მოიბუზა რუსუდანი. — ვითომ დავალაგებინე, დავაწმენდინე ყველაფერი წინა კვირას... რა ვიცი, ფული კი წაიღო, ტილოებით და ვედროთი კი ტრიალებდა იმხელა, ჯანღონით სავსე ქალი და...

— ჰმ! — თავი გადააქნია და უცებ თეფშს დაშტერდა მდგმური. — ანტიკვარია! რად გინდა ყოველდღიურ სუფრაზე, რა ღირს ეს, იცი?

— უკაცრავად, რამდენი წლისა ბრძანდებით? — თავისდაუნებურად ჰკითხა უცებ რუსუდანმა და რატომღაც თვითონვე შეაკრთო თავისმა შეკითხვამ.

— აქვს მაგას რაიმე მნიშვნელობა შენთვის? — ცივად მოუბრუნდა მდგმური. — ოცდარვის, რადგან ასე ძალიან გაინტერესებს.

— არა, კი არ მაინტერესებს, — დაიბნა რუსუდანი, — ისე, რა ვიცი, რაღაცაზე ხომ უნდა ვისაუბროთ და...

— ჰმ! — თავი ისევ გადააქნია და დაამოქნარა მდგმურმა.

რუსუდანი ოთახში გავიდა. ერთხანს უაზროდ იდგა გაშტერებული, მერე ტელევიზორი ჩართო. ცოტა ხნის შემდეგ მდგმურიც შემოვიდა, უხმოდ გახსნა ჯერ ერთი, მერე მეორე ჩემოდანი, უხმოდვე შეალაგა ამოღებული ტანსაცმელი გარდერობში, რომელიც დილით მთლიანად გაუთავისუფლა რუსუდანმა, უხმოდვე აიღო პირსახოცი და სააბაზანოში გავიდა.

რუსუდანი ნირწამხდარი იჯდა ტელევიზორთან, მხოლოდ უყურებდა, ერთი სიტყვაც არ გაუგია იმისა, რაც ეკრანზე ხდებოდა, უცხო, რაღაც გამოუთქმელი და აქამდე უცნობი სევდა უვსებდა გულს.

დაახლოებით საათახევრის შემდეგ მდგმური სააბაზანოდან გამოვიდა, შემოიტანა სასიამოვნო შამპუნის, ნელსაცხებლის სუნი, გადაიცვა ღამის თეთრი, კოჭებამდე დაშვებული პერანგი, უხმოდ შეათვალიერა ჯერ რუსუდანის კედელთან მყუდროდ მიდგმული საწოლი, მერე — ამრეზით — ტახტი, რომელიც ფანჯარასთან იდგა და რომელზედაც თვითონ უნდა დაეძინა, ისევ გახსნა ჩემოდანი, ამოიღო უშველებელი, ჩარჩოიანი სურათი, მიაყუდა ბალიშსა და კედელს შუა, დაწვა, შეაქცია ზურგი რუსუდანს და მიბნედილი და მწუხარე მზერა მიაპყრო ფოტოზე ცალ-ცალკე აღბეჭდილი ორმოცდაათი კურსდამთავრებულიდან ერთ-ერთს.

— უკაცრავად, — ცნობისმოყვარეობამ სძლია რუსუდანს, — თქვენი გამოშვების ფოტოა?

— დიახ, — რატომღაც ამოიოხრა მდგმურმა.

— ასე გიყვართ თანაკურსელები? — ღიმილით შეათვალიერა ფოტო რუსუდანმა.

— ჭირს წაუღია ყველა თანაკურსელები კი არა, აი, ეს მიყვარს! — თითი მახვილივით ატაკა შიგ გულში თმახუჭუჭა, ულვაშა ბიჭს მდგმურმა და მკაცრად ჩააბუზღუნა: — ვეღარ მოვახერხე ერთი, ცალკე ამოვაბეჭდინო ამის სურათი, ორმოცდაათი კაცი მიწევს ყოველლამ ლოგინში. როგორია, მოგწონს?! — თავი რუსუდანისკენ შემოაბრუნა და ინტერესით, ამაყად იკითხა.

—ძალიან, — რატომღაც გაწითლდა რუსუდანი. — თხოვეთ ბარე, გაჩუქოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი სურათი, მარტო თვითონ რომ იქნება ზედ აღბეჭდილი.

— ჰმ, ვთხოვო, — ჩაიქირქილა მდგმურმა. — თვითონ არც იცის.

— რა არ იცის? — დაიბნა რუსუდანი.

— რა და, რომ მომწონს.

— მოგწონთ თუ გიყვართ? — ისევ დაიბნა რუსუდანი.

— მიყვარს, თავს ვიკლავ ახლა მეც ამის გულისთვის! თუკი ვინმე გამოჩნდა, თუნდაც იმ დღესვე გავთხოვდები, მაგრამ თუ არ გამოჩნდა ჯერ არავინ, ხომ უნდა ვიფიქრო მანამდე ვინმეზე? გაუთხოვრად ამის კი არა, მზეჭაბუკის გამო არ დავრჩები. ეგ მაკლია, ვიჯდე ბაცი-კუკუსავით სიბერეში მარტო და ვეძებო მერე ვინმე, ხმის გამცემი!

რუსუდანმა ერთხელ კიდევ, გაოცებით დახედა, ისევ ორმოცდაათიდან ერთერთს მიჩერებულ მდგმურს და უხმოდ გამობრუნდა თავისი საწოლისაკენ. უხმოდ გაიხადა, უხმოდვე ჩაწვა და წიგნი გაღაშალა.

— სინათლეს რატომ არ აქრობ?! — რუსუდანისკენ არ მიუხედავს, ისე იკითხა მდგმურმა.

— რა ვიცი, უყურებთ და... — თავი იმართლა რუსუდანმა.

— ვუყურებ რა, განთიადამდე კი არ ვაპირებ, — ერთხელ კიდევ დააშტერდა და მერე რაფაზე შემოდო სურათი მდგმურმა. — ისედაც გვიანაა უკვე. ქალმა სულ ცოტა რვა, ცხრა საათი თუ არ იძინა, რას ემსგავსება მერე.

რუსუდანმა ჭაღი გამორთო, საწოლის თავთან დაკიდული პაწაწინა ბრა ჩართო და ისევ წიგნს მიუბრუნდა.

— ეს რაღა ფოკუსია ვითომ?. გაიგე, ბრა კი არა, ციცინათელაც რომ იყოს, ვერ დავიძინებ თუ ანათებს. შენ რა გენაღვლება, გათხოვებას აპირებ, თუ?

— იცით, — შეეცადა უნიათო წინააღმდეგობას რუსუდანი, — არაფრით არ შემიძლია ისე დაძინება თუ რამე არ წავიკითხე; რა ვქნა, ისე ვარ ბავშვობიდანვე მიჩვეული კითხვას...

— თუ კითხვა გინდოდა და წერა, ბინა კი არ უნდა გაგექირავებინა, ჩემი კარგი! — ანჩხლად წამოსწია თავი მდგმურმა. — ან კეთილ უნდა გენებებინა და გეთქვა თავიდანვე, რომ ღამღამობით სინათლეს არ აქრობ!

— ჩაქრობით როგორ არ ვაქრობ, მაგრამ... — დაიბნა და სინათლე გამორთო რუსუდანმა. — იცით, გულწრფელად რომ გითხრათ, ყველასი მიკვირს, ვისაც შეუძლია და არ კითხულობს, განსაკუთრებით ღამღამობით. იცით, რა კარგი გრძნობაა, თანაც თუ კარგი წიგნია?

— კარგი, კარგი, წიგნის მეტი რა წამიკითხავს, მაგრამ აქვს მაგას თავისი დრო და დაიძინე ახლა!

„ახლა კი არა, საერთოდ თუ დავიძინებ ოდესმე, აღარ მგონია“, — მწარედ გაიფიქრა რუსუდანმა, თვალზე რატომღაც ცრემლი მოადგა და ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა სიბნელეს.

ერთი საათიც არ იყო გასული, მდგმური წამოდგა; სინათლე არ აუნთია, ისე გაიარა ოთახი, გავიდა საპირფარეშოში და წამსაც არ გაუვლია, უკანვე შემობრუნდა.

ძილგამტყდარმა რუსუდანმა გარედან შემოსულ მკრთალ სინათლეზე უნებლიეთ მიაყოლა თვალი, — ჩაფართხუნებულ თეთრ პერანგში გამოწყობილი მდგმური მოჩვენებასავით აძვრა ტახტზე, ისედაც ერთი ბეწო მთლად მოიკუნტა და საბანი წაიფარა თავზე.

რუსუდანმა ამოიოხრა და ისევ სიბნელეს გაუშტერა თვალი.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, ტახტი შეიძრა, მდგმური ისევ ჩამოძვრა ტახტიდან, ისევ გადაჭრა ოთახი და ისევ საპირფარეშოში შევიდა. რუსუდანმა თავი წამოყო და საპირფარეშოს სარკმელს გახედა. საპირფარეშოში სინათლე არ ენთო. ერთი წამის შემდეგ მდგმური ისევ გამობრუნდა, ისევ გადმოჭრა ოთახი, აძვრა ტახტზე და ისევ ბოლომდე წაიფარა თავზე საბანი.

ათიოდე წუთიც არ იქნებოდა გასული, ძველი, ფეხებმორყეული ტახტი კვლავ შეიძრა და მდგმური კვლავ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცუდად ხომ არა ხართ, მიმოზა? — წყნარად ჰკითხა რუსუდანმა.

მდგმურმა არ უპასუხა, საპირფარეშოში შევიდა, სინათლე არც ახლა აუნთია, წამის შემდეგ ისევ გამობრუნდა და დაწვა.

შეშფოთებულმა რუსუდანმა კიდევ ორჯერ, მომდევნო ორი წამოდგომისას, ჰკითხა მდგმურს ჯანმრთელობის შესახებ, მაგრამ პასუხი არც ახლა მიუღია, მდგმურის მეექვსე წამოდგომაზე კი თვითონვე წამოჯდა ლოგინში და ელდანაცემი მიაჩერდა უკანვე შემობრუნებულ და ტახტზე ამავალ ქალიშვილს.

„მთვარეული სჭირს, ეტყობა, ამ საცოდავს, როგორ ვერ მივხვდი!“

მდგმურმა კვლავ თავზე წაიფარა საბანი და ამის შემდეგ დილამდე ფეხი აღარ გაუძრავია.

რუსუდანმა ?თელ ღამეს თვალი ვერ მოხუჭა.

„ერთიც ვნახოთ და სახურავზე გავიდეს... გადმოვარდეს მერე იქიდან... ვაიმე, ვაიმე... ვაი! უცებ რომ წამოუაროს და დამახრჩოს!.. ცეცხლი რომ წაუკიდოს სახლს!.. ვაიმე, ფანჯარა კარი რომ ეგონოს...“

დილით ღამენათევმა რუსუდანმა სუფრა გააწყო და ვიდრე სააბაზანოდან გამოსული, შეპუდრული და სუნამოდაფრქვეული მდგმური ჭამას შეუდგებოდა, ჩაფიქრებულმა და დადარდიანებულმა შეპარვით წამოიწყო:

— იცით, წუხელ თქვენ ხუთჯერ აღექით.

— ექვსჯერ, — კუშტად გაუსწორა მდგმურმა და შეცბუნებული რუსუდანი ცივად შეათვალიერა, — კარგად ვერ დაგითვლია.

— მერე... მერე... — საშინლად დაბნა რუსუდანი, — რომ შეგეკითხეთ, რატომ არ მიპასუხეთ?

— რა კულტურაა, ვითომ, შუაღამის დროს ლაპარაკი?! და თუ მაინცდამაინც ძალიან გაინტერესებს, რატომ ვდგებოდი, ახლა გეტყვი: ცისტიტი მაქვს, ბატონო და, სხვათაშორის, კარგს იზამ თუ ადგილს შემიცვლი და ფანჯარასთან შენ გადმოწვები, ფულის გადახდას არ ვაპირებ თუ?!

რუსუდანმა უხმოდ შეათვალიერა მდგმური და ისევ დასჯილი ბავშვივით მიჯდა კუთხეში.

— ესეც ასე! — საუზმეს მორჩა და წამოდგა მდგმური. — შენ რატომ არ ჭამე, არ გშია?

— რა ვიცი, აბა? — მხრები უმწეოდ აიჩეჩა მობუზულმა ქალმა.

— რა დაგემართა?

— რა ვიცი, აბა... ისე ვარ, როგორც რობინზონ კრუზო უკაცრიელ კუნძულზე, — გაღიმება სცადა, მაგრამ თვალზე ცრემლი მოადგა მოხუცს.

— რომელი ეგ, დეზდემონა რომ უყვარდა? — პირში თმის სამაგრი გაირჭო და თმა ჩაიხვია მიმოზამ.

— რა ბრძანეთ?!

— რობინზონა, დეზდემონა არ დაახრჩო ეჭვიანობის გამო? — თმა სამაგრით შეიკრა და რატომღაც ძალიან ამაყად მოუბრუნდა მდგმური რუსუდანს. — ვკითხულობთ ჩვენც, ქალბატონო, მაგრამ არა ღამღამობით. ტილოები გამიმზადე, მოვალ თუ არა, ხეხვა, დალაგება უნდა დავიწყო. უკაცრავად, მაგრამ ყველაფერს თუ არ მოვუარე... სად შემიძლია მე ასე, თქვენსავით ვიცხოვრო!

წამების დღე

სამხატვრო სახელოსნოს ოთხივე კედელზე ნახატებია დაკიდებული: ზოგი დიდი, ზოგი პატარა, ზოგი ჩარჩოიანი, ზოგი უჩარჩო, დამთავრებული, დაუმთავრებელი, პორტრეტი, ნატურმორტი... ერთადერთია მხოლოდ პეიზაჟი: ჩახჩახა წითელი მზე რატომღაც ამაყად გადმოჰყურებს ღია მწვანე მოლზე აღმართულ ლიმონისფერ თივას, ხოლო თივის თავზე საწყლად თავჩაქინდრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ზის რომელიღაც, გაურკვეველი ჯიშის, ძალიან ყვითელი ფრინველი. დანარჩენი, დამთავრებულიც და დაუმთავრებელი ნახატიც, ამ პეიზაჟში გამოყენებული ფერებითაა შესრულებული; ასეთივე, ჯერ ისევ გამოუყენებელი ფერებით სავსე ყუთი დგას ახალთახალი, უკვე სამუშაოდ გამზადებულ-გადაჭიმული ტილოს წინაც.

ერთადერთი, რაც ამ მყვირალა და, თანაც, უხმო კაკაფონიას არღვევს ამ ოთახში, არის არცოუ ისე ახალგაზრდა, შავგვრემანი, შავწვერა და შავდაშემოსილი კაცი, რომელიც სალათისფერ ტახტზე ისე გაშოტილა, გულზე დაკრეფილი თითებიდან ერთ-ერთის მოუსვენარი ტოკვა რომ არა, შეიძლება მკვდარი ჰგონებოდა თვით იმ გაურკვეველი ჯიშის ფრინველსაც კი, ასე უღვთოდ რომ გაუმეტებია შემოქმედს თაკარა მზის გულზე სამუდამო ტანჯვისათვის.

კაცი თითის ტოკვას წყვეტს, ჯერ თვალდახუჭული ოხრავს, მერე თვალგახელილი, და მაჯის საათს დაჰყურებს. დღის სამი საათია. კაცი სკამზე დადებული ტელეფონისკენ იწვდის ხელს, აპარატს მკერდზე იდებს და ნომერს კრეფს.

— ლია ხარ? — ნაღვლიანი ხმით კითხულობს და თვალებს ხუჭავს, — როგორა ხარ, ჩემო ანგელოზო?.. მე-ე? ეჰ, როგორ ვიქნები უშენოდ... ის ქალი? ეჰ, ნუ მიხსენებ, ქალი კი არა, ქაჯია ხორცშესხმული. როდის იქნება, მოვიშორებ. როდის იქნება, რომ ერთად ვიქნებიო, ჩემო სიყვარულო... დღეს? დღეს არა, ჩემო მერცხალო, ჩემო კუდმაკრატელავ, დღეს ვმუშაობ! ეჰ, არაფერს, არაფერს არა აქვს აზრი ჩემთვის უშენოდ... იცი, დავიფიცე, მტკიცედ დავიფიცე, დღეს როგორმე გავძლო შენი ნახვის გარეშე და ვიმუშაო... ჰოო, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემი მარტოობის წამალო! იცი, ნიკალა რატომ იყო უბედური? მეგობარი რომ არ ჰყავდა შენნაირი, თანამგრძნობი და ხელისშემწყობი... ჰო, მაგაში კი ფიროსმანს ვგავარ ნაღდად, — ალბათ სიკვდილის შემდეგ დამაფასებენ მეც. ცოცხალი არ ვჭირდები არავის, თორემ... არ იცი ჩვენი ხალხის ამბავი? შური, ბატონო, შური, მკვდრის არ შურთ მარტო არაფერი... აბა, თანაც ასეთი ფერები... ეეჰ, რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდე?.. რომელი ნატურმორტი, ვაშლებით? იმას ხომ იმ დღესვე მოვრჩი, რა დღესაც დავიწყე. მიკვირს, იცი, როგორ ანდომებენ ხოლმე თვეებსა და წლებს რაღაც ერთ ციცქნა ტილოს... ხომ გითხარი, ანველოზო, მე სხვა ვარ, ჩემი ნიჭი განსაკუთრებულია... გაგება? მერე? დიდ პიროვნებას ხომ ვერც უგებდნენ ვერასოდეს, ჩემო მზის სხივო, გაიხსენე, აბა, ნიკალათი დაწყებული, სიცოცხლეში აუღიარებელი არ წავიდა განა ყველა დიდი შემოქმედი? აუღიარებელი და მარტო იყო ყველა, თითქმის ყველა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე... არა გრცხვენია, ჩემო გოგო? მე თვითონ არ გითხარი, შენ რომ არ მყავდე-მეთქი? პირიქით, ვამაყობ, რომ სწორედ მე ვარ გამონაკლისი მათგან და სწორედ შენი წყალობით... ჩემს საყვარელ თეთრ ღვინოს მომიტან? ხომ გითხარი, დღეს ვერა-მეთქი. დღეს წამების დღე მაქვს, ჩემო ვოგო, ხომ უნდა ვიმუშაო, ხომ უნდა შეექმნა რაღაც. მოგეხსენება, შემოქმედის ცხოვრება რა სასტიკიცაა, რა მსხვერპლსაც მოითხოვს... მსხვერპლი არაა ჩემთვის, აბა რა, შენ რომ უარს გეუბნები ჩემთან მოსვლაზე, მხოლოდ იმის გამო, რომ უნდა ვხატო?.. ჰო, ამაზე დიდი მსხვერპლი რა უნდა შესწირო შემოქმედმა ხელოვნების ღმერთს... ნახვამდის, ჩემო ზვარაკო, ჩემო თიკანო!.. აჰ, რა დამავიწყებდა, ახლა უნდა მეთქვა სწორედ: ხვალ დილიდანვე და ვიდრე დრო გექნება, აქ იქნები... ღვინო არ დაგავიწყდეს. გკოცნი, ჩემო ჭკვიანო, ჩემო მარტოობის მალამოვ, ჩემო კუდმაკრატელავ...

კაცი თვალს ახელს, ამოქნარებს, საათს დაჰყურებს და ისევ კრეფს ნომერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქეთი ხარ? — ნაღვლიანი ხმით კითხულობს და თვალებს ხუჭავს. — როგორა ხარ, ჩემო ანგელოზო?.. მე-ე? ეჰ, როგორ ვიქნები უშენოდ... ის ქალი ხომ, ეჰ, ნუღარ მიხსენებ. როდის იქნება, მოვიშორებ, როდის იქნება, ერთად ვიქნებით, ჩემო სიყვარულო... დღეს? დღეს არა, ჩემო მერცხალო, ჩემო კუდმაკრატელავ, დღეს ვმუშაობ... ეჰ, არაფერს, არაფერს არა აქვს აზრი ჩემთვის უშენოდ... იცი, დავიფიცე, მტკიცედ დავიფიცე, დღეს როგორმე გავძლო შენი ნახვის გარეშე და ვიმუშაო. თუ დღეს მთლად ვერ დავამთავრე, მაშინ ხვალაც... ხვალ დამირეკე და გეტყვი... ჰოო, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო სიცოცხლევ! იცი, ნიკალა რატომ იყო უბედური? მეგობარი რომ არ ჰყავდა შენნაირი, — თანამგრძნობი და ხელისშემწყობი... ჰო, მაგაში კი ფიროსმანს ვგავარ ნაღდად, ალბათ სიკვდილის შემდეგ დამაფასებენ მეც. ცოცხალი არ ვჭირდები არავის თორემ... არ იცი ჩვენი ხალხის ამბავი? შური, ბატონო, შური... ეს საბელოსნოც რისი ვაი-ვაგლახით გამოვგლიჯე... მკვდარზე არიან მარტო მაგრები, მოვკვდები თუ არა, სიხარულისაგან მაშინვე მაღიარებენ. აბა? თანაც ასეთი ფერები, არც ერთ მხატვარს არა აქვს ასეთი შეხამება, იცი?.. ეეჰ, რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდე... ხომ გითხარი, ჩემო ანგელოზო, მე სხვა ვარ, ჩემი ნიჭი გამორჩეულია... მერე რა, ჩემო კუდმაკრატელავ, ყველა დიდი შემოქმედი განა აუღიარებელი არ იყო სიცოცხლეში? აუღიარებელი და მარტო... არა, არა გრცხვენია, ჩემო გოგო? მე თვითონ არ გითხარი, რომ არ მყავდე-მეთქი? პირიქით, ვამაყობ, რომ სწორედ მე ვარ გამონაკლისი შენი წყალობით... ჩემო საყვარელო, სამწვადე ხორცი უნდა მოგეტანა? ეეჰ, ხომ გითხარი, დღეს წამების დღე მაქვს-მეთქი. უნდა ვიმუშაო. შემოქმედის ცხოვრება მოგეხსენება, რა სასტიკიცაა, როგორ მოითხოვს მსხვერპლად სწორედ იმას, რაც ან ვინც გიყვარს... ასე, რომ, ამ მრისხანე ღმერთს შენ თავს ვწირავ, ჩემო ბატკანო... ნახვამდის, ჩემო ზვარაკო, ხვალ დამირეკე. თუ ხვალ ადრიანად მოვრჩი, ხვალვე მოხვალ, თუ არა და ზეგ, დილიდანვე ერთად ვიქნებით, ჩემო ციცინათელავ, აუცილებლად... სამწვადე არ დაგავიწყდეს... ოჰ, როგორ მინდა, რომ იცოდე, შენთან და რა ვქნა... გკოცნი, ჩემო ჭკვიანო, ჩემი მარტოობის მალამოვ....

კაცი თვალს ახელს, ამთქნარებს, კიდევ აპირებს ნომრის აკრეფას, მაგრამ სახეზე ეტყობა, ეზარება, აპარატს სკამზე დებს და საათს დაჰყურებს.

— როდის დაიწყება და როდის დამთავრდება ეს წამება, ამის... — თვალებს ხუჭავს და გულზე დაკრეფილი თითებიდან გაავებით ატოკებს ერთ-ერთს.

უკვე შებინდებულია. გულხელდაკრეფილ კაცს სხვენის კიბეზე ამომავალი მაღალი ქუსლების ბაკიბუკი ალვიძებს. სწრაფად დგება, თვალებს იფშვნეტს, სინათლეს ანთებს, ფუნჯს წითელ საღებავში აწებს და თეთრ, ქათქათა ტილოზე გეორგინის ჩახჩახა თავი გამოჰყავს.

კარი იღება, ოთახში შემოსული კაფანდარა, გრძელცხვირა ქალი მძიმე ჩანთას კუთხეში დებს, ფეხსაცმელს უხმაუროდ იხდის და თითის წვერებზე აწეული მიდის კაცისაკენ, რომელიც მონადირესავით, ჯერ შორიდან გაჰყურებს თვალმოჭუტული, შემდეგ კი ყვითელ საღებავში ამოწებული ფუნჯით დინჯად და საზეიმოდ უახლოვდება გეორგინას.

— კი, მაგრამ, თამაზ, სად გინახავს ასეთი ფურცლიანი გეორგინა? — ისეთი ჩურჩულით ეკითხება კისერწაგრძელებული და თვალებდაჭყეტილი ქალი კაცს, გეგონება, ეშინია, თვითონ საწყალმა, დაზარალებულმა გეორგინამაც არ მოჰკრას ყური თავისი უბედურების ამბავს და იქვე არ გადაირიოს შეურაცხყოფილი.

— თითოეული მხატვარი ხატავს ისე, როგორც ხედავს; მილიონჯერ მაქვს შენთვის ამის შესახებ ნათქვამი! — მკაცრად იკრავს შუბლს კაცი და ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკენ არც იხედება, გაფთრებით განაგრძობს ყვავილის შემკობას.

— ვაიმეე... — აჟრჟოლებს უცებ ქალს და ჩაფიქრებული ჩუსტში ჰყოფს ფეხს.— წარმოვიდგენია? კიდევ კარგი, მოდელიანი მაინც არა ხარ.

— მოდელიანი კი არა, მოდილიანი! — შემოუბრუნებლად უსწორებს კაცი და რატომღაც იხრავს: — ვითომ რატომ, ყოფილიყავი, რა!

— რას ამბობ! — ტახტზე ჯდება შეშინებული ქალი. — ღმერთმა დამიფაროს! როცა იქნებოდა, გაღიარებდნენ და დარჩებოდა მერე ჩემი კიტრივით პორტრეტი შთამომავლობას: „მხატვრის მეუღლე ლამზირა“. არა, ესეც კი დარჩება, თუ გაღიარეს, მაგრამ... — ქალი თითს იშვერს და სულ კენწეროში მიჭედებულ თავის წითელ-ყვითელ პორტრეტს კიდევ ერთხელ აჭყურეტს დაკვირვებით და გაკვირვებით. — ეს ცოტათი მაინც მგავს, სხვა თუ არაფერი... — იხრავს და თვალებდაჭყეტილი ისევ კაცისკენ იყურება. — დავიჯერო, თამაზ, მართლა ისეთ, კიტრივით სახეებს ხედავდა, თუ მართლა კიტრებივით თავ-ტანი ჰქონდათ იმ უბედურებს!

— რა გესმის ხელოვნების, შე საწყალო! — მაგრად შეკრული კრიჭიდან ზიზღით სცრის კაცი, მერე უცებ ახსენდება, რომ ასეთივე შეკითხვა თვითონაც არაერთხელ დაუსვამს, ოღონდ იმდენი ჭკუა კი ჰქონია, რომ არა სხვისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის, და ახლა, ამაზეც გაბრაზებული, ჯავრს ცოლზე იყრის:

— მოკლედ, მინდა, არ მინდა, თვეში ორჯერ წამების დღე მაქვს, არა? გითხარი თუ არა, არაა შენი მოსვლა საჭირო, დალაგებულია-მეთქი?! ან რა არის აქ დასალაგებელი? ან ის მაინც არ შეგიძლია ხოლმე, წინასწარ მითხრა, ზუსტად რომელი საათიდან რომელ საათამდე იქნება აქ?

— რა გაყვირებს, კაცო, შენ? — წამში იცვლება კიტრზე ჩაფიქრებული თვინიერი ლამზირა, თვალისდახამხამებაში ფეხიდან ჩუსტს იძრობს და მაგიდაზე გამეტებით ატყაპუნებს. — რა გაყვირებს?! უყურე ერთი შენ ამას? ამიკრძალე ბარემ ახლა ამ ჩემს ცოდვაჭირითა და ტანჯვა-წამებით ნაშოვნ სახელოსნოში საერთოდ მოსვლა და ის იქნება! უყურე ერთი შენ ამას! თურმე თვითონ არჩინო, შვილები ურჩინო, სახელოსნო უშოვო, ტილოები, საღებავები, ფუნჯები, საშლელები, ფანქრები, ჭიკარტები, ლურსმნები, ჩარჩოები... კიდევ... — გაფაცეცებით და გაფთრებით ავლებს თვალს იქაურობას, — ტახტი, ბალიში, საბანი, ზეწარიც... იმისათვის, რომ თუ დაიღალა, დაისვენოს, ბატონო... მარტო ფუნჯი, გახსოვს შენ, რა ღირს? ახლა საღებავები, ტილოები, ჩარჩოები! იმის მაგიერ, ოჯახში შენ შემოიტანო, ჩემს შემოტანილზე ნებივრობ აქეთ თუ იქით, იქით თუ აქეთ და ახლა ისიც გინდა, ამ სახლში საერთოდ არ შემოვიდე, რომ შენს შემოქმედებაში ხელი არ შეგიშალო? გიშლი? რას გიშლი? ჩემს ცხვარწინ არ მოაბი თავიც, ფეხიც და ფოთლებიც მაგ ოხერ ყვავილს? რითი შეგიშალე, თუ სხვანაირი გამოვიდოდა ეგ საცოდავი, მე რომ არ დავენახე?

— ვაიმეე! — ფუნჯიან ხელს შუბლზე იდებს კაცი, სკამზე მისავათებული ჯდება და მართლა ალალად ეხვეწება ხმამაღლა აწიკვნებულ თანამეცხედრეს: — გეხვეწები, გემუდარები, ერთი წუთით... პაუზა მაინც, ცოტა მაინც... ხმადაბლა მაინც...

— ხმადაბლა კი არა, შენ იმდენს იზამ, სახლიდანაც გაგაგდებ, აქედანაც მიგაბუნძულებ, შვილებსაც წაგართმევ! როგორც ჩამოხვედი, ერთი ჰერანგით და ნათხოვარი სანდლებით, ისე გაგიშვებ ისევ და ხატე მერე, რამდენიც გინდა, ის შენი სოფლის ველ-მინდვრები, უყურე ერთი შენ ამას! უყურე შენ ამას! ჯერ რა ხარ და ისიც იქნებოდი, მე რომ არა?! იქნებოდი კი, კი, ვიცი, ვინც იქნებოდი: მღებავი, ხარატი ან ზეინკალი. აი, ვინ იქნებოდი. ადამიანად გაქციე, კაცად გაქციე და ახლა თვეში ორჯერაც თურმე აღარ უნდა მოვიდე ამ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცოდვილარ, ბიძაჩემისა და მამაჩემის ოფლითა და ხვეწნა-მუდარით მოპოვებულ სახელოსნოში, არა?! არ მოგწონვარ, ბატონო? მაინც მეტი წილი შინ არ გძინავს, გადაყოლილი ხარ ამ თითხნას და წადი, ბატონო, ბარემ იქიდანაც და აქედანაც. მე თავზე ვერ დაგისვამ, ვერა! შენზე დიდი მხატვარი იყო ფიროსმანი, მაგრამ არ გაყვა არავინ იმის იმედით, სიკვდილის შემდეგ აღიარებენო. სიცოცხლეში ვერაფერს ვხედავ და შენ რომ მოკვდები, ჰა და ჰა, სამოცი წელიც რომ იცოცხლო კიდევ, მე რა, ყვავი ვარ, შენს შემდეგ კიდევ ორასი წელი ვიცოცხლო და შენი მარადუკვდავი სახელითა და დიდებით დავტკბე, და თანაც ისე, შენი მჩხავანა სურათები ვყიდო და გავფუფუნდე?!.. კიდევ გითქვამს ამაზე რამე...

— ლამზირა, ჩემო ანგელოზო... არა გრცხვენია? რატომ იცი ხოლმე ასე ლაპარაკი... — სახე უტკბება კაცს... — მე ეგ გითხარი, თუ ის, ნუ წუხდები დალგებაზე-მეთქი? მთელ ოჯახს შენ გვარჩენ ისედაც, მთელ ოჯახს შენ უვლი ისედაც და მე რა? ისეთი უმადური და ზარმაცი მნახე, თვეში ორჯერ შენ დაგალაგებინონ სახელოსნო? ამას ვეუბნები, მეტს კი არაფერს, ჩემო გოგო. ნუ ღელავ, ასე ნუ ნერვიულობ. შენ რომ არ მყავდე, ხომ იცი, რა უბედური ვიქნებოდი, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო ოჯახის ბურჯო, ჩემი მარტოობის მალამოვ. შენ იცი, შემოქმედისთვის შენნაირი მეუღლე და მეგობარი რა ბედნიერებაა? ჩემო ზვარაკო, ჩემი ბეკეკო, ვიცი, გაბრაზებ, ვიცი, ზოგჯერ უხეშიც ვარ; ვიცი, ღირსიც კი არა ვარ შენი, მაგრამ უნდა მაპატიო, ჩემო კუდმაკრატელავ, უნდა მაპატიო, რადგან ხელოვანი ვარ და, მინდა თუ არ მინდა, ზოგჯერ ნერვიულიც და აუტანელიც ამის გამო. განა ასეთი არ იყო თითქმის ყველა ხელოვანი? შენ ნუ გეშინია, საწყენად არ ვეუბნები, მაგრამ მხატვრობა ისეთი რამეა, ჩვეულებრივი, თუნდაც ნიჭიერი ადამიანი ზოგჯერ ვერ ხედავს იმას, რაც სინამდვილეშია. აი, ხომ ხედავ, საწყენად არც ახლა გეუბნები, მაგრამ მოდილიანი, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვარი... ხომ გესმის... ის, რაც ზოგჯერ შენთვის გაუგებარია, კაცობრიობისათვის აღსაფრთოვანებელია... ისე კი, მე მგონი, არ მოგიწევს დიდხანს ჩემი სიკვდილის ცდა, — უცებ თვალებზე ისვამს თითებს.

— ღმერთმა დამიფაროს! მე ისე, იმიტომ კი არა... — პირჯვარს იწერს უცებ მომბალი და რატომღაც დამორცხვებული ქალი. — ილაპარაკე, თამაზ, ისე მიყვარს, შენ რომ ლაპარაკობ... ნურც ჩემგან გეწყინება, იმიტომ კი არა, რომ... შენ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ... კი არ გამადლი, მაგრამ...

— ვიცი, ვიცი, — თავზე საღებავშეუმშრალ ხელს უსვამს კაცი ქალს და კისერზე უცებ შემოჭდობილი ხელებისაგან მორცხვად ითავისუფლებს თავს. — არა, ჩემი ანგელოზო, აქ ხელოვნების საუფლოა, ნუ შეგურცხყოფთ ამ წმინდა ადგილს. — დგება და თვალებმოჭუტული გაჰყურებს უკვე ნახევრად აჭრელებულ ტილოს. — რა მაძლევს იმედს, იცი, ღ რითი ვარ ყველაზე უფრო თავში დარწმუნებული? — შრომა არ მეზარება. რასაც აქ უყურებ, ყველაფერი ნელი-ნელ, რუდუნებით, დაფიქრებით... საკუთარ თავში ჩაღრმავებით და... და ეგეთი რამეებითაა შექმნილი. უცნაურია შემოქმედებითი პროცესი... მყუდროება, სრული სიჩუმე თუ არაა გამეფებული ირგვლივ, ასე გგონია... მოკლედ, არ შემიძლია მუშაობა თუ ახლო-მახლო ვინმეა, ან მოლოდინი მაქვს, რომ მოვა...

— ამაღამ ხომ წამოხვალ შინ? — ტახტიდან ფეხები გადმოაქვს ლამზირას, ნაღვლიანად ათვალიერებს კუთხეში მიყუდებულ ცოცხს. — მთელი დღის ნამუშევარ ხარ, დაღლილი. სამაგიეროდ, ხვალ დილადანვე მოხვალ.

— ჰო, ასე ჯობია, მე მგონი, — ფეხდაფეხ მიჰყვება კაცი. — მიალაგე ახლა უცებ და წავიდეთ ბარემ. დაღლილი ვარ მართლა, ჯობია ხვალ დილადანვე შევუდგე. რაო, ბიძაშენმა, გამიკეთა გამოფენის ამბავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აცალე, თამაზ, ხომ იცი, რასაც იტყვის, ასრულებს კიდევაც, — ღია კარში ჩერდება და ქმრისკენ იხედება ქალი.

— ვიცი, ვიცი, ჩემო ანგელოზო, — გამხიარულებული კაცი ერთი ნახტომით ჩნდება კართან და ლოყაზე ჯერ ჩქმეტს, მერე კი კოცნის ქალს. — ჩემი მარტოობის მალამოვ, ჩემო კუდმკრატელა მერცხალო, რა მეშველებოდა, რა, შენ რომ არ მყავდე?

ქალი მკერდზე აყრდნობს თავს და ერთხანს ასევე დგას ორივე, გაშეშებული, ჩარჩოში ჩასმული ძველმოდური სურათივით.

ნადირობა

ისლით შეკოწიწებული ქოხის დირეზე ვალიკო ჩამომჯდარა, კომბალს თავს უმრგვალებს და დროდადრო მოჭუტული ფალით გაჰყურებს მზეს, გუნებაში სწონის, რამდენი დროა დარჩენილი ფარეზში ცხვრის დაბრუნებამდე და მოასწრებს თუ ვერა ამ ხნის განმავლობაში მშიერი დანინოზასთვის და, რაღა თქმა უნდა, თავისთვისაც, ვახშმის მომზადებას.

„ხორცი მაინც გვქონდეს, უცბად ჩაჰყრი და მახარშავ. ფუჭ, როგორ მეჯავრება მაკარონი. ჩქარა კი მაიხარშება, მაგრამ ჭამა არ გინდა? ეჰ, არ უხდება როგორღაცა ვაშკაცს მაკარონის ჭამა“.

შორიდან რაღაც უცნაური თქარა-თქური ისმის, რომელიც თანდათან ახლოვდება მტვრის ბუღთან ერთად. ვალიკო ქოხის წინ გამოდის, ხელს იჩრდილებს და დაკვირვებით გაჰყურებს ველს. ძოთქარათქურე, მტვრის კორიანტელში გახვეული არსება ჯერ კუდღლისხელად მოჩანს, მერე ბატკნისხელად და ბოლოს პირდაღებული და ოღლიაში კომბალგაჩრილი ვალიკო კარგად არჩევს მისგან სულ რაღაც ორიოდე მეტრის დაშორებით მეტეორივით გაელვებულ ღორს.

„დიდება შენდა ღმერთო! ღორი საიდანღა მოვიდა ნეტარა აქა“, — უკვირს გალენჩებულ ვალიკოს. ღორს თვალს აყოლებს და ხელახალი თქარათქურისკენ ბრუნდება.

— გარეული ტახია ეგა, ვალიკო, — ნერწყვს ყლაპავს მტვრისაგან შავად დაფერილი დანინზა, თითს ღორისაკენ იშვერს და წამით შეყოვნებული ისევ წყდება ადგილიდან, — დანაი გალესე, დანაი, რო ტყავი დროზე გავაძროთ. დაჭრილია, კვალში მივსდევ, დეეცემა სადმე და მოვთრევ, — მოსძახის ისევ ვალიკოს.

— გარეულიო?! — უკვირს ვალიკოს. — საიდან მოვიდა, სად დასჭრეს? — ჰორიზონტზე შავად გაელვებული ტყის ზოლს გაჰყურებს და უცებ გახარებული ხტის. — ყოჩაღ, დანინზ! კაი რაიმე გიპოვნია, ოჰო-ჰო, მაგას აქვ თუ აქვ აი, უგემრიელესი ხორცი! მაკარონსაც გადავურჩი და გარეული ღორის მწვადიც გავირტყი! გული თუ რასმე მიგრძნობდა, აქამდე რო არ მოვხარშე ის საძაგელი მაკარონი!

თვალებგაბრწყინებული შერბის ქოხში, ბრძელი, ხანჯალივით დანა გამოაქვს და ღიღინ-ღიღინით იწყებს გამალებულ ლესვას.

— ჰოი, დილიმე! — ფხას უსინჯავს დანას და სკოლიდან დამახსოვრებულ ერთადერთ აფორიზმს ხმამაღლა და პათეტიკურად ასძახის ცას: — „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!“ აბა, თუ ღმერთის ხელი არ ურევია ამაში, ჰა? — ისევ სინჯავს დანის ფხას, რატომღაც ისევ მაკარონი ახსენდება, ტუჩს იბზუებს და სალესავზე წყალს ასხამს. — მაკარონი რაიღა მოსაგონი იყო ვითომა, ან ბრინჯი... ეჰ, მთელი ცხოვრება ხორცი რო ვჭამო, არ მამწყინდება, მაგრამ რაი ვქნა აბა? სულ ხო არ გავსწყვეტთ მე და ბეჩავი დანინზაი ამ კოლექტივის ცხორსა, სინდისიც კარგი საქონელია, ტყავებს ხო არ მიურეკთ ცხვრის მაგივრადა თავმჯდომარესა, მე შენ გითხრა და ის კი აკლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელსა ამ უბედურ კოლექტივს! მე და დიანოზაზე ორჯერ მეტს არ სანსლავს, აი! რაი ეშმაკია ეს დიანოზაი, სად ნახა ნეტა ეს ღორი, არა, ღმერთის გამოგზავნილია ნამდვილად, აჰა, ნატრობდით და მიირთვითო!

ვალიკო იდაყვს ეყრდნობა და თავისდაგასაკვირად და გასაოცრად უცებ რატომღაც ბეჰემოტი აზსენდება. „ნეტაი, როგორ ცოცხლობს იმოდენა ბუმბერაზი უზორცოდ? რაია ბუნება, შენ გენაცვალე! რო შახედავ, გული გაგისკდება კაცსა და ეს საცოდავაი, კიდევ, თურმე ბალახაის მეტს არას მიირთომს. სპილო, ნეტარა? სპილო სჭამს თუ არა ხორცსა? თუმცა მთავარია რო ამადამ ვახშმად მწვადები გვაქ. აუჰ, რას ავაშიშხინებთ? კიდევ კარგი, ბეჰემოტად მაინც არ დავიბადე, ან ღორადა. კარგია ადამიანობა, მბრძანებელი ხარ ბუნებისა, დაჯე და რაიც მეგეხასიათება, მიირთვი!...“

— მიშველე, ვალიკო, და უშველე შენს თავსაცა, ვალიკო! — ისმის უცებ დიანოზას თავზარდამცემი ბღავილი და რას ხედავს ვალიკო: წინ დიანოზა და უკან ტახი!

— ვაიმე, ჩემო დედავ, მიშველე, ვალიკო, და უშველე შენს თავსაცა, ვალიკო! — ჯერ ჩიკორივით ბზრიალებს ეზოში დასობილი ბოძის გარშემო დიანოზა, მერე ზედ აცოცებას ლამობს, ძირს ჩამოვარდნილი სიმწრით ურტყამს წიხლს ბოძის გასლაპინებულ ტანს და ისევ კისრისტეხით გარბის მიტოვებული ცხვრის ფარისაკენ.

ეშვებგადმოყრილი, ლაშებაქაფებული ტახი ბოძთან ჩერდება, ცალ თვალს გაქცეულ დიანოზას აყოლებს ელამივით, მეორეთი დანიანად გაშეშებულ ვალიკოს შეჰყურებს და კბილებს ავისმომასწავებლად აკაპუნებს.

ვალიკო უკან-უკან იხევს, დანას ხელიდან აგდებს და პირგამშრალი და თავზარდაცემული თვითონაც დიანოზას კვალზე მიჰქრის.

ჯაგარაყრილი, გაცოფებული ღორი ერთხანს ვალიკოს გაჰყურებს, მერე ჯლიგინ-ჯლიგინით შერბის ქოხში. იქიდან კარგა ხანს ისმის თქვლეფის, სვლეპის, კნატაკნუტის, მსხვრევა-მტვრევის ბგერები, ბოლოს კი ისლისგან შეკოწიწებული ქოხი პარაშუტივით, ნელ-ნელა ეფინება მიწას. თვალებჩასისხლიანებული, ნასიამოვნები მომხვდური ნაქოხარიდან გამოდის და იქვე, სიგრძეზე გაყოლებულ ფარეხს მუშტრის თვალით ზომავს.

ნაფარეხალიდან გამოსული ტახი ერთი მოქნევით აბრუნებს წყლით სავსე გეჯას, ნებივრად, ღრუტუნ-ღრუტუნით იღებს ტალახის აბაზანას, გულმოდგინედ იფერთხავს ტანს, მერე კარგ მეურნესავით, დაკვირვებით აჰყურებს ჩამავალ მზეს, შეყსეულად წყდება ადგილიდან და ეშვებაელვარებული და აჯაგრული, დაოთხილი მიჰქრის ბუნების მბრძანებელთა კვალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესმა ნოზაძე

თაობა
ანუ თავისუფლების რიტმები

პოემა

რა თავისუფალნი ვართ, რა თავისუფალნი,
ჩვენი სიკვდილიც კი ჩვენს უკან დარჩა,
ჩვენი მომავალიც აღარ შეგვაწუხებს,
მას ხელი ჰაერში გაუშეშდა,
ჩვენს კარზე დაკაკუნებას როცა აპირებდა...
გაბრუნდა, გზიდან გადაუხვია
და ახლა მკვდარი შაშვივით იხრწნება
სადგურის სანაგვეზე,
ნარჩენების ქალაქში...
ძაღლი, ცალი გვერდი რომ გასტყავებია,
დასუნავს და ზიზღით დრუნჩს გაჰკრავს
ჩვენს მომავალს,
რომელიც მკვდარი შაშვივით იხრწნება
ნარჩენების ქალაქ-ქვეყანაში...

* * *

გენაცვალეთ, დებო და ძმებო,
ააკაკუნეთ ყავარჯნები —
რკინა-პლასტმასი და თაბაშირი!
მზე ამოდის! (როგორი შეუსაბამოც არ უნდა იყოს).
მიეგებეთ, მიესალმეთ,
მიუფიცხეთ ხელ-ფეხის ნარჩენები!
მუხლიდან ამოჩრილ ძვალს ეამება,
თვალის ცარიელ ორმოს ჩაანათებს,
შუცლები მიუფიცხეთ, იარებს აგიყვავებთ,
საშო მიუფიცხეთ, დებო, — გაგითბებათ,
რადგან ის სხვა რამე ველარ გაგითბობთ,
რადგან ის სხვა რამ უკვე მიწაა,
ანდა პროტეზებს შორის იჭუჭყება...
გენაცვალეთ, დებო და ძმებო,
ააკაკუნეთ ყავარჯნები!
ააბრაგუნეთ თაბაშირის,
რკინა-პლასტმასის მძიმე ხელ-ფეხი!
მზე ამოდის! მზე ამოდის!
მზე მკვდრების, მზე ბრმების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ხეიბრებისა და მეძავების,
მზე გიჟი ბებრებისა და გარყვნილი ბავშვების,
მზე მათხოვრებისა და ჭლექიანების...
წითელი მაგნოლია ნაგვის სერების,
ნაგვის ფერადი მთაგრეხილების,
ნაგვის ჭალებისა და ტაფობების,
ნაგვის კორდთა და მწვერვალთა თავზე!
(რა სამწუხაროა, პატარა ბიჭო,
რომ ეს არის შენი სამშობლო).

* * *

ქუჩა სავსეა მკვლელებით და რეტიანებით,
უძრავ და მოძრავ ნაგავით, ძმაო,
ქუჩაში ხალხს რქები ამოსდის,
ბრჭყალები ამოსდის,
კლანჭები ამოსდის,
ეშვები ეზრდება...
შიმშილის ვიტამინებით,
სიცივის კალორიებით,
გარყვნილების ძველი ცხიმით ნაპატიები.
აუუუ! ჰამ! ჰხრამ! — ხრჭყწ! რქჭყ! —
უნდა გამოგღადრო ეგ ცახცახა ყელი!
ჩემს კლანჭებს შენი თვალის გუგა სწყურიათ...
ჩემს ეშვებს — შენი ლოყა, ყელი, გულ-მკერდი...
იმიტომ, რომ თავისუფლები ვართ, ყველაფერი შეიძლება,
და ბნელ ოთახში ხუთი წლის გოგო
შეჰღაღადებს ძილის წინ უფალს:
„ჩემო საყვარელო, კარგო იესო,
მეშინია, მეშინია, მეშინია,
გეხვეწები, გულში ჩამიკარი,
გემუდარები, დამიფარე
ბოროტი კაცებისგან,
ბოროტი ქალებისგან,
ბოროტი ბავშვებისგან,
ბოროტი ძაღლებისგან...
ისინი შენზე ძლიერები ხომ არ არიან...“

* * *

ქუჩაში ხალხს კლანჭები ეზრდება,
პარლამენტი კი ფიტულებით ავსებულა,
რომლებიც ერთმანეთს ეხახუნებიან...
უშვილოები პარლამენტში არ აირჩიოთ, —
სხვის შვილებს ომში გაამწესებენ,
უსქესოები პარლამენტში არ აირჩიოთ, —
თქვენს შვილებს ყავარჯნებსა და კუტობას მიუსჯიან...
ათაშანგიანები პარლამენტში არ აირჩიოთ, —
სხვას ჯანმრთელ ორგანოებს არ აპატიებენ,
მსუქნები პარლამენტში არ აირჩიოთ, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონი ხშირად სისულელეს და ბოღმას აპურებს,
რადგანაც ეს საქართველოა, მეგობარო,
საინტერესოდ გახრწნილი ქვეყანა,
სადაც საპნის ბუშტები რკინის ჯაჭვანს ისხამენ
და ტანკებით დადიან,
სადაც კაცი პოლიტიკაში უმეტესად იმიტომ მიდის,
რომ ბავშვობაში ვიღაც უკანალს უჩქმეტდა ანდა
დედა ან მამა ბოზი ჰყავდა ან სხვისი ნიჭით
ან თავისი ფალოსით იყო დაბოღმილი...

* * *

მოდი ჩემთან, ჩემო ლამაზო,
ჩემო დიდთვალება მაწანწალავ,
შენ ისე სათნო ხარ, ისე ღვთაებრივი,
რადგან შენთვის ყველაფერი სულერთია,
თითქოს მკვდარი იყო,
ანდა მზე....
მაგრამ შენ ის ხარ, რასაც ამ ქალაქში მეძავს ეძახიან,
თუმცა ეგ სიტყვა შენ არ გეკარება,
რადგანაც შენთვის ყველაფერი სულერთია...

* * *

სულ ცამეტი წლის ხარ, მაგრამ შენი გულისთვის
ცამეტ ტყვიას არავინ ინატრებს
საკუთარი გულის გასაგმირად,
ახლა ტყვიას შენ დაგახლიან,
თუკი ვინმემ ვერ გამოგიყენა...
სულ ცამეტი წლის ხარ, ჩემო პატარავ,
მაგ ხნის ჯულიეტამ სასწრაფოდ იქორწინა,
რათა მიწაში ცოლად წასულიყო,
შენი უკვე სევდიანი, დაღლილი საშო კი
ჯვრისწერას არ ითხოვს,
ისე მასპინძლობს მწყურვალთ და დამაშვრალთ
(რომლებიც თავიანთი პლასტმასის მუხლებით
ზოგჯერ ბავშვურ ხორცსაც კი გიჟეჟავენ),
რადგანაც შენთვის — მზესავით, მკვდარივით —
ყოველივე სულ ერთია.

* * *

მოდი ჩემთან, მე შენ მიყვარხარ,
რა ახლანდელი ხარ და რა ნამდვილი,
მთელ წარსულს გადასწონი...
შენი სუნთქვის შრიალთან შედარებით
ისტორია — თუნდაც ჩვენი ანუ გმირული, —
მტვრით სავსე ორმოა, მეტი არაფერი!
მაგ სინამდვილის მისხალსაც ვერ მოიპოვებენ,
მაგალითად, პოლიტიკის კალოზე კალიებივით მოხტუნავენი,
თუმცა ნახევარი ქვეყანა ტყვიას შეაჭამეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი — შიმშილს და სიცივეს,
მაგრამ სინამდვილეს ვერ მოიხვეჭენ,
დაღდასმულნი არიან ხმამაღალი არყოფნით.

* * *

მოდი ჩემთან, ჩემო თბილო, ჩემო ლამაზო,
ჩემო დიდთვალება მაწანწალავ,
ო, რა წმინდა ხარ, რომ ყველასი ხარ,
რა დიდი ნახტომით გადაახტი
შენს საცოდავ ასაკს,
რომ ახლა უკვე ყველაფერი სულერთია...
(მარიამებმა თორმეტი წლისებმა
გაუღეს თავიანთი სხეულის სრუტე
მარადიულ ლავას, რათა სადმე მოესვენებინათ,
მაგრამ შენ, ჩემო პატარავ,
ქრისტეს დობილი ვეღარ გახდები,
რადგან არასდროს მოინანიებ,
რადგანაც სამოთხეც და ჯოჯოხეთიც
შენთვის სრულიად სულერთია...)

ერთბაშად ისკუპე და შენს ყვავილოვან ასაკს გადაახტი...
მაგ ნახტომის ქვეშ, მის მთელ სიგრძეზე
(თითქოს ირმისა ყოფილიყოს),
სამშობლოს წინსვლა ხორციელდებოდა:
და ახლა ჩვენ, თავისუფლებით პირთამდე სავსენი,
საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა ვართ,
უდიდესი კულტურისა ხომ თავისთავად...

მოდი ჩემთან, წინსვლის შროშა,
სიბნელის და სიცივის
დაორთქლილო შუქურავ,
რბილ მკერდში ჩაიწვინე
ჩემი ხელის ნარჩენი,
შენთვის ხომ მკვდარივით, მიწასავით, წვიმასავით
ყველაფერი სულერთია...

* * *

მოდი, დავწვეთ და ვიმსჯელოთ და ვიფილოსოფოსოთ...
თუმცა მე და შენ შვილები აღარ გვეყოლება,
რადგან მათი გამომნასკველი თესლი
ამ სამყაროში უკვე გაწყალდა.
მაშ ახლა რაღა ვქნათ,
სად წავიღოთ ჩვენი დრო, ჩვენი თავი, ჩვენი ნარჩენები
ასეთმა მოცლილებმა
და თავისუფლებმა,
როცა ყველა ადგილი ცარიელია.

* * *

მოდი, ისევ და ისევ
ერთმანეთში შევდინდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ამის თავი გვაქვს,
ვიდრე რაღაც გვიბიძგებს,
მოდი, ისევ და ისევ
ერთმანეთში შევდინდეთ
ორი რუ და ნაკადი
წმინდა უნაყოფობის.
მოდი, ისევ და ისევ
ერთმანეთი ვისახლოთ,
დავტკბეთ, ჩემო დობილო,
ჩვენი თავისუფლებით,
ჩვენ ხომ აღარაფერი
აღარ მოგვდევს, მოგვყვება,
უშედეგონი ვართ და ვერც ვერაფრის მიზეზ
აწ ველარ შევიქნებით,
მოდი, ისევ და ისევ...
მოდი, ისევ და ისევ...
მოდიმოდიმოდიმო...

* * *

ხომ ხედავ, დღესაც ისევ მზემ გვიშვილა...
მზეო, ამ სითბოს მე არ დაგივიწყებ,
ამ ჩემს გამოქარულ და გაბოროტებულ
ძვლების მილებში რომ მიიღვენთება
და ასე ნელა მშლის, მალღობს და მასვენებს...
რა თვინიერი ხარ, მზეო, რა სულგრძელი,
რომ ზედ არ არწყევ ამ ჩვენს დამპალ ქალაქს,
მე რომ მზე ვიყო, თუკი ამ ქვეყანას
ამოუვიდოდი,
მხოლოდ იმიტომ, რომ
ღამეფურთხებინა...

* * *

მოდი, კლასიკურ კილოს მივაშუროთ:
მაშ ასე:
„გაგიგონიათ ზღვისპირეთის ტურფა ქვეყანა,
თურინჯ-ნარინჯის, ფორთოხლების და დაფნის მხარე?
სად მანდარინი და ლიმონი მთვარის ფერებად
ღვივიან დაფნის, ევკალიპტის, სუროს მწვანეში?
ზღვის ჰორიზონტზე მზე რომ ყვავის წითლად ან ყვითლად,
ან მოვარდისფრო მაგნოლიად ამოიშლება
და ფეიხოა რომ შრიალებს და კვიპაროსი...“
დაიმახსოვრე, ჩემო ტკბილო,
რამდენჯერაც არ უნდა გავჩნდე,
ღმერთსა ვთხოვ, თანაც კატეგორიულად,
აღარ მანახოს
ეს ჩვენებურად მსუყე პალიტრა:
ლიმონი, დაფნა, მანდარინი და ფორთოხალი
სისხლის კოლტებში! სისხლის სუნში! სისხლის გუბეში!
სისხლის ვეფხვი!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

(და თანაც, ბედი რომ არ გექნება:
ციტრუსები ბავშვობიდან მეჯავრებოდა)
და ცარიელი კუჭის ცხელ ქვაბში
მანდარინის მჟავე წვენი რომ ჩაგეღვრება...
ფუჭ! —
კუჭში ახლაც კრუნჩხვები მივლის...
ჰოდა, ცახცახა ჩვენი კუჭები
მონარინჯისფრო წვენებს არწყევდნენ,
თვალები — ფერებს
(„ალაგ წითელს, ალაგ ყვითელს, ალაგ ალისფერს“...)
და მშიერი ტყვიები ჩვენს საფეთქლებს ეძებდნენ
და ბოლოს ჩვენი ქანცგაწყვეტილი
თავები თვითონ ეშვირებოდნენ...
მათზე მონადირე ტყვიას და ლულას...

* * *

პარლამენტში ცვედანები არ აირჩიოთ, —
აუცილებლად ომს დაიწყებენ.
პარლამენტში ქალა-ბიჭები არ აირჩიოთ, —
აუცილებლად ომს დაიწყებენ,
პარლამენტში უნამუსოები არ აირჩიოთ, —
ომს დაიწყებენ,
რადგანაც ეს საქართველოა, მეგობარო,
სადაც თუკი რამე ხმაურობს,
იცოდე, რომ ჩირქს აფარია,
სადაც ყველაფერი შურს იძიებს თავისებურად,
რასაც კი ოდესღაც არ გაუმართლა,
სადაც ვიღაც თუ არ გაჭყლიტე,
იგივეა, რაც არ გიცხოვრია.

* * *

ჩვენ რომ პრეზიდენტად ავზნიანს ავირჩევდით,
არ სჭირდებოდა ამას მისნობა.
არც პრეზიდენტის დამთხვეულობაა
ამქვეყნად დიდად გასაკვირალი.
მაგრამ ლექსზე და რელიგიაზე გაზრდილი კაცი
ანუ წიგნიერი კაცი იყო, დიდად მორწმუნე,
სახარების (ხორცში შეზრდილივით) თან მატარებელ
და ნახევარი ქვეყნის გაჟუჟვამ
ისიც კი ვერ გაგაგებინოს, რომ: „სდექ!
უკვე ჩაგიშვა ბედისწერამ,
უკვე დამარცხდი!?“
და სიკვდილმაც კი ვერ გაგათავისუფლოს
ოინბაზობისგან?
ბიბლია ამოიდო თავქვეშ ბალიშად!
ხოლო მანამდე:
თეთრ ცხენს შეაჯდე (სამაგალითოდ არასპორტული!)
სვანეთიდან სამეგრელოსკენ
თავქვე მავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რა თქმა უნდა, ჩამოვარდე,
როგორც მანამდე ტახტიდან — ზათქით!
(შენს მიერვე აღზევებულ გარეწართაგან ჩამოგდებული).
არა, ხომ არის ამ ყველაფერში რაღაც ქართული?
ჰოდა, ეს არის ჩვენი მშობლიური არაკი, ძმებო, —
თეორი ცხენიც იყო, ბიბლიაც იყო,
სიმდიდრეც იყო, კოშკიც და შველიც.
ხოხბის გოგმანიც იმ კოშკის ეზოში, ფარშევანგისაც,
წიგნიერებაც და გარეგნობაც,
კეთილშობილური ფორმაც თავისა,
უფსკრულებივით დიდი თვალებიც,
სიმაღლეც, ნიჭიც მუსიკალური,
და ის, მთავარი, არ აღირსა გამჩენმა ღმერთმა
(და თითქოს უბოდიშებდა, — იმიტომ დააპენტა
ლანარჩენი, ამდენი რამ არამთავარი),
რომ სისხლში ამოსვრილი...
ტლაპოში საცოდავად არ გაშხლართულიყო...

* * *

ცეედნის ყოყლოჩინობა შეჰყარა თავის ხალხს,
ისედაც ბედოვლათს, ბაქიბუქას. შარახვეტიას,
ისეთი სიგიჟე დათესა ტვინებში,
რომ იმ სიგიჟესთან მრუშობის გარეშე —
ტახტზე ვერ ახვალ და იქ ვერ დამაგრდები.

* * *

ყველამ თითო ომი გვაჩუქა!
ღმერთი სამობით არისო, ამბობენ.
გვიყვარს ქართველებს სიმბოლოები!

რაში სჭირდება უფალს კარნახი:
„შეუნდე და აპატიეო?“

* * *

ჰოდა, ხომ იცი, ჩემო საყვარელო,
მე იმ ნარინჯოვან ომიდან მოვდივარ,
ჩემი შეყვარებული იმ ომისავე ვეტერანმა გააუპატიურა
(თანაც, თურმე, არატრადიციულად),
მე იმ ვეტერანს, რა თქმა უნდა, რბილად რომ ვოქვაო, დედა
ვუტირე,
მაგრამ არც ჩემს შეყვარებულს გადავყოლილვარ...
სხვათა შორის, მანამდე
იმ ვეტერანის ცოლი იხმარეს.
ყელა ღრუში დაფნა ჩასჩარეს
და ტიტველი, თოკით დაკიდეს ბლის ხეზე,
ჩემს ძმაკაცს თავისი ფეხი ძლივს წაგლიჯეს ხელიდან,
ისე მაგრად ჩაეხუტებინა,
ფეხი, რომელიც ყუმბარამ მოგლიჯა...
ჩემი მეთაურის ხუჭუჭა თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდარინით გამაძღარმა ღორმა შეთქვლიფა
ტვინიან-თმიანად,
სხვისი თავი მიაკერეს და ისე გამოგზავნეს ფრონტიდა
ქალაქში,
არ ვიცი, თავისა თუ ტანის მშობლებთან...
თორმეტი წლის ბავშვი კი ათმა გააუპატიურა...

* * *

ომი დიდი უგემოვნებაა, ჩემო ძვირფასო,
ისტორიის კანალიზაცია — ისტორიული ბუნების ჭაობი.
მშვიდობა რომ მყარდება,
გემოვნება უფაქიზდებათ
და მჭახესა და კოშმარულ წარსულს
ისე აუწევენ ხოლმე ნატიფ ხელს,
როგორც ყვავ-ყორანს...
აქში! აქში!
ჰოდა, ჩვენც ჩვენსავე მძორებს დავტრიალებთ,
ბოროტად ვტკბებით ჩვენი ზედმეტობით...
მშვიდობა ვეღარ გამოგვიყენებს,
ადგილს ვერ იპოვის, სადაც ჩაგვრგავდა,
ესენი კი, ეს ჩათლახები,
ჩვენი სისხლით გასქელებულნი,
უჩვენოდ მიაბიჯებენ „ცივილიზებულ სახელმწიფოში“,
ომის გამჩაღებლები ახლა მშვიდობას იშენებენ,
მომწვანო დოლარებს იფენენ უძირო ჯიბეში,
თავის და სხვის ცოლებს ხმარობენ, როგორც წესია,
ომის გამჩაღებლები ახალ ცხოვრებას აგებენ, — განი!
მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე დაგვცვივდა
თმები, ხელ-ფეხი თუ სათესლე პარკები.
ჰოდა, ერთი სული აქვთ,
სადეზინფექციო ხსნარი მოგვიშვან
და გადარეცხონ
დანაშაულისა და სირცხვილის ადგილი...
მაგრამ დიდხანს გაგყვებათ ჩვენი ყმუილი...

აქში! აქში!
მთელი მსოფლიო ხელს გვიქნევს და პირს იქით იბრუნებს,
ჩვენ მათი სამარცხვინო წარსული ვართ,
მაგრამ არსადაც არ წავალთ ახლა,
ჩავუმწარებთ სიამტკბილობას,
დიდხანს გავყვებით მოჩვენებებად...

* * *

„ვეტერანების“ მესამედი და დანარჩენი კაცების ნახევარი
თავის ხალხს ჟუჟავს,
თავის ქალებს აუპატიურებს,
თავის ბავშვებს აობლებს, თოთო ტვინში ებეჭდება მარადიულ
ურჩხულად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი დედის გაუპატიურებაზე ოცნებობს,
თავისი „დედის მო...ნის“ აქტს ახორციელებს
ყოველ მესამე ვაჟკაცურ სიტყვაში —
განსაკუთრებით გვიყვარს ქართველებს ჩვენი საწყისი...

* * *

ხოლო ქალები, ბავშვები, დედები, მამები, პაპები, ბებიები,
„ტრადიციული ქართული ოჯახები“
ერთობლივად ძარცვავენ მატარებლებს, მაღაზიებს, კლუბებს და
სადგურებს,
სხვა ქალებს, სხვა ბავშვებს, სხვა დედებს, სხვა პაპებს,
წყვეტენ და ფატრავენ, ხრავენ და ფლეთენ, გლეჯენ და ხვრეტენ
წყლისა და დენის, გაზისა და ნავთის სადენებს,
ნავთობით ტბორავენ
მინდვრებს და ტბა-ჭალებს,
მცენარეებს, ფრინველებს, თევზებსა და ცხოველებს...
(მიკვირს, განგება თავს როგორ იკავებს, რომ საბოლოოდ
არ გაჰკრავს ასანთს).
ამ ხალხით გინდოდათ ომის მოგება?

* * *

თუ ქურდობა არ გინდა, ძმაო,
ღმერთს შეევედრე,
საქართველოში არ გაგაჩინოს.

* * *

(ზოგი მანდილოსანი პატრიოტულ იხტიბარს არ იტეხს:
„მაინც ჯობია ქართველმა მომ...ას!“
ღმერთმა ნუ მოგაკლოთ ეგ სიამოვნება).
ჩვენ ინტელიგენციაც გვყავს, გენაცვალეთ,
ნაწილი — ყველაფერს მორგებული, რაზედაც მორგება
შეიძლება,
მარქსზე, სტალინზე, ბელად-წმინდა გიორგიზე ან
„რამკის ქურდზე“,
მარადიულ ნომენკლატურად დაბადებული
ანდა, უბრალოდ, ჭკუიდან გადასული პროვინციალური,
დამპალი მითოსით.
ნაწილი კი — შეურიგებელი, ანუ ისე საგანგებოდ პატიოსანი,
რომ პატიოსნება კოპივითა აქვს ამოსული
და მასვე აკვირვებს.
უფრთხილდებიან თავიანთ წესიერებას
(როგორც ქალწული თავის უბიწობას)
და სამზარეულოს ჰუმანიზმს ადუღაბებენ
ჩაისა და ყავის ოხშივარში.
უხდება ტანინი და კოფეინი
„საკაცობრიო, თამამ იდეებს“,
„მარადიულ სულიერებას“,
მით უმეტეს თუ ამ დროს ფანჯრებთან
ახვრები ბავშვებზე ხმარობენ ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ თითო-ოროლა შედის მორევში —
სახელებს ამბობს და გულს იხეთქავს
(ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) —
მარილი, მარილი ამა ქვეყნისა,
ძალიან კაშკაშა, მაგრამ მუდამჟამს
მხოლოდ ორიოდე, ობოლი მარცვალი,
რომელსაც სასწრაფოდ დაფშვნიან და
ზედ დაფურთხებენ,
რადგან ეს საქართველოა, გენაცვალე,
რომელიც გასათხოვარის ატროკებით, ხურუშიანად
სჩობს ყოველივეს,
რითაც შემდეგ თავი მოაქვს და იბღინძება. —
და ომი, ძმაო,
ინტელიგენტური წარმონაქმნია,
ინტელიგენციის მძიმე თავებში იბადება
და კვერი ეკვრება
„ინტელიგენტური“, მაღალი დუმილით —
ანდა შმორიანი, კაზმული პათოსით.

* * *

ჰოდა, ჩემი ხელი
(სხვათაშორის, გამხდარი, ოხელთითებიანი)
იქ დარჩა, ნარინჯების სისხლიან მხარეში.
ალბათ ღამღამობით დაეხეტება
ზღვის თავზე, მთვარის ქვეშ, სისხლიან ჰაერში,
დაფნაში დაცურავს,
მე მეძებს საწყალი... დამემარხა მაინც...
არ ერჩივნა იმ უპატრონის
(ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით),
შენს მუცელზე დასვენებულიყო
ან შენი სხეულის თბილ ვიწროებში?

ანდა შეიძლება იმათ უალერსებს
(როგორც მამის ანდა ძმის ხელი),
ზღვაში რომ ტივტივებენ ტიტველი ტანები:
ბავშვები, ქალები, ბებრები, ბავშვები...
ძუძუები ამოიჩრებოდნენ ხოლმე პირამიდებივით
წითელქაფიანი, ჭუჭყიანი წყლიდან...
ან პატარა ბიჭის ასო გაკრთებოდა — მკვდარი ჩიტივით,
ქვის ყვავილივით,
თოლიები ჩაკორტნიდნენ, დაესეოდნენ,
ქვემოდან კი თევზები უჭამდნენ გამაგრებულ დუნდულებს...
ჩვენი სისხლით და მძორით გაიტენა იქაურობა,
ყველაფერს ხრწნა დააქვს თავისი შიგანით:
თოლიებს, ბელურებს, თევზებს და ღორებს,
მზესა და მთვარეს, ფოთოლს და ბალახს,
ხესა და ძროხას...
ყველაფერმა ჩვენ შეგვთქვლიფა, შეგვიწოვა, შეგვისრუტა.
ჩვენი ხორცი და ლპობა უკან დაგიბრუნდებათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძითა და პურით, ხორცით და ვაშლით,
სიზმრებითა და მოჩვენებებით...

* * *

მშვიდობის პური და ჰაერი ისევ ომია,

* * *

ხოლო ზურგში
დგებოდა ერთი წითელი და დაღუდღუებული
პატარა კაცი (რომლის შვილიც უცხოეთში დალაზღანდარობს),
ანდა ფერისმჭამელებიანი ქალა-ბიჭა,
ან ნახევრად გიჟი პროფესორი —
ეროვნული „ვანკა-სტანკა“,
ანდა ვინმე ნახევრად ნიჭიერი, ბოზი პოეტი
(საკუთარი გაზის ხმაზე გული რომ უსკდება),
ან ქონით დატენილი, მომღიმარი სამხედრო ყასაბი,
ანდა ვინმე ტიპიური პიჟონი,
(რომლებიც მხოლოდ იმიტომ გაჩნდნენ,
რომ სხვის შვილებს მიწისაკენ გზა მიუთითონ...) —
და ომს მოითხოვდა
„ტერიტორიული მთლიანობისათვის“,
„იურისდიქციის გასავრცელებლად“...

* * *

სიკვდილი ისე შემეჩვია,
თითქოს მოვიშინაურე —
და აღმოვაჩინე მისი დიადი ნიჭი და უნარი:
მხოლოდ მას შეუძლია გამათავისუფლოს ქართველობისაგან.
განა არ ღირს ამის გამო მისი სიყვარული?

მაგრამ, გავიხედოთ და, იქაც ეროვნულ ჯოჯოხეთში
ან სამოთხეში ამოვყავი თავი!
ხო აზრზე ხარ!!!

* * *

აჰა, ისევ მზე ამოსულა —
წითელი მაგნოლია ნაგვის სერების,
ნაგვის ფერადი მთაგრეხილების,
ნაგვის ჭალების და ტაფობების,
ნაგვის კორდთა და მწვერვალთა თავზე...
რა საშწუხაროა, პატარა ბავშვო,
რომ ასე გამოგეცხადა შენი სამშობლო...
და საღამო ჟამს —
როცა თბილისური ცივი, ბოროტი წყვდიადი მეფობს,
შენ, შოკოლად და ვაშლდანატრებული,
დედას მაინც ამას შეჰკითხავ:
„მითხარი, დედი,
არსებობს სადმე წყნარი, სუფთა, თბილი ადგილი?
სადაც ბავშვებს არ ეშინიათ!“

* * *

არ არსებობს, ჩემო პატარავ,
საუბედურო, ის ქვეყანა გარგუნა ბედმა,
სადაც იმიტომ იბადებიან,
რათა მერე კი არ მოკვდნენ...
არამედ ჩაძაღლდნენ...

* * *

მითხარი, ღმერთო,
ვისი უნდა ყოფილიყო ეს „ტურფა მხარე“,
რომ იგი ჯოჯოხეთად არ ქცეულიყო?
მშვიდობიანად მიეცი იმას, ვისაც მისი მოვლის თავი აქვს.

* * *

რა თავისუფალნი ვართ, რა თავისუფალნი...
თავისუფალნი
მომავლისაგან,
სიყვარულისგან,
იმედისაგან,
სამშობლოსაგან,
ღმერთისაგან,
ცოდნისაგან,
წარსულისაგან...
სინდისისაგან,
სიკეთისაგან
და ბოლოს უკვე:
ცრემლისაგან
და შიშისაგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჯარჯი ფხოველი

ფურცლები

ქაღალდის ფურცელზე შექმნილი სამყარო, სადაც უამრავი ტრაგედია თამაშდება, სადაც იღვრება სისხლი... და, ღმერთო ჩემო, ამ ყოვლისდამტევ ფურცელს შენ ვერ ამჩნევ... და ესეც კიდევ ერთი უბედურებაა, კიდევ ერთი სიბრმავე.

ეგრე მითხრა: პანეგირიკი ხომ საშინელებაა, მაგრამ ასგზის საშინელებაა ლიტერატურის ფუნქციონერზე დაწერილი პანეგირიკი: ამას მთლად სიდამპლის სუნი სდის, ყარს...

მეუბნებოდა: შენ თუ იცი შენი საქმის ავანჩავანი გამოწვლილვით? შენ აღმოაჩენ სამყაროს ახალ ხაზებს, ცდილობ მათს სრულყოფას და, თუ ამ საქმეს წარჩატებით გაასრულებ, მაშინ სახელსაც დაიგდებ, გამგრძელებლებიც გამოგიჩნდებიან და კმაყოფილების ტკბილ წვეთებსაც ეზიარები... შენ ჰგავხარ უფლის ბეოცნებე მოწაფეს და წინასწარ არასოდეს არ იცი, თუ რას შექმნი და როგორ შექმნი... შენ ბნელში დაყიალებ და იქ სინათლის წვეთებს აგროვებ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ...

დათვი მუჯათხევის თავს, ნაშეშვრებში გამოჩნდა საღამოხანს: თხილნარი ფერდობი ცქ,ფად გადმოჭრა და კლდეთძირის წვრილიან ტყეს მისცა თავი. დიდი ჩანდა, რ ოგორც აგორებული ღამე. მაგის მოკვლა ნამდვილად ცოდოაო, თქვეს სოფელშ , და არც მოუკლავთ.... ხოლო ოვით დათვმა სისხლიანი ხასიათი გამოიჩინა: დღე არ გავიდოდა, საქონელი რომ არ დაეგლიჯა... ასე უნდა დაეწყო დიდი წიგნის წერა სოფელზე, სადაც გაიზარდა... მაგრამ გადაიფიქრა, რადგან საშინელი უძლურება და გამოფიტვა იგრძნო... მობეზრდა ქაქათა ქაღალდი და ქაღალდზე გაჭიმული ასოების წალიკი: უცხო მწერების შხამიანი ბრჭყლების ანაბეჭდები....

მ.ხი გული ამ ერთადერთ, უშეღავათო აზრს გამოასხივებდა: მოსთხოვე შენს თავს შეუძლებელი!

ბიბლიურმა სინოპტიკოსებმა თითქმის წყალი გადაგვიწურეს: ისინი ფიქრობენ, რომ წარღვნით დასრულდება მიწიერი ცივილიზაცია, როგორც დიდი, ღვთაებრივი ექსპერიმენტი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7. 8, 1993 წ. № 1, 1994 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაგმატული მსოფლიო.... და ჩვენ დროთა გზაჯვარედინზე: ალტრუისტული წადილით გულაჩქროლებულნი, ინტერნაციონალიზმის ხელოვნური ბაცილებით სნეულნი, დემოკრატიობის თამაშს აყოლილნი... და ჩვენს შორის აღარა ჩანს თუნდაც ერთი მგზავი ვინმე, უფლის კარნახის მოყურიადე, წინ მაცქერალი.

ასე მეუბნება: ნუ იქნები ხელისსხლიანი. გაიხსენე: უფალმა ძღვენიც კი არ მიიღო დავით მეფისაგან, რადგან ბევრი სისხლის დამღვრელი იყო ის... ხოლო ძღვენის მიმრომეელად უფალმა დავითს უბოძა ძე: სოლომონი, ბრძენი და უკვდავი მეფე ისრაელისა... გახსოვდეს, ღმერთი არ შეისმენს სისხლისმსმელის ხვეწნა-მუდარას. მას ზეციერი უეჭველ სასჯელს განუმზადებს...

სამოქალაქო ომით გულშეძრული მეუბნება: ჩვენებმა დაამარცხეს... ჩვენები. ჯერ იმ ჩვენებმა დაამარცხეს ეს ჩვენები... მერე ამ ჩვენებმა დაამარცხეს ეს ჩვენები... და ვართ ასე დამარცხებულ-დაჩოქილები, სასაცილოები, სამყაროს მაჩანჩალები...

უცრემლოდ შემომტირის: ვაგლახ, ჩვენს ისტორიაში ვინც ყველაზე შავი და სამარცხვინო ფურცლები ჩაწერა, ისიც დარჩება ამავე ისტორიაში!.. ისტორია ყველაფერს იტანს, ყველაფერს იტევს... ეს არის ამაზრზენი პარადოქსი; საზარელი, სატანური კანონზომიერება...

ზემოდან დამცქერს ბებრისციხის ბებერი ლანდი. ხოლო ვადმა წერეთოს მთა მოჩანს, წახრილი ამართული, მხართეძოზე წამოწოლილი. წერეთოს მთის ფერხთით არაგვის ლაპლაპა ტანი გდია, მურყნის კორომებში გაკლკნილი... აქ გადიოდა ფხოვის ძველისძველი გზა, აქედან ეშვებოდა ფხოვის ლაშქარი... გადადაბალახულა, წაშლილა ეს გზა, ატყევებულა... სანაცვლოდ უახლესი გზატკეცილი გადის არაგვის გასწვრივ, წერეთოს ტერფებზე გადაივლის და ხეობის სიღრმეში იკარგება: მანქანის სავალი ბილიკი. ხოლო ცხენ-კაცის სავალი გზა უნუგეშოდ წაშლილა აქეთ...

რაც თქვი, ის თუ ეხმიანება შენი მიწის ჭრილობებს, შენი ხალხის გაუსაძლის ყოფას, თუ ეხმიანება დროის ავადმყოფ სინდისს, მაშინ გუშინდელი დღის ვალი გადახდილი გაქვს და კვლავ იმედით უყურებ იმ წამს, როცა ამოანთხევ იმ დანარჩენსაც, რისი თქმაც გწადია, რაც უეჭველად, თანაზიარი უნდა იყოს კაცთა მარადიული ჭმუნვისა... აი, ეს არის შენი ცხოვრების თავი და ბოლო.

ეგრე მეუბნებოდა: პოეზია როდია თითიდან გამოწოვილი ქიმერებით აჭრელებული ფურცელი, გარითმულ-გაშალაშინებული ტექსტი. ჰოეზია გულისთვის გამიზნული სიტყვაა, რომელიც მიზანს ხვდება; აღმოჩენაა, რომელსაც პოეტის ძვენებამდე ვერავინ ამჩნევს... სიტყვათა შერიგებაა, მათი გადაბმაა, სიყვარულის ხატვა... და როგორ ცდებიან, ჩემო კეთილო, როცა ლექსში რაიმე გამორჩეულ აზრს ეძებენ, როცა რჩევა-დარიგებას ეძებენ, როცა მუსიკას ეძებენ.... როცა ამბავს ეძებენ...

ეგრე ფიქრობდა: ურჯულოს მომკლავის მხარ-მკლავი მიწაში არა ლპებაო; იმის ხაფლავზე სულ სისხლისფერი ყვავილნი ჰყვავიანნ; საიქიოს ის ერეკლეს ფერხთითა ზის და პატრონის დიდ წყალობას იღებსო... იმისი ცხენი ბეჩავს არ შეისვამსო; იმისი ხმალი კარგ პატრონს ეძებს, ცუდაის ხელში სულ ცრემლად იღვრებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყო გამოცარიელებული დღეებიც: როცა სახლი ემსგავსებოდა პირქუშ გამოქაბულს, ხოლო სუფთა ფურცელი სიტყვებს ისხლეტდა, არ იკარებდა: და არ იყო არც ტანჯვა, არც სიხარული... იყო მხოლოდ სიცარიელე...

ძეუბნებოდა: სულს მიკვნესებენ ის უკდავები, ვინც თავისი ფიცი, თავისი სიყვარული სისხლით აღბეჭდეს ქართულ მიწაზეო... ეგენი ბევრნი არიან: სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა მრწამსის, მაგრამ ერთი კასტის, ერთი ერთგულების ჯაჭვით გადაბმული ქართველებიო. სულს მიკვნესებენ ეგენი და ჩემი იმედიც ეკ არისო...

ძითხრა: ისტორიის მეხსიერებაში არა სწერია მსგავსი რამ, რაც დღესა ხდება... კი, იყო შინაომები, იყო შეხლა-შემოხლა, ძმათაკვლა, მაგრამ, რაც დღესა ხდება, მსგავსი რამ იქ არა ჩანს... ეტყობა, ჩვენი გაბითურება, ჩვენი გაბოროტება, ურთიერთტევება მომავლის უფრო დიდი უბედურების მოლოდინითაა განპირობებული: უფრო მძვინვარე, ამაზრზენი და გლობალური უბედურების მოლოდინით...

ოსვენციმის შემდეგ ლექსის წერა აღარ შეიძლებაო, გვეუბნებოდა თეოდორ ადორნო... ახლა ვკითხოთ ჩვენს თავს, ქართველებმა: ამ სისხლისღვრის, უბრალოთა ამ გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ თუ შეიძლება ლექსის წერა?

სამხედრო დამარცხებებს უდავოდ მოჰყვება სულიერი დეკადანსი, როგორც უფრო დიდი ტრაგედიის წინაპირობა... და ეს გაცხადდება პოეზიაში.

აი, ისიც: ველური სტიქიის აბობოქრება, ციურ ძალთა ავბედითი საქმეები, განურჩეველი სისხლისღვრა, ძარცვა-ვლეჯვა... კაცთა განკითხვის ჟამი...

სისხლში გაბარჯღული, ამოტკეფრული წყურვილი მომთაბარეობისა, მოხეტიალე ცხოვრებისა, მემთვრალეობისა ჟამიჟამ ისევ აიტანდა ამ ხალხს და მოედებოდნენ იმპერიის თვალუწვდენ სივრცეებს, სადაც იკრეოდა, იკვერებოდა მათი წყურვილი, იმღვრეოდა მათი სისხლი: მრავალი რამ ერეოდა მას, ერთვოდა მას, მაგრამ იქ უცვლელად დომინანტობდა ხეტიალის წყურვილი: ნოღა რასის ეს ძარადიული ნიშანი.

მან ხელისგულებით ივრძნო მარადიული აგური, ცოცხალი და მფეთქავი რამ, ყველაზე გამძლე მასალა: სიტყვა.

სოდომი და გომორი მონაგონია ამ ქალაქთანო, — მეუბნებოდა, — ამასთან ისინი როგორ მოვლენო... აქ რაც ხდება, უპატიებელია, გაუგონარია და არც არავინ შეგვარჩენსო; თუ ღმერთმა გვაპატია, კაცობრიობის წყევლა მაინც დაგვმარხავს, დაგვაპირქვავებს, დაგვამიწებსო...

ყოველდღიურობით დაღლილი, სიტყვით ვნებული, გულჩახვეული, თავისი დღის ხერხემალზე შედგომისას, ამაღლებისას, კიდევ ერთხელ აღავლენს ამ სიტყვებს, ამ მაევდრებელ ხმას, ამ ჩურჩულს: განმაღე მე, უფალო, გახსენი გული ჩემი!.. და ეს არის პოეტის ჩურჩული, პოეტის ვედრება: განმაღე მე, უფალო, გახსენი გული ჩემი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონი და სინდისი ერისა: ინტელიგენცია... და შენ ფიქრობ, რომ ეს აზრი უეჭველია?

სიტყვა: პლანეტარული გრადაციის დამტევი; სიტყვა: ლოკალური ჯანყის, ინტიმური ზიგზაგების დამტევი... სიტყვა, რომელიც მხოლოდ თავისთავს იტევს, თავის სიმძიმეს უძლებს... სიტყვა, თავისთავით საზღვრული...

თანამედროვე ქართული ვერლიბრის დიდოსტატები: კონსტანტინე გამსახურდია (უოტენის ლექსთა თარგმანები) და შოთა ჩანტლაძე (ლექსები)... ამ ორ საყრდენზე დგას ქართული ვერლიბრი, როგორც თვითმყოფადი ფორმა.

მის წიგნში სიტყვებს ცეცხლი ეკიდათ: ნაპერწკლებოდნენ, ელავდნენ, — ეს იყო სიტყვების ალმოდებული საკრებულო. და სიტყვები იტანდნენ თავიანთ ხეიდრს: ურიგდებოდნენ ცეცხლს და გაქრობას; იწვოდნენ ჩუმად, შეუმჩნეველად, უსიტყვოდ...

ვიცანი: მას ჰქონდა მგლის თვალები; ჰქონდა დამშეული გამოხედვა უღრანების ბინადარი მტაცებლისა... ხოლო ხელები, ღმერთო ჩემო, თლილი და ქათქათა!.. ხოლო სიტყვა მისი: სრული და ფაქიზი, ვონიერებით ნაკვები, მომჭირნე, მკაფიო.... მხოლოდ თვალები ამხელდნენ მის შინაგანობას, მის წადილს...

დამარცხდა, მაგრამ არ გატყდა... ეს სულიერი სიჯიუტე, ეს თანდაყოლილი გაუტეხლობა, ეს მემკვიდრეობითი ძალ-ღონე არის ერთადერთი იმედის წყარო, რაც ერს აძლევნებს ისტორიის მუხთალ გზაჯვარედინებზე.

არ მიიღო, არ შეირიგო პანეგირიკი!.. სულ ერთია, ვისზე იქნება დაწერილი: დიდ ვაჟაზე თუ რომელიმე თანამედროვე მოფარფატე კალმოსანზე... არ მიიღო, არ შეირიგო!..

ერთი პორტრეტი. ის: პოლიტიკის დემონით პყრობილი. და იმის გვერდით: რამდენიმე შარლატანი და ჯიბის ქურდი... და იმის გარშემო: ქვეყანა, რომელიც განიავდა, გაილია, გაჰქრა...

ნგრევა იმპერიისა, ნგრევა ქალაქებისა, ნგრევა ხასიათისა, ნგრევა პოეზიისა... და ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, დაინგრა. გადარჩა მხოლოდ ბუნებითი სწრაფვა სრულყოფისა, რაც ფიზიკურ გამრავლებაში ვლინდება... და, რადგანაც ბუნების ეს უნარი ჯერაც არ დაშლილა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სრულქმნა არაა დასრულებული. და ამრიგად: ბუნება უმომავლო არ არის... და ჯერაც შორს არის სრულყოფის მწვერვალი: საყოველთაო სიკეთილი.

განწყობა. სიტყვა. ბიძგი გულისა... იერიში, რომელიც მოუხელთებელსაც კი მისწვდება და მკვდრეთით აღადგენს იმ ხატს, ემოციით გაჟღენთილი ძაფით რომ არის ნაქსოვი.

შეუბნება: ჭეშმარიტება ისეთია, როგორც მოჩანს. ვერ შეიცვლება მავანის თავგამოდებით... სადაც ფატალური მოვლენების ჩრდილი სწვდება კაცთა საუფლოს, ენას, რწმენას, ყოფიერებას და ანადგურებს და აბითურებს, იქ სისხლისდენას ვერ უწამლებს შიშველი სიტყვა, იქ სულის ნგრევას პოეზია ვერ შეაჩერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას არა აქვს სიტყვის ერთიანი, მყარი საყრდენი. ის არ დგას, არამედ: ფარ-ფატებს, ცეკავს სიტყვაში, სიტყვის გარშემო... ცხოვრობს და ილუპება, როგორც პეპელა, ყვავილებზე მობრიალე... და კვლავ იბადება, კვლავ ჩნდება და კვლავ ფარფატებს, ცეკავს სიტყვაში, სიტყვის გარშემო... და ასე: უსასრულოდ...

სისხლიანი რევოლუციებისა და ამბოხებათა შესაძლებლობანი; ქვებუდანობის, ვერაგობის უეჭველი უნარი.. აი, ის, რაც აშფოთებს, რაც ზარავს ქართველობას რუსეთთან ურთიერთობისას...

უთვალავი ეპითეტი შენს ნაწერებზე, შენზე... მაგრამ, რაც უნდა თქვან, რაც უნდა ითავცემონ, რაც ხარ, იმაზე მეტი ვერ გახდები!.. კრიტიკის შეძახილს თავისთავზე მაღლა ჯერ არავინ აუზიდავს, დამდაბლებული და პანეგირიკული ტურბუშელით გაფუყულ-გასიებული კი ბევრი ვიცით!

შემოქმედება: საკუთარი, ახალი წესრიგის შექმნის ცდა... ღვთიური საქმის გაგრძელება თუ მისი მიბაძვა... რაღაც ამგვარი... ამის მსგავსი...

ყავი მართალი: თქვი ყველაფერი, რასაც ფიქრობ, რაც გულში ვიდევს, რაც შენი სიმართლეა, მაგრამ მორალის, ზნეობის ჯოჯოხეთურ კანონებს არა პასუხობს... თქვი, ამოაფრქვიე, ამოსტყორცნე! უზნეოს რომ დაგარქმევენ, ამისი გეშინია?.. და, რადგანაც ბევრ რამეს მალავ, ეგრე გგონია, ზნეობის ჩარჩოებს ვაწაგრებო... ეს ასეა... მაგრამ შენ არა ხარ მართალი! შენ არა ხარ თავისუფალი!.. და ესეც კიდევ უფრო დიდი უზნეობაა!

ასე გეტყვი: პოეზია თავისუფლების ანარეკლია, მისი წვეთია, მის ნათელია... მის შუქს ვერ გამოასხივებს დოგმებით შემოღობილი, ყოფიერების წვრილმანებში ჩხირკედელაობას ჩვეული, საწუთროს სიმუხთლის და კაცთა ვერაგობის მორჩილი სული.

ასე ჩანს ახლოდან: ეს არის საშიში გადაწყვეტილებებით გამორჩეული დრო... ათასწლეულების გადაღმიდან, ალბათ, სხვაგვარად დაინახავ მას: ამ სისხლიან ჭამს სხვაგვარად გაინათლისებ, სხვაგვარად აღწერ, სხვაგვარად დახატავ...

დაჭმუჭნული ქუთუთოებიდან გამომკრთალი მზერა მაღლა ასწია და ეგრე მითხრა: მოიცალე ღრუბლებისათვის: უყურე: უფრო დიდსა და გამაოგნებელ სახილველს შენ ვერ იპოვი!

ქართული ვერლიბრი... და ამის გამო დოგმატიკოსთა ღავღავი, ვაიუშველებელი, ჩხვლეტა და გაწამაწია... მაგრამ, როგორც ამბობენ, ქარავანი მაინც მიდის, მიდის... ღმერთო ჩემო, ამდენი მტრული შეძახილის, ამდენი გზის ამრევი ხმაურის შემდეგ. ის გულებისკენ მიმავალ გზას ნუთუ ასცდება?!

დიონისური ფერებით გაჯერებული სივრცე, სადაც სიტყვა გაურბის ვონის დამთრგუნველ კონტროლს, სადაც ბევრ რამეს ტაბუ ეხდება, სადაც ზნეობის სამანები წაშლილია... ამგვარი ატმოსფეროს შედეგია ერთი ლექსი, ორ ვარიანტად გაცხადებული. პირველი ვარიანტი: „ანიკანთ ქორწილი ქნეს, ხარი დაკლეს ბელლეშაო, პატარძალი მაიყვანეს, გავა უგავ ღელესაო; შიგა ხნავენ, შიგა თესვენ, შიგ ალბობენ წნელებსაო... გუთნისდედა ჩაუყლაპავ, მეხრე იქნევს ხელებსაო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ვარიანტი: „საბათ შვილებმ ქორწილი ქნეს, მაიყვანეს ზუდაია, მოპატიჯე მომიგზავნეს: გადმოვიდეს ბუჭყაია! ზენაურთას ავიარე, იდვა ტოში, ბუქნაია; ორ მანათ ფულიც ვიზუქე, გადავხე ბუზჩაია; წავედ, იმოვენ ვითამაშე, გამგლეჯიყო წუღაია; ზუდა პირ-თავქე ჩამაჰყავის, მაზდევს ხალხის გუნდაია; თითოთითო ააჯდება რო მაისის ბუღაია“... ჰიმნი ფალიტიური ღრეობისა: ოდესაც ნამღერი, ხოლო დღეს მიმქრალი, მიწრეტილი, მიჩუმათებული...

და ეს არის ღვთიურ საქმეთა იმიტაცია, მიბაძვა, გაგრძელება... და შენც მარტოდმარტო ქმნი... და შენც უხვად მოგეპოვება სიჩუმე, სრული სიმარტოვე და სიტყვების თიხა...

რომ მეკითხები, აბა როგორ გითხრა, დიდი მდინარე ხომ გინახავს: ხან ტალღის კუდი მოსწყდება, ხან შხეფი დაუსხლტება და, ნაპირ-ნაპირ, ცალკე მიგორავს, მაგრამ თავის ზნეს არა ჰკარგავს, დინების წყურვილს არ ივიწყებს... ეგრეა დიდი აზრიც: ის მთელი ცხოვრებაა, სულის ერთიანი დინებაა.... იმისი მონასხლეტი შხეფი ჟამიჟამ ფურცელს დაეცემა, წიგნის ყდებში მიძვრება... ეგაა და ეგ: ეს მხოლოდ შხეფია, მთლიან დინებას, მთელს ტანს ამ მდინარისას შენ ვერასოდეს ვერ იხილავ, ვერ მოზომავ იმის წყალქვეშა ღრეებს, დარანებს, ნაპრალებს...

აქ ცას ვერა ვხედავთ, ვერა ვგრძნობთ. მან დახატა სამყარო, რომელსაც ცა არა აქვს. არც მზე. არც მთვარე. არც ვარსკვლავები... ეს არის ღამის სამყარო, ბნელის ფსკერი, მწუხრის წიაღი... ეს არის რომანი უვარსკვლავო ღამისა...

სუნთქვის რიტმით, სუნთქვის ბუნებითობით დაღდასმული ფრაზა: თან რომ მოსდევს ფილტვის გაბერვა-შეკუმშვის, სუნთქვის მოქცევისა და მიქცევის შეგრძნება.

აი, რა ამაზრზენი სურათი გაცხადდა: თავისი მიწიდან აყრილი, გაქცეული, შეშინებული, დადედლებული ქართველობა... ურჯულოს შემოსევა. გაუგონარი ხოცვა-ჟლეტვა, შეურაცხყოფა და ათასგვარი სიმურდლე... დაუმარხავი მკვდრები, ყვავ-ყორნებისა და მხეცების საჯიჯგნად გადაყრილები... ამგვარი რამ თვით ბიბლიური კოშმარების წინასწარმეტყველთაც კი არ მოელანდებოდათ!

მაშინ, როცა მოგიზგიზე მარადისობის მიტაცება და მისაკუთრება სცადე, თვალებდაბრმავებულსა და ჯოჯოხეთური სიხარბით შეპყრობილს არც კი გაგხსენებია, საბრალოვ, რომ ცეცხლი, რომელსაც შენ წაეპოტინე, ღმერთს ეკუთვნოდა!.. ხელი ხომ არ დაგეწვა, უსახელო ავნოსტიკოსო?

ასე იტყოდა: ავად არის საქართველო; ავად არის და შავად არის იმისი საქმე!.. რით ვუწამლოთ, მიზეზი მოვჩხრიკოთ, თუ სხვა რამ გზას დავადგეთ?.. ავადა ხართო, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ გვითხრა რუსმა რასპუტინმა, შევიცხადეთ, ქვა ავაგდეთ და თავი შევუშვირეთ... ვთათხეთ და ვლანძღეთ იმის მერე რასპუტინი!.. ახლა მაინც დავფიქრდეთ, თქვე კაი ხალხო, ახლა მაინც რამ მოვიაზროთ, რაღაც მოვიფიქროთ, რაღაც... რაღაც..

აბა, დაფიქრდი: ჯერ კიდევ გოეთე ამბობდა, ყველაფერი მიგნებულია, ყველაფერი ნათქვამია და ჩვენი ვალი ამ აღმოჩენების მოწესრიგება არისო... ხოლო გოეთეს შემდეგ კიდევ რამდენი რამ გაირკვა, რამდენი რამ ითქვა, რამდენი რამ მოწეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგდა... და მომავლის მესიტყვეს მაინც დიდი თავის ტეხვა და ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს: იმას დიდი გული უნდა ჰქონდეს, დიდი თვალებიც, კარგი ყნოსვაც, რომ ამ გადატკეპნილ-გადაჩხრეკილ სამყაროში რამე ახალს მიაგნოს: თუნდაც ერთ უთქმელ ფრაზას, თუნდაც ერთ კენჭს...

ამ უჩინარმა, მრავალნაკადმა კაცმა ამგვარი რამ მითხრა: ნუ გახრჩობს სახელის დაგდების წყურვილი, ნუ იყალყები იმათ თვალწინ, ვინც დიდებას ეწია, — ზოგი თავდაუზოგავი შრომით და ნიჭიერებით, ზოგიც ხრიკებით და გაძრომა-გამოძრომით, — ნუ ცდილობ იმათ ბუნაგში შეძრომას, ნუ იჭაჭები, რომ იმათ თავი დაანახო... ის, რაც გეკუთვნის, რაც მოგიხვეჭია, ადრე თუ გვიან მაინც შენთან მოვა, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, თავისით... ჩუმად მოვა: ფეხაკრეფით... ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ საყოველთაო სახელ-დიდებით ხარ შემოსილი... და მაშინ დადგება შენთვის ყველაზე ძნელი დრო: გამოცდის საშინელი ხანა... მაგრამ ამის გამო მაშინ ვილაპარაკოთ, მაშინ, მაშინ...

ხომ გინახავს მრავალი შედევრის ავტორი, „ღვთიური ძღვენით“ მრავალგზის განებივრებული ადამიანი: ბედისწერის რჩეული... და იქვე, მისივე ჯუფთა, მისივე ბადალი, მისივე ნიჭის ალიკვალი მეორე ადამიანი, ვინც „ღვთიურ ძღვენს“ მხოლოდ ერთხელ ეღირსა, მხოლოდ წამიერ ჩაესმა ზეციერის სუნთქვა და გაბოიენა კიდეც ეს საჩუქარი: შექმნა ისეთი რამ, რაც ჭეშმარიტად ბრწყინავს მის ქმნილებათა შორის... და, იქვე, დიდი ნიჭით ცხებული კიდევ მესამე ადამიანი, ვისაც არასდროს ღირსებია „ღვთიური ძღვენი“ და ვინც მომავალს მხოლოდ ქვეშას უტოვებს... ვიცი, შენ მეტყვი: ქვეშაც ხომ წმინდაა, ოკეანის ცრემლთაგან მრავალგზის გასპეტაკებული, გარეცხილი და კამკამაო... ნუთუ შენც მართალი ხარ?

მას უკვირდა, აზრის კაცები ბოლომდე რომ მიენდობოდნენ სახელგატეხილ გოლიათს და მისდევდნენ გრძელ და სახიფათო გზაზე, მისდევდნენ თავგამეტებით, ერთგულებით, როგორც ფიცით შეკრული შეთქმულები და, საკვირველი იყო ის ამბავიც, მათი მგზავრობა ყოველთვის სამწუხარო შედეგით რომ მთავრდებოდა: რომელიღაც ჩიხში ან გადაულახავ კედელთან...

სიყვარულს ყოველთვის ცუდი ბოლო აქვსო, ამბობს მოემი. ამასვე იმეორებს პოლ ვალერი. ხოლო ერთი პროვანსული ანდაზა ამბობს: სიყვარული ვირსაც კი აცეკვებსო... ვირს განსჯა არ შეუძლია, თორემ შესაძლოა ისიც უნუგეშო დასკვნამდე მისულიყო... კაცობრიობის გამოცდილება გვეუბნება: სიყვარული სულის თვისებაა. სიყვარული არ მთავრდება: ის ან არის, ან არ არის. სიყვარული მრავალგვარია... სიყვარული ცვალებადია... ხოლო ყოველთვის ცუდად მთავრდება სიყვარულის თანამდევი, მეორეული მოვლენები... და, ბოლოს, ისღა დაგვრჩენია, რომ ვთქვათ: ცდებიან ვენიოსები! მართალია ვირი!

დაუვიწყარი ბაგრიცკი. უზუსტესი შედარება: „Фазан взорвался, как фейерверк“...

დაფიქრდა: რა არის ეს ადგილი, შენი ფეხმოსაკიდი მიწა: რა არის, ბრილიანტის კოსმიური მარცვალი, როგორც მას ასტრონავტები ეძახიან, თუ „მთელი სამყაროს ფეხისადგილი“, როგორც მას კენიგსბერგელი ბრძენი იმანუელ კანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენახის?.. პასუხიც აქვეა: ერთიც და მეორეც... სინთეზი ბრილიანტის და ფეხის-ადგილისა, კეთილის და ბოროტისა, სინათლის და სიბნელისა...

ის წერდა კომენტარ-ლექსებს, ხოლო ლექსი-გრძნობა, ლექსი-ემოცია მისთვის მოუხელოებელი იყო, უცხო იყო... ღმერთო ჩემო, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თავისი სულის აღწერა ვერ შეძლო: ლექსი ვერ დაწერა; თვალი ვერ მოჰკრა წმინდა პოეზიის ოქროვან წვეთებს.

დაიმახსოვრე: ღმერთი ძუნწია, — ნათელ წამებს, ცეცხლით დამუხტულ კეთილ წამებს იშვიათად იმეტებს. მწერალს სჭირდება მეთევზის მოთმინება და ოსტატობა ამ წამების შეცნობისა, მათი მოხელოებისა, გამოყენებისა... ბოლოს და ბოლოს, მწერლობა ეს არის, ხოლო სხვა დანარჩენი ამ წამების მიბაძვაა, ამ წამების ინერციაა, ხელოსნობაა.

ამას წინათ მელიქიშვილის ქუჩაზე ერთ რკინის ალაყაფს ვიღაცამ ფერადი საღებავით წააწერა: „შოთა ჩანტლაძის ქუჩა“. ეს იყო ბავშვური ხელით ნაწერი, აცაბაცა, დიდი ასოები. არ ვიცი, ეს წარწერა წაშალეს თუ ისევ იქ არის... ამაშინ კი მენიშნა, რომ წარწერა თავისი უშუალობით და გულწრფელობით იდუმალ ჩამოჰგავდა შოთა ჩანტლაძის ლიტერატურულ ხატს, მის ლიტერატურულ სახელს, უცხოდ, გულდაგულ მოხაზულს, ჩამოჰგავდა იმ უცნაურ ფოთლებს და ტროპიკულ ყვავილებს, შოთა ჩანტლაძის წიგნებში რომ გვხვდება... სწორედ ამ უცნაური სტრიქონებით გაბრუებულმა მავანმა გაუწაფავი ხელით სწორედ აქ, ალაყაფზე აღნიშნა თავისი წადილი, მოინდომა სამართლიანობის აღდგენა, წააწერა პოეტის სახელი, ეგებ იმ ფიქრით, რომ აქ გავლილ, თავის მწარე ყოველდღიურ ფიქრებში ჩაფლულ მგზავრს თუნდაც წამიერ გამოეფხიზლა, და ძალიანშნა, რომ აქვე, ჩვენს სიახლოვეს არსებობს დიდი სამყარო შოთა ჩანტლაძის პოეზიისა და მისი შემოქმედი სხვა რამის ღირსიც არის: თუნდაც იმისა, ამ ქალაქის ერთ ქუჩას რომ ამშვენებდეს მისი სახელი.

ოუ წარმოგიდგენია არასრულყოფილი რამ, ღმერთის ხელიდან გამოსული?.. მაშ, რა არის ბუნების ჩანაფიქრი — იაროს სრულყოფისაკენ მარად და განუწყვეტლად? მაშ, რა არის თვით ადამიანი, ვინც მარტოოდენ წინ მიიწევს, ვინც მარტოოდენ წინ იყურება?

ვიღაც, შენზე ძლიერი, მოწადინებულია, რომ თვალახვეულმა იაროს, სიბნელეში იარო და გარშემო არაფერი არ დაინახო იმის მეტი, რაც ნებადართულია... და შენ ეჭვი გიჭირობს, რომ რაღაცას გიმალავენ, რაღაც დიდსა და შენთვის საჭიროს გიმალავენ, არ გიმხელენ და ეს ეჭვი ღრღნის შენს გულს, განაფოტებს და, ამასობაში, შუაგზაში ეცემი, სიბნელეში მავალი, ღამის გზაზე მავალი უერთდები სიბნელეს, ღამეს.

„დაუმსახურებელი გამარჯვება არის ზნეობრივი დამარცხება!“ — მოულოდნელად ეს შორეული ხმა მისწვდა, ხმა ესპანეთის ნათესავი მიწისა, ხმა უნამუნოსი... მისწვდა და, უმწარესი მარცხით წელში გატეხილი, ვაგლახად დაჩოქილი, კვლავ ფეხზე დააყენა, აღავსო თანაგრძნობის უკვდავი ძალით: კაცად აქცია... და მე ისევ გიმეორებ: ირწმუნე სიტყვის ძალა, მისი დიადი სხივთაფენა და ეძებე, ის, — თანამგრძნობელი სიტყვა, — ეძებე დღედაღამ, ეძებე განუწყვეტლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუ გეშინია, მე შენთან ვარ!“ — ამ ხმის გაგონების მსურველი, ვეშვები სამყაროს ბნელ უფსკრულში და ბოლო ამოსუნთქვამდე მჯერა, რომ მოვისმენ სანატრელ ჩურჩულს: „ნუ გეშინია, მე შენთან ვარ!“... და რადგანაც ეს ხმა არა და არ ისმის, და რადგანაც, როგორც ჩანს, მიმატოვა იმან, ვინც საზღვარი არ იცის, და რადგანაც მხოლოდ მე ვარ ერთადერთი, ვინც თავისი თავი უნდა ანუგეშოს, მე ვამბობ: „ღმერთი ჩვენთან არის!“.. ვამბობ დაბეჯითებით, ვამბობ უეჭველად, ვამბობ იმედით აღვსილი...

შთაგონება, როგორც იშვიათი იმპერატივი, რომლის წყაროც ჩემთვის უცნობია, ეხილავია, სწორედ ხილულ სამყაროდან იღებს საარსებო წვეთებს, ამავე სამყაროში ირჩევს თავის სამოქმედო არეს, მოედანს და ეწირება ამავე სამყაროს სრულყოფას, მის მოპირკეთებას, აწევა-ამაღლებას.

მათ დაგიტოვეს ყველაზე გამძლე რამ: სიტყვა, რომელიც უძლებს მსოფლიოს გრიგალებს, თავისთავში იქცევს მათ, ათვინიერებს, ბოჭავს...

ჩვენი დროის პოეზია: ტექნიკური ცივილიზაციის კედლებში გამონაყოლი, განადგურებული, ვნებული სულის ჰიმნი... მას ჟამიჟამ ახსენდება კაცობრიობის ყრმობისდროინდელი ფესვები, ახსენდება სამყაროს დილა და აკანკალებულ ხელს იქით იშვერს, იქით მიიწევს... თუმცა შხამნასვამი პოეტები ამას ვერ ამჩნევენ, ვერა ხედავენ.

რაგორც ამბობენ, პოეზია ჩვენ გვასუსტებს, როცა დედაკაცურ ქვითინს და ცრემლებს გვაძალებს... მაგრამ იმავე პოეზიას მამაცთა შეძახილიც ხომ აღმოხდება ხოლმე და, ამით ის უდავოდ გვაძლიერებს, ამაგრებს ჩვენს მომბალ გულებს, გვამხნევებს და წინ გვერეკება.

შორს დარჩა ის დრო, როცა მწერალი ამბობდა: საქართველო იყიდებაო... დღეს ვამბობთ: გაიყიდა საქართველო!.. იმას ვერ დაიბრუნებ ვერც ფულით, ვერც ოქროთი, ვერც წონადი სიტყვით: დაბრუნების სანაცვლოდ ბედისწერა თხოულობს მხოლოდ და მხოლოდ სისხლს, სისხლს!

სიკვდილი: სცენიდან გასვლა... და, ღმერთო ჩემო, ამის თანამდევი ხმაური, შეძახილები, პანეგირიკები და სხვა სიტყვიერი ხარახურა... და აქა-იქ საბედნიეროდ, ცრემლიც: ერთადერთი რამ, რაც სიკვდილს ამშვენებს!

ქმნადობის დროს პოეტი პოეზიის საზღვრებზე არ ფიქრობს, როგორც ადიდების ჟამს მდინარე არ ფიქრობს თავისი კალაპოტის სიგრძე-სიგანეზე, მაგრამ რაც უნდა მეტად ადიდდეს, ხომ ცხადია: მისი სიდიდე მაინც საზღვრული იქნება... პოეტმაც რაგინდარა დიდი სივრცეები მოიცვას, მოიმწყვდიოს თავისი ფანტაზიის მოღობილში, ესთეტიკის ჩარჩოებს ის ვერ გასცდება და, თუნდაც გასცდეს, იქვე დახვდებიან შემფასებლები, ამწონავები და მზომავები, რომლებიც უმალ ახალ კალაპოტს მოუსაზღვრავენ პოეტის ნახელავს, მის ფიქრს, მის ოცნებებს... დასკვნა ასეთია: საზღვრულია პოეზია, როგორც მზის ქვეშ ყველაფერი, გარდა ერთისა...

დროის ნაფლეთი: ხვალინდელი დღე, იმედით აღსავსე წამიერობა, წყალგამყოფი, ქედის ალესილი ფხა, სადაც ყველას როდი შეუძლია ფეხის მოკიდება: იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეყოვნება თუნდაც იმდენხანს, რაც ქვაშიდან ოქროს კენჭების გამოსარჩევადაა საჭირო... ბევრნი ამ წამიერობას ხელცარიელნი შორდებიან კვლავ მომდევნო ღღის იმედით, ღმერთის იმედით.

მუდამ დაუკმაყოფილებლები, ჯანყის მქადაგებლები, არსებულზე ცხვირაბზუეტულები, მიუდწეველს დახარბებულები... აი, ვინა ხართ თქვენ, პოეტებო!.. და ი-უ რატომ გაგაძევათ პლატონმა თავისი რესპუბლიკიდან, ესეც აღარაა საკითხავი... დღეს რომ მედროვე პოეტები გამოიყენლნენ, თქვენს კასტას მიაკუთვნებთ თუ არ მიაკუთვნებთ, სულ ერთია, მაინც მაგათი მიზეზითაა, თქვენ, ყველანა ცოხენი რომ არა ლპებით; აი, ამ მედროვეების, ამ თაიქლესიების მიზეზია, მათი დამსახურებაა: მაგათ მოულბეს გულები პოეტებზე ვაგლახად აღრენილ პოლიტიკოსებს!.. საწყალი პლატონი! ეს ვერ მოიაზრა, ვერ მოიფიქრა ამგვარი რამ თუ მოხდებოდა, შეცდა, დაევსო თვალი... დაბრმავდა...

ლექსი სამშობლოზე. ლექსი, რომელიც ვერ იგუებს პათეტიკის ქარიშხალს; რომლის სტრიქონთა შორის არ გაისმის დაფდაფების ავბედითი გრიალი... ლექსი, რომელიც არ გვაჯერებს, არამედ: გვაგრძნობინებს...

სიტყვიერი იერიში ჩვენს გრძნობებზე... მაგრამ მიზანს მხოლოდ ის სიტყვა აღწევს, რომელიც ინტუიტური გზებით, შთაგონების კარნახით ამოდის ზედაპირზე, რომელსაც იღბლიანი პოეტის ხელი აშორებს ფსკერის თიხას, სიღრმეთა ტალახს, ასპეტაკებს და ისეთ ადგილს ურჩევს, საიდანაც ყველაზე მეტად გამოჩნდება მისი მეტყველი პირისახე, მისი ერთადერთი მომხიბვლელობა.

წმინდა პოეზია: ჭეშმარიტი შთაგონების მონასხლეტი წვეთი: ის კამკამებს სიტყვების დინებაში, მოჩანს სტრიქონების ხარახურაში, როგორც კეთილშობილი თვალი, რომელსაც ვერ აბერებს ჟამთა დინება. მისი არსებობა ან არარსებობა განაპირობებს ლექსის ხარისხს, სიავკარგეს, სიცოცხლისუნარიანობას.

წმინდა პოეზიის არსი. მისი საწყისი და სასრული; საზღვრები, მისი არსებობის დამადასტურებელი ცალკეული კრისტალები, შხეფები. მისი კონტურები პოეტურ ბალასტში. წმინდა პოეზიის შესაძლებლობა. წმინდა პოეზია, როგორც ღვთაებრივი სიხარული შედეგი. წმინდა პოეზია, როგორც ორიენტირი. როგორც იდეალი; წმინდა პოეზია, როგორც ქმნადობის უმაღლესი აქტის ნაყოფი.

ასეა ეს ამბავი: ის, რაც სისხლისღვრით დაკარგე, სისხლითვე უნდა მოიპოვო! ეს არის კაცობრიობის მარადიული, დაუწერელი კანონი, ერთგვარი აქსიომა: მრავალგზის შემოწმებული, დადგენილი... ტანი მიგრძნობს: სისხლს ჩვენც ვერ ავცდებით!.. აბა, გაიხედე, რამდენი რამ დავკარგეთ, თუნდაც სამუდამოდ და დაუბრუნებლად, იმის გამო, მაშინ რომ არ მოვინდომეთ სისხლის აღება. ვინც სისხლს ზოგავს, ის მიწას კარგავს!

ლექსი — სოციოლოგიური გამოკვლევა; ლექსი — პოლიტიკური მანიფესტი; ლექსი — ფსიქოლოგიური გამოკვლევა; ლექსი — ფილოლოგიური გამოკვლევა; ლექსი — პანეგირიკი; ლექსი — კომენტარი... ამ საზღვრებში თავსდება ქართული პოეზიის დიდი ნაწილი, ის ნაწილი, აქა-იქ, წმინდა პოეზიის კრისტალებსაც რომ შეიცავს, ზოგის აზრით, სანაგვეზე გატანას რომ ამსახურებს, თუმცა ზოგი ლექსი აქ ისეთი ოსტატობითაა შესრულებული, ამისთვის ვერ გაიმეტებ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა პოეზიის წრეში, ამ ელიტარულ ოჯახში ეს ლექსები ვერ შევა ვერასოდეს, ვერასდიდებით!

დავკვირვებივარ: ესტრადის პოეტები რითმებს რატომღაც განსაკუთრებით ხმამაღლა და საზეიმო ტონით წარმოთქვამენ: ცდილობენ მსმენელის ყურადღება ამ სამკაულის ბრჭყვიალს მიაპყრონ... აქედან შეიძლება გაკეთდეს თქვენთვის ძეტად არასახარბიელო დასკვნა, პოეტებო!

რანი ვიყავით და დღეს რანი ვართო, გულჩამჯიღვით რომ მეუბნები, განა მაშინ ესენი არ ვიყავით ისტორიის გზაჯვარედინებზე, სამყაროს მუხთალ მოსახვევებში? განა მუდამ ძლიერი მეზობლების სატახტოებისაკენ არ გარბოდა ჩვენი მეფეების, ჩვენი დიდებულების და დიდმოხელეების თვალი და გული? ყველასი არაო, მეუბნები და ესეც ასეა: იყვნენ რაინდი მეფეებიც და მოხელეებიც... მაგრამ ძალიან ცოტანი. ძალიან მცირენი და იმათ უდრეკ ხმას ყოველთვის ფარავდა სტელიტი ბიუროკრატიის გაბმული ვნიასი: მონური რამ ხმა თუ ჩურჩული... და კიდევ ის უნდა გითხრა, რომ, ახლა, თავისუფლების ჟამს, ცხადი გახდა შემზარავი რამ: თურმე წინ კი არ მიდის ჩვენი სული, ჩვენი ხასიათი, ევოლუციის კანონს კი არ ემორჩილება, არამედ მიდის უკან-უკან, ინვოლუციის გზით, დაცემის გზით, დაკნინების გზით... და ეს სიმართლე, ღმერთო ჩემო, არ გვიტოვებს ნუგეშის თუნდაც ნატამალს.

ვიღაც უნდა მოკვდეს, რომ დანარჩენებმა დასკვნები გააკეთონ; ვიღაც უნდა მოკვდეს, რომ ჩვენს მოდგმას ააცილოს ლაჩრის სახელი; ვიღაც უნდა მოკვდეს, ლეგენდების ძველისძველი მიწა რომ განყიერდეს... გეუბნები: ავად ნუ განსჯი ომას, ვინც თავი მსხვერპლად გაიღო: სხვაგვარად ისტორიას დამბლა დაეცემა... და, ესეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ხომ მაქვს უფლება, ავიჩიო ჩემი სიკვდილი: ჩემი მიწისკენ ნასროლ ტყვიას გადავეღობი!..

ჯარისკაცი: ატირებული: განადგურებული, მოცახცახე. დასტიროდა საქართველოს: დამარცხებულს, დაფლეთილს, იავარქმნილს... კაცი აღარ ეთქმოდა: მწუხარების კომიჭა იყო, დაბნეული, ორიენტაციადაკარგული... დამარცხებული ჯარი ჩემნაირი მარცვლებისაგან შედგებაო, მითხრა, ჩემნაირი ნაწილებისაგან შედგება და მისი ერთად შეკვრა და გამთელება შეუძლებელიაო... მას ჰქონდა ჯარისკაცის ყველა ატრიბუტი: იყო აღნაგი, ემჩნეოდა ძალ-ღონე, ჰქონდა აღგურვილობა, მაგრამ აკლდა მთავარი: ის, რაც კაცს მეომრად აქცევს; ეს იყო უნაზღაურებელი, დაუბრუნებელი რამ...

ადამიანი და ბუნება. ღვთიური ინტეგრაცია: მათი ერთიანი მეუფება. სამყაროს თავდაპირველი ჩანაფიქრი, რასაც წინ ეღობება რაღაც მისტიურ-სატანური ძალა, რისი წყაროც ადამიანის შინაგნობაშია დაბუდებული...

მაშინაც ეს ამბავი ტრიალებდაო, მეუბნება, მაშინაც ეს სენი მძლავრობდა; ერთურთის თავბრის მტვრევა და გულღვიძლის გამოღება, ღალატი და ქვებუდანობა იყოო... მოხდა გაუგონარი საბილწეც: მტერს ქართველები შემოუძღვენონ... ახლაც ის მეორდება: ისევ ის სენი ტრიალებს, ისევ ის სახადი გვჭირსო... რუსეთზე კიდევ რას გეტყვი, იცი? მაგათ მუდამ კარგი იურისტები და დიპლომატები ჰყავდათ, გამორჩეულები, ჩაძრომა-ამოძრომის, მოტყუების დიდოსტატები... იმათი თესლ-წიწილებია, დღესაც თითს რომ გვიქნევენ, რომ გველაქუცებიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გვექვებუდანებიან, რომ გვიბღვერენო... აქე და ერიდეო, სწორედ მაგათზე ეტყოდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი მამა-პაპანი...

ვულზე ხელისმცემელ პოეტებზე არაფერს ამბობდა, ეგ იყო მხოლოდ: გულს ურევდა სამშობლოზე ნათქვამი ხმამაღალი, ნაპირებზე გადასული სიტყვა... მხოლოდ ეს გრძნობა აკავშირებდა მათთან...

ეს რა სენი შეგყრია, რა ლახვარი დაგსობია, რა ჭირი გჭირს, მოურჩენელი? რა ელდამ დაგწკალა, რა პირქუშმა დარდმა დაღარა, ღმერთს რომ ვანუდგნენ შენი შვილები? მათ სიბნელე მოიხვიეს, წყვდიადი ჩაიცვეს და, შესაძლოა, ვეღარც გხედავენ, და შენი ცრემლიც, შენი ტკივილიც იმათ გულებს არ ეკარება! ისინი დაემსგავსნენ ცეცხლისმფრქეველ დემონებს, რომელთაც მხოლოდ ოქროს ტახტი და სიმდიდრე ესიზმრებათ, სხვა არაფერი! ისინი წინ კი არ მიდიან, არამედ ბრუნდებიან ბარბაროსულ წარსულში, განურჩეველ წყვდიადში, სადაც მოთქმა და ვაება გაისმის მხოლოდ... ისინი უკან ბრუნდებიან და შენც იქით მიგათრევენ, იმ წყვდიადით მოღობილი ტრამალისაკენ, რომლის წიაღშიც ბოროტების ცეცხლი გიზგიზებს... ეს რა სენი მოგდებია, რა ლახვარი დაგსობია, რა ჭირი გჭირს, მოურჩენელი?

ლექსები სულის შესახებ: ფილოსოფიური გამოკვლევებისაგან მხოლოდ ცოცხალი ტექსტით, ხატოვანი ქსოვილით და ყველასათვის გასაგები ენით რომ განსხვავდებიან.

ოდესმე ჩვენშიც ყოფილა გამძლე ჯიში ამორძალისა. აი, რას გვეუბნება ერთი ფშაური ლექსი: „მათურის ბოლოს წისქვილნი მარილის გულად ცრიანო. შიგ სხედან სამნი ლამაზნი, ვაჟკაცის გულსა გლიანო. გამოვლენ, ხელპირს იბანენ: შუქნი მთათ გადივლიანო. ვაჟასა შენისთანასა წელზეით ხმალსა ხსნიანო. სწადიან: დაატყვევებენ. სწადიან: დაიხსნიანო“.

წმინდა პოეზია არის ემოციური შემეცნების, გრძნობის გამოღვიძების, გრძნობის მიმხრობის, გრძნობის დატყვევების, მოხიბლვის მხატვრული მექანიზმი, ქსოვილი, სადაც აკუმულირებულია, შემკვრივებულია მგრძნობელობის უკვე ჩავლილი ზვირთები, ემოციის შხეფები, ელვის ნაპერწკლები...

თვალი ამაცურაო, წერს კოლაუ ნადირაძე. არ დაიწუნებოდა, თვალი ამარიდაო, რომ ეთქვა, მაგრამ სხვა გზას დაადგა: მაღლა ასწია უკვე მიმქრალი, დავიწყებისაკენ მავალი სიტყვა, დააბრუნა, ახალი სული ჩაუდგა... თვალი ამაცურაო, რომ ამბობს, აქ უფრო მეტი სიმძიმეა, მეტი ხატოვანებაა...

ხალხური პოეზიის მთავარი პერსონაჟი: ბუნება. ამ პოეზიაში ის იხლიჩება მრავალ კომპონენტად, სულიერ და უსულო ნაწილებად; მერე კვლავ მთლიანდება, ერთიანდება და ასე... უსასრულოდ: გადადის ლექსიდან ლექსში, კაციდან კაცში, საუკუნიდან საუკუნეში...

მან ბუნებიდან აიღო ყველასათვის გასაგები და მისაღები რამ: სექსი... აქცია ის ყოფიერების გულისგულად, ხელოვნების მიზნად, სილამაზის საზომად, ჭეშმარიტების სახედ... ახე მიიწევს ის საყოველთაო დაქანცვამდე, დაღლამდე, გარდუვალ იმპოტენციამდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმად იოლია: დავცინოთ სამყაროს იმ სურათს, კაცობრიობის რჩეულთა გონება რომ დახატა, ადმოაჩინა, შექმნა... საკმაოდ ძნელია: ამ სურათს რაიმე შევმატოთ, სრულვყოთ, განვავითაროთ... ამ ორი გზიდან ადამიანი უეჭველად ერთერთს ირჩევს: ხოლო უმეტესნი ირჩევენ პირველს.

პოეტური ხაზების დახვეწილობა, გრძნობის ზომიერება გვეუბნება, რომ ხალ--ხის პოეტური სული მიემართება სინათლის, გამჭვირვალების გზით, ის ვერ ივუებს სიტყვათა ბუნდოვან აბრაკადაბრას, გრძნობათა გაურკვეველ სიშმაგეს... მისთვის საკმარისია ზომიერება ყველაფერი იმის, რაც გრძნობების გადმოსაცარგმნადაა საჭირო... ასეთია ფოლკლორი. ასეთია ხალხის სული.

სამშობლო წაგვართვესო, მეუბნებოდა სახეარეული, თვალცრემლიანი. ხელახლა წაგვართვესო... ახლა ისევ დაგვიმალავენ, სამშობლოს დაგვიმალავენ და ვივლით ისევ მისი მძებნელნი, უსამშობლონი, ცარიელ-ტარიელნი, ვივლით ცრემლის ნოხევით და კვნესა-ქვითინითო... ვივლით დაბეჩავებულები, დაუძლურებულები, სხვათა ხელს შემყურენიო. ასე მეუბნებოდა ჩამქრალი იმედის კაცი: სახეარეული, თვალცრემლიანი... ღმერთო ჩემო, ასეთებით გაივსო ქვეყანა!..

დრომ ყველანი პესიმისტებად გვაქცია; ჩვენ ვართ დიდი ოკეანის ნაპირები, ყურეები, ტოტები. ეს ოკეანე პესიმიზმია. ის გადმოდის ნაპირებზე: იპყრობს ადამიანთა გულებს. ეუფლება ყველას, ყველას... დროებით ან სამუდამოდ. აი, მან უკვე დახანჯლა ჩვენი გულები. დაიპყრო ჩემი ოსტატი შოთა ჩანტლაძე: ძირს დასცა... ის მეუფლება მეც, თანდათან, შეუმჩნევლად. მეც ასევე ძირს დამცემს. მე უკვე ვაღიარებ იმის ძალმოსილებას. ის უკვე ჩემშია: დღეს მე ვარ იმისი წყარო, იმისი შემნახავი, იმისი შესაკრებელი.

შთაგონება არის განუჭვრეტელი ძალმოსილების ფორმა: მისი დიადი ძალაუფლება ვრცელდება დროის რომელიღაც მონაკვეთზე: წუთებზე, წამებზე... შთაგონება მოიცავს იმას, რაც განუჭვრეტლად ფართოა, რაც გონის საზღვრებში კერასდიდებით ვერ ჩაეტევა. ის არის უსასრულობის მომცველი წამიერობა, ის იძლევა ყველაფერს, რასაც შემოქმედების წამი მოითხოვს...

პარტიები. საძმოები. საზოგადოებები. აი, კიდევ ერთიც: სულით უკვდავთა საზოგადოება. დიდებული სახელწოდებაა! ალბათ, დიდებულები არიან ამ საზოგადოების წევრებიც: არა დეპუტატის მანდატზე და თანამდებობაზე ფიქრს გადაყოლილები, არამედ: სამშობლოს დარდით შეჭმულები, ერის წყლულების მომვლელები, მისი მოდარაჯენი... ასე მგონია მე. ასე უნდა იყოს. ასეა, ალბათ...

შოთა ჩანტლაძემ მითხრა ერთ ბანოვანზე: ეგაო ახალგაზრდობაში ისეთი იყო, როგორც ველურის ნაშიერიო: ველურის ყნოსვა ჰქონდა, ველურის მგრძნობელობაო... მაგის ფანჯარას რომ მივუახლოვდებოდი, სანამ დავაკაკუნებდი, უკვე აღებდაო, წინასწარ გრძნობდა ჩემს მიახლოებასო... მერე ბედისწერამ ეგეც პროზაულ კალაპოტში გადააგდო: დაკარგა ველურის საოცარი თვისებებიო... ძრავალმა ხელისგულმა გადაიარა მაგის მკვრივ ბარძაყებზე და ეგეც თანდათან ძოთვინიერდაო...

ლექსი: მრავალი (უთვალავი) შესაძლებლობიდან განხორციელებული ერთ-ერთი... მაგრამ ის თუ განხორციელებული ერთადერთია, მაშინ ჩვენ ვერ მივხვდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის თუ არა ის ერთადერთი საუკეთესო... ამის გარკვევის საშუალებას გვაძლევს კანხორციელებული რამდენიმე ან განხორციელებული მრავალი... ხოლო ეს წარმოუდგენელია, შეუძლებელია!

რითმა – რიტმული ექსპრესია — სიმღერა. თავდაპირველად ამ ხაზით ვითარდებოდა პოეზია. ეს ხაზი საკმაოდ გაძლე და მაცდუნებელი იყო. მისი ინერცია დღესაც შეუძლია... ჩვენი ლიტერატურის გამოცდილება გვეუბნება, რომ წმინდა პოეზია მიიღწევა როგორც რითმიანი ლექსის მეშვეობით, ისევე ურითმო ლექსით. პოეზიის ამ მთავარ მიზანთან რითმა არც გვაახლოებს, არც გვაშორებს.

ბოლოს ასე დაასკვნა:
გენიალური ლექსი თავისთავად არარაობაა, თუკი ის შემხვედრი გემოვნების ფაქტორით არ არის გამაგრებული.

ნიჭის უცნაური თვისება. თანდაყოლილი ხორკლი, ხაო, პირველყოფილი სინედლე... წმინდა პოეზიის, ცოცხალი ლექსის ზოგიერთი ნიშანი... ტიციან ტაბიძის, ნიკო სამადაშვილის, შოთა ჩანტლაძის ლექსების გამორჩეული ატრიბუტები...

სიტყვა... სიტყვის ტუჩ-პირი, იმისი უკვდავი პირისახე, საუკუნეთა ამოწვდილ ქარაფებზე გადაჩეხილი ქარის ნატოტნი, სამყაროს რომელიღაც კუთხეში წამომჯდარი ღამის კუპრისფერ ომებში ნახლართ-ნალოლიავები, ვარსკვლავთა შორეული ხამხამით დაბწკალული... მრავალ ბაგე-პირში გამოვლილი... ახლა რომ თავდაპირველი სიწმინდით კეკლუცობს, დროის მწიკვლს რომ არ იმჩნევს... სიტყვა...

სიკვდილის მაცნე. რამდენი გული დაფლითა. რამდენი ოჯახი მოჰფინა გაუხუნარი ძაძით სიკვდილის მაცნემ: მისმა ულმობელმა სიტყვამ... ვაჟას „მაცნე“ ამბობს: „დაჰღონებულხარ, დედაო, რასრარა ჰფიქრობ შვილზედა, ცრემლ რო ჩამოგდის მჩქეფარე მაგ ხმელს, წყვითლო პირზედა? შენი გაზრდილი მახარე წევს მკვდარი კლდისა ძირზედა, ეტყვიან დარიელასა, ლაღის მდინარის პირზედა. ნატყვიარი სჭირს გულშია, სისხლი ამოსდის ნჩქლევითა, ხელში უჭირავ ფრანგული, გადატეხილი ქნევითა“... ღმერთო, ხალხო, ადამიანებო! მაცნეს ეს სიტყვებია ომში შვილდაკარგული დედის ნუგეში!

პრეზიდენტი მოკლესო, თქვა ერთმა. შენი თვალით თუ დაინახე, რომ მოკლესო, ჩაეკითხა მეორე. არა, არ მინახავს, მაგრამ ასეთო, თქვა ისევ იმან, იმ პირველმა. თუ არ გინახავს, მა რა ენას ატარტალებო, აეჯავრა მეორე... შენ ვისი ტიკიტომარა ხარ, სხვას რო იცავ და მე რო მიდრენო, წაუმწვეტდა ისევ ის პირველი... და ატყდა ერთი ვაიშველებელი, ცემა-ტყეპა, ხელების გადაგრეხვა... და კიდევ ერთხელ გაილანდა ენადგაკრეფილი, ნერვებაწეწილი, მოუხელთებელ მტერს შეჭიდებული საქართველოს ამაზრზენი სურათი.

არაფერი ნათელი არ არის, არაფერი ამოხსნილი არ არის, არაფერი უეჭველი ო არის, გარდა ერთადერთისა... და ის, რაც ნათელია, რაც ამოხსნილია, რაც უეჭველია, შენს ფიქრს, შენს გონებას, შენს შთაგონებას თავისკენ სულაც არ უხმობს, რადგან იმას შენ ვერაფერს შემატებ! ის შენ გიხმობს სამყაროს იმ ნაწილში, რომელსაც სწყურია გახსნა, ამოხსნა და სრულყოფა: ხოლო სამყაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნაწილში შენ დგეხარ და იქ სწორედ შენა ხარ მთავარი... ის გეძახის შენ-კენ: რომ თავისთავი დაინახო! ის გეძახის ძალიან შორს, შორს: შენკენ!

იუდებო! — იყვირა ბესიკ ადეიშვილმა უნივერსიტეტის ეზოში, მაშინ, როცა კომ-კავშირის აქტივისტებმა მიტინგის დარბევა დაიწყეს... იუდებო! — იყვირა კიდევ ვიღაცამ... იუდებო! იუდებო! — აღმოხდა შიშდაკრულ ხალხს... იუდებო! იუდ-ებო! — აზრიალდნენ უნივერსიტეტის ქათქათა კედლები... იუდებო! იუდებო! იუდებო!..

ასე ამბობდა: ბედნიერებაა სამშობლოსთვის ომში სიკვდილი! ეს არის ჭეშმარი-ტი თავშეწირვა: თავისთავის მსხვერპლად მიტანა... ამის უფლება მხოლოდ უსამშობლო ხალხს არა აქვს! ამ უფლებას ადამიანს ზოგჯერ სახელმწიფო ართ-მევს; ზოგჯერ თვითონ ართმევს თავისთავს... და ეს არის ყველაზე დიდი საშა-ნელება! ეს არის არარად ქცევა: ადამიანის გაუგონარი დადედლება!.. და ყოვ-ლივე, რაც გითხარი, ძალიან ხმამაღლა ჟღერს. ხმამაღლია ამის გაფიქრებაც... მაგრამ ხომ უნდა მომცე იმის უფლება: ვიხმამაღლო ყველაზე საბედისწერო წამს!

ამას გეტყვი ჩუმად, მხოლოდ შენთვის გასაგონად: გულისამრევია მოდას აყო-ლილი, ნაადრევი წარმატებებით გაფუყული მწერლუკა: სწორ გეზს აკარგვი-ნებს მიბაძვის ჟინით ატანილ ახალგაზრდა მწერლებს, აქცევს მათ ზერელე სნო-ბებად, რაც, თავის მხრივ, იწვევს მწერლური სულის დაკნინებას, დაცემას, სი-ბერწეს... და ეს არის ლიტერატურის გზის გადაჭრა: უბედურება დიდი...

როცა დაზეზდები, ცხოვრების ყულფს როცა მოიხსნი, როცა მოიცლი ლექსი-სათვის, მაშინ უნდა გაახსენდე პოეზიის ღმერთს: შთაგონების დედას, ლექსის მესაძირკვლეს... ესაა მწერლური იღბალი!.. ამის გარეშე უეჭველად დაიკარგე-ბა ბევრი რამ: წაშლის ცხოვრების აღმართ-დაღმართი, გადარეცხს ყოველდღი-ურობის ზვირთ-ქაფი... წმინდა პოეზიას მხოლოდ სიმარტოვის იდუმალი ნიადა-გი აღმოაცენებს: ეს არის ერთ-ერთი, უმთავრესი პირობა.

ყველაზე დიდი, ტიტანური გრძნობა დუმილის აფეთქებაა: ის გადმოიფრქვევა არა სიტყვებით, არამედ ღრიალით, ქვითინით. ის გაუგებარია. ის გონით არ აღიქმება. ის უნდა მივიღოთ მისტიური გზებით, როგორც სიცოცხლის საიდუმ-ლო.

რა გეძლევა მაშინ, როცა შთაგონების ცისმიღმური ზარი წკარუნობს?.. ეს არის ფორმა ბუნდოვანი, ეს არის რიტმი, ეს არის ინტონაცია, ტანით რომ გრძნობ... ეს არის პირველი სტრიქონი: ზეკოსმიური მისტერიის ანასხლეტი.

შენს წინ უთვალავ შესაძლებლობათა ველი: აქ უხვად არის თავთავი ოქროვანი და ასევე უხვადაა ღვარძლოვანი სარეველებიც... და რა იმედისგაცრუება გელის, თუ აჩქარდები და იმის მაგიერ, იქიდან ღირსეული რამ აგელო, უღირსს და გონჯს წაეტანები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსალური ესეი: ის არღვევს მწერლობის, მეცნიერების, ფილოსოფიის საზღვრებს... მისთვის უცხო არ არის გონითი ცდა, ემოციური გრადაცია... ესეი: არა აღრევით შობილი, არამედ შერწყმის ნაყოფი.

სულის კლიმატი: შენეული წესრიგი, შენეული გრძნობის შხეფები, შენეული ფიქრის კრისტალები, შენეული შემეცნების კონსტრუქციები... და ყოველივე ამას გარედან რაღაც ერევა: ნასხვისარი გრძნობა, ნასხვისარი ფიქრის კრისტალები, ნასხვისარი შემეცნების ფერფლი... და ამღვრევს, ამღვრევს, ამღვრევს...

ლექსი: სამყაროს განვითარება პოეტურ წარმოსახვაში, რაც სიცოცხლის უნარით, ტევადობით და წვდომით შემეცნებას სცილდება, მის საზღვრებში ვერ ეტევა. პოეტურ წარმოსახვას და შემეცნებას განასხვავებს მათი წარმომავლობაც: პირველი ეყრდნობა შთაგონების მისტიურ წიაღს, ხოლო მეორე: გონის ელასტიურობას, მის შესაძლებლობებს...

ლიდი ქმნილებები ლიტერატურის სივრცეში: როგორც მწვერვალები, უელტეხილები, წყალგამყოფები... ისინი იტაცებენ თვალსა და გულს, გვიხმობენ და, რაც უმთავრესია, ცვლიან კლიმატს, კეთილად მოქმედებენ ამინდზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი ცაავა

ჰაპრიჩიო-23

კოკისპირული წვიმების ჟამი – რისხვა ღვთისა,
ცრიატი ციდან ქუხილით გადმომსკდარი.
არლავანი... კუპრი... გოგირდი...
გაუძლებს კი ჭერის სიმძიმეს
ჩემი უღიმღამო სადგომის დედაბოძი?!

ო, საკრამიტე თიხაში აზელილი შავნაფეველი,
უზაკველი მეთუნის ხელით გამომწვარი
ეშმაკის ღუმელში...

რას მღერის ალი –
ნაკვერცხალზე მროკავი ამორძალი,
როცა განვლილია უკვე ნახევარი ტვერი ცხოვრებისა,
მიდის ქარავანი
და ნაქვესკნელარი ფიქრი ბაირაღებს
შლის, რომ დამიამოს ზურგი ნაშოლტარი,
მტკივა უსასრულოდ ყველა განშორება, ყველა ბაემანი.
სიმზე დამსხვრეული ღამე სიზმარია,
მთვარე – კეთროვანი.

რას მღერის ქნარი –
წიფლის ტოტი ოსვრით ჩამომხმარი,
როცა მდუმარეა ქარი – ოქროპირი, ცა განუკარეტელი,
ღლეა ღლეთაგანი,
არსით ნუგეშინის ალარ ჩანს მცემელი,
იქ... სადღაც, ოდესღაც ზღვა იყო მდელვარე
და ყოველ ცისმარე
ზვირთებს მიაპობდა თეთრი იალქანი...
სიმზე დამსხვრეული ღამე სიზმარია,
სული – კიდობანი.

ჰაპრიჩიო-24

ნუ შემეხები,
ჩემს ლუმილში თვლემს ღრიანკალი,
დროა ფარსაგი და ასმაგად მოგვია მთვარე,
ოქროს გრეხილში გაირინდა თვალი-სპეკალი,
ვზი მარტოსული, ქარებს უხმობს ღამე ჭწეხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ შემეხები,
ჩემს დუმილში თვლემს უსახური,
თოვს ისე მშვიდად, თებერვალზე ფიქრიც არ მინდა,
თბილა ბუხართან, ძველ წერილებს ფურცლავს ალმური,
იწვის ურთხელი...
აღმაფრენის ჟამი წავიდა!

ჩამოიღვენთა,
ხელში ჩადნა ცხრავე სანთელი,
სადღაც თენდება, მესმის სუნთქვა ზევსის ასულთა,
ჰა, როგორც იქნა უგზო-უკვლოდ გაქრა ნაღველი,
უკანასკნელი პაემანი შედგა წარსულთან.

გადაინისლა.
მზერას მოსწყდა გზის გასაყარი,
უკვე გარდასულ და მერმინდელ დღეთა დიდება,
ნუ შემეხები,
ველურია ჩემი სიზმარი
და შემზარავი გაზაფხულზე გამოღვიძება!

ᲙᲐᲞᲠᲘᲩᲘᲝ-25

(ᲔᲕᲠᲘᲓᲘᲙᲔ)

გემშვიდობები!...
აღმავალი მზისკენ ბილიკი
უგანთიადო ბურუსებით გადაიფარა,
თანაბრად გვერგო მარტოობა, დარდი, ტკივილი,
მიტოვებულებს დამსხვრეული ფრთების ამარა.

გაიყო გზები...
ცეცხლოვანი ხვნეშის ნაპრალი —
თითქოს ღმერთები ხელმეორედ სჯიან იკაროსს!...
წრეს შემოხაზავს უხილავის შავი ფარგალი
და განშორების მისტერია შეძრავს სამყაროს.

გაიყო გზები...
გოლგოთაა ახლა აღმართი,
ზიდე ჭაპანი, აქ არავინ შეგეშველება —
სხვა სადგურია, სხვა თიბათვე, სხვა მისამართი,
იქ კვლავ გრძელდება მიწიერი შენი ცხოვრება...

იყუჩე, სულო,
იბობოქრე, გლოვის მდინარევ,
ქარო აშარო, გამიშალე ნარის ფარდაგი,
აყვავებულა ნაცნობ სერზე ხე-სასამარე
და ნისლში ცურავს უსახელო არქიპელაგი.

იმღერე, ჩანგო, დღეს გულია შენი ფარეში,
აკვნესე სევდა

ოქროს სიშზე ცრემლად დაღვრილი,
რომ უსასრულო ღამეების სიმწუხარეში
მენთოს ალმასის ნაპერწკალი — ხსოვნის ყვავილი!...

ᲙᲐᲞᲠᲘᲩᲘᲠ-26

თეთრო იალქანო,
გული საკანია მზეს გადაჩვეული,
წვიმს უკიდეგანოდ, ნოემბრის ნისლებით დამძიმდა სხეული,
სადღაც შორიახლო ობლად დარჩენილი ტირის მოლაღური.
მასაც ჩემდაგვარად ტკივა უსათუოდ ღამე-უსახური.

ბორგავს ნოემბერი,
მიდგას ამინდები მოთქმით საგლოველი,
ცხოვრება წამებით განვლილი გზებია, ხსოვნა-ჟრუანტელი
და ჰა, ქარიშხლებით შეშლილი მხევალი, განრთხმული მიწაზე,
ცას ვებღაუჭები —
ცივი მდუმარება მადნება წამწამზე.

როგორ მენანება...
ზღვა და ქოსაგორზე ქოხი — ბალაგანი,
დაუბრუნებელი თეთრი ხომალდების მშვიდი ქარავანი,
მთვარით მონუსხული ფიქრი ვარსკვლავებზე მაღლა მაბუდარი,
ვაი..., იავარი...
ბედი, ნათელივით შუა გადამტყდარი.

დავგმე, ვინც მიყვარდა...
განა მკურნალია დროთა მდინარება?!
ახლაც სასწაულის ჩუმი მოლოდინით სუნთქავს მონატრება,
სადღაც შორიახლო ობლად დარჩენილი ტირის მოლაღური,
თეთრო იალქანო,
ნუთუ გათენდება ღამე-უსახური?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ხაბეიშვილი

ჩემი გუშინდელი მეგობრები

ჩემს მეგობრებს ვიხსენებ საგნებით...
ისინი ოაეიახთ სურვილებში მეტაფორულად იკარგებიან;
ისინი ცხოვრების მეოთხედს ცივ და გლუვზედაპირიან
ნინებზე ატარებენ,
რომელზედაც ირეკლება მათი გრძნობები...
ჩემი გუშინდელი მეგობრები თითქის არ არიან ჩემთან,
რადგან ისინი მეგობრები იყვნენ გუშინ,
ანუ რამდენიმე წლის წინ.
მაგრამ მე ვიხსოვლე მათი სიყვარული
და რაც ერთხელ გულმოდგინედ ვისწავლე,
არ შემიძლია ნაწილობრივ დავივიწყო.
მე მათ ვიხსენებ ხშირად.
ვიხსენებ
„ბითლზების პლაკატით“,
რომელიც პირველად
ხუთი წლის წინ დაიბეჭდა
და თავისუფლების მოედანზე,
მიწისქვეშა გადასასვლელში ერთად შევაძინეთ;
ცხენების სურათებიანი კალენდრით
(მე მასზე წარწერები გავაკეთე და სასტუმროს
მწარ კედელზე გავაკარი),
ქამრის ბალთით,
რომელიც დავკარგე;
მინდორში შემოხვევით ნაპოვნი
ჟანგიანი სამოვარით
და...
სხვადასხვა ჭრელა-ჭრელა საღამოებით.
ისევე როგორც ჩემს მეგობრებს,
ადამიანებსაც ვიხსენებ საგნებით,
მათზე შემიძლია ვისაუბრო კიდევაც,
რადგან ისინი ხშირად განიცდიან მეტამორფოზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემდეგ ემსგავსებიან საგნებს...
კაცი,
რომელიც ტროლეიბუსის გარერებაზე დგას,
თავისი თუთიყუშის გალიას დაემსგავსა.
თუთიყუშს ყვითელი ბუმბული
და ცივი თვალები აქვს.
გოგონა,
ყველზე ორდოლარიანი ყელსახვევი რომ უკეთია,
ჰგავს თავის ბუშტებს,
გოგონა წუხს დაკარგული მეგობრების გამო,
მასში ნოსტალგიაა
და იმპულსი,
რომელმაც უკარნახა — თავისი ბუშტები
ქართული, ანუ თბილისური ცირკის წარმოდგენა,
მოხულ ბავშვებს ანუქოს.
ჩემი გუშინდელი მეგობრები
საგანთა ვაკუუმში დაიბადნენ
და საგანთა გავლენით ისწავლეს ერთმანეთი.
ისწავლეს თამაში,
რომელიც ძალიან ჰგავს ფრაზას
იაპონური ჰოროსკოპიდან:
„მაიმუნი ერთობა“.
ადამიანები სწავლობენ გართობას.
გართობაში სხვადასხვა სტადია
და სხვადასხვა მდგომარეობები იგულისხმება
და მათ შეიძლება ერთი სახელი გამოვუძებნოთ:
დაბადება — შიში
სიკვდილი — შიში
სიცოცხლე — შიში
სიყვარული — შიში
მეგობარი — შიში
სამშობლო — შიში
ცივილიზაცია — შიში
სული — შიში
სხეული — შიში
საგანი — შიში.

2

მომეცით ცისფერი შარფი,
რომლითაც რომანტიკას
დავიბრუნებ,
ყველაფერი ცისფერი ხომ პოეტურია
და პოეტი ხომ მიმზიდველია
თავისი ტკივილებით,
პოეტით ხშირად ერთობიან.
ბავშვს,
რომელსაც პოეტი უყვარს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი დღეა ტროტუარზე ვხედავ
სათეატრო დარბაზის მაკეტით.
მაკეტის ფასადზე
პოლ ელუარის ლექსის სტრიქონია:
„სალამი, სევდავ!“
აქ შეიძლება თვალები დახუჭო
და უარი თქვა
ხედვის ფოტოგრაფიულ პრინციპზე,
უარი თქვა მასზე, რაც სასტიკია...
რადგან ერთფეროვანი გახდა
ჩვენი დამოკიდებულება
საგნებისადმი,
რომელთაც ფუნქციები აქვთ...
ბავშვს,
რომელსაც პოეტი უყვარს,
არა აქვს ცისფერი თვალები,
მის სახის კანს დაეტყო გარდატეხის ასაკი,
მის თვალებში ნოსტალგიაა
და ამიტომაც არ არის ერთფეროვანი,
თორემ ჩვეულებრივად აცვია
მუხლზე გამოხეული ჯინსის შარვალი
და სქელლანჩიანი ყავისფერი ფეხსაცმელები.
ტროტუარზე,
რომელზედაც ის დადის, ცირცელის ბუჩქებია
(მან მცენარეების სახელები
დედამისის ძველი ჰერბარიუმებიდან ისწავლა),
ოჯახში ბიოლოგები და ქიმიკოსები ცხოვრობენ
და მათ აწუხებთ ბავშვის ბედი,
რომელსაც პოეტი უყვარს.

●

„ჩვენი სულები ვერასოდეს იპოვიდნენ
ერთმანეთს ჩვენივე სხეულების გარეშე“.

პოლ ვალერი.

ჩემი სხეული ცარიელი სახლია ახლა.
(მე ვეძებდი აგურის სახლებს,
თუმცა ისინი დიდი ხანია
უცნობებმა მიისაკუთრეს).
ჩემი თვალები ცარიელი ღრმულებია.
ველარ მშველიან გაზაფხულის თბილი წვიმები.
ღაღამდება და მწვანე ფარდებს დაჰკიდებენ
ისევ ფანჯრებზე.
კვირის თავზე კი გაწვიმდება ისევ უეცრად,
დამავიწყდება ყველა სიტყვა, რაც უნდა მეთქვა...
დამიბრუნე ჩემი სიტყვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მე ვეძებდი ვაშლის ხეებს,
თუმცა ისინი დიდი ხანია
თეთრი ყვავილებით აღარ მორთულან).
დამიბრუნე ჩემი სიტყვები,
რომ ისინი დიდ და ნათელ ოთახში მოვათავსო;
თუნდაც ძველებურ ტახტზე,
სადაც ესვენა ბაბუა
და მკერდზე ცივი ხელები ელაგა;
ბაბუა იმ დღის მერე აღარ მინახავს,
მაგრამ ვგრძნობ სუნით,
რომელიც ძალიან ჰგავს
ბაბუაწვერას ყვავილის სუნს,
და მამაჩემი დილაობით ამბობს ხოლმე,
რომ სიზმარში ხშირად ხედავს ბაბუაწვერებს...
მე აღარ ვიცი, რას დავარქვა შენი სახელი...
მწყემსებისგან გადამწვარ მინდვრებს,
დღესასწაულს,
თუ ჩრდილებს, გზებზე ზვავებივით რომ ჩაწოლილან.
მე აღარ ვიცი, რას დავარქვა შენი სახელი...
სახელდებებით უეჭველად დასასრულსაც ვუახლოვდებით.
საღამოჟამს კი ბუჩქებიდან გამოვა კაცი
და მის სახეზე შადრევნები გაიელვებენ,
ისაუბრებენ შადრევნები კაცის ხელებთან,
ვარდებს მორწყავენ,
გაუწმენდავი აუზებით შეშფოთდებიან...
დასასრულია სახელები,
ჩემი და შენი სახელებიც დასასრულია,
რადგან ცხადია,
რომ ზვალ და ზეგ
გამოვძერწავთ სიტყვებით ლექსებს,
ჰონორარით გაზეთებს და იებს შევიძენთ,
მერე შინისკენ გავბრუნდებით,
გზად შეიძლება მეგობრებიც მოვინახულოთ
და სახის ნაცვლად კეფა ვაჩვენოთ,
შემდეგ კეფაზე თანმიმდევრობით გამოვსახოთ
ცხვირი,
ტუჩები,
ჩაცვენილი ლოყები
და თვალის გუგები...
ჩემი და შენი სახელებიც დასასრულია...
შიშველი მხრებით მოვასვენებთ დაშლილ გვირგვინებს.
დამცინავად გადმოგვხედეს,
ჩაიქირქილეს პორტრეტებმა ნაცნობ ქუჩაზე —
იქ ალბათ ისევ ირეკლებიან
სახურავებზე გრძელი ჩრდილები...
გაუჭირდებათ ჩვენს სხეულში ჩვენსავე სულებს,
გალიაში დამწყვდეული ჩიტებივით
მინის სარკმელს ენარცხებიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთები სტკივათ და თოვლი არის
თუ წვიმა არის,
მხოლოდ სარკმელს მისჩერებიან.
გაუჭირდებათ ჩვენს სხეულში ჩვენსავე სულებს...
დამზრალ თითებში ბავშვს ფოთლები რომ ჩაუბლუჯავს,
შიში იგრძნობა სხეულის გამო.
გადამალეთ უმალ თითები.
მერე ფეხები გადამალეთ,
იდაყვები,
თმები,
თვალები...
ჩვენ ცარიელი სახლები ვართ!!!
მე ალარ ვიცი, რას დავარქვა შენი სახელი —
მწყემსებისგან გადამწვარ მინდვრებს,
დღესასწაულს,
თუ ჩრდილებს, გზებზე ზვავებივით
რომ ჩამოწოლილან.
მე ალარ ვიცი, რას დავარქვა შენი სახელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი დაუშვილი

დანაღმული წარსული

მოთხრობა

უხალისოდ ვიყავი და ეზოში დავბორიალებდი. სახლის სახურავზე კატამ დაიჩხავლა. ავიხედე და სხვენში ამოჭრილი პატარა სარკმლის დანახვისას გაზეთების დასტები გამახსენდა, თხუთმეტიოდე წლის წინათ გარდაცვლილ მეზობელს (ცხონებულს, ყველა რაჟდენ გიორგაჩს ეძახდა) რომ ეკუთვნოდა. თავის შესაქცევად სხვენში ამავალი კიბისაკენ გავემართე.

გაზეთების კიდეებზე რაჟდენ გიორგიჩის მოკლე კომენტარები, ემოციური, მხატვრული მინაწერები აღმოვაჩინე. ამ მინაწერებმა და გაცრეცილ ფურცლებზე დაბეჭდილმა მასალებმა სული შემიშფოთა და მრავალი გაგონილი თუ განცდილი ამბავი გამახსენა.

რაჟდენ გიორგიჩისეული გაზეთებიდან 1917-21 წელი...

ბალშევიკების მთავარი ციხესიმაგრე დემაგოგიაა, მარა ესაა დემაგოგია განსაკუთრებული, წმინდა ბალშევიკური. იგი მდგომარეობს მასსის ყოველგვარ ინსტინქტების წინაშე ქედის მოხრასა და ამ ინსტინქტების შექებაში.

„ერთობა“. 16 დეკემბერი, 1917 წ.

აშკარაა, თუ დიდი რუსეთის არსებობა ხელს არ უშლის პატარა საქართველოს არსებობას, პატარა ოსეთის არსებობაც ხელს ვერ შეუშლის საქართველოს არსებობას, რომელიც სრულებით არ საჭიროებს პატარა ოსეთის ტერიტორიას.

„კომუნისტი“. 13 ივნისის, 1920 წ.

4 მარტს, ტფილისის მუშათა კლასმა და სახელოვანმა წითელმა არმიამ ალექსანდროვის ბაღში მიწას მიაბარა გმირულ ბრძოლაში დახოცილი, წითელი არმიის საუკეთესო შვილები და საქართველოს მოღალატეთა მიერ მოტყუებული, თვალახვეული, ჩვენს წინაალმდეგ დაღუპული საქართველოს ჯარისკაცები.

„კომუნისტი“. 6 მარტი, 1921 წ.

გაზეთების კიდეზე მინაწერი

საქართველოს მთავრობის მიერ კომუნისტების საქმიანობის ლეგალიზება აშკარა შეცდომაა, თუმცა რუსეთთან ზავის დადება ამის გარეშე არ მოხერხდებოდა. რა მოგვიტანა ზავმა? საქართველოს ქართველი კომუნისტები შემოუსიეს. რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლად, ქართველისავე ხელით განახორციელებს შავნელ ზრახვებს.

* * *

გუშინ ბორანთან კაცი მოკლეს. მენშევიკების დაქირავებული ტერორისტი იყო, მუხრანის ხიდი უნდა აეფეთქებინაო. ბოლშევიკების ჭორებს აყოლილი მოსახლეობის ერთი ნაწილი კომუნისტების ასეთ საქმეებს კმაყოფილებით ხვდება და რესპუბლიკის მთავრობას აგინებს, რომელიც კუდამოძუებული გარბის და თან თურმე ყველაფერს ანადგურებს. წვავს, აფეთქებს ხიდებს, ორთქლმავლებსა და ვაგონებს. ჭორები, ჭორები, ჭორები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ყველაფერი დამთავრდა, ბათომი აღებულია, მთავრობა პარიზს გაიქცა. მოღალატეებმა ახლად ნაშობი ყრმა — დამოუკიდებლობა — მახვილით აჩეხეს. მერე არაკაცებმა სისხლიანი ხელები წითელ დროშაზე შეიწმინდეს, აქაოდა, არ დაემჩნევაო და საქართველოს ცაზე ამაყად აღმართეს. სირცხვილი შენ, ქართლის ველებზე შობილო ნიავო, დამპყრობთა ბაირაღს ასე თავმომწონედ რომ აფრიალებ.

პაპაჩემის (მამაჩემის მამის) ნაამბობი

მაშინ, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ბაქოს ერთ-ერთ რესტორანში უფროს მზარეულად ვმუშაობდი. ერთი წლის წინ წითელი არმია ბაქოში უბრძოლველად შემოვიდა. საქართველოდან ჩამოღწეული ამბები კი შიშის ზარს გვცემდა. ვიცოდით, რა სისხლის ტბორებიც დააყენეს ბოლშევიკებმა თბილისის შემოგარენში და შინ დაბრუნებას არ ვჩქარობდით. გვარიან ფულს ვშოულობდი, კარგადაც ვიყავით მოწყობილი, მაგრამ როდესაც საქართველოში მცხოვრებ მშობლებსა და ახლობლებზე ვერაფერი შევატყვეთ, ბარგი ავიკარით და მატარებლით გამოვემგზავრეთ. მაშინ მამაშენი სამი წლის იქნებოდა და გზაში ძალიან გაგვაწვალა. სამგზავრო ვაგონებში ხალხის ტევა არ იყო. შემადგენლობა ხანგრძლივად ჩერდებოდა ხოლმე. ცალკე ზაფხულის ხვატი და ცალკე ღია სარკმლებიდან შემოჭრილი ორთქლმავლის ბოლი სულს გვიხუთავდა. საქართველოს ვუახლოვდებოდით, მატარებელი რომელიღაც დასახლებულ პუნქტთან რომ გაჩერდა. დიდი ხანი ველოდით შემადგენლობის დაძვრას. უეცრად ვაგონში ხიშტიანი შაშხანებით შემოცვივდნენ ჯარისკაცები და ბარგის ჩხრეკას შეუდგნენ. მიეხვდი, ერთი მათგანი ოფიცერი უნდა ყოფილიყო. ჩხრეკისას ყველას ბურჟუებს ეძახდნენ, ჩქარობდნენ, იგინებოდნენ. ჯერი ჩვენზე მოდგა. ბარგს არ ვნაღლობდი. პატარა ხელჩანთაში, რომელსაც ანა ხელიდან არ იცილებდა, თეთრ ტილოში გახვეული ძვირფასეულობა გვქონდა გამოკრული. ისიც მოვახერხეთ, რომ ანამ ხელჩანთა იღლიაში ამოიდო და ატირებული ბიჭი მკლავზე გადაიწვინა.

არაფერი გამოგვივიდა, ძვირფასეულობა წაგვართვეს, მათი თქმით კი, ჩამოგვართვეს. ჯარისკაცები ახლა ავლაბრელ კომერსანტს მიადგნენ. ისიც მეუღლესთან ერთად ბრუნდებოდა და მგზავრობისას ერთმანეთს რამდენჯერმე გამოველაპარაკეთ. კომერსანტმა ოფიცერს პირადობის მოწმობა მოსთხოვა, რის პასუხადაც ყბაში კაი მაგრად გაულაწუნეს. მისმა მეუღლემ იკივლა, წითელარმიელები ახარხარდნენ. ჯარისკაცებმა მათი ჩემოდნები განსაკუთრებული სიხალისით ჩაზიდეს. კომერსანტის მეუღლე დიდხანს ტიროდა. მატარებელში ხმა დაირხა, წითელარმიელები არ ყოფილან, მენშევიკთა ბანდები დაძრწიან და ხალხს ძარცვავენ, საბჭოთა ხელისუფლებას უტეხენ სახელსო. ერთი ასეთი ბანდა თუ წითელარმიელთა რაზმი, ახლა უკვე საქართველოს ტერიტორიაზე, სადღაც ჭანდარის ტბის მიდამოებში დაგვეცა. რაც არ გვქონდა, რაღას წაიღებდნენ? ავლაბრელ კომერსანტს ამჯერად ხმა არ ამოუღია. მაგრამ მისმა მეუღლემ, რომელსაც, ეტყობა, დიდძალი ქონების დაკარგვა ვერაფრით მოენელებინა, ოფიცერს ცხვირწინ კაბის კალთა აუფრიალა და ისტერიულად უყვირა: ღორო, ეს საცვალიღა დამრჩა და, თუ გინდა, ესეც წაიღე, გამოგადგებაო. სიმართლე უნდა ვთქვა, გაკაპასებულ ქალს ხელი არ ახლეს, საბჭოთა ხელისუფლებას სახელი არ გაუტეხეს.

ასე სტუმართმოყვრულად დაგვხვდა საქართველო ოცდაერთი წლის ზაფხულში.

რაჟდენ ბიორგიჩისეული გაზეთებიდან

1923-24 წელი...

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ბაკურიანის რაიონი, სადაც ამ დღეებში, მშრომელთა დადგენილებით, ყველა ეკლესია დაიკეტა და გაჩაღდა მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა მათი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად გადაკეთებისათვის.

ეკლესიებს, ჯვრების ნაცვლად, წითელი დროშები ამშვენებს.

„კომუნისტი“. 11 აპრილი, 1923 წ.

ანტირელიგიურმა კამპანიამ, რომელმაც ჩვენში გრანდიოზული ხასიათი მიიღო, საბოლოოდ მოსპო სამღვდელოების საზოგადოებრივი გავლენა და წონა. მან დღის სინათლეზე გამოიტანა ამ ბნელეთის მოციქულთა თაღლითობა და გაიძვერობა.

„კომუნისტი“. 19 მაისი, 1923 წ.

ჩვენ. ქვემორე ხელის მომწერნი, ქალაქის წყალსადენის მუშები, წევრები მენშევიკური პარტიისა, ვაცხადებთ ყველას გასაგონად, რომ დღეიდან ვსტოვებთ იმ ორგნზაციას, რომელმაც ნამდვილად დაამტკიცა მენშევიკთა კონტრრევოლუციონერობა და რომელსაც მუშათა კლასი მოტყუებით მიჰყავდა მის მტრებთან, ბურჟუაზიულ კლასთან შესათანხმებლად. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის წოთელ დროშას!

„კომუნისტი“. 26 მაისი, 1923 წ.

„სიკეთილი ავანტიურისტებს!“ — განაცხადეს სტამბის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საერთო კრებაზე ქართველ სოციალ-გამცემლების — მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების საპასუხოდ.

„კომუნისტი“. 3 სექტემბერი, 1924 წ.

ბაზეთის კიდეზე მინაწერი

სიონის ტაძართან კომკავშირელები დგანან. ეოგო-ბიჭებს სული ეშმაკისათვის მიუყიდიათ. ისინი ტაძარში შემსვლელებს აჩერებენ, მათ ვინაობას აზუსტებენ და სახელდახელო ლექციის შემდეგ, უკან აბრუნებენ. ბარაქალა, ბოლშევიკებო, ოქვენის მეცადინეობით ქრისტიანები ქრისტიანებს სდევნიან. ის, რაც მაჰმადიანებმა საუკუნეების მანძილზე ვერ შეძლეს, თქვენ ერთ წელში გააკეთეთ, — სარწმუნოება, სინდის-ნამუსი შერყვენით და ფეხქვეშ გათელეთ.

* * *

ოპერის სახელმწიფო თეატრში დავესწარი დოლიძის ოპერა „ლეილას“ პრემიერას. ჩინებული რამ იყო. ცალტვინა პოლიტიკოსებმა და კრიტიკოსებმა ეროვნული შუღლის გამღვივებელ, ნაციონალური გრძნობების აღმძვრელ, მონარქიზმის იდეის მქადაგებელ სანახაობად შერაცხეს და საჯაროდ დაგმეს. კომუნისტები, რელიგიასთან ერთად, ხელოვნებასაც ებრძვიან.

* * *

მთლად დაბნელებული უნდა გქონდეს გონება, რომ ბანდიტთა ხროვა უწოდო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებით მებრძოლ ქართველ პატრიოტებს, მკვდარ ლენინს კი — დიდი ბელადი და კაცობრიობის ტვინი. მადლობა ღმერთს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი გადარჩა. იმედი კიდევ არის.

მეორე პაპის (ლეონიძეის მამის) ნაამბობი

აღდგომა ახლოვდებოდა. სოფლად სიძეს ვესტუმრე. ქალები სამარხვო სუფრის გაშლას აიკანზე შეუდგნენ. ღმერთია კი მწამს, მაგრამ არასდროს მიმარხულია. სწორედ ამ დროს, ჭიშკარს ცხენზე ამხედრებული მღვდელი მოადგა. მამა ამბროსი ღვინის უზომო სმით იყო ცნობილი, ამ საქმეში მას არც ჩემი სიძე ჩამორჩებოდა და ბევრჯერ გავმხდარვარ მათი მეტოქეობის მოწმე. გიორგიმ მამა ამბროსი, რაღა თქმა უნდა, სუფრაზე მიიპატიჟა.

— მამაო, ღვინის სმა ხორცეულის გარეშე როგორ იქნება? სიძე კიდევ ქათამს არ კლავს, — შევჩივლე მღვდელს.

— მამაო, მითხარი, ქრისტიანმა კაცმა მარხვა როგორ დავარღვიო, ღმერთი რას იტყვის? — იუარა სიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე წვერი მოიქექა და გიორგის მიმართა:

— სუფრა მარანში გააშლევინე და დანარჩენს აქ გეტყვი.

გიორგი მღვდლის ნებას დაჰყვა.

როდესაც სამარხვო კერძებს გემო გაეუსინჯეთ და თითო ჭიქა გადავკარით, მამა ამბროსიმ მასპინძელს უთხრა:

— ქათამი მოფარებულში დაკალი.

— მამაო?! — გაიოცა გიორგიმ.

— შვილო, მართალია, მარხვის დროს ხორცის ჭამა იკრძალება, მაგრამ დაიხსომე, როცა მე აქ ვარ, მაშინ შეიძლება.

სმის გუნებაზე მოსულ გიორგისაც ეს უნდოდა, ქათმის გარდა სუფრას სხვა საჭმელებიც შემატა. ქეიფი გაჩაღდა. იმ ხანად ეკლესიის მსახურთ ფიზიკურად აღარ ანადგურებდნენ. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, მამა ამბროსი წითლებთან არის შეკრულიო. როდესაც ლაპარაკი ბოლშევიკებს შეეხო, შეზარხოშებულმა და ენამოქარგულმა მამა ამბროსიმ ვეიამბო:

— საქართველოს გასაბჭოებისთანავე, სატანის მსახურნი ეკლესიებში ღვთისმსახურებას, ხოლო სამრეკლოებზე ზარების რეკვას კრძალავდნენ. მნათე ანანია ჭეშმარიტი სარწმუნოებით ცხოვრობდა და თავისი საქმის ფანატიკურად მოყვარული ვერაფერმა შეაშინა. არც ჩემს დარიგებებს ისმენდა. მჯეროდა, რაც ხდებოდა, დროებით მოვლენა იყო. ქრისტეს მგმობელ ქართველებს სულ მალე გაუნათდებოდათ ეშმაკის მიერ დაბნელებული გონება. უაზრო წინააღმდეგობის გაწევას, მცირე ხნით დათმენა და ტაძრების ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა უფრო გონივრულად მიმაჩნდა. მიუხედავად ამისა, ანანიას თავგანწირვა თავმოყვარეობას მილახავდა და შურის გრძნობასაც მიჩენდა. იგი სამრეკლოზე ზარს რეკდა და ხალხს სალოცავად უხმობდა, მაგრამ დაშინებული ადამიანები საფრთხეს გაურბოდნენ და ეკლესიაში მისვლას თავს არიდებდნენ. ერთხელ, როდესაც ანანია ზარს არისხებდა, გალავნის კარიბჭეში კარაბინებით შეიარაღებული ხალხი გამოჩნდა. სქელულვაშიანმა, მაღალმა კაცმა, რომელსაც ტყავის ქუდი ეხურა და, ალბათ, რაზმის მეთაური იყო, ნაგანი ჰაერში ისროლა. მნათეს რეკვა არ შეუწყვეტია. ტყავისქუდიანმა იარაღი სამრეკლოს გუმბათისაკენ მიმართა. ბრინჯაოს ზარმა ტყვია აისხლიტა აყლრიალდა. ანანია არ გაჩერებულა. ეკლესიიდან გამოვედი, საატანის მსახურთ შევხვედე, ხელით ვანიშნე, არ ესროლოთ-მეთქი და სამრეკლოსაკენ წავედი. საფეხურების ავლისას გაბმული სროლა შემომესმა და იმავდროულად ზარის რეკვაც შეწყდა. ტყვეით დაცხრილული და გასისხლიანებული ანანია მუხლებზე დამხობილი შემომყურებდა. ერთხანს შევიცადე და ეზოში ფრთხილად გადავიხედე. რაზმი გალავანს იქით, ხეობისაკენ ეშვებოდა. მნათე სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ცალი ხელი დაკარგა. ზარს ახლა ღამღამობით რეკდა. მიუხედავად მძიმე ჭრილობებისა, შიში არ გაჰკარებია. მისი თავგანწირვა ჩემს მოთმინებას უპირისპირდებოდა და ზნეობრივად მამარცხებდა, რაც ძალიან მაღიზიანებდა. თუმცა ბოროტი ენებების განდევნას ყოველნაირად ვცდილობდი, ჩემდა უნებურად ანანიასადმი სიძულვილი მიჰყრობდა.

დილის ლოცვაზე ვიდექი, როდესაც ხეობიდან სროლა შემომესმა. აივანზე გავედი. ახლა უფრო ახლოს ისროლეს. ეზოში ჩავედი. ეკლესიის მძიმე, მუხის კარი შევაღე და გალავნის კარიბჭეს შევხედე. ანანია ეზოში სირბილით შემოვარდა და ეკლესიისაკენ წამოვიდა. როდესაც მუხის კარს მოუახლოვდა, გალავნის კარიბჭეში სქელულვაშა, ტყავისქუდიანი მეთაური გამოჩნდა, ხელში ნაგანი ეჭირა და სატანურად მიღიმოდა. მდევრები ანანიას ტაძარში შემოჰყვებიან და ყველაფერს შერყვნიან-მეთქი, ესღა ვიაზრე და მძიმე კარი ურდულით გადავკეტე. ახლაც ცხადლივ ჩამესმის ზარის მრეკავის მუშტის მონოტონური დარტყმები, ოროსავით რომ სცემდა მუხის კარს. რამდენიმეჯერ ისროლეს და იმავ წამს მძიმე და მტანჯველი სიჩუმე ჩამოვარდა. გახევებული ვიდექი, ფიქრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც კი მეშინოდა. როგორც იყო, ფეხი მოვინაცვლე, სკამზე შევდექი და ვიწრო სარკმელში გავიხედე. არავინ იყო. უცებ ანანია გამოჩნდა, ბალახში მიხოხავდა. მერე ფეხზე გაჭირვებით წამოდგა და სამრეკლოსაკენ ბორძიკით წავიდა. სკამიდან ჩამოვედი, ერთხანს შევიცადე, კარი გავაღე და ეზოში გავედი. როდესაც გასისხლიანებულ ქვის საფეხურებს შევხედე, ზარმა დაიქუხა. მკვეთრი ხმა სხეულში შემოეჭრა და გულში ახმიანდა. გამბედაობა მოვიკრიბე და ხვეულ კიბეზე ავედი. პირქვე დამხობილი მნათე სისხლიან ხელს ოდნავ ამოძრავებდა. მე, ცოდვილს, ანანიას თვალებში ჩახედვას სიკვდილი მერჩივნა. მისი ცოცხლად ვადარჩენის შესაძლებლობამ ერთიანად შემძრა, გონება დამიბნელა. სულთმობრძავს ზურგზე მოვექეცი და ხელები ცხვირ-პირზე ავაფარე. ანანიამ თითები მოკრუნჩხა და გაუბრძოლებლად მიაბარა სული ღმერთს.

ხეობიდან ქარს კვამლი ამოჰქონდა. რაზმელებმა, ალბათ, კოცონი დაანთეს. ვერა, ზარი ვერ დავრეკე. ანანიას უსულო სხეულმა დამამარცხა. მისდამი ზიზღი ვიგრძენი, პირქვე მწოლს ხელისცეცებით დავუხეჭე თვალები და საფეხურებზე სწრაფად დავეშვი.

მას შემდეგ ათ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ტყავისქუდიანის სატანური ღიმილი მუდამ თვალწინ მიდგას და სულს მიშფოთებს.

...გაოგნებულები ხმას ვერ ვიღებდით და მამა ამბროსის მიბაძვით, ყანწებს უსმოდ ვცლიდით. ბუნდოვნად მახსოვს, ცხენზე რომ შეჯდა, მაშინ იკითხა:

— ქრისტიანებო, თქვენს ოჯახში საყველაწმინდოს არ სვამენ?

ვიღაცამ ყანწი მიაწოდა.

— რაც გითხარით, ყველაფერი ჩემი ბოგონილია, — მამა ამბროსიმ ყანწი დაცალა და დასძინა: — გაიგეთ, ტყუილიანეთქი, ტყუილი! — ყანწი ჩამომაწოდა და ცხენი დაძრა.

რაჟდენ გიორგიჩისეული გაზეთებიდან

1929-31 წელი...

მე ვიყავი მღვდელი და უკანასკნელ ხანებამდე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. მაგრამ დღეს კი შეგნებულად ვანებებ თავს მღვდლობას, ვინაიდან ეს სამარცხვინოა და თანამედროვე ხანასაც არ შეეფერება.

„კომუნისტი“. 12 ოქტომბერი, 1929 წ.

გუშინ საღამოს „უღმერთოთა კავშირმა“ გამართა შობის საწინააღმდეგო მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა მხარი დაუჭირეს ძაფსაღები ქარხნის მუშების მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ქუთაისის ყველა ეკლესიიდან ჩამოხსნილი იქნეს ზარები და მოხმარდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

„კომუნისტი“. 9 იანვარი, 1930 წ.

სოფ. ფელევში კულაკმა ლექსო ნოზაძემ ჩამოხია ადგილობრივი არტელის კედლის გაზეთი და აშკარად გაილაშქრა კოლმეურნეობის წინააღმდეგ. საჭირო გათავხედებული კულაკების წინააღმდეგ მთელი მშრომელი გლეხობის დარაზმვა. პირველ რიგში კი უნდა გაიწმინდოს უჯრედები კულაკების აგენტებისაგან.

„კოლექტივიზაცია“. 17 დეკემბერი, 1930 წ.

ამრიგად, დამკვრელი პიონერები, რომლებიც გმირულად იბრძვიან საშემოდგომო თესვის ფრონტზე, არიან: 1. დავით ყურაშვილი, 2. თამარ ტვილდიანი, 3. ნინა სვანიძე, 4. თინა ყურაშვილი, 5. ჯ. ახვლედიანი და სხვ. მაგრამ ამათ გვერდით გვყავს დეზერტირი პიონერები, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ პ. რაზმის მიერ საშემოდგომო თესვის მიმართულებით ჩატარებულ მუშაობაში. ესენია: შ. ტვილდიანი და ნორა რუსიშვილი.

„ნორჩი ლენინელი“. 21 ოქტომბერი, 1931 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის კიდეზე მინაწერი

საბუღალტრო საქმეებს ვაწესრიგებდი, როდესაც რკინიგზის მთავარი სახელოსნის მოსამსახურეები და მუშები ეზოში შეგვაქუხეს და მოსკოვში, სტალინთან გასაგზავნი დეპეშის ტექსტი ერთხმად მიგვაღებინეს. ერთხმად დავგმეთ ჩინელი გარეწრების ვერაგული თავდასხმა ჩვენს საყვარელ სამშობლოზე და გამოვთქვით სურვილი მოხალისეებად ჩავწერილიყავით შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიაში. შორეული აღმოსავლეთი სამშობლოა? ჩინელი კაცი საქართველოს მტერი? ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ დავიცავით და უცხო ქვეყნის ტერიტორიის ხელშეუხებლობას უნდა შევეწიროთ? ყველაფერი თავდაყირა დადგა.

* * *

მეზობელს სოფლიდან ნათესავი ესტუმრა.

— კაცო, ერთი ძველი, პაპის ნაქონი ჭიქა მაქვს. არაყს სულ სხვა გემოსა და ეშხს აძლევს, — ბერიკაცმა დაკოჟრილი ხელები მუხლისთავზე გადაისვა, — ერთი შეძლებული მეზობელი გადამეკიდა, გინდა თუ არა, მომყიდეო. ვერ დამითანხმა. იმ ჭიქიდან არყის დალევის სიამოვნებას ვერ მოვიკლებ. ახლა კიდევ, კოლექტივში შემოდით, ყველაფერი საერთო გვექნება, ავშენდებითო. არა, ძმაო, მთელი სოფლის ქონება ეზოში რომ დამიყარონ, იმ მადლიან ჭიქას არ დავთმობ.

მეზობლის ნაამბობი

სანდალა და ილა ნათესავებად გვერგებოდნენ. სანდალა ილაზე სამი წლით უფროსი იყო. თელავში რომ დასახლდნენ, თავდაპირველად ფეხსაცმელების კერვა დაიწყეს, მაგრამ მათი საქონელი ცუდად საღდებოდა და ახლა ქუდების კერვაზე გადავიდნენ. ბუნებით მშრომელებს, საქმე კარგად აეწყოთ. სანდალამ ცოლი შეირთო. მოგვიანებით მათ ნახელავს მუშტარი შემოაკლდა. ერთხელაც სანდალამ ილას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: ილა, ეტყობა ქალაქში ჩვენზე კარგი ოსტატები გაჩნდნენ, აქ ალარაფერი გვესაქმება, ადგილი უნდა შევიცვალოთო. ბევრი ალარ უფიქრიათ და სოფელ ენისლის შესასვლელში პატარა სახელოსნო ჩადგეს. ფეხსაცმელებსაც კერავდნენ და ქუდებსაც. ერთ დღეს, სახელოსნის კარი დედაბერმა შეაღო და იკითხა: შვილო, ნავთი ხომ არა გაქვთო? კვირის თავზე სანდალამ და ილამ კასრით ნავთი მოიტანეს და სახელოსნოს გვერდით მიუჩინეს ადგილი. ახლა სხვა ქალმა იკითხა: ლამფის შუშა არა გაქვთო? ორიოდე დღის შემდეგ სახელდახელოდ გამართულ თაროებზე ლამპის შუშასთან ერთად, სანთელი და ასანთიც გაჩნდა. მოსახლეობის საჭიროებისდა მიხედვით, თაროებზე ქალაქიდან ჩამოტანილი სხვადასხვა საქონელი მატულობდა. ძმებმა ხელობას თავი ანებეს, სახელოსნო ფარდულად გადააკეთეს და ვაჭრობა გააჩაღეს.

ზაფხულის ერთ მზიან დღეს ფარდულთან დილიჟანსი გაჩერდა. მგზავრობისაგან დაღლილი, სიცხისაგან გახვთქული მამაკაცები ძმებს თავზე წამოადგნენ. ერთმა მათგანმა საყვედურით იკითხა: კაცო, სულის მოსათქმელად კარგი ჩაცეებული ღვინო არ უნდა გქონდეთო? იქვე, გზის პირას, სანახევროდ დანგრეული, მიტოვებული სახლი იდგა. სანდალა და ილა მამასახლისს მოელაპარაკნენ და, მაზრის უფროსთან შეთანხმებით, სახლში დუქანი გამართეს. ფარდულში სხვა კაცი დააყენეს, თავად დუქანს მიხედეს. მზარეულობასაც საუკეთესოდ გაართვეს თავი და ცოტა ხანში მათმა დუქანმა სახელი გაითქვა. ძმებმა ფარდულები მახლობელ სოფლებშიც ჩადგეს, ადგილობრივ გლეხებს გაურიგდნენ და ღვინით ვაჭრობა დაიწყეს. ამასაც არ დასჯერდნენ, იქაური თავად-აზნაურებისაგან მიწების ნაწილი შეისყიდეს, ნაწილი კი იჯარით აიღეს და ვრცელ მამულებს დაეპატრონენ. სანდალამ და ილამ თელავში უზარმაზარი სახლები წამოჭიმეს. ცოლი ილამაც შეირთო. ძმებმა გაჭირვებულის დახმარებაც იცოდნენ და კარგად გაკეთებული საქმის დაფასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც, ამიტომ ხალხის პატივისცემა და ნდობა დაიმსხურეს.

რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ და საქართველოს გასაბჭოებამ სანდალასა და ილას ბედის ჩარხი უკუღმა დაატრიალა. მიწაზე კერძო საკუთრება გაუქმდა და სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადდა. ძმებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და რამდენიმე შეძლებულ გლეხთან ერთად სასოფლო-სამეურნეო არტელი დაარსეს. სანდალა არტელის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. არაფერი გამოუვიდათ. ვიღაცისაგან შეგულიანებული ღარიბი გლეხები განზე გაუდგნენ და ცალკე კოლექტიური მეურნეობა შეადგინეს. ძმები კულაკთა სიაში შეიტანეს და ცხვრის ფარა ჩამოართვეს.

ერთ დღეს სანდალა თელავში ლინეიკით ბრუნდებოდა. მან გზის პირას მობალახე საკუთარი ცხვრის ფარა იცნო, იცნო ბომბორა ძაღლებიც. სანდალამ ლინეიკა გააჩერებინა, ძირს ჩამოვიდა და ფარისაკენ გაემართა. ძაღლები ვამოენონენ. მწყემსებმა სანდალა თავდაპირველად ვერ იცნეს და მომავალს ხელით ანიშნებდნენ, ლინეიკაზე აბრუნდი, ძაღლებმა არ დაგგლიჯონო, მაგრამ როდესაც ერთგული ძაღლები კუდის ქიცინით მიუახლოვდნენ, ყველაფერს მიხვდნენ.

წამოსვლისას ჭაღარა მწყემსმა ცხვარს ხელი დაავლო და ლინეიკისაკენ გააქანა. არ ვინდაო, იუარა სანდალამ. ერთი ცხვარი რა ბედენაა, მთელი ფარა შენი არ იყოო?! — თქვა ჭაღარამ და ცხვარი ლინეიკაში ჩააგდო. სანდალასაც აღარ უუარია.

ერთი სულმოკლე მწყემსებს შორისაც აღმოჩნდა და სანდალას უჩივლა, სახალხო ქონება მიითვისაო. თავიანთი პოლიტიკური სიფხიზლის წარმოჩენის მოსურნე პარტიულ ხელმძღვანელებს ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვიათ და რაიონულ გაზეთში ოპერატიულად დაიბეჭდა მამხილებელი სტატია სათაურით, — „კულაკმა ცხვარი გაიტაცა“. მართალია სანდალა შორეულ გადასახლებას გადაურჩა, მაგრამ, ილასთან ერთად, როგორც კულაკებსა და მავნებლებს, ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი.

რაჟდენ გიორგიჩისეული გაზეთებიდან
1936-38 წელი...

ჩვენ მოვითხოვთ აღიგავოს პირისაგან მიწისა ჩვენი სამშობლოს მოღალატეთა ბანდის ყოველი მონაწილე. წყველა და ზიზღი მათ სისხლით შესვრილ სახელს.

„ლიტეოატურული საქართველო“. 30 იანვარი, 1937 წ.

არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ბედნიერი ახალგაზრდობა, როგორც ჩვენშია, ლენინ-სტალინის ბრწყინვალე მზით გამთბარ ქვეყანაში. წელს მისრულდება 18 წელი და ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

„ახალგაზრდა კომუნისტი“. 4 დეკემბერი, 1937 წ.

არავითარი შებრალება საზიზღარ მახინჯებს, მშრომელთა დაუძინებელი მტრის ტროცკისა და ფაშისტური დაზვერვის აგენტებს! ჩვენ მოვითხოვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან დახვრეტილი იქნეს მთელი ეს საზიზღარი სიბილწე, როგორც ცოფიანი ძაღლები.

„კომუნისტი“. 5 მარტი, 1938 წ.

საბჭოთა სასამართლომ აღასრულა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა და მილიონიანი მასების გასახარელი სასჯელი გამოუტანა ხალხის უბოროტეს მტრებს — „მემარჯვენე-ტროცკისტული ჯგუფის“ მონაწილეებს. მტრების პასუხად, მე ვკისრულობ ვალდებულებას: თუ ახლა ოთხ დაზგაზე ვმუშაობ, ახლო მომავალში ექვს დაზგაზე ვიმუშავებ.

„კომუნისტი“. 17 მარტი, 1938 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთის კიდეზე მინაწერი

სირცხვილი შენ, დავით აღმაშენებლის, ბერი თევდორეს, ცოტნე დადიანის, ილიას, ვაჟას, აკაკის (სტალინის?) შთამომავალო ერო, დასმენა და ჯაშუშობა პროფესიად რომ გაიხადე.

* * *

მეზობლის გოგო გულამომჯდარი ტიროდა, ვერაფრით გააჩუმეს. საწყალს კომკავშირის ბილეთი დაკარგვოდა. გოგონას მშობლებს შიშისაგან ენა ჩაუვარდათ და მოახლოებული საშინელების განცდა თვალებში აესახათ. შიში, ყველგან შიში... ადამიანებმა შიშის სუნიც კი შევიგრძენით და დავიმახსოვრეთ. ყველაფერი შიშის სუნით ყარს. ჭადრებიც კი შიშისაგან ცახცახებენ.

* * *

ქართველის დედას ხელში უცხო, საძულველი ბავშვი — საბჭოთა საქართველო შეაჩეჩს და აიძულებენ გამოკვებოს, დაავაჟკაცოს, მოამძლავროს. ამაზრზენი სახილველია ქართველის დედის მკერდზე მიხუტებული სატანა. ვინ აღმართავს წმინდა გიორგის მახვილს?

პაპაჩემის (მამაჩემის მამის) ნაამბობი

შუღამისას ძაღლის ყეფამ გამომაღვიძა. მერე თოფის ხმა გავიგონე, რასაც ძაღლის წკავწკავი მოჰყვა. საწოლიდან წამოვხტი და ფანჯრიდან გადავიხედე. აღამიანთა ლანდები სახლს მოადგნენ და ბრახუნი ატეხეს. შარვალი სწრაფად ჩავიცვი და კარის გასაღებად გავემართე. პერანგს ვზადაგზა ვიკრავდი. ბავშვების ოთახიდან ჩემი მეუღლე შეშინებული გამოვარდა. გოგონას ტირილიც გავიგონე. სამნი იყვნენ. მათ სიტყვის თქმა არ მაცალეს და დაპატიმრების ორდერი საჩქაროდ გამომიწოდეს.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, — დაბნეულს ყურადღება არ მომიქცევია, ეს საშინელი სიტყვები რომელმა მათგანმა წარმოთქვა. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა? ენა დამება. ხალათმოსხმული ჩემი მეუღლეც გოგნებული იდგა. დაუპატიჟებელი სტუმრები სასტუმრო ოთახს ათვალიერებდნენ, ნივთებს სინჯავდნენ. ვინებაში დაპატიმრების მოტივს ვეძებდი, მაგრამ ვერ მეპოვნა.

— მე არაფერი დამიშავებია, რისთვის მიჭერთ? — კითხვაღა მოვახერხე და სამივეს თვალი მოვავლე.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, თბილად ჩაიცვი, ყველაფერს იქ გეტყვიან.

უცებ ზურგს უკან ზღარათანის ხმა შემომესმა. მიეტრიალდი. ჩემი მეუღლე უგონოდ ეგდო. მაგიდაზე დადგმულ დოქს ვეცი და სახეზე სველი ხელი მოვუსვი. ოთახში გოგო და ბიჭი ტირილით შეიოცვივდნენ. ცოლმა თვალი გააღილა, რატომღაც გაიღიმა და მაჯაზე ხელი მომიჭირა.

— ჩქარა, არ გვცალია, — თქვა რომელიღაცამ.

პალტო ჩავიცვი და კრაველის ქუდი დავიხურე. ჭიშკართან ძაღლი ეგდო. ჭრალობიდან დადენილ სისხლს თოვლში ჩაეყონა. „ძაღლის ასეთ ყოფაში დანახვა ბავშვებს გააგიჟებს“, — გავიფიქრე ჩემდა უნებურად. მერე დავიხარე, ძაღლი ფეხებით ავწიე და ქუჩაში გატანა მოვინდომე. მოძალადეებმა არ დამანებეს.

მალე ჩეკას შენობაში ამოვყავი თავი. გრძელ, ნახევრად ბნელ დერეფანში გამატარეს და ერთ მომცრო კაბინეტში შემიყვანეს. მაგიდასთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. კედელზე სტალინისა და ლენინის სურათები ეკიდა. კაცი ფეხზე წამოდგა, ვერცხლის პორტსიგარიდან პაპიროსი ამოიღო. მოუკიდა, გააბოლა და ამაყად მითხრა:

— მე გამომძიებელი ვარ.

— სასიამოვნოა, — ვთქვი დაბნეულმა.

— ბრალდებას გაეცანი და ხელი მოაწერე...

— ხელს არ მოვაწერ, — ვთქვი ბრალდების წაკითხვის შემდეგ.

— რატომ? — სახე დაეძაბა.

— კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრი არასოდეს ვყოფილვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ ხელმძღვანელობდა ტერორისტული ჯგუფის მუშაობას და რომელი წლიდან არსებობს?

— რასაც ამბობ, ყველაფერი სიყალბეა.

— თქვენ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდით უცხო სახელმწიფოების დაზვერვის დავალებით. თქვენი მიზანი იყო დივერსიებით, ტერორით, მავნებლობით სოციალისტური სახელმწიფოს წესწყობილების დამხობა და ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენა, — იფეთქა ახალგაზრდამ.

— აზრად არასოდეს მომსვლია საბჭოთა სახელმწიფოს დამხობა, — მშვიდად ვთქვი საკუთარ სიმართლეში დაჯერებულმა.

გამომძიებელმა ხელები ზურგს უკან დაიწყო, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და თითი ელექტროღილაკს დააჭირა. ოთახში ზედამხედველი შემოვიდა და გვერდით დამიდგა. გამომძიებელი მომიახლოვდა და ხმამაღლა მითხრა:

— წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევ, მაინც გამოგტეხავთ, სჯობს დანაშაული დროულად აღიარო.

— რაც არ ჩამიდენია, როგორ ვაღიარო?

— საკანში ჩაიყვანეთ! — ბრძანა გამომძიებელმა.

დაპატიმრების მიზეზებზე ბევრი ვიფიქრე და ერთ დასკვნამდე მივედი: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, როდესაც მთლად ახალგაზრდა ვიყავი, სოციალ-დემოკრატებს ვუჭერდი მხარს და ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ აქტებშიც ვიღებდი მონაწილეობას. მე ბოლშევიკების მიზნებს სამართლიანად ვთვლიდი და აღნიშნული საქმიანობა რომანტიკულ მისწრაფებებსაც მიკმაყოფილებდა. მოგვიანებით ბოლშევიკების სისასტიკესა და მავნებლობაში დავრწმუნდი და მათთან კავშირი გავწყვიტე. როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტების შემადგენლობაში მრავლად მოიყარეს თავი ჩემმა ყოფილმა თანამებრძოლებმა. მათთვის მე მოღალატე ვიყავი, თანაც ბევრი რამ ვიცოდი ბოლშევიკების არაადამიანურ საქმიანობაზე და, ბუნებრივია, ჩემი ჩამოშორება მოინდომეს.

მალე იმავე კაბინეტში შემიყვანეს.

— იმედია, გონს მოეგე. ვინ შედიოდნენ ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში?

— ცოდვას არ დავიდებ, ტყუილად არავის დავასახელებ. თქვენც კარგად იცით, მე საბჭოთა ხელისუფლებისათვის ვიბრძოდი.

— ხმა ჩაიწყვიტე. შენ მენშევიკების ჯაშუში იყავი.

კაბინეტში ჯალათები შემოვიდნენ, ხელში სველი თოკები ეჭირათ.

— როგორ აწარმოებდით მზადებას ტერორისტული აქტების მოხდენისათვის და სცადეთ თუ არა ასეთი აქტების ჩატარება? — მკაცრად მკითხა გამომძიებელმა.

— მე დამნაშავე არა ვარ.

უცებ გამომძიებლის მუშტი მომხვდა და სკამიდან გადავვარდი.

— მოგვცემ თუ არა ჩვენებას ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ? დაასახელებთუ არა კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ჯგუფის წევრებს? მოაწერ თუ არა ბრალდებას ხელს? — სეტყვასავით დამაყარა დოინჯშემოყრილმა გამომძიებელმა.

— არა! — ვიყვირე გაბრაზებულმა.

მაშინ სველი თოკებით მცემეს და, ქანცმილეული, საკანში ჩამათრიეს. სხეული საშინლად მიხურდა. ერთხანს ასე ვეგდე. მერე ყველაფერი გამხადეს და პატარა, დათოვლილ ეზოში ფეხშიშველა გამიყვანეს. შებინდებული იყო. ეზოს ბოლოში მდგარ რკინის საკანში შემიყვანეს, რომელსაც ისეთი დაბალი ჭერი ჰქონდა, რომ წელში გამართვა ვერ შევძელი. უცებ საკნის სახურავი აიხადა და ვიღაცამ თოვლი გადმოაყარა. სიცივისაგან სული შემიგუბდა, დაყვირება მომინდა, მაგრამ კუნთები ისე მქონდა დაძაბული, რომ ვერ შევძელი. კარში ამოჭრილი პატარა სარკმელი გაიღო და ოთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხა ჭრილში გამომძიებელი გამოჩნდა.

— ბრალდებას ხელი მოაწერე, თორემ აქ ჩაძალლდები, — თქვა და ცხვირი მოისრისა.

თავი გავიქნიე. სარკმელი მიიხურა და იმავ წამს ბეჭებზე თოვლი დამეყარა. ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა. კარზე ბრახუნი ავტეხე, მაგრამ არავინ გამომპასუხებია. ღმერთს შევთხოვდი, როგორმე გათენებამდე გამეძლო. მივხვდი, ჩემს სიჯიუტეს აზრი არ ჰქონდა. მგლების ხროვაში ჩავარდნილი ცხვარი უძლურია. აუტანელი სიცივისაგან სადაცაა გონებას დავკარგავდი. უცებ კარში ამოჭრილ სარკმელში უახლოესი მეგობარი დავლანდე, ანთებული პაპიროსი გამომიწოდა. პაპიროსის მოწევისთანავე სხეულში სითბო ჩამეღვარა. სიამოვნებით ვეწეოდი და სულ უფრო და უფრო მთბებოდა. საკნის კარი გაიღო და მოღუშული გამომძიებელი გამოჩნდა. გათენებულიყო. ყველაფერს მივხვდი. მეგობარიცა და პაპიროსიც მოლანდება იყო, ღმერთის მიერ მოვლენილი სასწაული.

— ცოცხალი ხარ?

— ჰო, მეგობრის პაპიროსმა გადამარჩინა.

— რას მიჰქარავ, აქ ვერავინ შემოიპარება.

— ნამდვილად პაპიროსს ვეწეოდი, თქვენ ჩემი არაფერი გჯერაო.

— მოკეტე! — გაცხარდა გამომძიებელი. — გიჯობს დანაშაული აღიარო.

— ჩემთვის სულ ერთია, ყველაფერზე ხელს მოგიწერთ.

— გამოიყვანეთ! — ბრძანა გამომძიებელმა, პორტსიგარიდან პაპიროსი ამოიღო და გამარჯვებულის სახით გამომიწოდა. ზურგი შევაქციე და ზედამხედველებს გავყევი.

თბილისის გამანაწილებელში ორი კვირა დაგვაყოვნეს და, რამდენიმე ასეულ პატიმართან ერთად, ეტაპით გაგვამგზავრეს. გზაში მრავალი გაჭირვება ვნახეთ და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ არხანგელსკში აღმოვჩნდით. აქედან დასახლებულ პუნქტ ჩიბიუსში გადაგვაგზავნეს, უხტ-იჟემსკის შრომა-გასწორების მეორე ბანაკში. ადამიანი მართლაც ყველანაირ გასაჭირს ეგუება. უსამართლოდ ხალხის მტრად გამოცხადებული და შორეულ არხანგელსკში გადასახლებული, წესით, ჭკუაზე უნდა შევშლილიყავი, მაგრამ ყველაზე საღად ახლა ვაზროვნებდი. ვცდილობდი, ადგილობრივ პირობებს დროულად შევგუებოდი და უფროსების გულის მოსაგებად კარგად მემუშავა. ღამღამობით კი თავისუფლებაზე, სითბოსა და ოჯახზე ვოცნებობდი.

მძიმე შრომასა და სასწაულის მოლოდინში ორ წელზე მეტი გავიდა. იმის გაფიქრებაც კი შიშს მგვრიდა, რომ კიდევ შვიდი წელი უნდა გამეტარებინა ასეთ არაადამიანურ ყოფაში. მეუღლესა და ბავშვებს უკანასკნელად თბილისის სადგურზე, ვაგონში ასვლისას მოკკარი თვალი. სამშობლოზე გულაყრილი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ძალიან მენატრებოდა მზით გამთბარი ჩემი პატარა ქვეყანა.

ზაფხულის იმ დღეს მანქანები სამშენებლო მასალებით დავტვირთეთ, დაღლილს, ზედამხედველი მომიახლოვდა და უკან გაყოლა მიბრძანა, ბანაკის უფროსი ვიბარებსო. ათასი აზრი ამერია გონებაში. შიშმა შემიპყრო, ვაითუ, ახალი დანაშაულობები მომიგონეს და უნდა დამხვრიტონ-მეთქი. ისიც კი გამახსენდა, გამომძიებელს გამოწვდილი პაპიროსი ხელში რომ შევატოვე. ეგებ გულში წყენა ჩაიდო და შურის საძიებლად ახალი საქმეები შემოთხზა?

ბანაკის უფროსმა ხელი ჩაიმართვა, სკამზე დამსვა და ღიმილით მკითხა:

— რამდენი შვილი ყავს?

— სამი.

— დედა, მამა?

— დამეხოცნენ.

— სამწუხაროა. რა საქმიანობით არჩენდი ოჯახს?

— ქვის მოლელი ვარ, საფლავის ქვებს ვთლი, — ვერ ვხვდებოდი, ბანაკის უფროსი ასე გულითადად რატომ მელაპარაკებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საჭირო ხელობაა. საკვდილი ყველას მოგვაკითხავს, გულნაკლულს არავის დაგვტოვებს.

საკვდილის ხსენება არ მესიამოვნა, თუმცა კვერი დავუკარი:

— კი, ნამდვილად ასეა.

— ქართველო, სახლი მოგენატრა?

— კი, როგორ არა.

— ხვალ სამუშაოზე არ გახვალ.

— რატომ?

— თავისუფალი ხარ.

— თავისუფალი?! — ბოლომდე ვერ გამეაზრებინა უთვალავჯერ ნაოცნებარი სიტყვის მნიშვნელობა.

— საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1940 წლის 10 ივნისის დადგენილებით, შენი განაჩენი გაუქმებულია. ხვალ შინ გაგამგზავრებთ...

სიხარულისაგან ენა დამება. ფეხზე წამოვდექი, ციხის უფროსს ხელი ჩამოვართვი და მადლობის თქმა ძლივს მოვახერხე.

— მადლობა სტალინს გადაუხადე, — მითხრა ციხის უფროსმა და კედელზე გაკრულ ბელადის სურათს შეხედა.

სტალინსა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებს მადლობა მოვახსენე. მერე, ეგებ ეს საკმარისი არ იყოს-მეთქი, და ბანაკის უფროსის გულის მოსაგებად, სტალინის სურათთან მივედი, თითის წვერებზე ავიწიე და ვაკოცე. ღონებადაბინდულს, აზრად არ მომსვლია, რა არარაობად ვიქეცი. საკუთარი თავის მიმართ ზიზღის განცდა მოგვიანებით გამიჩნდა.

როდესაც პატიმრებმა ჩემი გათავისუფლების ამბავი შეიტყეს, ხელში ამიტაცეს და რამდენიმე წუთს ასე დამატარებდნენ. მათ იმედი მიეცათ, იმედი კი პატიმრისათვის ყოველგვარ საგანძურზე ძვირფასია.

ჩემი მეუღლე თურმე წერილებს აგზავნიდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. იგი წერდა, რომ უდანაშაულო კაცი უსამართლოდ ვიყავი გადასახლებული და მარტოდ დარჩენილ ქალს სამი მცირეწლოვანი ბავშვის მოვლა არ შეეძლო. ერთი წერილი დიპლომატად მომუშავე ნათესავმა ბრემლშიც კი შეიტანა. მოსკოვიდან მიღებული ბარათი იტყობინებოდა, რომ ჩემი საქმის ხელახალი გამოძიება დაევალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

ათი წლის პატიმრობამისჯილს სამი წელი მაკმარეს. თითქოს დამინდეს, გამამართლეს, მაგრამ ეს თავმოყვარეობაშელახული, მონად ქცეული ადამიანის აბუჩად აგდება და სახელმწიფოს თვითრეკლამა იყო.

შორეულმა გადასახლებამ მრავალთაგან ერთი დიდი, მოუშუშებელი ჭრილობა დამიტოვა — ბელადის სურათის კოცნა.

* * *

გადასახლების ადგილიდან წამოღებულ განთავისუფლების ცნობას პაპა სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა. გაცრეცილი, კონვერტში ჩადებული ფურცელი ახლა ჩემთანაა.

დიდება და დღეგრძელობა ჩვენი ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, მშვიდობის ბრძენ მესაჭეს, ხალხთა საყვარელ მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

„ლიტერატურა და ხელოვნება“. 30 დეკემბერი, 1951 წ.

ბედნიერი და საამური ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლებამ, დიდმა სტალინმა მოგვიტანა. ყოველ წელს ჩვენთვის ახალი გამარჯვებები მოაქვს. 1951 წელს ჩვენმა ოჯახმა 1. 805 შრომადღე გამოიმუშავა.

„კომუნისტი“. 1 იანვარი, 1952 წ.

ბაზეთის კიდეზე მინაწერი

ბავშვს მაღალი სიცხე ჰქონდა და ღუმელი ენთო. შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც ეზოში შეშის ამოსატანად ჩავედი. მოპირდაპირე მხარეს, ოცოდე მეტრის იქით, სატვირთო მანქანა შევამჩნიე. კაბინას მიყუდებული კაცი პაპიროსს ეწეოდა და ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩას ზვერავდა. სადარბაზოდან რამდენიმე ადამიანი გამოვიდა. ანდრო მიქელაძე და მისი ოჯახის წევრები ვიცანი. ცოლ-ქმარი, ორი ბავშვი და დედაბერი ძარაზე აიყვანეს. როდესაც მანქანა ეზოს გაუსწორდა, ქალის ტირილი და დედაბრის მოთქმა გარკვევით გავიგონე.

* * *

შობა დღეს ქართველობას სარკინიგზო ეშელონებით ყაზახეთის ყიზილყუმებში უკრეს თავი, გადაასახლეს მრავალი ოჯახი, რომლის წევრი ან ტყვედ იყო ნამყოფი 1941-45 წლებში, ან ნათესაურად უკავშირდებოდა უცხოეთის ქართველ ემიგრაციას. ამ საშინელების შესახებ გაზეთები არაფერს წერენ, სამაგიეროდ უხვად იფრქვევა დითირამბები ხალხთა მამის სტალინისადმი, რომლის დაუღალავმა შრომამ საამური ცხოვრება მოგვიტანა. რა უნდა ვაზისა და ციტრუსების მომყვან ქართველ კაცს ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში? ამ უფასო მუშახელს ტრამალებში ჩამარხვა ელის.

* * *

სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, ძველმა მეგობრებმა სურათი გადავიღეთ. ფოტოზე, მაღალ კვარცხლბეკზე აღმართული სტალინის ქანდაკება მთელი თავისი ბრწყინვალებითაა გამოსახული. ჩვენ კი, კვარცხლბეკთან მდგარნ, ტანი გვაქვს გადაჭრილი. არ ვიცი, ფოტოგრაფი გამოუცდელი იყო თუ ნასვამი, მაგრამ ფაქტია, ობიექტივში ძეგლი და ადამიანები ერთად ვერ მოგვათავსა და ბელადისათვის თავის მოკვეთას ჩვენი დამახინჯება ამჯობინა. არც გაგვიმტყუნებია.

თანამშრომლის ნაამბობი

გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკებში გადატანილი შიმშილი, სიცივე, სიდუხჭირე სამშობლოს ღალატად ჩამითვალეს და 1951 წლის 26 დეკემბრის ღამის 6 საათზე ლოვინიდან წამომაგდეს. ჩხრეკის ოქმის ერთი პირი დღესაც შენახული მაქვს.

მე, დედაჩემი და ახლად შერთული ჩემი მეუღლე (მამა გარდაცვლილი მყავდა), სხვა აწიოკებულ ოჯახებთან ერთად, სატვირთო ვაგონებში შეგვრეკეს. ცამეტი დღე და ღამე საათ მივდიოდით, არ ვიცოდით. ტუალეტი ვაგონშივე იყო მოწყობილი (ხის იატაკი ამოეჭრათ) და თვალის ასარიდებლად ირგვლივ ზეწრები ჩამოვაფარეთ.

ყაზახეთში ჩასულები პახტა-არალსკის რაიონში, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაგვანაწილეს. ვინაც ძვირფასეულობა ან ფული ჰქონდა წამოღებული, იქაურ მოსახლეობას შეეკედლა. უმრავლესობა საქონლის სადგომებში შეასახლეს. ბედად, ყაზახი ეროვნების ხაბაზმა ფურნეში შეგვიფარა. რაღა თქმა უნდა, ხაბაზს ყველა საქმეში დაუზარებლად ვეხმარებოდი.

გადასახლებულებს ბამბის პლანტაციებში გვამუშავებდნენ. ზამთარში კი სარწყავ არხებს ვწმენდდით.

როდესაც გოგონა შეგვეძინა, მოწნული ქოხი ჩავდგი, შიგნით და გარეთ ტალახით შევლესე და შუაზე გავტიხრე. ძალიან გვიჭირდა. ზოგჯერ ლუკმა პური გვენატრებოდა ხოლმე.

ერთხელ წისქვილთან მორიალე ხალხი დავინახე და, მიუხედავად დაღლილობისა, იქით წავედი. თვრამეტიოდე წლის ქართველი ბიჭი მუცელში დანით დაეჭრათ. გულაღმა მწოლი ქუთუთოებს თითებით იჭერდა, რომ თვალები არ დაეხუჭა, ალბათ, ფიქრობდა, თუ თვალებს დავხუჭავ, მოვკვდებიო. ვერ გადაარჩინეს და ღიად დარჩენილი თვალები მამამისმა დაუხუჭა.

დედაჩემი გადასახლებიდან ერთი წლის თავზე გარდაიცვალა. სასახლის შესაკრავად ფიცრები ვერ ვიშოვე. იქ ტყეები არსადაა. შენობებს ალიზისაგან აგებენ და ხის მასალები ძალიან ჭირს. დასახმარებლად კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, კულბაევთან შევედი.

— დედა გარდამეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულბაევი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოძართვა, მომისამძიმრა და მკითხა:

— ჩემგან რა არის საჭირო?

— ფიცრები მომეცი, კუბო უნდა გავაკეთო.

კულბაევმა წარბები შეჭმუხნა და მცირე ხნის შემდეგ მითხრა:

— კარგი მომუშავე ხარ, მაგრამ რა ვქნა, ვერაფრით დაგეხმარები, ფიცრის საშუალება არ არის.

კაბინეტიდან გამოვედი, კარი გამოვეჯახუნე და ხმამაღლა შევიგინე. დერეფანში მომავალმა კომენდანტმა იაკოვ პეტროვიჩმა, რომელიც გადასახლებულებს ზედამხედველობას გვიწევდა და მისი ნებართვის გარეშე კოლმეურნეობის ტერიტორიას ვერავინ დატოვებდა, გაბრაზებით დამიძახა:

— რაშია საქმე, რატომ ხმაურობ?

— კულბაევი კუბოსთვის ფიცრებს არ მაძლევს, — ბოღმისაგან თვალზე ცრემლი მომადგა.

იაკოვ პეტროვიჩმა ისევ თავმჯდომარესთან შემიყვანა.

— კარგი კაცია, მაგრამ რა ვქნა, რით დავეხმარო? — კულბაევმა ხელები გაასავსავა.

— ჩვენ ქრისტიანები ვართ და მიცვალებულებს ხის კუბოთი ვმარხავთ. რამე უნდა მოუხერხო! — კომენდანტი რუსი იყო.

თავმჯდომარემ ფერმის გამგესთან წერილი გამატანა. წერილის წაკითხვისას გამგეს თვალები გაუფართოვდა და გაკვირვებულმა მკითხა:

— ეს რა დაუწერია? კარი ჩამოხსენი და ჯავახიშვილს მიეცით?

ჩამოხსნილი კარი ავიკიდე და დურგალს მივადექი.

— ამსისქე კარს ვერ დავშლი, — იუარა დურგალმა.

საქციელი წამიხდა.

— ვიცი, კოლმეურნეობაში ფანერები აქვთ. წადი, სამი ცალი გამოართვი და დანარჩენს მე მიგზავავ, შენი არაფერი მინდა, — მანუგეშა დურგალმა.

კარაკიდებული კვლავ კულბაევს მივადექი.

— სამი ფანერი მომეცი, ვიცი, გაქვს!

— რას ამბობ, დამიჭერენ!

— სამი ცალი მჭირდება. შენ რამდენიც ვინდა, იმდენი გამოწერე, მე ხელს მოგიწერ.

მეზობლები დამეხმარნენ, იანვრის ყინვაში სამარე გავთხარეთ და ასე წვალებით დავმარხე დედაჩემი. საქართველოდან წამოღებული ფარდაგი და დედის ნაქონი ბუმბულის ბალიში გავყიდე და პატარა ქელეხიც გადავიხადე.

უცხო მხარეში წელიწადნახევარი გავატარეთ. მუშახელი ძალიან უჭირდათ და კარგ მომუშავეებს გათავისუფლების ბრძანებას დროებით გვიმალავდნენ, მუქთახორებსა და ზარმაცებს კი დროულად უშვებდნენ. ასეა, მშრომელი, მუყაითი კაცი ყოველთვის დაჩაგრულია.

დედაჩემის ნეშტის წამოღება მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. რკინის ჯვართან დავიჩოქე და უძლურებისაგან ავტირდი.

დავბერდი, მაგრამ ღამით გამოღვიძებულს, შიში მიპყრობს, დედაჩემივით უცხო მხარეში არ დავიმარხო-მეთქი.

თანამშრომელმა ამბის თხრობა დაამთავრა, თვალებში შიში ჩაუდგა და მთხოვა, მის ნაამბობზე არავისთვის არაფერი მეთქვა.

რაჟდენ ბიორგიჩისეული გაზეთებიდან 1956 წელი...

მონადირეებმა მოჰკლეს ირემი და ხორცი დაინაწილეს. მაგრამ ნადირობის წესის დარღვევა არ შერჩათ.

„კომუნისტი“. 10 მარტი, 1956 წ.

კომუნისტური პარტიისადმი, ლენინის დიადი საქმისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო და ამაღელვებელი გამოხატულება იყო თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების 21 აპრილს გამართული მიტინგი, რომელიც ვ. ი. ლენინის ძეგლის გასხნას მიეძღვნა.

ქალაქში ბინდი ჩამოწვა. უწყვეტ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადად მიემართებიან მოედნისაკენ თბილისელები. სიყვარულით ათვალიერებენ ისინი ვ. ი. ლენინის დიდებულ ძეგლს.

„კომუნისტი". 22 აპრილი, 1956 წ.

გაზეთის კიდეზე ეინაწერი

კაცი გაგიჟდება, 9 მარტს ახალგაზრდები ჩახოცეს, გაზეთები კი დუმან. 10 მარტის „კომუნისტში" ირმის მკვლელობაა დაგმობილი. თავისთავად ეს სწორია, მაგრამ მაშინ, როდესაც წინა დღით უდანაშაულო გოგო-ბიჭები ჩაკლეს, ირმის მკვლელობაზე განაგაშის ატეხა გარდაცვლილთა სულების შეურაცხყოფაა.

ბიჟაჩემის ნაამბობი

იმხანად სტალინის ძეგლებს ყველა ქალაქსა და სოფელში დგამდნენ. ქანდაკების მხატვრულ დონეს დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა და არც მე ვცდილობდი შედევრების შექმნას. რაც მთავარია, უამრავი დაკვეთა მქონდა და ფულს ბლომად ვშოულობდი. პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ შინ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე მეწვია და ხუთიოდე წლის წინათ დადგმული სტალინის ბიუსტის მოხსნა მთხოვა: შენი გაკეთებული საქმისა შენ უკეთ იციო. თავდაპირველად ვიუარე, მაგრამ როდესაც საკმაო თანხა შემომთავაზა, დავთანხმდი. მეორე დღეს კვარცხლბეკს საკუთარი მანქანით მივადექი. სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ხელკავი გამომდო, გვერდით გამიხმო და ხმადაბლა მითხრა: თუ ძმა ხარ, ფრთხილად მოხსენი, არ გააფუჭო. სადმე შევინახავ, რა იცი, რა ხდებაო. კვარცხლბეკი ბიუსტის დაუზიანებლად გავათავისუფლე, ფული ჩავიჯიბე და კმაყოფილი გამოვბრუნდი.

მოგვიანებით, კოლმეურნეობის დაკვეთით, იმავე კვარცხლბეკზე ავტომატიანი ჯარისკაცის ძეგლი დავდგი და შინმოუსვლელთა მემორიალი მოვაწყვეკარვი დრო იყო, ბევრ ფულს ვშოულობდი.

ავტორისეული ჩანართი

თბილისი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი დღეებისათვის ემზადებოდა. აკრავდნენ ლოზუნგებს, საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერებისა და სოციალისტური შრომის გმირების გადიდებულ პორტრეტებს. ყველგან საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები ფრიალებდა. გაზონებსა და სკვერებში ირგვებოდა ყვავილები. მოკლედ, ქალაქი კოპწიაოდებოდა. ხალხი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიოდა ბრეჟნევი.

ეს ნანატრი დღეც დადგა. მაშინ მეხუთე კლასში ვიქნებოდი. გაკვეთილების დაწყების წინ კლასში სკოლის დირექტორი (ქალბატონი ლუბა იმდენად სქელი იყო, რომ კარში გვერდულად ძლივს ეტეოდა) შემოვიდა და ფეხზე წამომდგარი მოსწავლეები მკაცრი გამომეტყველებით შეგვათვალიერა. უცებ გაიღიმა და საზეიმოდ განაცხადა:

— გეცოდინებათ, დღეს ჩვენს ქალაქში სტუმრად ჩამოდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ორი გაკვეთილის შემდეგ, ყველანი რუსთაველზე ავალთ და ძვირფას სტუმარს მივესალმებით. გაფრთხილებთ, არ იხმაუროთ. გახსოვდეთ, როდესაც მანქანა გამოჩნდება, გაიღიმებთ და ხელს გაიქნევთ.

— მასწ! — გაკნაჭული გოგონა ფეხზე წამოდგა, — მე ავად ვიყავი, სახლიდან დღეს გამოვედი და თუ შეიძლება აქ დავრჩები.

— ქალბატონო ციურო, ღონისძიებას არც ერთი მოსწავლე არ დააკლდეს! — მკაცრად გააფრთხილა დირექტორმა კლასის დამრიგებელი.

ბრეჟნევთან შესახვედრად წასვლაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქარა არ გვჭირდებოდა. გენერალური მდივნის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი ჩვენზეც მოქმედებდა და ერთი სული გვქონდა, როდის ავიდოდით რუსთაველის პროსპექტზე. ის გოგონა კი ნამდვილად ნაავადმყოფარი იყო, წინა დღეებში გაკვეთილებზე არ უვლია.

სკოლის შენობა სანაპიროზე მდებარეობდა და რუსთაველის პროსპექტამდე სამასიოდე მეტრი იყო გასავლელი. მოსწავლეები ორ მწკრივად დაგვაწყეს, სხვა კლასების ბავშვებიც შემოგვეერთეს და „დაცვის“ (ყველაზე მეტად ფიზკულტურის მასწავლებლები აქტიურობდნენ) თანხლებით აღმართს ავუყევით. პროსპექტზე ხალხმრავლობა იყო. მეგაფონიანმა კაცმა ოპერის თეატრთან მიგვიჩინა ადგილი. ჭადრებს შორის თოკები იყო გაბმული და გაზონს ვერ გასცდებოდი. მოღრუბლული დღე იდგა.

— არავინ წახვიდეთ, ფეხი არ მოიცვალოთ! — ამუქრებოდა დირექტორი.

წასვლას არავინ აპირებდა. კაცი, რომელსაც ტელევიზორში ყოველდღიურად ვხედავდით, ხლო მისი უზარმაზარი პორტრეტები შენობებზე იყო გაკრული, სულ მალე ღია მანქანით ჩამოივლიდა და, ფეხზე წამომდგარი, ხელს დაგვიქნევდა. ეს რიტუალი ტელევიზორში მქონდა ნანახი.

— მოემზადეთ, მოდიან! — გაისმა მეგაფონში.

ხალხი გაზონს მიაწყდა.

— გაიღიმეთ, ხელი გააქნიეთ! — გვიყვიროდა დირექტორი. ამასვე იმეორებდნენ მასწავლებლები.

ჩემს გვერდით მდგარი, საკუთარ განცდებში ჩაძირული ბიჭი პროსპექტს პირდაღებული გაჰყურებდა და სხვა აღარაფერი ესმოდა.

— ხელი ასწიე, ბიჭო! — უყვირა ფიზკულტურის მასწავლებელმა და წკეპლა მოუქნია.

წკეპლა ბიჭს ლოყაზე მოხვდა და კანი გადაუსერა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან სწორედ იმ წამს გამოჩნდა მოტოციკლების კორტეჟი. მოტოციკლებს უკან „ჩაიკა“ (ეს მანქანა მაშინ მსოფლიოში ულამაზესი და საუკეთესო გვეგონა) მოჰყვებოდა. მართალია ხელსაც ვიქნევდით და ვიღიმებოდით კიდეც, მაგრამ აშკარად გაეწბილდით: დახურულმა მანქანამ ისე სწრაფად ჩაგვიქროლა, შიგ მსხდომთ თვალი ვერ მოვკარით.

სკოლაში დანაღვლიანებულები ვბრუნდებოდით. პედაგოგები მკაცრად აღარ გვექცეოდნენ. დირექტორი ხმას არ იღებდა და ჩაფიქრებული მოდიოდა. ფიზკულტურის მასწავლებელს ცხვირსახოცი დაესველებინა და ბიჭს ლოყაზე ადებდა.

კნაჭა გოგო მეორე დღეს გაკვეთილებზე არ მოსულა. საწყალს, ავადმყოფობა შეუბრუნდა.

ბორის ძნელაძის ძეგლი ყვავილებით შევამკეთ (ყვავილები მშობლებმა გვიყიდეს). მერე ქანდაკების წინ ერთმწკრივად დავდექით. მწკრივის წინ წარჩინებული მოსწავლე გამოვიდა. ჩვენ ხელები თავს ზემოთ ავღმართეთ. ხუთოსანი მოსწავლე ფიცს წარმოთქვამდა და მის ნათქვამ სიტყვებს ყველანი ხმამაღლა ვიმეორებდით. ამის შემდგომ, უფროსკლასელებმა წითელი ყელსახვევები (მშობლების მიერ შეძენილი) უხალისოდ შეგვაბეს. უფროსკლასელების მიზეზით პრიალა, ხარისხიანი და უხარისხო ყელსახვევები ერთმანეთში აირია და ახლად ფიცმიღებულმა პიონერებმა კინაღამ მუშტი-კრივი გავმართეთ.

* * *

კომკავშირის წესდებასა და სხვა აუცილებლად საცოდნელ საკითხებს რამდენიმე დღე ვიზეპირებდით. სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გაგვაფრთხილა, თუკი მელოტი და არასასიამოვნო გარეგნობის კაცი რაიკომის კომკავშირის პირველი მდივნის ვინაობას გვკითხავდა, უნდა გვეპასუხა, რომ თვითონ ის იყო პირველი მდივანი და ჩვენ მას ვიცნობდით, რითაც დიდად ვასიამოვნებდით, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კითხვას პირველი ხშირად იძლეოდა ხოლმე. რაღა თქმა უნდა, კომკავშირში მიგვიღეს, თუმცა კომკავშირულ საქმიანობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და, უმრავლესობის მსგავსად, კომკავშირის სამკერდე ნიშანი კოსტიუმის საყელოს შიგნითა მხარეს მქონდა მიბნეული და საჭიროების შემთხვევაში ვაჩენდი ხოლმე.

* * *

დამამთავრებელ კლასში ვიყავი, როდესაც ბრეჟნევის წიგნები: „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“ ქართულ ენაზე გამოიცა.

— ბრეჟნევის ეს თხზულებები ყველა წიგნის მაღაზიებში იყიდება, შეიძინეთ და შემდეგ გაკვეთილზე მოიტანეთ. საგამოცდო საკითხებად იქნება შეტანილი. უწიგნოდ არავინ დავინახო! — მკაცრად გაგვაფრთხილა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა.

ორი დღის შემდეგ, მერხებზე, მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოს გვერდით ბრეჟნევის წიგნები გვეწყო.

* * *

რაჟდენ გიორგიჩი მთელი დღე აივანზე, სავარძელში იჯდა, სიგარეტს ეწეოდა და ფიქრში წასული, რადიომიმღებს უსმენდა ხოლმე. როგორც გაზეთების კიდეებზე გაკეთებული მინაწერებიდან ირკვევა, იგი ბუღალტრად მსახურობდა ეკიპირებისა და ეტლების ქარხანაში, ტექნიკურ კანტორაში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოსა და სახლმმართველობაში.

ერთხელ, ფეხბურთის თამაშისას, აივანზე ბურთი აგვივარდა. მეგონა, პირქუში ბერიკაცი ბურთს აღარ დაგვიბრუნებდა, მაგრამ მან ბურთი აიღო, სავარძლიდან გაჭირვებით წამოდგა, ცალი ხელი მოაჯირს ჩაავლო და „ბიჭებო!“ დაგვიძახა. ბერიკაცის ხმა არასოდეს გაგვეგონა და მოულოდნელობისაგან გავილურსეთ.

— ბიჭებო, არ წახვიდეთ, ავღანეთში საომრად არ წახვიდეთ! გახსოვდეთ, სამშობლო უნდა გადაარჩინოთ!.. — კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიცილი წაგვსკდა.

რაჟდენ გიორგიჩი ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ (როგორც მისმა ჯალაბობამ გამოთვალა, ოთხმოცდარვა წლისა) გარდაიცვალა.

რა უღვთოდ უნდა ვყოფილიყავით აღზრდილები, რა ძალის იდეოლოგიურ მანქანას უნდა ემოქმედა ჩვენზე, რომ სამშობლოს ხსენებისათვის ბერიკაცი მასხრად ავიგდეთ. ის კი მინაწერებიან გაზეთებს უდიდესი რისკის ფასად ინახავდა. ალბათ, საკუთარ სულში ადამიანობის გადასარჩენად სჭირდებოდა სიკვდილთან თამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ფირცხალაიშვილი

ვედრება

> ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ირაკლი!.. ვისს დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოვკვდე?! ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან ნიცოცხლე საზრახავად გამწარებულმან?!
>
> სოლომონ ლიონიძე

ღმერთო, მოგვეც სინათლე,
აღარ გვინდა წყვდიადი...

რომ ხარ თავის ბატონი,
ცისიერო, სხვა არი;
ღმერთო, მე მყავ პატრონი
ჩემი ცის და სამანის,
დედის რძის და მირონის
და ერეკლეს სამარის.

კარს მოგადექ მთხოვნელმან, —
კიდევ ერთი მარაბდა,
ღმერთო, მომეც, თორემა
გზებზე შემომაღამდა;
თორემ სული არ იცდის,
ლაჟვარდებში დაინთქა.
მე ხომ მკითხავს დავითი:
საქართველო რა იქნა?

ნუთუ გული დადუმდა,
ნუთუ გაეხდით ჯაბანნი, —
ტაოს სხვაგან რა უნდა,
ან შავშეთი სად არი?
ეს ხომ ჩემი სისხლია
(თვალი ჭრიდეს მცოდნესი),
ჩემი თუ არ, ვისია
თავდადება ცოტნესი...
ჩემი თუ არ, ვისია
გული ცხრა ძმის, მხურვალე...
ღმერთო, ჩემი წყაროს პირს
რატომ ვიდგე მწყურვალე...

ღმერთო, მე მყავ პატრონი
ჩემი ცის და სამანის,
დედის რძის და მირონის
და ერეკლეს სამარის!..
თუკი გრძნობის თასს დავცლი,
სული ჩემი მაგლოვე,
თუ სიცოცხლეს არ მაცლი,
ღვთით, სიკვდილი მადროვე...

ღმერთო, მოგვეც სინათლე,
აღარ გვინდა წყვდიადი...

ძველი სახლი

დავბადებულვარ ცის გახსნისას,
დიდი ხნის წინათ,
არა ქალებით მოფუსფუსე
თეთრ პალატაში,
არამედ ტყეში,
სადაც ბებერ მუხების შრიალს
ჩიტთა გალობაც შემოჰქონდა,
ფოთლების ტაშიც...

უმანკო ყრმების კერპებისთვის
მსხვერპლად შეწირვა,
სადღაც ხსოვნაში მიგდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმართულ დანით,
უკუნ ღამეში თვალისმომჭრელ
ელვათა ბრწყინვა,
სისხლის შხეფებით დაწინწკლული
მხურვალე ტანი...

ტყე აშრიალებს მბორგავ სულის
მეწამულ ფოთლებს
და სიზმრის ბჭის კარს თვით ღვთაება —
მზე მოადგება,
იმ მუხებივით
მიწის ქვეშ რომ დარჩათ სიცოცხლე,
ჩემს დავიწყებულ და უძველეს
საფლავზე ვდგევარ...

პირველყოფილი მღელვარებით
აღვლენილ ლოცვებს
ეძახის, უხმობს,
ვით უდაბნოს ქვიშა მწყურვალი,
საფლავის იქით დარჩენილი
დიდი სიცოცხლე,
ცისფერ ვენაში ჩაკეტილი
ხმა იდუმალი...

მომნატრებია ძველი სახლის
კერიის სითბო,
წარმართულ სიზმრებს საკენკივით
გავატან ჩიტებს,
ხან სევდიანად წავიმღერებ
იმ ველურ სტრიქონს,
სარკოფაგში რომ ჩაატანეს
თიხის ფირფიტებს.

დავბადებულვარ ცის გახსნისას,
დიდი ხნის წინათ,
არა ქალებით მოფუსფუსე
თეთრ პალატაში,
არამედ ტყეში,
სადაც ბებერ მუხების შრიალს
ჩიტთა გალობაც შემოჰქონდა,
ფოთლების ტაშიც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ცისკაძე

წელიწადზე მეტია გმირულად დაიღუპა ჩვენი თანამემამულე — ღირსეული მოკალაქე, გულანთებული, კაცთმოყვარე, მაღალზნეობრივი პიროვნება სიმონ (ნუკრი) ცისკაძე. ის 1978 წლიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, გარკვეული დროის განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და, ჩვენს სამშობლოს ასეთი მძიმე დღეები რომ არ დადგომოდა, ბოლომდე, ალბათ, თაობების აღმზრდელად დარჩებოდა. მერედა, როგორი აღმზრდელი იქნებოდა!.. ის იყო „საქართველოს მხედრიონის“ წევრი, ამ ორგანიზაციის პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელი და რიგითი ჯარისკაცივით ყოველთვის მხარში ედგა თანამებრძოლებს — სამაჩაბლოშიც, თბილისშიც, გაგრაშიც, სოხუმში. ბოლოს ის საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო და, სულ 37 წლისა, გმირულად დაიღუპა ქალაქ სოხუმში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისას.

ეს რაინდი, მამაცი კაცი უადრესად ფაქიზი, დახვეწილი სულის პიროვნება იყო. მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ლექსებს წერდა. ესეც მისი ლამაზი ბუნების, ნატიფი სულის ყივილი იყო. თუმცა, ფაქტიურად „არალეგალურად“, ფარულად წერდა. მისი ლექსების ნაწილი გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა მისი დაღუპვიდან მეორმოცე დღეს, ახლა გთავაზობთ მის კიდევ რამდენიმე ლექსს. ვფიქრობ, ამ ჩინებული პიროვნების შინაგანი ბუნება, ადამიანური სითბო და გულთბილობა აქაცაა ასახული.

ჯუმბერ თითმერია

ცოტაც, ცოტაც და...

რამეს შენიშნავ? არ შეიმჩნიო.
ცოტა, ცოტაც და გაწყდება ძაფი
სხეულში. ისე, ალალი იყოს,
დალიე, შესვი უძირო ხაპით.
რამეს შენიშნავ? ღიმილით შეხვდი.
სულელს — სულელის, კეისარს — მისი,
ალბათ, მადლია მონიჭებული,
არ აგრძნობინო, რაღაცას მიხვდი.

ეს სავსე ყანწი უნდა დაცალო...
(ე, ბიჭო, მაგ კაცს კაცურად დახვდი)
სადღეგრძელოა, მგონი, სინდისის,
ცოტაც, ცოტაც და გაწყდება ძაფი.
რამეს შენიშნავ?! თუმცა, რად გინდა,
ვის უნდა — დარჩი, თუ სადმე წახდი,
უპრიანია, ის გადაგარჩენს,
ის, უცაბედად გამწყდარი ძაფი.

ეტაპი

„მორიელის თავის ძალა“

მოვიდეს ერთი...
როგორია, გადამავიწყდა.
მას შემდეგ ბევრმა ჩაიარა უგონო
რიცხვმა,
თუ შერჩა სახეს გამოხეფხულის მიმიკა,
ფერი,
შემოდგომაზე გაბუტული რომ
გვსტუმრობს ქვევით.
მოვიდეს ერთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიკითხოს, აღარ ვახსოვარ იმ
ნაცნობივით,
ვინაც მიიღო ყველაფერი ჩემგან, რაც
სურდა,
დავბადებულვარ ლოდინის ნიშნით.
მორიელის თვემ ჩააქცია შინაგანს წვენი,
მიდი-მოდიან ციფერბლატზე მოკლე
ისრები.
მოულოდნელის მომლოდინე თვალღია
ვწვები,
მოვიდეს ერთი...
სულელურ სახეს შეახოს ხელი,
ავსებულს ცოდვით შემომკრას სილა.
მოვიდეს ერთი, მომენატრა შხაპუნა
წვიმა;
ეჭვებით მდიდარს (ბევრი არც თუ
უსაფუძვლოა)...
ხომ შეიძლება ვიეჭვიანო შენზე
რატომღაც?!
რაღა ვეიშველის, აბა, რა გითხრა,
დავბადებულვარ ლოდინის ნიშნით,
მსურს მოგისურვოს სასურველი ჩემით
იმ წუთში,
რაც გაგრძნობინებს ოდნავ მაინც აქ
უჩემობას.

ორღობიდან დანახული

ნამყენი ლეღვი შავი და თეთრი,
დავამყენ ჩემშიც სიკვდილ-სიცოცხლე.
გადაბელილი აკაციების
ძალა მაქვს, ყინი — ცისკენ ვილტვოდე.
გადაბრუნებულ სავენახეში
ჩაღვრილი ოფლის გემო მაქვს პირში.
იმ ფესოს ფერი, რისი ძალითაც
მსხალის ტოტებზე არსებობს ფითრი.
გამხმარი ვაშლის ფუღურო ტანზე
ამოხეთქილი ცინცხალი ყლორტის
დიდი იმედი შემოვიხიზნე,
უკმარისობაც ცხოვრების ცოდნის
ბუხარში კოპიტის ტკარცალის მსგავსად,
მინდა სიმშვიდე მოგაგოთ, ჩემნო.
სოფელში ერთი მტკაველი მიწის
იმედს ნურასდროს წამართმევ, ღმერთო.
ჭურისთავებზე ბია და ქვევრი,
მოხუცი ცაცხვი კვლავ დგას ვიცოდე
ნამყენი ლეღვი შავი და თეთრი,
დავამყენ ჩემშიც სიკვდილ-სიცოცხლე.
ორღობის ქვებზე ჭრიალი ურმის,
ხი, ხარო, სამგლეკ-შემოძახილი.
კამურზე ჩაფთი ჩარიხინება,
ქვის მაგიდაზე ღვინო, სადილი.
ასეა, როცა გამიჭირდება,
გიხსენებ ხოლმე შენ, ერთადერთო:
სოფელში, ერთი მტკაველი მიწის
იმედს ნურასდროს წამართმევ, ღმერთო!

მე ვენაცვალე

ვუძღვნი მშობლებს

მე სიყვარულში შევიქმენი, დიდ სიყვარულში,
რა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე სიცოცხლის ფასი,
თუკი სიკვდილშიც ერთგულება არ ჩავაქსოვე
და ვერ მოგგვარე სიხარულის ან შვების მსგავსი.

სამყაროს თვალით გაელვებაა ჩვენი სტუმრობა,
სულ ცოტა ჰყოფნის ადამიანს, სულ ერთი ციდა.
მე ვენაცვალე დაუჭედავი ტორების ელდას,
შმაგი ცხენების ფლოქვებით რომ ნაპრალებს შლიდა.

მე სიყვარულში შევიქმენი, დიდ სიყვარულში,
სამყაროს თვალით გაელვებაა ჩვენი სტუმრობა,
რა ვქნა, რომ ხშირად მარწმუნებენ და მაჯერებენ,
რომ დაბადება არის მხოლოდ მწარე ხუმრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვენაცვალე ამონთხეული ბოღმების ჩანჩქერს,
და სარეცელზე სუფთა გულს და სიყვარულს წმინდას,
ეს ალავერდი ადამიანთან, ვინაც ცხოვრებით,
დაუჭედავი ცხენის ფლოქვებით ნაპრალებს შლიდა.

მე ვენაცვალე საათის წიკწიკს, ბავშვების სუნთქვას,
ნაცნობ ღიმილს და სიცხიან შუბლზე მშობელის კოცნას,
ცისფერ ჰორიზონტს, შემოდგომის პირს ფოთლების შრიალს,
თუკი რამ მოხდეს, ამ აღტაცების ტკივილმა მომკლას.

ტერენტი გრანელის გახსენება

გარდასული სიყვარულის ნაპირს
გადაეფარა მოგონების ფარდა.
დღეს გულწრფელი სინანულით
დაღლილს,
მსურს ყოველი, მოსვენების გარდა.

ცა სიმაღლით კმაყოფილი როა,
კაბადონიც მუქი სისხლის ფერია.
და ის წუთი აღარასდროს მოვა,
ვიცი, რაღაც უჩვეულო მოხდა.
ახლა უფრო დაფიქრების დროა,
დაშვებული შეცდომები ბევრია!

1979 წ. 25 დეკემბერი.
თბილისში პირველი თოვლი მოვიდა

●

გოგონა, ვისაც წვიმა ეძახის
და თოვლი ფაფუკ გზად ექარგება...
ერთი ყმაწვილი კარგავს, პოულობს,
კარგავს, პოულობს, კვლავ ეკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა პაპიძე

მოთხრობები

აბდულას ცა

მტვრიან ბილიკს ჩექმების ბრახუნით მივუყვები. საშინლად ცხელა. გადამწვარ, ყვითელ ტრამალს ალმური ასდის. ცემენტით სავსე მძიმე ტომარა მხრებზე მაწევს და სულს მიხუთავს.

ჩემს უკან სიმძიმის ქვეშ ორად მოკაკული აბდულა მობანცალებს.

— ჩქარა! ჩქარა იარე, შე... — ებუზღუნება ეფრეიტორი სუსლოვი და ავტომატის ლულას ფრდებში უჩიჩზინებს.

აბდულას დამტვერილ სახეზე ღვარად ჩამოსდის ოფლი, ლოყებსა და კისერზე ტალახიან ზოლებს უტოვებს. აპრიალებულ, დაჭმუჭნულ შუბლზე დასკდომამდე ამოსჩრია ლურჯი ძარღვები, პირი დაუფჩენია და ქშინავს.

— პერეკურ! — გამოვცარი კბილებში, ტომარა ძირს დავახეთქე და აბდულასაც, ხელის ჩაქნევით, დაისვენე-მეთქი, ვანიშნე.

— ბიჩო, ბიჩო, პაშკა დაგვინახავს... — დაფრთხა სუსლოვი.

— ნუ გეშინია, პაშკა იქ აღარ დგას, — დავამშვიდე და ქვაზე ჩამოვჯექი.

— ახლახან არ დაისვენეთ? დავიგვიანებთ და თქვენი გულისათვის მერე მე მომხვდება, — ისევ აჭუჭყუნდა.

აბდულა მიწაზე დაჯდა და ცემენტიან ტომარას ზურგით მიეყრდნო. აჩქარებით სუნთქავს, ოფლს ხელზე დახვეული ჭუჭყიანი ბინტით იწმენდს, მოწკურული, მონგოლური თვალებით ხრიოკი სტეპის ბოლოს ამომართული, დაკბილული მთაგრეხილის მიღმა გადაშლილ ლაჟვარდოვან სივრცეს გასცქერის.

— რას უყურებ? — ჰკითხა უხალისოდ სუსლოვმა.

— ჩემს ცას, — უპასუხა დაღვრემილმა აბდულამ.

— რაას? — გამიკვირდა.

— აი, აი, — უცებ გამოცოცხლდა მოღუშული ეფრეიტორი, — რომელ შენს ცას, შე...

აბდულამ მის ლაზღანდარობას ყურადღება არ მიაქცია.

— იქით, იმ ლურჯი ცის ქვეშ ჩემი სამშობლოა, ჩემი სოფელი. იქ ჯარამდე ჩემს მამასთან და ძმებთან ერთად ეცხოვრობდი.

— ჰოო, — ჩაფიქრდა სუსლოვი, — ეგრე, ძმებო, ჩემი ცაც მოჩანს აქედან. აგერ, იქითაა, — გაიშვირა თითი ზღვისაკენ. — იქ ყველაფერი კარგია, სულ ყველაფერი, სამოქალაქო ცხოვრება მაინც სამოქალაქო ცხოვრებაა. ეჰ, რა შედარებაა... ახლა რა გოგოები არიან იქით... ახლა მათთან ვიყო! რა დროსტარება, რა საცეკვაო მოედნები... რომელსაც გინდა, იმას ჩაუკარი თვალი... მახსოვს, ერთხელ ერთი ქერა... — ეფრეიტორი ჰყვება ვიღაც გოგოზე, სამოქალაქო ცხოვრებისას ჩადენილ „საგმირო“ საქმეებზე და სულ ავიწყდება, რომ ვიგვიანებთ და ამის გამო მხოლოდ მას მოხვდება.

— შენი საითაა? — მკითხა მოულოდნელად.

— რა ჩემი?

— აი, ამან რომ თქვა, ცაო...

— რა ცა, აპ, ჰოო... — გამოვერკვიე სასიამოვნო მოგონებებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ცა იქითაა, — დასავლეთისკენ გავაქნიე თავი.

— კარგია, არა, იქ? — დაინტერესდა სუსლოვი.

— ძალიან.

— ჰოო, — გაწელა ისევ.

— დროა წავიდეთ, — ვთქვი და წამოვდექი, თან ცალი თვალით ყაზარმას გავხედე. პაშა ღიპიანი არსად ჩანდა.

— სუსლოვ! აბდულა დაიღალა, მიდი, მიეხმარე! გაიგე, რა გითხარი?

სუსლოვმა ცერად შემომხედა, მერე მასაც თვალი ყაზარმისაკენ გაექცა. ოღ-რაფერი უთქვამს, ავტომატი ზურგზე მოიგდო და აბდულას ტომარას დასწვდა.

როგორც იქნა, მივაღწიეთ გარნიზონის მაღაზიას და ტომრები წოწოლა, სახედაჭორფლილ ლეიტენანტს ჩავაბარეთ. მან ერთი კი შემოგვიღრინა, რად დაგვიანეთო, მერე შებრუნდა და იმავე მობრეცილ ფარდულში შეძვრა, საიდანაც წეღან გამოგვხედა.

ცემენტში ამოგანგლული ტანსაცმელი ჩამოვიბერტყეთ და იმ არემარეში ერთადერთი, კენტად ამოსული, სიცხისაგან ფოთლებმიმჭკნარი ხის ძირას ჩამოვსხედით.

ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე.

— მომაწევინე, რა, — გამეღრიჯა სუსლოვი.

მოუკიდა, გაბოლა, სიამოვნებისაგან თვალები მილული, ავტომატი ხეზე მიაყუდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

სიგარეტი აბდულასაც მივაწოდე, მაგრამ არ გამომართვა.

— რაო, თავს უფრთხილდები? დიდხანს გინდა იცოცხლო? — ჩაიქირქილა სუსლოვმა. — ერთი რამე მითხარი, ჩემო ძმაო: სასმელსაც არ სვამ?

— არა.

— კარგი! ქალებზე როგორღა ხარ?

— ?..

— ქალი თუ გყავს სამოქალაქოზემეთქი.

— რაა? — დაიბნა აბდულა.

— ქალი, მეგობარი გოგონა, როგორი გაუგებარი ხარ! — გაცხარდა ეფრეიტორი.

— საცოლე მყავს, — უხერხულად შეიშმუშნა აბდულა.

— რაო? ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა სუსლოვმა. — ეს მითხარი: მართლა ეგრეა თქვენთან: თუ ჯარმოვლილი არა ხარ, ისე კაცად არ გთვლიან და ქალს ცოლად არ გამოგაყოლებენ? ჰა, ასეა, არა? — ეფრეიტორმა მის ლოყაზე დასასვენებლად ჩამომჯდარი ბუზი დაიფრთხო. — რა ჰქვია იმ შენს საცოლეს? ისე კი მეც რას გეკითხები, ბაზილა ან ჰაზირა ერქმევა, ეგრე არ არის? — თავისი მიხვედრილობით გახარებულმა სუსლოვმა კმაყოფილი სახით შემომხედა და თვალი ჩამიკრა.

— ჩემს საცოლეს ლეილა ჰქვია და არა... — სახე მოეღრუბლა აბდულას.

— როგორ? აჰა, აი, ხომ ვთქვი, მართალია ჰაზირა არ ყოფილა, მაგრამ რაღაც მაგდაგვარი ხომაა, — იხტიბარი არ გაიტეხა ეფრეიტორმა.

— ლეილა კარგი სახელია, თანაც ძალიან კარგი სახელი, მაგრამ ამგვარი რამეებისა შენ მაინც არაფერი გაგეგება და გაჩუმდი, რა! — ვთხოვე სუსლოვს.

აბდულას სიხარულით აუციაგდა თვალები, ხოლო ნირწამხდარმა სუსლოვმა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება ვეღარ გაბედა და ხმა ჩაიგდო.

სიგარეტს მოვუკიდე და აბდულას ცას გავხედე. გამჭვირვალე, კამკამა სივრცეში თეთრი, ქათქათა ღრუბლის ქულა დასრიალებს ლაღად, თეთრაფრენებიანი ხომალდივით. „იმედის თეთრი ხომალდი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, მაინც მშობლიურ ნაპირებს მიადგება,“ — გავიფიქრე და ნაფაზი დავარტყი. კვამლი აღმოსავლური ჯინივით, ველური კლაკვნით აღიმართა მაღლა და უკიდეგანო სილაჟვარდეში გაითქვიფა.

— რას აპირებენ ნეტა, აღარ მიშვებენ ეს ოხრები? — გავბრაზდი მეთაურებზე.

უკვე მესამე დღეა, რაც მე და აბდულა ჰაუპტვახტის პატიმრები ვართ და ეს აყლაყუდაც, რომელიც ჩვენს ეგრეთ წოდებულ „გამომძვანად“ („ვივადნიოდ“) არის დანიშნული, ამიტომ დაგდევს უკან ავტომატით ხელში. როცა საპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიმროს გარეთ გამოვყავართ სამუშაოდ, მისი მოვალეობაა, გამუდმებით თვალყური გვადევნოს და თუ გაქცევას დავაპირებთ, იარაღის ძალით დაგვაკავოს. უკიდურეს შემთხვევაში კი ჩვენი მოკვლის უფლებაც აქვს. მართალია არც ჩვენ ვაპირებთ და ჩვენს მეთვალყურესაც მშვენივრად მოეხსენება, რომ არსად გამქცევები არა ვართ, მიუმეტეს უკვე პატიმრობის ყავლი გაგვდის და დღეს, ალბათ, გაგვათავისუფლებენ კიდეც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ვივადნიო“ მაინც უკან დაგვყვება. ეჰ, რას იზამ, როცა ჩვენს უზენაეს და ყოვლისმომცველ წიგნში, „უსტავში“ ამგვარი წესდებაა მოცემული.

მაღაზიასთან ატეხილმა ჩოჩქოლმა უნებლიედ მიიქცია ჩემი ყურადღება. მამედა მომმარაგებელს საზამთრო მოეტანა და მანქანიდან ცლიდა.

— მალე მოვალ! — ვთქვი და წავედი.

— ბიჩო, ბიჩო! საით, არ შეიძლება, მოიცა! — მომესმა სუსლოვის წუწუნი.

— ხმა ჩაიკმინდე! — დავემუქრე მუშტით. ისიც შეშინებული მიბრუნდა და აბუზღუნებული, აბდულას გვერდით ჩამოჯდა. აღელვებულმა ისეთი ღრმა ნაფაზი დაარტყა, ლამის ბუდიდან თვალები დასცვივდა და ხველა აუტყდა.

მაღაზიის წინ შეჯგუფული ხალხიდან ჩასუქებული, ჩოფურა თათარი გამოძვრა, ბედნიერი ღიმილით გააბრჭყვიალა ოქროს კბილების მთელი ასხმა და ამაყად დახედა. იღლიაში ამოჩრილ ვეებერა საზამთროს. ჯიბეში ფული მოვისინჯე და ხალხს შევერიე.

— ერთი ამას დამიხედეთ, ამას! სად მიძვრები, სად, შე ყაჩაღო: ეხლავე უკან დაბრუნდი და რიგში ჩადექი! — გაწიწმატდა ხმელ-ხმელი, ავადმყოფურად გაყვითლებული ქალი. მისი ქმარი, მელოტი კაპიტანი, გარნიზონის სახანძრო რაზმს მეთაურობდა.

— ჯარისკაცია საწყალი, წავიდეს ურიგოდ, მერე რა მოხდა? — გამომექომაგა პრაპორშჩიკის წამწამებაპრეხილი, ლამაზი ცოლი და თვალები ჩამიჟუჟუნა.

— საწყალი ეგ კი არა, ჩვენ ვართ, — ამოიოხრა ბატალიონის უფროსის პირადმა მდივანმა „დეიდა ლუბამ“, — ეგ ცოტა ხანში შინ წავა, ჩვენ კი, ჩვენი ოფიცერი ქმრების გადამიდე, ამ დაწყევლილ უდაბნოში ვინ იცის, როდემდე მოგვიწევს...

— ...მაგათ სასადილოც აქვთ და საჩაიეც, იქ მიბრძანდეს ეგ სალახანა, აქ რა უნდა! — არ ცხრებოდა კაპიტნის ცოლი.

ოფლად გაღვრილმა ძლივს გამოვგლიჯე მოყაყანე ბრბოდან საზამთრო და გამარჯვებული ღიმილით ხის ქვეშ მსხდარი ბიჭებისაკენ გამოვწიე.

ჩემი (უფრო კი საზამთროს) დანახვით გახარებულმა სუსლოვმა სასწრაფოდ ამოაძრო ქარქაშიდან, თევზის კონსერვის ტომატში ამოსვრილი დანა, შარვალზე გაისვ-გამოისვა და გამომიწოდა. საზამთრო დავჭერი. სუსლოვმა ერთი ნაჭერი აიღო, მზის შუქზე გაჰხედა, კმაყოფილმა დააქნია თავი და თვალებმილულულმა ჩაკბიჩა. აბდულამ სწრაფად გადასანსლა თავისი წილი, გაზინთული სახელო ტუჩებზე გაისვა და მიწაზე დაყრილ კურკებს ჩაუშტერდა.

— კიდევ აიღე, — მივაწოდე მეორე. კიდევ უფრო დიდი ნაჭერი, რომლისკენაც წელან თვალი გაექცა. საზამთროს წვენმა სახე მოუთხუპნა, გაჩხიკინებულ მაჯებზე ჩაუყვა და გამხმარ იდაყვებთან წითლად გამოქონა ბალახისფერ გიმნასტიორკაში.

ჭამას მორჩა, თავიდან პანამა მოიხადა და კისერზე მოისვა.

— ვინ გცემა? — მივანაშნე შესიებულ ყვრიმალზე.

— დუროვმა გაალამაზა, — გაიღრიჯა სუსლოვი, ქვიშაზე გულადმა გადწვა და ბრტყელი, დაჭოფილი სახე მცხუნვარე მზეს მიუშვირა.

— ყარაულში ძნელია?... — მკითხა უცებ აბდულამ.

— ძნელი არა, — ჩემს მაგივრად უპასუხა ეფრეიტორმა, — აი, ასე დაიჭერ ხელში ავტომატს და პოსტის გარშემო ივლი. თუკი ვინმე მაიმუნი შემოეხეტება, ჯერ გააფრთხილებ, გაჩერდი-ოქო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ჰაერში ისვრი და თუ არ დაგიჯერებს, მერე უკვე აღვები და...

— და რას იზამ მერე?

— რას იზამ და შუბლში ლეწავ და მიაძაღლებ, — სუსლოვმა საქმიანად გააწიტა, — თანაც ხომ იცი, მაგაზე თხუთმეტდღიანი შვებულებაა ჯილდოდ. იქნებ ბედმაც გაგიღიმოს. აგერ, მებრძოლი ვალკო, აი, ის, მეორე როტაში რომ მსახურობს; ვიღაცა შემოხეტებული ლოთი მოკლა, შვებულებაშიც გაუშვეს და რომ დაბრუნდა, უმცროსი სერჟანტის წოდებაც მაშინვე მისცეს, აბა!..

— მერე და ის ლოთი?... — შეეკუნტდი.

— უჰ, ვიღაცა უპატრონო მაწანწალა იყო. მეორე პოსტის მხარეს, იქით, ღობეების გადაღმა რომ მუშათა სასადილოა, იცით, არა? ისიც სულ იქ ეგდო ხოლმე. „სამავოლკაში“ რომ გავდიოდით, ხშირად ვნახულობდით. დივერსანტად გაასაღეს ის საცოდავი და ყველაფერი ამით დამთავრდა. ეგ კიდევ რაა, „ბიჩო“ კუკიანს ხომ იცნობ? — მომიბრუნდა ეფრეიტორი, — აი, მაგან ძაღლი გააგორა და ეგეც ათი დღით იყო შინ წასული, სადარაჯოზე გამოჩენილი სიფხიზლისათვის დაჯილდოვდა, თან მადლობის წერილიც გაგზავნეს მასთან, იქ. ის წერილი მერე რაიონულ გაზეთშიც დაუბეჭდავთ. მაჩვენა ის გაზეთი სომხურად ეწერა, ვერ წავიკითხე, მაგრამ ფოტო ნაღდად მისი იყო, საპარადო ფორმაში იყო ბიჭი გამოწკეპილი, თანაც თავზე ოფიცრის ქუდი ეხურა... ეჰ, რა გაუმართლდათ, ბედი სწყალობთ მაგათ, ერთი მე მომცა ეგეთი იღბლიანი შემხვევა და...

— მე ვერ ვესვრი, — თავი გააქნია აბდულამ.

— ვერ ესვრი? — გაოცდა სუსლოვი, — აი, რეგვენი! იქნებ, მართლა დივერსანტია, მერე რაღას იზამ? ვერ ესვრი, შენ ვერ ესვრი და თვითონ მიგაკლავს... თუ იმას გადაურჩი. ზემდეგსა და უსტავს რა პასუხს გასცემ? ეგრევე სამი წლით დისბატს აგიღებენ, იმის მერე ჯარის ორ დარჩენილ წელიწადს ისევ გამსახურებენ, — ეგეც შენი ხუთი წელი; იქ, სადაც მუშაობდი თუ სწავლობდი, რა ვიცი, წერილს გაგზავნიან, რიგითმა ამან და ამან თავი შეირცხვინაო... სამშობლოს დაცვაო... ესაო, ისაო... კომკავშირიდანაც გამოგისვრიან... სასწავლებლიდანაც თუ სამუშაოდან, სადაც იყავი... ერთი სიტყვით, მშვიდობით, მომავალო! ეგეც მაშინ, თუ დისბატს გადაურჩი... ამბობენ, იქ ბევრი ილუპებაო, ზოგიც გიჟდება თურმე. შენ რომ იქ ჩავარდე, ალბათ ცემით ამოგხდიან სულს. უჰ, ისევ იმ დივერსანტმა მოგკლას, ჯობია... აი, ერთი მებრძოლი ვიცოდი, ის საწყალი...

— გეყოფა რა, არც ეგრეა საქმე, მორჩი მაგ ლაყბობას! — გავაწყვეტინე ლაპარაკი. მასაც მეტი აღარაფერი უთქვამს, ვვერდზე გადაბრუნდა და თვალები მილულა. ხეზე ზურგით მიეყრდენი და კრიალა ცას ავხედე. საბრძოლო თვითმფრინავებმა მწყობრად გადაიფრინეს გარნიზონის თავზე, სამი-ოთხი წრე მოხაზეს და აეროდრომისაკენ წავიდნენ.

— ჰაიტ! — იკივლა უცებ ვიღაცამ. თავს სერჟანტი კოროლოვი წამოგვდგომოდა.

— ეგრე უნდა სამსახური, შე ძაღლის შვილო, შენა? — დაჰკივლა ისევ და მიძინებულ სუსლოვს წიხლი ჩაუზილა. დაფეთებული სუსლოვი წამოვარდა და დაბნეულმა ა�ცა თვალები, შემდეგ კი უცებ გონს მოვიდა, ავტომატს დასწვდა, გაიჯვიმა, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები საფეთქელთან იტაცა და გაზეპირებულივით დაიწყო:

— ამხანაგო სერჟანტო...

— კარგი, კარგი, — შეაწყვეტინა კოროლოვმა, — ჯერ ერთი, სერჟანტო კი არა, უფროსო სერჟანტო-თქო, ასე უნდა მომმართო დღეიდან. მეორეც, ეს ტურტლიანი უნდა წავიყვანო, — მიუთითა აბდულაზე, — ჰაშკამ, მოიყვანე, ღრეა ჟარაულში გავუშვათო. აბა როგორ, ბოლოს და ბოლოს ამანაც ხომ უნდა ნახოს, რა არის ნამდვილი სამსახური! — ბოლო ფრაზა მეტისმეტი მონდომებითა და რიხით წარმოთქვა და ახალდაკერებულ სამხრეებზე დაიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდულა გაფითრდა და მე შემომხედა.

— ბიჭოს ვახშმის შემდეგ გამოუშვებენ, — თქვა სერჟანტმა, ქუსლებზე შეტრიალდა და წავიდა. აბდულა თავის კანტურით მიჰყვა უკან. საღამოს მზე. უკვე ჩემი ციხაკენ რომ გადახრილიყო, ალერსიანი სხივებით ელიცლიცებოდა მის მოტვლეპილ, პრიალა თავს, წაგრძელებულ კისერს და ვიწრო ავადმყოფურად ჩამოყრილ მხრებს.

ამ ორიოდე თვის წინათ ჩვენს გარნიზონში ახალწვეულები მოიყვანეს. მათ გამოჩენას ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესითა და სიხარულით ხვდებოდა მთელი სამხედრო შემადგენლობა. ყველაზე მეტად კი „ამხანაგი მებრძოლები“ (ამ სახელით ირონიულად მოგვმართავდნენ გაბღენძილი ოფიცრები) ხარობდნენ, რადგანაც ახალბედების გამოჩენა ზოგისთვის შემცვლელის მოსვლა იყო, რაც იმას მოასწავებდა, რომ მალე ეღირსებოდათ ესოდენ სანატრელ დემობილიზაციაში წასვლა, სხვათათვის კი ეს მოვლენა კიდევ ერთი „სამსახურებრივი პერიოდის“ მომატებასა და თავიანთ დემობილიზაციასთან მიახლოებას ნიშნავდა. ახალბედები ბატალიონის შტაბთან შეჯგუფულიყვნენ. ჯერ ისევ სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ. ზოგი მათგანი უხერხული ღიმილით შემოგვაქროდა და დარცხვენილი ისვამდა ხელს პირწმინდად გადაპარსულ თავზე. ზოგს, ახალგაცნობილ თანამემამულესთან მომუსაიფეს, იმედიანად უბრწყინავდა თვალები; ზოგნიც, ზურგჩანთებზე ჩამომსხდარნი, ამრეზით, უნდოდ გვიცქეროდნენ, სახეზე კი ნაძალადევი სიმშვიდე და სიამაყე აღბეჭდოდათ.

— ეე! ეს შავი ნახე, რას გავს! წამო, გამოველაპარაკოთ, — ვიღაცისაკენ მიმითითა ოტია სვანმა და იქით გაეშართა.

სწორედ ეს შავი ახალწვეული გახლდათ აბდულა. იგი კუთხეში იჯდა, ხელით შეკერილი ტილოს პატარა ჩანთა გულში ჩაეკრა და დამფრთხალი კურდღელივით აცეცებდა თვალებს.

— აბა, აბა, დავიშალოთ! დავიშალოთ-მეთქი, ამხანაგო მებრძოლებო, ვის ვეუბნები! თქვენ რა, აქ ცირკი ხომ არ გგონიათ? თუ რომელიმე თქვენგანს ხუთდღიანი დასვენება მოგენატრათ, ჰა? — დაიღრიალა ღიპიანმა მაიორმა, რომელსაც ფუტკრებისაგან დაკბენილივით ჩამოსიებოდა ყვრიმალები და რუსული პელმენებივით ეკიდა თვალის უპეები.

— ნახე, ბიჭო, ტახი ისევ „პახმელიაზეა“. ჯობია, დროზე მოვერიდოთ... — იდაყვი წამკრა ოტიამ და საჩაიესაკენ გასწია.

„ტახმა“ ოთხ მწკრივად განალაგა ახალწვეულები და აბანოსაკენ წაუძღვა. იქ მათ (როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე) საბოლოოდ უნდა ჩამოერეცხათ ბავშვობა, სამოქალაქო თავისუფლების მტკვერი და იმავე დღიდან შესდგომოდნენ სამხედრო, სავალდებულო სამსახურს. ამიერიდან მათ უნდა მოეხადათ ის წმინდათა წმინდა მოვალეობა, რაც განგებამ მხოლოდ ბედნიერ საბჭოთა ჯარისკაცს არგუნა ბედად. ეს დიადი ვალი ხომ ჩვენ, ყველას, საშუალებას გვაძლევდა საკუთარი მკერდით დაგვეცვა ჩვენი მრავალეროვანი, ინტერნაციონალური მშრი ოჯახებით დასახლებული სამშობლო.

— აბა, აბდულა, მოიტანე...

— აბა, წაიღე...

— აბდულა, ჩქარა... უხ, შენი დედა... — ისმოდა ყაზარმაში. ალალი და გულკეთილი აბდულა სხვების მაგივრად მუშაობდა. სამაგიეროდ კი მათგან ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპას იმკიდა, ისევე, როგორც მრავალი სხვა ახალწვეული. გულჩათხრობილს, ყველასათვის უცხოს, მეგობარი არ ჰყავდა, გარდა მაწანწალა. ალაგ-ალაგ ბეწვგაცვენილი წითური ძაღლისა. ძაღლს უნდო და ბოროტი თვალები ჰქონდა, მასთან მიახლოებულს ღრენით აფრთხილებდა და კუდამოძუებული იხევდა უკან. ერთადერთი ადამიანი, რომელიც უყვარდა. აბდულა იყო. მხოლოდ მასთან სიახლოვისას ეცვლებოდა თვალების ველური ელვარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ დროს (რაც ძალიან ცოტა ჰქონდა) აბდულა ან თავის მეგობარს ებაასებოდა, ან ყოფილ იარაღის საწმენდ ოთახში იჯდა და ჩასცქეროდა ახლობლების სურათებსა და დაჭმუჭნილ წერილებს, რომელთა რიცხვიც პერიოდულად იზრდებოდა. ამ ოთახში ზაფხულობით სიცხის ბუღი იდგა, ხოლო ზამთარში საშინლად ყინავდა. მას შემდეგ, რაც მან თავისი ფუნქცია დაკარგა, იშვიათად რომ იქ ვინმე შესულიყო. მაგრამ ზოგჯერ რომელიმე მოცლილი მაინც წაადგებოდა ხოლმე თავზე აბდულას. ის მაშინვე მიმალავდა ყველაფერს და დარცხვენილი შეჰღიმებდა მომხდურს. მოგვიანებით ზემდეგმა ტუპოვმა აღმოაჩინა, ჩამოართვა და საჯაროდ დაუწვა აბდულას მთელი მისი „საუნჯე“, რაიც მებრძოლისათვის „უმაქნის და ყურადღების გამფანტავ ლიტერატურად“ მიიხსენია და გამოაცხადა, ამეების ქონას უსტავი არ ითვალისწინებსო. მართალია „უსტავში“ მსგავსი არაფერი იყო მითითებული, მაგრამ ტვინგადაგლესილ ტუპოვთან, იგივე პაშკა დიპიანთან ამ საკითხზე დავას აზრი არ ჰქონდა, რადგან ყველამ მშვენივრად იცოდა, რომ ზემდეგისათვის, რომელსაც განსაკუთრებული სიმკაცრით მოჰქონდა თავი, ჯარისკაცის სიტყვა არ ფასობდა.

აბდულას ზოგი თანაგრძნობით ეკიდებოდა (ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ, რადგან ყველას თავისი გასაჭირი ადგა და უმეტესობა სხვათა სადარდელს ვერც კი ამჩნევდა), ზოგისთვის კი მისი წუხილი გასართობად ქცეულიყო.

— რაო, სახლი გენატრება? — წამოარტყამდა ვინმე არამკითხე ჭკუის მასწავლებელი კეფაში, — შინ ყოფნა ვის არ უნდა, შე ვირო, შენა, მაგრამ ჯერ აქ უნდა იმსახური, უნდა ხეხო ორი წელი... გაიგე, შენი!... — გინებას მუჯლუგუნებსაც მიაყოლებდნენ, ისე, გასართობად, და მოეშვებოდნენ.

აბდულა ასეთ დამრიგებელს არაფერს უპასუხებდა, დაღვრემილი ჩავიდოდა ეზოში, მეგობარს მოძებნიდა, თავის ულუფიდან მისთვის გადანახულ კარაქსა და პურს უწილადებდა და დიდხანს შესჩიოდა რაღაცას.

— ეყოფა, არ შემოგაკვდეს ეგ ძაღლის ლეკვი, — გააჩერა ერთმა მეორე.

— ეს შავი მაიმუნი! მაშ, გაჩერდი, თორემ გესვრიო, არა? უჰ, შენი დედა... — ისევ ჩაარტყა ფეხი მუცელში წაქცეულს. — რატომ უნდა გესროლა? სიგარეტზე გადმოვედი... მესროლე, ჰა, მესროლე, აბა თუ კაცი ხარ!

— კარგი, ჰო! კარგი, ეყოფა, წავიდეთ ახლა, — მხრებში ჩაავლო ხელი პირველმა მეორეს და სადარაჯო ზონიდან ძალით გამოათრია.

ბარბაცით დაადგნენ მთვარით განათებულ ვიწრო ბილიკს.

— ეგრე არ უნდა გეცემა, ხომ ნახე, ხელიც კი არ შემოგიბრუნა, — თქვა პირველმა.

— მეცემა კი არა, უნდა მიმეხრჩო! ჰმ, გესვრიო, შემაშინა, გესმის? ანდა რისთვის...

— წესით, უნდა ესროლა, უცხოები სადარაჯოზე შევიჭერით, ეგ ვალდებულიც კი იყო...

ცოტა ხანს ჩუმად იარეს.

— მაინც რატომ არ მესროლა... ამ ოხერმა სასმელმაც სულ დამიბნელა გონი, — ჩაილაპარაკა მეორემ. — სულ შენი ბრალია, აქეთ რა გვინდოდა.

— აბა, აბა, ჩემი რა ბრალია? ეე, შენ არ მივარდი? — გაბრაზდა პირველი.

— კარგი ჰო, კარგი, — დაამშვიდა მეორემ.

მათი ხმა ნელ-ნელა მიწყდა, ღამის მდუმარებაში ჩაინთქა.

პირქვე ჩამხობილმა აბდულამ დამძიმებული თავი წამოსწია და გახურებული, სისხლსა და ტალახში ამოსვრილი სახე ნიავს მიუშვირა.

ნაცემი წელი ძლივს აითრია. ავტომატი ორიოდე ნაბიჯის მოშორებით ეგდო და მთვარის შუქს ირეკლავდა.

— „ხუთი წელი, მთელი ხუთი წელი, შეიძლება ვეღარც კი დავბრუნდე... — გაუელვა თავში. — ამასობაში ყველა შინ დაბრუნდება, დაბრუნდება მელიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეიც ვალმოხდილი ჩავა შინ, მე კი...“ რას იტყვიან... რას იტყვის მამა, მეზობლები... ყველა, ყველა... ალბათ, სულ ცუდს. მოიძულებენ სამუდამოდ. ნეტა ლეილა რაღას იტყვის, მისი შვთვალა ლეილა, რომელიც მოუთმენლად ელის ამ ორი წლის გასვლას? ამის შემდეგ ალბათ ისიც... მერე კი...

უცებ ერთად წარმოიდგინა ლეილა და მელიქბეი. წამით სისხლი გაეყინა ძარღვებში. ხუთი წელი, ხუთი წელი ხომ ძალიან ბევრია, მთელი სიცოცხლეა! ამასობაში ხომ ყველაფერი დასრულდება. თუნდაც გადარჩეს, მერე სად წავიდეს? იქ ხომ აღარ მიეკვლება... მაგრამ მოიცა, დედა ხომ მაინც მიიღებს, თავისი დედა, რომელსაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა აბდულა... ჰო, მასთან წავა, დღესვე წავა, აი, ეხლავე...

ცივი რკინის შეხებაზე გააჟრჟოლა, სასხლეტი მოსინჯა და აღმოსავლეთს გახედა. მოახლოებულ განთიადს წითლად აენაკვერცხლებინა „მისი ცა“.

— იქ, ჩვენთან უკვე დილაა, — ბედნიერი წარსულის გახსენებამ სახე გაუცისკროვნა. სროლის ხმა აღარ გაუგია, ისე შეაკვდა პირზე ღიმილი.

ორი დღე ესვენა შავ სუდარაგადაფარებული ცხედარი ჯარისკაცთა კლუბის საკუჭნაოში და ამ ორი დღის განმავლობაში გარნიზონში ჩვეული რიტმით გრძელდებოდა სამსახური, ჩვეულებრივ, სრულიად ჩვეულებრივ, ისევე, როგორც მისი დაარსებიდან იმ ორ დღემდე, და როგორც გაგრძელდებოდა მას შემდგომ, ვინ იცის, როდემდე...

მესამე დღეს ყაზარმის წინ გამწკრივებულ მწყობრს ღიაზე შემოწყობილი ცერა თითების თამაშით აუარ-ჩაუარა ტუპოვმა, გაბუშტული ცხვირი მოიქექა, მრავალმნიშვნელოვნად გადმოგვხედა და ჩვეული მქუხარე ხმით მოგვმართა:

— ამხანაგო ჯარისკაცებო! მოხდა გამოუსწორებელი, ეგრეთ წოდებული განსაკუთრებული შემთხვევა. დაიღუპა თქვენი თანამებრძოლი, ჩვენი მმური კოლექტივის ერთ-ერთი წევრი, რაგვინი აბდულა ალიევი. იგი დაიღუპა, „დაეცა“. მაგრამ არა ისე, როგორც შეჰფერის ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა საშობლოს ჯარისკაცს: მამულის დასაცავად მდგარი, მტრის ხელით განგმირული კი არა, არამედ მხდალივით მოიკლა თავი და შეგვარცხვინა ყველა, მისი მშობლიური კოლექტივი, სოფელი, ოჯახი... მართალია გარდაცვლილია, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ მისთანები იღუპებიან, რადგან ლაჩრები არიან, სილაჩრემ კი, შესაძლოა, ღალატამდეც კი მიიყვანოს ადამიანი. მათ არ შესწევთ უნარი გვერდში ამოუდგნენ საბრძოლო მეგობრებს, რომ ყოფილიყო ამჟამად... თუნდაც, ავიღოთ დიდი სამამულო ომი, მაშინ როდესაც უამრავი თავგანწირული საბჭოთა ადამიანის გვერდით ასეთი...

მისი გაუთავებელი მჭევრმეტყველებით გაღიზიანებული ჯარისკაცები ჩუმად დრტვინავდნენ, ტუპოვი კი ჩვეული რიხით განაგრძობდა „პატარა ლექციას“ და რისხვით გვიბრიალებდა თვალებს.

— ...მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვისი ქმედებაც ყველასათვის სამარცხვინო და დასაძრახისია და ვერ შეძლო (თუ არ ისურვა) მოეხადა წმინდათა-წმინდა ვალი — საკუთარი მკერდით დაეცვა ჩვენი დიდი ქვეყანა, იგი მაინც ჩვენს ინტერნაციონალურ კოლექტივს ეკუთვნოდა და მისი ნათელი ხსოვნაც მარად დარჩება საბრძოლო მეგობრების გულში... — ტუპოვმა ქუდი მოიხადა და მგლოვიარე სახით ჩააჩერდა მიწას.

ცოტაოდენი დუმილის შემდეგ გასწორდა, ისევ მედიდურად აუარ-ჩაუარა მწყობრს და ათი კაცი გამოგვყო თუთიის კუბოს ვერტმფრენამდე მისატანად. შემდეგ კი მცირე ახსნა-განმარტება მოგვცა იმის შესახებ, რომ დღეს ამ კუბოთი აბდულას ცხედარს გაგზავნიდნენ და რომ ისეთებსაც კი, როგორიც ის იყო, ჩვენი ჰუმანური სახელმწიფო მა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ინც უზრუნველყოფდა საჭირო ინვენტარითა და ტრანსპორტით.

— რაღა მე? რაღა მე დამავალეს? სხვა არავინ იყო? — ბუზღუნებდა კუბოს გვერდით მომავალი გამხდარი პრაპორშჩიკი და ნერვულად იკვნეტდა ტუჩებს. მას და საპარადო ფორმაში გამოპრანჭულ კოროლოვს ცხედარი თავის სახლამდე უნდა მეეცილებინათ.

კუბო ვერტმფრენში დავასვენეთ და გამოვბრუნდით.

ვეებერთელა პროპელერი ჯერ მძიმედ დატრიალდა, მერე სისწრაფეს უმატა და ზუზუნით აიტაცა ჰაერში რკინის გიგანტური ნემსიფლაპია.

მარცხენა ფეხზე რაღაც შემეხო. დავიხედე: ჩემს ფეხს აცახცახებული ძაღლი ეკვროდა, დრუნჩაწეული ასცქეროდა აღმოსავლეთისაკენ მიმქროლავ ვერტმფრენს და წკავწკავებდა.

ლაჟვარდი ციდან ქუდმოხდილ, მწვანე სამხედრო გიმნასტიორკაში გამოწყობილ ბიჭებს და ალაგ-ალაგ ბეწვგაცვენილ წითურ ძაღლს ალერსიანი ღიმილით დაგვცქეროდა ცხრათვალა მზე.

საამოდ უბერავდა გრილი ნიავი და წვიმის შემდეგ ამოწვერილ ბალახს აბიბინებდა.

შორს, შორს, დაკბილული მთაგრეხილის გადაღმა, ტყვეიისფერი ღრუბლების ტალღებს შთაენთქა თეთრად მოქათქათე „იმედის ხომალდი“.

თითქოს მუქარას გვითვლიდა ამდულას ცა — ყველას, სულ ყველას. აქ დარჩენილთ, მის ბობოქარ წიაღში კი ნელ-ნელა უწინარდებოდა მფრინავი შავი წერტილი. ამდულა მშობლიურ მიწას უბრუნდებოდა.

ᲓᲘᲓᲒᲣᲚᲐ

ჩემს წითელ დიდგულას მამლების ჩხუბის მოყვარულები (მემამლეები) კარგად იცნობდნენ. დიდგულა მთელი სოფლის მამლების „ყორი“ და უძლეველი ფალავანი იყო, ამიტომაც მასთან საძიებელაოდ მხოლოდ რჩეულები ამოჰყავდათ.

როგორც კი ხმა დაირხეოდა, დიდგულა ჩხუბობსო, მაშინვე უამრავი მაყურებელი მოაწყდებოდა ხოლმე ბრძოლის ველად ქცეულ ჩემს პატარა ეზოს.

დიდგულა ეზოს სრულუფლებიანი მბრძანებელი გახლდათ. მის უნებართვოდ ცაში ქორი და ძირს ჭიანჭველა ვერ გაიჭაჭანებდა.

ვაი იმ უცხო გოჭსა თუ ინდაურს, რომელიც საზღვრის დარღვევას ბაბედავდა. მართალია ჩვენებს არას ერჩოდა, მაგრამ საცოდავები, მისი უზენაესი ნების ქვეშ მყოფნი, გასუსულები დაუდიოდნენ.

ეს კიდევ არაფერი, მისი შიშით სტუმარი ვეღარ ბედავდა მოსვლას. თუმცა ზოგჯერ რომელიმე ჩემი მოკეთე მაინც არ ერიდებოდა თავის საფრთხეში ჩაგდებას. უჰ, ასეთს „ბადრაგით“ ვაცილებდი ჩემს მაღალ აივანზე და ყოველი მხრიდან ვუყურეიდი გაავებული დიდგულას შემოტევებს.

სულ სხვანაირად ეპყრობოდა თავის საამოდ ჩატუკნულ მზეთუნახავ ცოლებს. აქ დიდგულა ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ. დილიდან საღამომდე თავს ევლებოდა, დაჰკურკურებდა, ნაგავს უქექავდა და სულ ნასუქ ჭიაყელებს სთავაზობდა ამ კეკლუც მანდილოსნებს. ვაი მეზობლის იმ საცოდავი მამლის ბრალი, რომელსაც ღობის გადაღმიდან, თუნდაც უნებლიედ, მათკენ გამოექცეოდა თვალი. დიდგულა მაშინვე გადაეჭრებოდა თავხედს და „ავთვალობისათვის“ ისეთ დღეში ჩააგდებდა, რომ დედლის სახსენებელს დაავიწყებდა. მერე ერთს მძლავრად შეიბერტყავდა ტანს, თავპირდასისხლიანებულ დაზარალებულს მისსავე ცოლებს ზრდილობიანად მიუგდებდა, გაცხარებისათვის ბოდიშს მოიხდიდა და ისევ აქეთ გადმოფრინდებოდა.

მართალია ძლიერი იყო დიდგულა, ძალიან ძლიერი, და თავადაც კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ უსამართლოდ მაინც არავის ერჩოდა. კარგად იცოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საკუთარიცა და სხვისიც“ და თავის უფლებებს საკუთარი საბრძანებლის გარეთ არ ავრცელებდა.

ეიდხანს ბატონობდა ჩვენს ეზოში ეს პატარა მონარქი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი შეიცვალა და მისი დიდების ვარსკვლავიც სამუდამოდ ჩაესვენა წარსულის უკუნეთში.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სოფელში ვიღაც-ვიღაცეები უკმაყოფილოდ ალაპარაკდნენ: კოწიაანთა რაღაც უცხოური, პატარა ჯიშის მამალი გაიჩინეს; გაწყვიტა მამლები იმ ჭირგასაჩენმა, იმან, ერთი აღარ გაუშვა გაუპუტავ-გაულახავიო. ეს იყო და ეს. ცოტა ხანში მემამლეებმაც აიტაცეს მისი სახელი, სულ პირზე ეკერათ. რამდენჯერმე კაცებიც მომიგზავნეს, რომელი მიკოვა; ორივე კარგი მოჩხუბარია, მაგათ ძიძგილაობა ძაან სანახავი იქნება და შენი ჭირიმე, უარი არ თქვა, მაგ სიამოვნებას არ მოგვაკლოო.

მაინც უარი შევუთვალე: ჩემი დიდგულა ვიღაც გუშინდელ გამოჩეკილ ღლაპს თავს როგორ გაუყადრებს, ეგღა გვაკლია იქ ვეახლოთ! უნდათ? ჩვენსა ამოვიდნენ და ვნახოთ, ვისი აჯობებს-მათქი.

მართალია ჯერჯერობით ბრძოლის ველი ცარიელი იყო, მაგრამ კარგად ვიცოდი, ადრე თუ გვიან გარდაუვალი ორთაბრძოლა მაინც მოხდებოდა. კოწიას ბიჭს ხომ ჯერაც არ ჰყავდა გამოგლოვილი თავისი საყვარელი „ყვინჩილა“, რომელიც შარშან ისე გალახა დიდგულამ, პატრონს დასაკლავი გაუხდა და, აბა, კოწიას ბიჭი მის სისხლს ეგრე უბრალოდ როგორ შეგვარჩენდა!

და აი, ბრძოლის დღეც დადგა.

სეკუნდანტებმა მუყაოს ყუთით მოაბრძანეს ფალავნობის პრეტენდენტი. დიდგულას წინასწარ გაღიზიანებას მოვერიდე, ამიტომ მათ დალურსმული უკანა კარი გავუხსენი და ჩუმად ამოვაპარე აივანზე. უცებ დაბარებულებივით გამოცხადდნენ მემამლეიბიც და ერთიმეორეში სანაძლეოებს ჩამოვიდნენ.

წინასწარ მოვრიგდით — ორთაბრძოლის მსვლელობისათვის ხელი არ შეგვეშალა. მანამ გაგრძელდებოდა, სანამ თავისთავად დასრულდებოდა ერთ-ერთი ფალავნის უეჭველი გამარჯვებით. ამის შემდეგ „ლაწირაკი“ დემონსტრაციულად ამოსვეს ყუთიდან და ყიჟინითა და „ცუმპა-ცუმპას“ სიმღერით ეზოში გადაბრძანეს.

დიდგულამ მაშინვე შეამჩნია თავის ტერიტორიაზე უცხო მამლის თავხედური შემოჭრა, სანეხვის ქექვა შეწყვიტა, აუჩქარებლად მოუბოდიშა საყვარელ ნაცარას, არც სხვა ცოლებს მოაკლო ყურადღება, მათაც რაღაც ჩაუკაკან-ჩაუკურკურა და უცნობი ღლაპისაკენ დინჯი ნაბიჯით დაიძრა. „ლაწირაკმაც“ უმალ შენიშნა წითური გოლიათი და როგორც ბუნებით სჩვეოდა, დაუყონებლივ თავს დაესხა.

პირველსავე შემოტევაზე დიდგულამ თავისი საყვარელი კისრული იხმარა და უბრდელი ლაწირაკი შორს მოისროლა, მაგრამ მისდა გასაკვირად, ნაცვლად იმისა, რომ უმწეო მსხვერპლს გაქცევით ეშველა თავისათვის, ის ისევ ფეხზე წამოიხტა და უფრო მეტი სიმხნევით ეკვეთა.

დიდგულამ ისევ მძლავრად დაიქნია მოწინააღმდეგე და ახლა უკვე ბრაზისაგან თვალებჩასისხლიანებული დაცხრა ზურგზე დაცემულს, მაგრამ „ლაწირაკმა“ მშვიდად აიცილა გამანადგურებელი დარტყმა, აკრობატული მალაყი გაჭიმა, კუჭა დეზები თავდამსმელს ჩიჩახვში ამბერა და ბიბილოში მისწვდა. დიდგულამ მძლავრად შეიბერტყა მკერდი და მორიგი შეტევა შეაგება მტერს. „ლაწირაკმა“ ისევ მარდად აიცილა დარტყმა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და ინერციით გაგორდა ბალახში. ისევ ელვის სისწრაფით წამოხტა და იმგვარი გამძვინვარებით ეკვეთა დიდგულას, მისი დიდი ყურადღება რომ არა, უეჭველად თვალში ჩაასობდა ბასრ ნისკარტს.

— ოო, აი, ამის ყურება კი მართლა ღირს! — ხელები მოიფშვნიტა ერთია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად სახედაჭორფლილმა, წოწოლა მემამლიამ.

— აბა! აბა! — დაეთანხმა ვიღაც.

— ორთავე რა მაგარია, ეე!

— იმ პატარას დახე, რა ყოფილა!... ვინ იფიქრებდა, რო...

— ყოჩაღ, დიდგულ... მიდი ერთი, მისცხე მაგ იმპორტულ, ჭრელ ჯუჯას!...

— დახე! დახე...

მეტოქეები ცოტა ხნით შეყოვნდნენ. სული მოითქვეს და ნისკარტწაწვდილები ბოროტად ჩაჩერდნენ ერთმანეთს თვალებში.

ორივე მზად იყო მოწინააღმდეგის შემოტევას ელვისებური კონტრდარტყმით გამოპასუხებოდა.

ზამბარასავით დაძაგრული „ლაწირაკი“ ადგილზე გაქვავებულიყო. იგი მიხვდა, ძლიერ და გამოცდილ მეტოქესთან ამგვარად არაფერი გამოუვიდოდა და გადაწყვიტა, დროზე ეხმარა რაიმე ხერხი.

ყველასათვის მოულოდნელად, ნისკარტის ზემოთ-ქვემოთ თამაში წამოიწყო. მისმა ასეთმა საქციელმა ყველა გაგვაოგნა. ვერავინ მივხვდით, თუ რას აპირებდა.

აი, აქ კი მართლა შეცდა ძველი მოჩხუბარი. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი მზაკვრული ფანდი და თავისდაუნებურად მოძრაობაში აჰყვა მეტოქეს. ვერც კი შეამჩნია, ნელ-ნელა როგორ მოეშვა და როგორ აუჭრელდა თვალები. „ლაწირაკმა“ უმალ „დაიჭირა“ მოწინააღმდეგის ყურადღების წამიერი მოდუნება და სანამ ჩემი მამალი თავის აწევას მოასწრებდა, ფრთების ფართხუნით მზერა დაუხშო, ისევ ის აკრობატული მალაყი გაჭიმა, ბასრი ნისკარტით ბიბილოზე დააცხრა, მთელი ძალით ჩააფრინდა და ეოდრე ტკივილისაგან გაოგნებული და ლაბნეული დიდგულა რამეს მოისაზრებდა, კაუჭა დეზები დასცხო თავში.

კიდევ დიდხანს იძიძგილავეს მამლებმა, მაგრამ „ლაწირაკი“ უკვე აღარ თამობდა პოზიციას და ბრძოლის ბედი აშკარად სწყალობდა. მაგრად ეჭირა მეტოქე, სულის მოთქმასაც აღარ აცდიდა და ბღუჯა-ბღუჯა აბდღვნიდა ბუმბულს.

ბიბილოდან ღვარ-ღვარად ჩამოდენილი სისხლით თვალებამოვსებული დიდგული ვედარაფერს ხედავდა და უმწეოდ აწყდებოდა აქეთ-იქით. მართალია გრძნობდა, რომ ყველაფერი უკვე დასრულდა, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა, უკანასკნელ ძალებს იკრებდა და ბრტრის მოცილებას ცდილობდა. მაგრამ...

ბოლოს და ბოლოს სისხლმოწყურებულმა „ლაწირაკმა“ გული იჯერა მისი გვემით და ნაცემ-ნაბეგვი დიდგულა ღობის ძირას მიაგდო.

— ვაშაა! — დასძახეს „უცხოელის“ აღტაცებულმა გულშემატკივრებმა.

— ეეჰ, — ხელი ჩაიქნიეს ჩვენებმა.

ახალმა „ყოჩმა“ ერთი ყოჩაღად შეიბერტყა ნაბრძოლი სხეული, მერე დაერია უკვე დამარცხებული მეტოქის შიშველსაგან აკრიახებულ, ლამაზ ცოლებს, შორიახლოს რომ შეჯგუფებულიყვნენ, და ყველა სათითაოდ გაახახა. ამის შემდეგ საქათმის თავზე შეფრინდა, გამარჯვებისა დაჰყივლა და უკან დადევნებული, აღფრთოვანებული პატრონისათვის ზედაც არ შეუხედავს, ამაყად გადაფართხუნდა ეზოდან.

ცოტა ხანს კიდევ იცინეს და იხორხოცეს, იდავეს და იყაყანეს კმაყოფილმა თუ ნირწამხდარმა მოსეირეებმა და დაიშალნენ.

საღამოს ძლივსღა აითრია წელი საბრალო ექსფალავანმა, ზედაც არ დახედა მისთვის მირთმეულ დარჩეულ საკენკს, აღარც ჩემს ალერსიან, გამაწხნეველელ სიტყვებს უგდო ყური და ქანცგალეული შებარბაცდა საქათმეში.

მეორე დილით გულგახეთქილი ვიპოვე, ქანდარის ძირას ეგდო, თავისივე ცოლებისაგან დასკინტლული და თვალებდაკორტნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეონა ბექიშვილი

ნაცარი, მაღალყელიანი ფეხსაცმელები, გაჩერებები და სხვა

„ეს ქალი ძლიერმა კაცებმა დაღალეს...“

(ჟეგრიბარის ეროთხრობიდან)

ჩემს შეყვარებულს გაუბაცდა ნაჭრილობევი
დაღლილ სახეზე,
რომელიც მე არ დამიმჩნევია.
ჩემს შეყვარებულს გაუბაცდა დაღლილობა,
რომელიც მე არ დამიმჩნევია,
ჩემს შეყვარებულს გაუბაცდა სიყვარული,
რომელიც მე არ დამიმჩნევია.
ჩემს შეყვარებულს გადაუარა მკერდზე ბალახმა
და ის ბალახიც გაბაცდა და ჩაიფერფლა,
და ის ბალახიც არ დამირგავს მე მის საფლავზე,
და არც არასდროს არ მინახავს მე ის საფლავი,
და არც თვითონ ის არ მინახავს არასოდეს,
მაგრამ ნამდვილად არსებობდა და სახეზე იარაც ჰქონდა,
დაღლილიც იყო და სხვა ქალიც უყვარდა ალბათ,
და მერე, ერთიანად რომ ჩაიფერფლა, დამიტოვა სიყვარული,
რომლითაც მიყვარს,
რომელიც არის მონაგონი
და უბრალო სულის შებერვითაც ისე შემიძლია გავფანტო,
როგორც ნაცრის მსუბუქი გროვა.
ნაცარი კი შეიძლება მისი სხეულის კრემაციის შედეგადაც იყოს
მიღებული, —
მე რა ვიცი, იქნება დაწვეს...
უცნაურია, როცა შენი სხეულის ნაწილი, თუნდაც თავი, არის ყუთი,
სადაც დროებით ასვენია სხვისი დამწვარი სხეულის ფერფლი,
რომელიც შენი შეყვარებულია,
და თან ისიც არ იცი, ცხოვრებაში რას აკეთებდა, რა ერქვა ან რა გვარი იყო,
და ამიტომაც არ იცი, რომელ ოჯახში მიიტანო,
როგორც ძვირფასი რელიქვია.
და დაატარებ, და არავის ეჭვი არა აქვს,
რომ შენი თავი არის ყუთი, რომელშიც შენი შეყვარებულის
ფერფლი ინახება,
და, რადგან მისი ტარება დიდი ხანია გეუხერხულება,
ეძებ ვინმეს,
ვისაც ეს ფერფლი რაიმეში გამოადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

სისულელეა ეს ყველაფერი, არ დაიჯერო.
მე, მართალია, შემიძლია საკუთარ თავს შევთავაზო მსგავსი თამაში,
მაგრამ ცხოვრებად ის ვერასდროს ვეღარ იქცევა
და ვერ გასცდება თამაშის საზღვრებს,
თუნდაც იმიტომ,
რომ ეს მე ვარ, ზაფხულის ქალაქში მაღალყელიანი ფეხსაცმლით
მოსიარულე,
რომელიც, მართალია, ცოტას კი მაწუხებს,
მაგრამ, სამაგიეროდ, ყურადღებას ვიქცევ
და რომელიმე მეგობარს თავსაც შევაცოდებ საზაფხულო ფეხსაცმლის
უქონლობით
და თან, ამით იმასაც აღვნიშნავ, რომ ასეთ წვრილმანებზე
ბევრად მაღლა ვდგავარ.
სისულელეა, გარდაცვლილ უცნობს ასეთი ქალი ვერ შეიყვარებს
და ეს თამაშიც ვერ გასცდება თამაშის საზღვრებს,
თუნდაც იმიტომ,
რომ მე ერთხელაც არ ვწოლილვარ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში,
ერთხელაც არ გამიმეტებია ჩემი თავი ერთი ნამდვილი დეპრესიისთვის
და ამისთვის ხომ უფრო მეტად არ გავიმეტებ.
და ეს თამაში ვერ გასცდება თამაშის საზღვრებს,
თუნდაც იმიტომ,
რომ ეს თამაში გაქცევაა
და თუ ნამდვილი და განცდილი მას მაინც ახლავს,
ესაა ნაცარი,
რომელიც ჩემს თავში მართლა ასვენია.

II

თმა გადამპარსეთ,
თავის ქალა ამხადეთ და ფრთხილად გადადეთ!
თქვენ ალბათ სადმე მოგეძებნებათ რომელიმე უკანასკნელი გამოშვების
ჰუმანიტარული დახმარებით ჩამოტანილი დანადგარი,
ჰოდა, გაბედულად დამანათეთ, მიკროსკოპი მოიმარჯვეთ და დამაკვირდით.
აი, ნაცრის მსუბუქი მტვრით მოხატული თხელი პროფილი,
აი, მხრები, ვიწრო, გამხდარი.
ნუ გაიოცებთ!
მე ყოველთვის გავურბოდი მოდის ჩარჩოებს,
მთელი ბავშვობა პრინციპულად არ ვუსმენდი ისეთ მუსიკას,
რომელზედაც მთელი კლასი ლაპარაკობდა
და ნებისმიერ სისულელეს შევიყვარებდი, რაც იმათგან გამომარჩევდა.
იმ დროიდან დამეკარგა ჩემი ნამდვილი სურვილები
და ახლა, რაღა გასაკვირია, რომ კაცს, რომლის სილუეტიც თავად იხილეთ,
აქვს სასაცილო, ვიწრო, სუსტი, გამხდარი მხრები.
ეიდეე რა დაგრჩათ უნახავი?
მოკლე ფეხები, ოდნავ მრუდე, ოდნავ მახინჯი...
მეტს კი, ალბათ, თქვენი ძვირფასი ხელსაწყოებით ვერ დაინახავთ.
ახლა ისევ დამახურეთ თავის ქალა, ოღონდაც ფრთხილად —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცარი, რაც უნდა იყოს, მაინც მტვერია
და ერთ ზედმეტ შექანებაზე შეიძლება აირიოს, გადმოიყაროს.
მაშ ასე,
ფრთხილად დამახურეთ ისევ სარქველი,
დანარჩენზე ნუღარ შეწუხდებით, თავს ნუ დაიღლით,
ყველაფერს წვრილად მოგიყვებით,
გამოვიტყდებით.
მე იმ კაცს, ვისი სილუეტიც ეს-ესაა თავად იხილეთ,
დიდი, დიდი ხანია ვიცნობ,
სახელიც ვიცი, გვარიცა და მამის სახელიც, მისამართიც მოიძებნება...
და თუკი მოკვდა (აღარ ვიტყვი — ჯვარი ეწეროს, ეს ისედაც იგულისხმება),
ისიც ვიცი, ეს ნაცარი სად მავიტანო, რომელ ოჯახს გამოადგება.
ის კაციც მიცნობს, კიდეც ვუყვარვარ, კიდეც მირეკავს
და როცა უჭირს, უბოდიშოდ მაყრის მხრებზე თავისი სულის არტისტულ ნაგავს.

დღესაც ვიხილავ,
მომაკითხავს,
მომინახულებს,
თავის ბებერ მეუღლესთან ერთად მეწვევა;
რომელზედაც ზუსტად ორი კვირის წინ იქორწინა.
მეც, რა თქმა უნდა, ისე ვუცდი, როგორც ძაღლი ნანატრ ნასუფრალს
და სრულებითაც არ მახსენდება, რომ მეც ქალი ვარ,
რომ მის ცოლზე პატარაც ვარ,
ლამაზიც ვარ
და საიმედოც
და სიყვარულიც უკეთესად შემძლია
და დედის როლიც, რომლის გამოც უკვე ქალად ვეღარ აღმიქვამს,
დიდი ხანია მომბეზრებია.

III

ჩემმა შეყვარებულმა
გუშინ,
შარშან,
ათი წლის წინათ შეირთო ცოლი,
მაგრამ ეს სიყვარულიც არის თამაში, ოღონდ უფრო ძვირფასი,
უფრო დიდხანს ნათამაშები
და სახიფათოც —
ამ თამაშისას შეიძლება უეცრად მოკვდე, სიკვდილი ხომ ყველგან
არის მოსალოდნელი.
მაშინ ფარდა არაფერსაც არ აეხდება
და პირიქით,
ეს თამაში, სხვებისთვის კი არა, ჩემთვის იქცევა ნამდვილ ცხოვრებად.
და ამიტომაც, სიკვდილამდე, მე მოგიყვებით,
რომ ყველა კაცი, რომელთანაც მსუბუქი თუ თითქმის მძიმე რომანები
მაკავშირებდა,
დაღუპვის ზღვარს იყო მიმდგარი
და ჩემთანაც მაშინ მოდიოდნენ, როცა გადარჩენა სჭირდებოდათ,
დედა უნდოდათ,
და მეც მონდომებული ვეჭერწავდი მათი ცხოვრების დადებით შტრიხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაღა გასაკვირია, საბოლოოდ აღარც ერთი აღარ მომწონდა.
იმან კი, რომლის სახეც მსუბუქი ნაცრით მოიხახა ჩემს არსებაში,
ფეხზე დამდგარმა და პეჭებგამართულმა, აღარ ისურვა
საკუთარი უსუსურობის გახსენება
და მიმატოვა.

IV

ქალში, ალბათ, ცხოვრების წესით ყველაფერი შეიძლება ამოიშალოს.
მეც მუდმივად დედის როლი მიბიძგებდა დამვიწყებოდა —
სისუსტისა და ცოდვისთვის რომ ვარ შექმნილი.
და ამიტომაც, ერთი ცუდი ჩვეულება შემომეჩვია,
ჩემი სქესისთვის ზედმეტი და მიუღებელი:
შეხვედრის შემდეგ, პაემნის შემდეგ,
როცა რომელიმე კავალერთან
ბაღში ან კაფეში ვისაუბრებდით მისი ცხოვრების თუ ნერვების
სირთულეებზე,
სულ ყოველთვის მე ვაცილებდი
გაჩერებამდე, „მარშუტკამდე“, ავტობუსამდე.
იქნებ იმიტომ, რომ გამაჩნდა რაღაცა უცხო, მახინჯი და ქალისათვის
შეუფერები,
ანდა იმიტომ, რომ სასწრაფოდ ჩამომეხსნა იმათი ტვირთი.

დღეს უკვე სხვა ვარ,
ახლა უკვე, რომც მოინდომოთ,
ველარაფრით ვერ იქნებით ჩემზე ძლიერნი,
ვერც ჩემზე სუსტი ვერ იქნებით, და ვერც პატარა,
რადგან ყველანი თავმოყრილი ხართ
ერთ ავტობუსში, ერთ ვაგონში, ერთ „მარშუტკაში“,
ხოლო მე კი მისი მძღოლი სულაც არა ვარ.
ქვემოთა ვდგავარ, გაჩერებაზე,
ხელს გიქნევთ და ჰაეროვან კოცნებს გიგზავნით.
სულ ცოტა ხანში მე დავბრუნდები თქვენი უკანასკნელი გაცილებიდან,
მოვრჩები თამაშს,
დავიწყებ ცხოვრებას
და გეტყვით:
„ქალს არ ღლიან ძლიერი მამაკაცები!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ტაბაღუა

●

აქ სიკვდილის ფერი
ისე მძაფრად დამდევს,
რომ სიცოცხლეს ვწყევლი
და სიკვდილის გამჩენს...

●

არ გეძებდი, თითქოს ბედად
გნახე და კვლავ გინატრე,
დაეხურა სივრცეს ქუდად
ქარვისფერი სინათლე...

●

ბედნიერი ვარ, წვიმების მერე
მზე რომ ამოდის, ბედნიერი ვარ;
ბედნიერი ვარ, სირცხვილის შემდეგ
ღირსებას ჩემსას შევიგრძნობ როცა;
ბედნიერი ვარ, გათოშვის შემდეგ
ოთახში სითბო დამხვდება როცა;
ბედნიერი ვარ, სიკვდილის მერე
მომაწვდინე ყელი,
საფრთხობელის შიშით
ჩემი თეორი ჩიტი
საგულედან გარბის...

ერთი ფერი, ორი ფერი...
შენ არც ერთს არ გავხარო...
მირაჟები, მირაჟები,
მირაჟების სამყარო...

ბალღის უცოდველ სახეს რომ ვუმზერ;
ბედნიერი ვარ, ღალატის მერე
ნუგეშის სიტყვა რომ მხვდება გულზე...

ბედნიერი ვარ, წვიმების მერე
მზე რომ ამოდის,
ბედნიერი ვარ!

●

ისე მიქრიხარ თავაწყვეტით,
თითქოს სიგიჟე მოგრეოდეს,
თითქოს უფსკრულში ეშვებოდე...
სხვებმა კი უკვე კარგა ხანია მოირგეს
ზომიერი აღვირი
და იკვებებიან განაწილებული ხორცით,
სალამს და ღიმილსაც განაწილებით იმსახურებენ,
თვითონაც ზომიერად ანაწილებენ ღიმილს...

გამოტყდი, რომ გსურს მშვიდი ცხოვრება,
სცადე კიდეც, მაგრამ რა,
არა შეჯდა მწყერი ხესაო...
ისევ შენსას მიერეკები,
თითქოს ვიღაცის ძლავრი ხელი
გიბიძგებდეს
შენი ნების წინააღმდეგ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა მშვიდობისა! —
მოგძახის ვიღაც,
ირონიაც იკითხება ამ მოძახილში,
შენ კი იჯერებ გულწრფელობას,
ხოლო ირონიას მოგონილად თვლი
და მიქრიხარ...

გზა მშვიდობისა! —
მისძახი საკუთარ თავს,
გზა მშვიდობისა, ხეებო,
გზა მშვიდ...
ვეღარ ამთავრებ,
უკვე წერტილებივით მოჩანან
ხეებიც და ადამიანებიც...

....კვლავ მიქრიხარ,
ითქოს სიგიჟე მოვრეოდეს,
ითქოს უფსკრულში ეშვებოდე!..

●

ეიისწარი, სად გეძებდი
ოურმე და სად მხვდებოდი,
ვაი, მაშინ თუნდაც წამით
რომ დამგვიანებოდა...

მე მოვედი, ცვრიან ბალახს
ვაჩნევ კვლავ ნაფეხურებს,
ჩემი სახლის ღია თვალი
ვულუბრყვილოდ მიყურებს.

●

ვაი, ნაადრევო სიხარულო,
რა მალე ჩამოგეკეცა ფრთები,
რა მალე მოგეკვეთა მუხლები,

რა მალე შეეყინე ტუჩებს...
ვაი, ნაადრევო სიხარულო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე რჩეულიშვილი

მნერალ გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის

აი, დადგა დრო... აღარა ვარ უკვე კარგი დედა, არც ბებო, არც პაპიდა, არც მამიდა, არც ბიცოლა, არც შვილი, არც მეუღლე, არც რძალი, არც დედამთილი, არც სიდედრი, მით უმეტეს — ამხანაგი, მეგობარი...

მახსოვს, ღიდი ხნის წინათ, სწორედ ასე დალია ერლომ ახვლედიანის დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე ჩემი სადღეგრძელო გოგი ოჩიაურმა — როგორც დედის, დის, მეუღლის, შვილის და სხვა, და მე გულში მაშინვე დავეთანხმე. მოხდა მოლიანი დამთხვევა მისი სიტყვებისა ჩემს დაშლილ „მე“-სთან. ერთხელ კი, როდესაც სხვამ დალია ჩემი სადღეგრძელო ჩვეულებრივ სუფრაზე, როგორც მარინე რჩეულიშვილისა, და რატომღაც საგანგებოდ აღნიშნა კიდეც, რომ სვამდა სწორედაც მარინე რჩეულიშვილის სადღეგრძელოს და არა სხვა და სხვა, საშინლად გამიკვირდა; მაშინვე სიღრმიდანვე შევიგრძენი ათასად დაშლილი ჩემი თავი, რომელიც არ არსებობდა არათუ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც კი. გავაცნობიერე ეს შეგრძნება და გაკვირვებულმა შეგხვდე სადღეგრძელოს ავტორს, რომელიც მე, როგორცა ჩანს, მიუხედავად ყველაფრისა, აღმოქვამდა კიდეც, როგორც მთლიანობას. ისევ შევიგრძენი ჩემი არარსებობა, ინერტულად გავიხედე წინ, ხალხით სავსე სიცარიელეში, რომელიც ნისლივით მქონდა გარშემორტყმული და ჩემი აღდგენის, შეკრების შესაძლებლობა სრულ უაზრობად და სასაცილოდაც კი მომეჩვენა. არქივზე მუშაობის დაწყებიდან დიდი ხნის შემდეგ, როდესაც უკვე ჩემი ძმის ბიოგრაფიის 1956-1957 წლები უკან მოვიტოვე და 1958 წლის აგვისტოში დაწერილ „ძაგანიას“ ხელნაწერს ვუტრიალებდი, სრულიად მოულოდნელად, შაშას მიერ დაჭრილ ძაგანიასთან ერთად კიბეზე აფოფხებისას ფეხი წამოვკარი რაღაცას, დავეცი და აი, ისევ სრულიად მოულოდნელად, ძაგანიას კვალდაკვალ აღვიქვი ჩემი არარსებული თავი და საშინლად შემეცოდა იგი. ამის შემდეგ ძალიან ბუნებრივი მომეჩვენა ძაგანიას ჟესტი, რომელმაც ნაზად და სიყვარულით დაისვა თმაზე ხელი და მაშინ იყო სწორედ, რომ მეც, მასთან ერთად, თვალები ცრემლებით ამევსო. ეს იყო და ეს... ამ შეგრძნებას უკვალოდ არ ჩაუვლია და თანდათანობით, წლების განმავლობაში სხვადასხვა თავებში ჩაკარგული ეს ჩემი თავი წამოიმართა როგორც სიმკვრივე, გარკვეული ფორმა, სულისა და სხეულის ერთიანობა, და უეცრად, ერთ მშვენიერ დღეს, ძალუმად შევიგრძენი ჩემი ათასად დაშლილი თავებისაგან განთავისუფლებული „მე“, სხვადასხვა თავებისაგან ინტეგრირებული მთლიანობა, რო-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3 4, 5 1992 წ.; № 1 1994 წ.; № 1-2, 3-4 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც გათვითცნობიერებულად ანუ მთელი გრძნობა-გონება-ცოდნით იდგა „სხვის“ წინაშე. ეს „სხვა“ იყო ჩემი ძმა:

მე — სხვა;
მე — ჩემი ძმა;

და რატომღაც, საიდანღაც დაიძრა ახალი შეგრძნება, რომ თუ შევძელი ჩემს ძმაში გადასვლა ერთი წამით მაინც და იქიდან თუნდაც ერთი სიტყვის თქმა, თუნდაც, უბრალოდ, ხმის ამოღება, ამოოხვრა, დაყვირება... მაშინ მე შევძლებ... და აქ რაღაც გაურკვეველი მოლოდინით შეშინებულმა, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, „გამოვიღვიძე“. ამ მომენტიდან მოყოლებული თანდათანობით მომეშვა ჩემი მუდმივი თანამგზავრი — დაღლა და სრულიად უაზროდ მოეჩვენა ერთი კითხვა, რომელიც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების, ყველა ჩემი მოქმედების უხილავი ლეიტმოტივი იყო: „ნეტა ამას გრძნობით ვაკეთებ თუ გონებით?!“ ეს ორი ცნება: „გრძნობა“ და „გონება“ ჩემში მუდმივ ურთიერთობაში იყვნენ — ერთმანეთს ხან უპირისპირდებოდნენ, ხანდახან მთლიანად გამორიცხავდნენ, ხან კი მალამოდ ეფინებოდნენ, მკურნალად. ამიტომ გახდა ჩემთვის გასაგები ლორდ ჰენრის სენტენცია „დორიან გრეიდან“: „გრძნობა კურნავს გონებას, აზრს და გონება კი გრძნობას“ — დაახლოებით ასე იყო გამოთქმული ეს აზრი რომანში. მახსოვს, ლარსის ქუჩაზე, როდესაც ამ ფრაზას გადავწყდი, შუშაბანდის ტახტზე მუთაქას მიყრდნობილი, ფეხმორთხმული, ინგლისურად ვკითხულობდი ამ რომანს და თან გამალებით ვიწერდი ახალ-ახალ სიტყვებს ჩემს ლექსიკონში. გურამი თავის ოთახში იყო, მგონი მუშაობდა. დავუძახე და ხმამაღლა წავუკითხე ჩემი „აღმოჩენა“, „ზუსტი აზრი“, რომელიც მთლიან თანხმობაში იყო არათუ ჩემს იმწამიერ განწყობილებასთან, არამედ მთლიანად ჩემს არსებობასთან. და საშინლად გამიკვირდა, რომ ოთახიდან გამოსული ჩემი ძმა ამ „ერთადერთ სიმართლეს“ არათუ გამოეხმაურა, არათუ მიიღო, არამედ თითქოს პირიქითაც კი... მაშინვე ვიგრძენი, რომ საშინლად დაიძაბა, თითქოს მართლაც დასაფრუტუნებლად ემზადებაო, მერე გაიხედა სადღაც, შორს, შუშაბანდის ფანჯრებს იქით და თავისთვის, დაბალი ხმითა თქვა: „არ არის სწორი, ეგ სხვაა... ვნებად ქცეული გონება... აი, რა არის მთავარი... გონებას გრძნობა კი არ კურნავს, არამედ გონება იქცევა გრძნობად, ვნებად. გახსოვს ჰამლეტი?! აზრი არის ყველაზე დიდი ვნება. მე ამას ვაჩვენებ... ვნახოთ...“ მახსოვს მაშინდელი განცდა: ოსკარ უაილდის ყოველდღიურობიდან, ლორდ ჰენრის ცნობილი ბრწყინვალე პარადოქსებიდან, სენტენციებიდან, თურმე საყოფაცხოვრებო ლოგიკიდან, უეცრად როგორ აღმოვჩნდი სულ სხვა სამყაროში, რომელშიც არაფრის გამოყოფა-გამოცალკევება არ შეიძლებოდა. რომელშიც მთლიანად იყო ადამიანი, რაღაც პირველყოფილი მთლიანობითაც კი. ან იყავი იმ განზომილებაში ან არ იყავი საერთოდ. იქ სანახევროდ ყოფნა არ შეიძლებოდა. სამყარო, სადაც ერთი ნაწილი მეორეს კი არ კურნავს, არამედ ერთი მეორეა თვითონ. ეს არ არის ახლანდელი ანალიზი, განცდა. ამ სიტყვების თქმისთანავე გურამის მართლაც რომ ვნებადქცეული გონებიდან ვიგრძენი მისი სიტყვების სიმართლე. ეს უეცრად ნათქვამი ფრაზა თავისთავად, ძალდაუტანებლად ჩამრჩა გონებაში. ბევრჯერ დავუბრუნებივარ მასთან რაღაც, თითქოს სრულიად უმნიშვნელო ცხოვრებისეულ სიტუაციას, აზრს... და ძალიან ხშირად, ან იშვიათად, სულ ერთია, ეს ფრაზა ყოფილა ჩემი მეგზური რაიმე ცხოვრებისეული სიტუაციის ან სადღაც ამოკითხულ-გაგონილი რაღაც აზრის თუ განცდის სამყაროში შესასვლელად...ხანდახან ისეც, სრულიად მოულოდნელად, რატომღაც, რაღაც მაბრუნდებოდა ხოლმე სულ სხვა სამყაროდან ნათქვამ სიტყვებთან, მაშინ ჩემს დანაწევრებულ, ბუნდოვან ყოველდღიურობაში რომ შემოიჭრა, როგორც ახლა ირკვევა, გურამის მოთხრობა „ნადირობის“ ორი წერტილივით (:), რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც მოჰყვა შემდეგ რჩეულიშვილის მთელი ცხოვრება-შემოქმედება.

მახსოვს, მაშინ გურამს კუბოკრული პერანგი ეცვა, მოყავისფრო-მოლურჯო ფერის, ჩამოშვებული სახელოებით, შეუკვრელი მაჯებით, როგორც უყვარდა. ამ პერანგითაა აღბეჭდილი სამხედრო ბანაკიდან გამოგზავნილ ერთ ფოტოსურათზე. ეს დეტალი, გარდა თვითონ შინაარსის პლანისა, მაფიქრებინებს, რომ დაახლოებით 1956 წლის აღრე შემოდგომა უნდა ყოფილიყო. გურამი სამხედრო ბანაკიდან აგვისტოში ჩამოვიდა. აგვისტოში კი მე თბილისში არასოდეს არა ვყოფილვარ. ეს ის პერიოდია გურამის შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიაში, როდესაც იწერებოდა „ცქიტო“, „სიყვარული შემოდგომაზე“, „სიყვარული გაზაფხულზე“, და სხვა. ჯერ დაწერილი არ იყო ცხენების ციკლის არც ერთი მოთხრობა („სალამურა“, „თვირთვილა“ და სხვა მოთხრობები დაიწერა 1956 წლის გვიანი შემოდგომით); როგორც შემდეგ გაირკვა, გურამი დასაწყისშივე ემზადებოდა „იულონის“ შესაქმნელად, რომელიც თავისი ფორმა-შინაარსის მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, მართლაც „ენებადქცეულ გონებას“ წარმოადგენს. აი, ფრაზა „იულონიდან“, საიდაც ამის შესახებ პირდაპირაა ნათქვამი: „არ არსებობს ენება აზრზე დიდი და შებრუნებით: აზრი არის ენებათა შორის ყველაზე დიდი ენება“. მას შემდეგ, რაც ეს მოგონება ჩაგიწერე ცალკე ფურცელზე, არქივში აღმოვაჩინე გურამის პატარა ჩანაწერი, რომელიც გაკეთებულია 1956 წლის ივნისში: „მეორე დღეა ვკითხულობ ოსკარ უაილდს („ПДГ“). ვებმები ლორდ ჰენრისა და დორიან გრეის საუბარში. მაქვს ჩემი აზრები, ვეკამათები...“ ასეთი მომენტები მაფიქრებინებს, რომ ქრონოლოგიური ჩარჩოს აგებისას, სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად, შემიძლია დავეყრდნო ჩემს სხვამხრივ ბუნდოვან მეხსიერებას, რომელსაც აწესრიგებს ინტუიცია. ინტუიცია? (შემეშალა მხოლოდ ორი თვე! როგორცა ჩანს, ეს ამბავი იყო გურამის ბანაკში წასვლამდე...).

მაშ ასე:

ვიცი, რაც აღარა ვარ და ტკივრთად მაწევს თვითეული ცალ-ცალკე... ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ცხოვრების, ყოფის, აწმყო დღის წრიალდან მოულოდნელად აღმოვჩნდი იმ საოცარ მორევებში, მთის მდინარეებში, წყალვარდნილებში, განუსაზღვრელბალიან ღელვებში, თვალუწვდენელ უდაბნოში, რომელსაც რატომღაც რეტროსპექტია ქვია... მას შემდეგ როგორც გიჟი, არანორმალური, საიდუმლო, ჩუმი სიხარულით შეპყრობილი მივიკვლევ გზას აწმყოს სიბნელეში, რომელსაც სუსტ სხივსა ჰფენს ჯერ მხოლოდ შორეული წარსული...

და აი, უეცრად, ამ რეტროსპექტულ ჩანჩქერებსა და წყალვარდნილებში, ამ „ბროლის მდინარეებში“, ამ უდაბნოში გამოჩნდა იალაღი... გამოჩნდა საოცარი, მწვანე მინდორი, ხასხასა მწვანე, დაბალი, ოდნავ ნამიანი ბალახი, რომლის საოცარ სიმშვიდესა და ზომიერებას არ არღვევს არათუ ჯიუტად ავარდნილი სქელყლორტიანი ან ეკლიანი ყვავილი, არამედ სუსტი შროშანაც კი... ო, რა სიმშვიდეა... ო, რა ზომიერებაა... ო, რა ჰარმონიაა... ეს ის სიჩუმე არ არის, რომელიც ათას ხმად გვრგვინავს, რომლისაგანაც თავის დასადწევად ყურებზე ხელს იფარებ და არაჩვეულებრივი სისწრაფით გარბიხარ მანქანებით სავსე ქუჩებში, ტრამვაი-ტროლეიბუსების ხმაურში, და ხშირად, მხოლოდ ქალაქის ცენტრში აქეთ-იქით უაზროდ მორბენალ უცნობ ხალხსა და მანქანებს შორის, მოულოდნელად აღმოჩნდები შუა იალაღზე და სიდინლაც შენში, ისე, როგორც ახლა, დაიძრება, ათამაშდება მოცარტი — სავსე იუმორით, ხალისიანი ხუმრობებით, რაც სრულიად არ გულისხმობს „ბოროტ კაცს“ („შენ განდოდა პოემა დაგეწერა უბოროტკაცოდ?“ — „ირინა და მე“-დან). ის საკვირველად არ გადის იალაღებიდან, რომელიც სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ტალღოვან მთებს შორის... ის მოიდან მთაზე, დაბრკოლებების გადალახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით კი არ გადადის, უფსკრულში ჩავარდნებით, საიდანაც ამოსვლა უკვე ყველას არ შეუძლია... არამედ ლაღად, მსუბუქად გადაგორდება ერთი მთიდან მეორეზე, მსუბუქად მოხაზავს მხოლოდ უფსკრულის კონფიგურაციას ჰაერში, აღიარებს მის არსებობას. მისი უფსკრულში ჩასვლა მხოლოდ ბუნებრივი, ადვილი ამოსვლის ნაწილია... ეს მოცარტია... ო, რა ადვილია, რა ნათელია, რა ბუნებრივია სამყარო!..

აი, სურათი:

მწვანე იალაღი ტალღოვან მთებს შორის... ამ იალაღზე მუხლებში ოდნავ გაღუნულ მაღალ ძლიერფეხება ხუჭუჭ-ფაფრიან კვიცს დაუხრია გრძელი, ღონიერი კისერი, ლამაზი, კოხტა, პატარა თავი და გარინდებული ისრუტავს ნამანი ბალახის გემოს... წყნარად, მშვიდად ატრიალებს სუფთა ლაშებში, უბრალოდ — არც იცის, სიხარბე რა არის... იალაღი ფართოა, თვალუწვდენელი, ტალღოვანი მთებიც კი ძირს ეშვება მიახლოებისას მის საკუნტრუშოდ, მის გასახარად, თუ მთაზე ასვლა არ მოუნდება ნებიერას... ბალახი მისთვის ინამება განთიადისას, მისთვის ამოდიან სამყურები, უნაზესი ბალახები, მის გამო არ აცხუნებს მზე, მის გამო უშვებს ზიმიერ სხივებს და მის გამო უტოვებს ბალახს წვეს... იალაღებზე ნებივრობს ცხენი... კარგად შეიწოვე, ულაყო, სიგრილე, კარგად იკუნტრუშე, აისროლე, აყარე ტლინკები, იჭირვეულე... მერე დაგორდი რბილ ბალახზე... მერე ჩადი მდინარეზე, ჩადექი შიგ ფეხებით... ბევრი სიგრილე გეჭირდება, იცოდე... ძლიერი კუნთები გეჭირდება, იცოდე... იცოდე... იცოდე... მიეცი თავი ახლა განცხრომას...

ძოვს ცხენი ბალახს ხევსურეთის ტალღოვან მთებს შორის... იწოვს კვიცი ნამანი ბალახის სიგრილეს ხევსურეთის სერებზე... სავსეა გარემო „ჯადოსნური ფლეიტის“ ხმებით... მაგრამ აი, საიდანღაც გაისმის სკარლატის სონატის ხმები, ცოტაც და მწყემსიც გამოჩნდება შორს, მთის ფერდობზე თავისი სალამურით, რომელზედაც ამ პასტორალს აწკრიალებს... პატარა მწყემსი ზურგზე მოდებული თეთრი, ხუჭუჭა, ცხიმიანი, ბზინავი ქურქით ძალიან ნელა გადაადგილდება მოძრავ, თეთრ, მრგვალ მასასთან ერთად ბარისახოს დაბალმთიან სერებზე... სკარლატის სონატის ხმები ძლივს აღწევს პატარა კვიცის ყურამდე, მაგრამ მას არაფერი გამოეპარება. თავს აწევს ზევით, დაბერილ, სუფთა ნესტოებს აათამაშებს, მხიარულად დაცქვეტს ყურებს და ხარბად შეიწოვს მუსიკის ჰანგებს... სიამოვნების ნიშნად აკუნტრუშდება კიდეც, ტლინკებს აყრის, გაგორდება. მერე ისევ გაინაბება... სიამოვნებს იმ ჰანგების მოსმენა, რასაც თვითონ ის-ის იყო მღეროდა გულში.....

მაგრამ იქამდე, სანამ გავიხსენებ თუ როგორ წავიდა 16 წლის გურამ რჩეულიშვილი ხევსურეთში, როგორც პიონერთა სასახლის კომპლექსური ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი თბილისის სხვადასხვა უბნებში გაბნეულ სკოლის მოსწავლეებთან ერთად, სანამ გავიხსენებ ზაფხულის იმ დღეებს, როდესაც ის, როგორც არენაზე, წარსდგა თავისი ტოლ-ამხანაგებისა და უფროსების წინაშე, მინდა გავაგრძელო ჩვენი ყოველდღიური უამბო ამბები, გავიხსენო ის კალაპოტი, რომელშიც ვიყავი ჩასხმული და საიდანაც თავის ამოყოფა კატეგორიულად მქონდა აკრძალული...

მაშ ასე!

ჩემი პირველი მუსიკის მასწავლებელი ცხოვრობდა სადღაც, კლარა ცეტკინისა და კალინინის ქუჩების გასაყართან, მაღალ, მდიდრულ ორსართულიან სახლში. როგორც კი დავრეკავდით სადარბაზოს კარს, მაშინვე გაისმოდა რაღაც ჭახუნისმაგვარი, თავისუფლდებოდა დაბმული კარი და მაღალი, გამყინავი მკაცრი ხმა იძლეოდა ბრძანებას: „Войдите!“ არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო, რომ დედაჩემი შეშინებული შედიოდა ამ უცნაურ სახლში. ჩემი მასწავლებლის გვარი იყო პოლტორაცკაია, ტატიანა პოლტორაცკაია: უცხო გვარი, უცხო სადარბაზო კარი, უცხო ჩვეული ფეხის გაწმენდის, პალტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდის, მომრგვალებულ კიბეზე ასვლის, მოსაცდელად განკუთვნილ რბილ სავარძელში ჩაჯდომის დროს (რომ არ გაფუჭებულიყო თუ დაშეუჭნელიყო რაღაც, თუ წინა მოსწავლეს ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული დაკვრა). დანჯღრეული ძველებური შრედერი იდგა მეორე სართულზე, მაღალ, წვრილ ფანჯარასთან — ამ ოთახისმაგვარ ჰოლში, სავარძლები კი რიკულებად მოაჯირთან საბელდახელოდ დაყენებული შემინული კარის გვერდით, სადაც, როგორცა ჩანს, სათავსოები უნდა ყოფილიყო, რადგან იქიდან ხანდახან წყლის ჩხრიალი მოისმოდა. პიანინოს მოპირდაპირე მხარეს, მაღალი, ინკრუსტირებული ძველებური კარის უკან, ტატიანას თქმით, მთავსებული იყო იშვიათი ხმის მქონე თეთრი საკონცერტო როიალი, ბეჰშტეინი. ხანდახან ამ ოთახიდან ფორტეპიანოს ხმები ისმოდა. ტატიანას ყველა მოწაფემ იცოდა, რომ იქ კონცერტების წინ მეცადინეობდა მისი საყვარელი მოსწავლე ოთარ კაშაური, რომელსაც მუსიკისისათვის ბევრი სხვადასხვა ნიჭი ჰქონდა: მუსიკალურობა, ბუნებრივი ტექნიკა, არტისტულობა... ტატიანას თქმით, ამ ნიჭებს შორის მნიშვნელოვანი იყო ოთარის სიმაღლეც. (ეს ის მუსიკის მასწავლებელია, რომელმაც, თუ მკითხველს ახსოვს, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ დედაჩემს ერთხელ უსაყვედურასავით: «Она для музыки слишком высокая. Могут подумать, что ей десять лет или даже двенадцать... когда ей только восемь. Подумайте сами...» და თითქოს შევეცოდეო, ზურგზე ხელი მომითათუნა). ოთარის სიმაღლე კონცერტების დროს მართლაც საოცარ ეფექტს ახდენდა: „რა პატარაა და რას აწკრიალებს ამ პატარა ხელებით, თან რა ძალით! ნახეთ, რა ხმამაღლა იღებს აკორდებსაც კი“, — ამბობდნენ მუსიკაში უფრო გაწაფული მშობლები. ეშმაკობა იყო იმაში, როგორც ერთხელ ტატიანამ თვალის ჩაკვრით მიაქცევინა დედაჩემს ყურადღება, რომ ოთარს, მართალია პატარა ხელები ჰქონდა, მაგრამ სინამდვილეში პატარა, მოკლე ჰქონდა მხოლოდ თითები, თვითონ მტევანი კი ჰქონდა საოცრად განიერი, რაც საშუალებას აძლევდა თავისუფლად აეღო ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში დო-მი, ანუ ოქტავაზე მთელი ორი ბგერით მეტი. გრძელი თითები არც იყო სახარბიელო და მაინცადამაინც საჭირო პიანისტისათვის, როგორც ერთხელ ტატიანამ თქვა; მათ შეეძლოთ გარკვეული დაბრკოლებებიც კი შეექმნათ. პატარა ბიჭი თეთრი პერანგით, შავი „ბაბონჩკით“, მოკლე შარვლით, ხანდახან ჩვენს იქ ყოფნაშიც ამოირბენდა ხოლმე უცხო კიბეს და უჩინარდებოდა ინკრუსტირებული კარის უკან. ვხედავდი დაუნახავადაც, რომ ტატიანას მის დანახვაზე ღაწვები უფაკლდებოდა. მაშინვე ვიცოდი, რომ ეს სიამაყისაგან და თავისი იმედისმომცემი მოსწავლის განსაკუთრებული სიყვარულიდან მოდიოდა. ტატიანა სულ შეუმჩნევლად გაუღიმებდა სავით ოთარს, მერე დედაჩემს ჩაუკრავდა თვალს და მხარზე ბიძგით მაგრძნობინებდა, რომ მიმეხედა ჩემი საქმისათვის, გამეგრძელებინა დაკვრა... მერე ისევ თვალის ჩაკვრით ატყობინებდა დედაჩემს, რომ ოთარი იმ დღეს უკრავდა კონცერტზე...

პოლტორაცკაია ლამაზი, მაღალი, უზარმაზარი ბიუსტით, რაღაცნაირად ნახევრად ჩამოშლილი და სანახევროდ ზევით აწეული, შუბლზე ჩახვეული თმით, მაღალი, აპრეხილი თვმოებით, რომელზედაც ლამაზად ჰქონდა მორგებული განიერსახელოიანი მოშინდისფრო, ფართო ყვითელყვავილებიანი გრძელი ხალათი, აპრეხილი ცხვირით, აპრეხილი მხრებით, საკმაოდ ფაროი ბრტყელი უკანა ტანით („დაკვირდი, — მითხრა ერთხელ ჩემმა ამხანაგმა, — ყველა მუსიკის მასწავლებელს აქვს უზარმაზარი უკანა ნაწილი და თან ბრტყელი. იმიტომ, რომ მთელი დღე როიალთან სხედან“.) კვირაში ორჯერ იჯდა ჩემს გვერდით, ძველებურ სკამზე და ოდნავი ბიძგით მხარში მანიშნებდა დაკვრის დაწყებას. მე ვიწყებდი დაკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას, ტატიანა კი მრავალმნიშვნელოვანი, უცნაური ღიმილით და თითქოს გაბზარული ხმით — რაღაცების მოყოლას. ცალი თვალით ვხედავდი, რომ ოჯახის საქმეს მოწყვეტილი დედაჩემი დაღლილი, უინტერესო სახით ხშირ-ხშირად აქნევდა თავს იმის ნიშნად, რომ უსმენდა. მერე პოლტორაცკაია ავად გახდა დიდი ხნის განმავლობაში. დედამ დროებით გადამიყვანა სხვა მუსიკის მასწავლებელთან, რომელსაც ზურგზე პატარა კუზი ჰქონდა... მასაც, მართალია ბევრად უფრო კარგად ტანზე, ეცვა თითქმის ისეთივე გრძელი წითელ-ალისფერ ატლასის ყვავილებიანი, ფართოსახელოიანი ხალათი, ისევე ჰქონდა თმა-სანახევროდ ჩამოშვებული და სანახევროდ მაღლა აწეული; ჰქონდა ისეთივე, გრძელი, წითელ-ალისფერი მომრგვალებული ფრჩხილები, რომლებიც რომელიღაც უცნობი ფრინველის კლანჭებს მაგონებდა ხოლმე; ისიც, ტატიანასავით, უეცრად დგებოდა სკამიდან და რაღაც კარის უკან უჩინარდებოდა ცოტა ხნით (არ არის გამორიცხული, რომ იმ კარის უკანაც სათავსოები იყო და მასწავლებლებს უეცრად ახსენდებოდათ ნავთქურაზე შემოდგმული სადილი). ეს მასწავლებელიც ისევე უცნაურად იღიმებოდა, ისევე მიბიძგებდა და ჩემი დაკვრის ფონზე ესეც გაუთავებლივ უყვებოდა დედას თავისი ოჯახის ისტორიებს. პოლტორაცკაია გამოჯანმთელდა, მაგრამ დედამ, დეიდა ანიჩკას რჩევით, გადამიყვანა სხვა მასწავლებელთან, „უპრეტენზიო“ ქალთან, ივლიტა ყანჩაველთან, რომელიც ჩვენი სახლიდან სულ ორი ფეხის ნაბიჯზე ცხოვრობდა: იქვე, კლარა ცეტკინის ქუჩაზე, ყრუ იაგორას გვერდითა ღია ეზოში. დედას ამისათვის საოცარი დიპლომატია დაჭირდა, როგორც თვითონ ყვებოდა ხოლმე. საჭირო იყო ისე მომხდარიყო ყველაფერი, ანუ ჩემი გადაყვანა სხვა მასწავლებელთან, რომ არავის არა წყენოდა, არავის არ გაკვირვებოდა, შარი არ მოედოთ. ივლიტას, სხვა მასწავლებლებისაგან განსხვავებით, ჰქონდა გვერდზე გადავარცხნილი, უკან ჩახვეული ჭაღარა, ტალღოვანი თმა, როგორც ძველებურ პორტრეტებზეა ხოლმე, რაღაც თითქოს მორცხვი, ნაღვლიანი, რაღაცაში დამნაშავე ადამიანის ღიმილი. მუსიკის მასწავლებლები, ისე, როგორც თვითონ მუსიკის გაკვეთილები, მაშინ მყარი ფორმით გამოირჩეოდნენ. ასეთი იყო დანჯღრეული, ძველებური, გინდაც შეიძლება თანამედროვე, მაგრამ მაინც ყავისფერ ოდნავ გაწეპილ კლავიშებიანი პიანინო, რომელთანაც მუდმივად მიდგმული იყო ორი სკამი: ერთი პირდაპირ იდგა პიანინოსთან, ამ სკამზე ყოველთვის ეწყო სქელყდიანი ნოტების მთელი დასტა, რომელსაც, მოსწავლის სიმაღლის მიხედვით, ან აკლდებოდა ანემატებოდა ნოტები. მეორე კი ირიბად იყო მიდგმული ინსტრუმენტთან; ამ სკამზე თითქმის აუდგომლად იჯდა მასწავლებელი, თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე გავარდნებს გვერდითა ოთახში. მოსწავლის დაჯდომისთანავე მასწავლებელი ხელში იღებდა ნოტებს, დღიურს, რომელიც მუსიკის გაკვეთილების აუცილებელი ნაწილი იყო; ეს დღიურები, რომლებშიც ხანდახან მასწავლებელი ნიშნებს მაწერდა, ძალიან მიყვარდა. ის რაღაც განსაკუთრებით ამნიშვნელოვნებდა მუსიკის გაკვეთილს, თუმცა მასწავლებლის შენიშვნების ამოკითხვა არც ისე ადვილი იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ დედაჩემისთვისაც კი. შემდეგ მასწავლებელი არჩევდა ამ ნოტებიდან ერთ-ერთს, დებდა პიუპიტრზე, მერე გადაშლიდა, მერე მხარზე ოდნავი ბიძგით ანიშნებდა მოსწავლეს დაკვრის დაწყებას, და თუ არაფერს უყვებოდა იქვე ჩამომჯდარ მშობელს, ღიღინ-ღიღინით იწყებდა მოსწავლესთან ერთად მარჯვენა ხელით დაკვრას. ხანდახან თავისუფალ ხელს ურტყამდა ინსტრუმენტს, მარჯვენა ფეხს კი იატაკს, თითქოს შოუთმენლად ცდილობდა მოსწავლის დაჩქარას, რომლის თითები, გეგონება ჯიბრზე, დაბორკილებივით მოძრაობდნენ საოცრად წებოვან კლავიატურაზე. მახსოვს შეგრძნება რაღაც უმწეობის, გაჭყლეტილობის, თითქოს რაღაცებს შორის მომწყვდეულობის (მგონი, მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებელს, კედელსა და ინსტრუმენტს შორის, საიდანაც ძლივს, ყრუდ ისმოდა ჩემი სუსტი დაკვრის ხმა). ასე ღიღინ-ღიღინით (ხანდახან ეს ღიღინი ნამდვილ, ხმიან სიმღერაშიც გადადიოდა) ვუკრავდით ჯერ ბახს, მერე ეტიუდებს, მერე სონატას და, ბოლოს, პიესას. ხანდახან მასწავლებელი ჩერდებოდა და გაბრაზებით, სქელი, ლურჯი ფანქრით ავლებდა წრეს რომელიმე ტაქტის გარშემო. ხშირად მეორე გაკვეთილზე ივივე ტაქტს სქელ წითელ წრეში აქცევდა, მესამეზე ზედ ძახლის ნიშნებს აწერდა. საბედნიეროდ, ამასობაში უკვე ზეპირად ვიცოდი იმ წრეში მოთავსებული ნოტები, რადგან მათი ამოკითხვა თანდათანობით შეუძლებელი ხდებოდა. ასე ჩავთავავებდით ხოლმე მოწაფეები მთელ პროგრამას. მერე დედა სწრაფად იღებდა დღიურს, ნოტებს ბრტყელ ოთხკუთხა სანოტო ჩანთაში დებდა (მრგვალი ჩანთის ყიდვა, რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა) და ეშორდებოდით ერთმანეთს მომავალი გაკვეთილის მოლოდინში, რომელიც სულ ორ დღეში უნდა ყოფილიყო. ტატიანა, ივლიტა და ის „გარდამავალი“ მასწავლებელი, რომლის მხოლოდ გარეგნობა და ოთახის მოწყობილობა დამამახსოვრდა, ერთხმად აქებდნენ ჩემს რაღაცას (მგონი, ამბობდნენ, რომ ვგრძნობ მუსიკას, რომ კარგი ბგერა მაქვს და, ასევე, ბრაზობდნენ ჩემს სიზარმაცეზე, რაც, მათი აზრით, იყო ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ჩემი ხელები სასურველად არ დაწკრიალებდნენ კლავიატურაზე, რომ არაფერი ვთქვათ იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც ისინი ქიზიყური ვირიევთ საერთოდ უარს ამბობდნენ გადაადგილებაზე, სწორედ მაშინ, როდესაც სწრაფი პასაჟებისა და ტრელების თავმობმა ხდებოდა აუცილებელი.

ასე მიდიოდა ჩვენი ბავშვობა! დასასვენებლად შეიძლებოდა მხოლოდ იქ წასვლა, სადაც ინსტრუმენტი იყო. ასე რომ, თელავი, გარდა სხვა მონაცემებისა: — ბებო, მამიდა, ბიძაშვილები, (მარია ქრისტოფოროვნა უგრელიძის აზრი: „თელავი ბავშვების საუკეთესო კურორტია“), მატერიალური შესაძლებლობები და სხვა, ამითაც იყო მნიშვნელოვანი. ისე, ინსტრუმენტს ვეძებდით ყველგან, სადაც აღმოვჩნდებოდით თუნდაც სულ ორი კვირით. მაგალითად, ზღვაზე ან ბაკურიანში საოცარ სიცხესა და თოლში ინსტრუმენტის მაგვარი ყუთისათვის ვსერავდით უგრძეს მანძილებს, ვლახავდით დაბრკოლებებს...

ასე რომ, მაშინ, როდესაც მე ყოველ ზაფხულს დასასვენებლად მივდიოდი რაღაც გაურკვეველი ნოტებით, გაურკვეველი, ჩემთვის არაფრისმთქმელი გვარების კომპოზიტორთა ნაწარმოებებით... რაღაცებით, რომელთაც ეძახდნენ სონატებს, ზოგს რატომღაც სონატინებს, ზოგს ეტიუდებს, ზოგს ბახს, ზოგს პიესას, ზოგს შუმანს, ზოგს კრამერს; მაშინ, როდესაც ძლივ-ძლივობით გავერკვიე ვიოლინოს ეასაღების დამატებით ხაზებში და მაშინ, როდესაც მასწავლებლიდან მასწავლებლამდე სიარულში ბანის ვასაღების დამატებითი ხაზები ნოტების უაზრო, არაფრისმთქმელ ნიშნებად მეჩვენებოდა და ამიტომ მარცხენა ხელით დაკვრა სამუდამოდ შემჯავრდა, მაშინ, როდესაც შუა ზაფხულის სიცხეში ვიჯექი თელავში გეგეჭკორების ერთსართულიან, ჭანჭურების ბაღში ჩაფლულ სახლში, რომელიც ნადიკვრის ძირში ინფექციური საავადმყოფოს გვერდით იდგა და მალალ, გაპრიალებულ, საოცრად აშლილ პიანინოზე გამომყავდა მარჯვენა ხელით კრამერისა და ჩერნის ეტიუდები... მაშინ, როდესაც დაჯდომიდან ზუსტად ხუთ წუთში ვიწყებდი წრიალს და ერთი საათისა და 45 წუთის გასვლის მოლოდინში (15 წუთს ყოველთვის ვიპარავდი: „დედა, ძალიან გთხოვ, 15 წუთი, სულ 15 წუთი...“) მოუთმენლად ვუყურებდი პიანინოს თავზე მოთავსებულ მაღვიძარას ციფერბლატს, რომელიც ჩემს შინაგან ტემპთან შედარებით თითქმის არ მიიწევდა წინ, ვუყურებდი პიანინოს ზევით მოთავსებულ სხვისი წინაპრების არაფრისმთქმელ, უზარმაზარ პორტრეტებს, ჩიხტაკოპში და ჩოხაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოწყობილ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებ ახალგაზრდა წყვილებს; მაშინ, როდესაც ყველაფერი საოცრად ნელა მიიწევდა წინ, იწელებოდა, იხლართებოდა სრულ უაზრობაში, მხოლოდ დროის რამენაირად წინ წაწევის ცდაში და როდესაც გურკვეველობასაგან გამოფიტული, საოცრად დაღლილი თელავში, ჩვენი სახლის აივანზე, ალაზნის ჭალებს რომ გადაჰყურებდა, მივირთმევდი ერბოკვერცხს, რომელიც — გაიხმარი, ორივე მხრიდან დახრუკული — ჩემთვის ნაწილი იყო იმ აუცილებლობის, რომელიც „ჩემი საქმე არ იყო“, არც ჩემი გადასაწყვეტი — რას შეეჭამდი და სხვა; მაშინ, როდესაც ახლა ამ საუზმისას ვცდილობდი დროის აჩქარებას და როდესაც ახლა აქ ვუყურებდი ერთ ჭიქა რძეს, აუცილებლად რომ უნდა დამელია, მერე რაღაც ლექსებს, აუცილებლად რომ უნდა მესწავლა, მერე ფეხებს, ნადიკვრობის წინ აუცილებლად რომ უნდა დამებანა, მერე ჩახვეულ თმას, აუცილებლად ჩაის წყლით რომ უნდა დამევარცხნა, მერე ლოგინს, რომლის გაშლისთანავე ვფიქრობდი, რომ დილით, ადგომის მერე, უნდა ამელაგებინა, მერე სკამისა და მაგიდის ფეხებს, რომელზეც აუცილებლად უნდა გადამესვა მტვრის ნაჭერი, მერე სადილს, რომელიც აუცილებლად უნდა შემეჭამა, მერე სიტყვებს, რომლებიც არ უნდა მეთქვა... ამხანაგებს, რომლებთანაც არ უნდა მეამხანაგა, უფროსების საუბრებს, რომლებსაც მე არ უნდა დავსწრებოდი, ლოგინს, სადაც ზუსტად 9 ან, ყოველ შემთხვევაში, 9.30 წუთზე უნდა ჩავწოლილიყავი, ულამაზო, მოდიდო, რაღაცნაირ შესაბნევიან ფეხსაცმელებს, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩამეცვა...

მაშინ ჩემი ძმა, ხევსურეთის იალაღებზე შეფენილ დაბალფეხება მთის ცხენებს დადარაჯებული, თავის გემოზე მორგებული უხეში ბატინკებით (თუმცა ამ ბატინკების ჩაცმის უფლების მოპოვება არც ისე ადვილი საქმე იყო) ალმა-დალმა სერავდა მთის ფერდობებს ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში...

მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც დედამ განსაზღვრა, მკაცრად შემოფარგლა ჩვენი ფორმა, ჩვენი ყალიბები, ჩვენი მოდელები, და მას შემდეგ, რაც მან მტკაცედ გადაწყვიტა ჩვენი მომავალი, მტკაცედ გადაწყვიტა ისიც, რომ არ უნდა მომხდარიყო ამ სხვადასხვა ფორმებად ჩამოსასხმელი მასალების ინტერფერენცია, ინტეგრაცია, ანუ ერთმანეთში შეჭრა, შერევა... არათუ შერევა, არამედ ერთმანეთთან ახლოს მისვლაც კი, რასაც მოულოდნელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. ჩვენ გვქონდა დედისაგან მოცემული, ნაკარნახევი ის სიტყვები, ფრაზები, რომლებიც ერთმანეთისათვის უნდა გვეთქვა... ის სიტყვები, რაც გააბაგრებდა მხოლოდ იმ გზის ჯიბირებს, რომელიც უკვე გამზადებული ყალიბებისაკენ მიედინებოდა. ამ შეგრძნებების აღდგენა ალბათ უფრო მაშინ შეიძლება, როდესაც ჩემი მონათხრობი ამბავი მიუხლოვდება ჩვენი სიჭაბუკის პერიოდს, როდესაც უკვე აშკარად გამოჩნდა ის ფორმა, რომელშიც ბოლოს და ბოლოს უნდა შევხულიყავით, და აშკარად გამოჩნდა ჩვენი დაუმორჩილებლობაც, ბუნტიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფორმის რღვევისაკან მიმართული, რა თქმა უნდა — სხვადასხვა სიძლიერისა და მასშტაბის, როგორც გამოხატვის მხრივ, ისე შინაგანადაც. გამოვლინდა ჩვენი ერთმანეთისაკენ სწრაფვა და მშობლებისათვის არასასურველი ჩვენი შეხების წერტილები. დედაჩემის ყოველდღიურ ლექციკონს შეემატა საერთო ფრაზები, რომლებითაც ერთნაირად მოგვმართავდა გურამსა და მე ცალ-ცალკე: „იმის მაგივრად, რომ შენ უთხრა... შემიწყო ხელი... შენ, პირიქით, სულ სხვა რამეს ეუბნები (ან აკეთებ), რაც ხელს უშლის...“

მასალა გარკვეულ ფორმად რომ ჩამოისხას, ის უნდა იყოს მოქნილი, რბილი („ხელში ადვილად მოგყვეს... ცომი ხომ არ არის, ჰა...“ — მამაჩემი დედა-ჩემს). შეიძლება ეს მასალა სულაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხევადი იყოს; რა საოცარია ეს რუსული გამოთქმა растекся киселет. ამ გამოთქმაშიც იგრძნობა, რომ ადამიანი სულისა და სხეულის ერთიანობაა... რომელიც შეიძლება რაღაც მომენტში დაიშალოს, დაიდვაროს... ან კიდევ ჰამლეტის სიტყვები: „რად არ მენგოლა ეს სხეული ესრეთ მაგარი...“ (სანტ-ერესია, რომ ინგლისურში არის სიტყვა melt, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „გადნობას“. „რად არ გალღვება (გადნება) ეს სხეული ესრეთ მაგარი...“) ე. ი. სხეულის ყალიბში მოსაქცევად საჭიროა მისი გადნობა, გალღობა, ისეთ მასად გადაქცევა, რომელიც შეიძლება ჩაისხას... მაგრამ მთავარია ამ გადნობის ტექნოლოგია, საჭიროა გარკვეული ზომა, ზომიერების გრძნობა ყველაზე მეტად, რომ ხელში არ გაგიქრეს, ან თუნდაც ისე არ დაინგრეს, რომ მისი მოზელვა-გადაზელვისას საერთოდ სულ სხვა რაღაც მივიღოთ, ისეთი რაღაც, რასაც არაფერი საერთო არ ექნება იმასთან, რაც იყო თავდაპირველად, ან თუნდაც შენს ჩანაფიქრთან... შესაძლებელია კი ეს? იქნებოდა შესაძლებელი, რომ მარტო ხილული არსებობდეს... რომ მატერიის უმცირესი ნაწილიც კი სიცოცხლის წვენით (აი, ალბათ აქ ჩანს ხილულისა და უხილავის ერთიანობა) არ იყოს სავსე, არ ჰქონდეს ხილულ-უხილავი სწრაფვა თავისი ერთადერთი, განუმეორებელი ფორმისაკენ. ...აქციე ნაკუწ-ნაკუწად სამყურას ფოთოლი, გათელე, დაგლიჯე, დაწვი, მოისროლე ცალ-ცალკე... მოიცადე სულ ცოტა ხანს, გაზაფხულამდე, და ნახავ, რომ საიდანღაც ისევ იმ ოდნავ ხალებიან სამ ყურს გამოიბამს ბალახის მოსუსტო მომწვანო ღერო... აქ ამოძირკვავ? სხვა ადგილას ამოვა... სხვა კი არა, იგივე, ზუსტად ის, რომელსაც შენ ასე გამეტებით ებრძოდი... როგორია მნიშვნელობა იმ ზომიერების გრძნობისა, რომლის გასანვითარებლადაც ასე გაფრთებით იბრძოდა დედაჩვენი... ზომიერების გრძნობა: ჩაცმის, „იუბკის“ სიგრძის, კაბის სივიწროვე-სიგანივრის, ლაპარაკის, ჭამის, ძილის, სიყვარულის, სიკეთის, თქვენ წარმოიდგინეთ — სწავლისაც კი... მოკლედ, როგორც ყოველივის: „ცოტა ისე, ცოტა ასე...“ აი, თურაე ასეა ყველაფერში და ყველგან... მაგრამ ის მომენტი რაღაა, როცა ამ გრძნობის დარღვევის გარეშე ვერაფერს გააკეთებ, როდესაც საჭიროა წინ გავარდნა... წინ გაჭრა... ამ ზომიერების გრძნობის თავდაყირა დაყენება... ხელებით სიარული წვიმაში, ქარში, ელვა-ჭექა-ქუხილში გარეთ გასელა, მთის წვერზე ავარდნა და მერე, ძალლა აშვერილი ხელებით რაღაცის ყვირილი... წუმპეში ჩავარდნა, საოცარ ფსკერზე დაშვება. «на дне» როდესაც საჭირო ხდება ქვაფენილზე დაწოლა იმ ქალბატონის წინ, რომელიც გიყვარს და ამით, პირობითობის მთლიანი უარყოფით, შენი ერთგულების, ერთისაკენ მიმართული მთელი შენი სულის გამოხატვა... (ასე მოიქცა ერთხელ ჩემი ძმა და სწორედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება საზღვარს იქით იყო, მან ადრესატამდე ვერ მიაღწია). რა უნდა ქნა მაშინ, როდესაც სიტყვას ძალა აღარა აქვს, როდესაც აკეთებ ისეთ რაღაცას, რომელსაც არავითარი გამარილება არა აქვს? მე არც მეყოფა ფანტაზია ასეთი ამბების წარმოსადგენად. მხოლოდ სხვებისაგან მოწოდებულ ზუსტ ფაქტებს თუ მოვიშველიებ შემდეგი თხრობისას, რომელიც სავსე იქნება ზომიერებაგადასული, ზღვარდაკარგული ეპიზოდებით... („უცნაურად გალესილ სამართებლის წვერზე მივდივარ სიგიჟესა და უდიდეს ნორმალურობას შორის“. — ამონაწერი გურამის დღიურიდან).

მე, როგორც ქალი (თუმცა, ალბათ, ტყეილად ვანზოგადებ ამ კერძო შემთხვევას), ვფართხალებდი მხოლოდ ყალიბისაკენ მიმავალ გზაზე, მხოლოდ ამ გზის საკმაოდ ვიწრო ჯებირებში ვფართხალებდი... ცოტა ამ კედელს მივეტმასნებოდი, ცოტა მეორეს... ცოტა, კალმახივით, წყალშივე შევხტებოდი... ჩემი ყურება, ალბათ, სასიამოვნოც კი იყო გარედან, გვერდიდან... არც ისე ვარგა, როდესაც ადამიანი საერთოდ ვერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობს ჯაბირებს. მოძრაობა, მიხეიქ-მოხეიქება არცაა ცუდი, უფრო კარგად ეზილება, ითქვიფება მასა... ალბათ, არც ისე ვარგა, ბავშვობისას მუთაქასავით რომ ვიჯექი გაუნძრევლად იმ ადგილზე, სადაც დამსვამდნენ, გინდაც ორი საათის შემდეგ მოსულიყო დედა... როდესაც არაფერი მეწყოდა არც ერთ მხარეს, არც მეორე მხარეს... ეს იყო, როგორცა ჩანს, ნეტარების წუთები, „ნეტარი უსურვილობა“ (გურამის დღიურიდან), ნეტარი ბავშვობა... ნეტარება... ნეტარი სახე, როგორც მიქელანჯელოს შიშველ ადამს აქვს სამოთხის ბაღში, სანამ ეშმაკის შეჩენით მიირთმევს ნაყოფს ვაშლის ხიდან, ხიდან კეთილისა და ბოროტისა...

ნეტარი უმოძრაობა... როდესაც თოჯინებით გარშემორტყმულს არ ეჭირება არც ხელის გაწევა, არც ნაბიჯის გადადგმა... ზუსტად ისე წევს ყვითელთმიანი თოჯინა, როგორც უნდა იწვეს: ცალ გვერდზე, პატარა ხის საწოლზე ისე, როგორც დედაჩემმა დაიწვინა... ეს პატარა მაგიდაც ისე დგას, როგორც უნდა იდგეს, თოჯინის ოთახის შუაში, პატარა სკამებშემორტყმული... ეს პატარა ძაღლიც ზუსტად ისე ზის, როგორც საჭიროა და მე მიყურებს მას შემდეგ, რაც დედამ ჩემკენ მოუტრიალა კისერი; ეს პატარა მსუქანი დათუნაც... მე შემიძლია ავიღო ერთი კუბიკი და დავდო მეორეზე... არ მინდა... ასე უფრო მომწონს, გაბნეული... მაგრამ დედამ რომ მაჩვენა, რომ მითხრა, — აიღე და ასე დადე მეორე კუბიკზეო? მერე კი მეორეზე მესამეო და პატარა სახლი ააშენეო! თვითონ მაჩვენა კიდეც, როგორ უნდა გამეკეთებინა, მერე დაანგრია. „რომ არ ავაშენო? რომ არ გავაკეთო?.. რა იქნება?!“ ასე რომ, იმ კალაპოტში ჩასაღვრელად. რომელიც ერთი გზისაკენ მიექანებოდა, საჭირო იყო ჯერ გაღლობა, რაც სწორედაც რომ ხელში ზელვით, თანდათანობით უნდა მიღწეულიყო. საჭირო იყო ცომის დაყენების გარკვეული ტემპერატურაც... რომ არ გადამწვარიყო, არ დაფერფლილიყო, არ ჩავარდნილიყო ცომი მთლიანად... ე. ი. ცომის მზელავსაც უნდა ჰქონოდა ეს გრძნობა საკმაოდ განვითარებული, მასაც არ უნდა დაერღვია ეს წონასწორობა, ეს ბალანსი... გურამ რჩეულიშვილის ცხენების ციკლის ნოველებიდან თუ გავიხსენებთ ცხენების გამხედნავებს, რომლებიც ცხენებს მათრახს ურტყამენ, რომლებიც ურჩ, გაუხედნავ კვიცებს ჯაბირებთან მისვლის უფლებასაც კი არ აძლევენ, გაგვახსენდება ისიც, რომ ეს მათრახმომარჯვებული მხედნავები არ იწვევენ მკითხველის ზიზღს, ან აღშფოთებას. ისინი აღიქმებიან ცხენების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად, რაღაც სქემებად, რომლებიც თითქოსდა აუცილებელ მოვალეობას ასრულებენ რაღაც გარდამავალი ხიდებივით, რაღაც გზაზე...

რატომღაც არა ვჩქარობ... „რატომღაც“ იმიტომ, რომ ჩემთვის, ისე როგორც ჩვენი ოჯახის ნებისმიერი წევრისათვის, თუ ფალავანდიშვილების გენები არა ჭარბობენ, დამახასიათებელია ისწრაფე, ყველაფრის სწრაფად გაკეთება, ყოველ შემთხვევაში — სწრაფად გადაწყვეტილების მიღება მაინც, თუ გაკეთება არა. ჩემი ზოგიერთი ამხანაგი დამცინის კიდეც, რადგან თურმე ჩემი ლექსიკონი სავსეა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა: „სასწრაფოდ“, „ერთ წუთში“, „საჩქაროდ“, „იმავ წუთას“, „უცბად“, „მაშინვე“ და სხვა... ეს ალბათ ჩემს ნაწერებშიც გაიპარებოდა. ალბათ იმავე რიგისაა სიტყვა „მერე“, რომელიც თავის დროს, ე. ი. სადღაც, 1956 წლის მარტ-აპრილსა და მაისში ანუ მაშინ, როდესაც გურამმა დაიწყო წერა, მე თვითონ მეცა თვალში და ვუთხარი კიდეც ჩემს ძმას. მგონი მიპასუხა, რომ ეს ბუნებრივია, „ასეა საჭირო“, „ეს სტილია“, სტილისტიკის ნაწილიაო და სხვა, რაღაც ამდაგვარი. მოკლედ, მთავარი იყო, რომ გურამს ჩემი შენიშვნა არ გაკვირვებია, მიიღო და მისი ბუნებრიობა აღიარა. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „მერე“ გურამის ზოგიერთ ავტორა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფში (ნათლად ჩანს) შემდეგ არის ჩამატებული. ალბათ მკითხველი დამეთანხმება, რომ თხრობის ქსოვილში ამ სიტყვას შემოაქვს „მდინარების“, „დინების“ შეგრძნება, რასაც აძლიერებს ხანდახან ამ მდინარების უეცარი შეწყვეტა, შეჩერება, როგორც, მაგალითად, „ალავერდობაშია“: ალბათ, ახლა რომ ვფიქრობ, ეს ბუნებრივიცაა ისეთი ოჯახის შვილისათვის, სადაც გზაზე წყლის დასალევადაც კი არ ჩერდებიან, რომელთაც არ იციან რა არის განცხრომა მომენტით, სადაც არაფერი არ აღიქმება დამთავრებულად, სადაც ამ „მერეში“ ვლინდება ცხოვრების ძირითადი აზრი... „მერე?“ ეს ყოველთვის ან ითქმება, ან იგულისხმება, ან იგრძნობა! ასეა ყველაფერში: იწყება ზაფხული და მაშინვე გვახსენდება სექტემბერი, შემოდგომის და სწავლის დაწყების პირველი დღე; იწყება გაზაფხული, პირველი სიცხეები და დედაჩემი უკვე იხსენებს გვიან შემოდგომას, იწყებს თადარიგის დაჭერას... უკვე ქმარ-შვილიანი ყოველთვის ვოცნებობდი, რომ რამენაირად თავი დამეღწია ამ „მერესაგან“, დროის რომელიღაც მონაკვეთში მაინც, და საიმედოდ ჩავკეტილიყავი რაღაც სივრცეში ამ „მერეს“ გარეშე, როგორც მუდმივობაში, უსასრულობაში, რომ ამოვვარდნილიყავი იმ თავბრუდამხვევი დოღიდან, რომელსაც შეუჩერებლივ მივყვებით.

მაშ ასე! როდესაც დედა და მე (გურამის კვალდაკვალ: „ვსწავლობ ჯერ სხვისი სახელი ვთქვა და მერე ჩემი“, — დღიურიდან) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყველანაირ ამინდში, ნოტებით ხელში ვსერავდით სივრცეს თავისუფალი ინსტრუმენტის ძებნას გამოკიდებულნი (აღსანიშნავია, რომ პიანინო მხოლოდ თელავის სახლის გაყიდვის შემდეგ შევიძინეთ მამაჩემის საწერ მაგიდასთან, 50 კილო ხახვთან და 100 კილო ლობიოსთან ერთად), დედამ გურამი მიიყვანა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ისტორიის კაბინეტში, ირინე მიქელაძესთან: „ეს იყო ალბათ 1948 წელი. გურამი იქნებოდა 12-13 წლის. ჩვენ დედა ირინესთან დავდიოდით პიონერთა. ნუ, მაშინ პიონერთა სასახლე ერქვა, საქართველოს ისტორიის წრეში. ერთ მშვენიერ დღეს მორიგი მეცადინეობა გვქონდა. იღება კარი, შემოდის ახალგაზრდა ქალი და პატარა ხუჭუჭა ბიჭი. ჩვენს შორის განსხვავება იყო ორი წელი. მაგრამ როგორც არის ხოლმე სკოლის ასაკში, უსასრულოდ პატარა მოგვეჩვენა ჩვენთან შედარებით. შემოვიდა ასეთი დაბღვერილი ტიპი, თითქმის ძალათი რომ მოჰყავთ. აი, ასე... დედა ირა ძაან ისე შეეგება, ნუ, როგორცა ჩანდა, ძალიან კარგი ნაცნობები იყვნენ, და ჩვენ გვესმოდა შორიდან, რომ ბავშვის დედა ეუბნებოდა დედა ირას, ძალიან ცელქია, მაგრამ ისტორია აინტერესებსო. და აი, მოვიყვანეო... ცოტა ხანში წავიდა გურამის დედა... სულ გოგოები ვიყავით და ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს...“ — გაიხსენა მანანა ანთიძემ.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მოთავსებული იყო კავკასიის მეფისნაცვლისათვის აგებულ შენობაში, რომელიც მდებარეობდა ყოფილ გარეთ უბანში, მაშინდელი ტფილისის ცენტრის კედლების მიღმა, ერეკლე მეფის შვილის, გიორგი XII-ის კუთვნილ ბექობზე შეფენილ, ერთ დროს ბაღ-ვენახებით დაფარულ მიწებზე, საიდანაც მთელი „ტფილისის“ ხედი იშლებოდა და საიდანაც მაშინ იწყებოდა „მოსკოვის დიდი გზა“.

ეს შენობა 1802 წელს დიდი სისწრაფით იქნა აგებული ქართველი არქიტექტორების პროექტების მიხედვით. შემდეგ წლებში, უკვე უცხოელ არქიტექტორთა დაგეგმარებით, სასახლე ფართოვდებოდა, დიდდებოდა, ინგრეოდა, მხოლოდ „კედლებიღა რჩებოდა“, შენდებოდა თავიდან. წლიდან წლამდე იცვლიდა სახეს შენობის გარე და შიდა ხუროთმოძღვრება. „აქ იყო ყველაფერი: კლასიციზმის მოტივებიდან დაწყებული რენესანსამდე“: ფართო სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯლისი დარბაზი თავისი ფოიეებითა და სახეიმო კიბით, სპარსულ სტილში მოწყობილი დიდი სასადილო დარბაზი თავისი პორტიკით ესტრადისათვის, ორნამენტული სარკეებით მოპირკეთებული და ჩუქურთმებში ჩასმული, რომელიც „ჭერსა და კედლებს უნაზესი მაქმანის დარად მოეფინა“, სტალაქტიტებიანი ნიშები, სარკმელში ჩასმული ფერადი მინები სალონ-დარბაზებში; საკამოფენო დარბაზებში ჩამოკიდებული უძვირფასესი, მოოქროვილი უზარმაზარი ჭაღები, შავი და ფერადი ბუხრებით დამშვენებული სამუშაო კაბინეტები და ბუდუარები ბაღისაკენ მიმართული ტერასითა და ფართო ღია კიბით, რომელიც საგანგებოდ გაშენებულ ბაღში ჩადიოდა, სათავსოებით და სხვადასხვა ტიპის აპარტამენტებით. (მკითხველს გავახსენებ, რომ ერთ-ერთ აპარტამენტში ცხოვრობდა ეკატერინე ჯავახიშვილი-კრივეცკაია, ჩვენი ბებიდა კატო თავის მეუღლესთან ერთად). ერთხანობას ამ სასახლის კედლებში დუღდა ნამდვილი მეფური ცხოვრება, იმართებოდა დარბაზობები, მეჯლისები. იყო ფუფუნება, ლხინი, დრსტარება.

საუკუნის დასაწყისში ამ შენობის კედლებში დროებითმა მენშევიკურმა მთავრობამ დაიდო ბინა, 1921 წლიდან კი აქ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოთავსდა და მას დაერქვა საბჭოთა საქართველოს მთავრობის სასახლე. შემდეგ უკვე „ნორჩი თაობისადმი პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის ნათელი გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ 1937 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სასახლე ჩვენი ქვეყნის იმედსა და მომავალს ბავშვებს უნდა გადასცემოდა. ამით მათ ყოველგვარი პირობები ექმნებოდა ბეჯითი სწავლისა და შრომისათვის.“ „1941 წლის გაზახულზე 2 მაისს საზეიმოდ გაიხსნა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელსაც შემდგომში საქართველოს ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბორის ძნელაძის სახელი ეწოდა... პიონერთა საკუთრება გახდა ის უძველესი თაალწარმტაცი პარკიც, რომელიც აკრავს სახ ხლეს... ისტორიას ჩაბარდა სწავლამოწყურებული, ნახევრადმშიერი ბავშვების ყოფა. ლაღი და ბედნიერი გახდა დიდი საბჭოთა ქვეყნის ბავშვთა ცხოვრება... თბილისის პიონერთა და ოქტმობრელთა სასახლის რეკონსტრუქციისათვის მთავრობის მიერ 15 მილიონამდე მანეთი გამოიყო...“ „სასახლის 300-მდე ოთახსა და დარბაზში მოეწყო სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები (არჩილ ქურდიანის სახელოსნო), სახელოსნოები, სპორტული და გასართობი დარბაზები, თეატრალური სცენები, თოჯინების თეატრი, ძველი სამეჯლისო დარბაზი ბავშვთა თეატრალური დარბაზით შეიცვალა. მეფისნაცვლის დიდი სასადილო ოთახი და მდიდრული სალონი ბავშვთა ეგრეთწოდებულ სარკეებიან და თეთრ დარბაზად გადაკეთდა“.

ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო... სასახლეში დაიდეს ბინა ყველაზე ნორჩმა საბჭოთა მოქალაქეებმა... პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე უნდა გადაქცეულიყო იმ კერად, იმ საწრთობ ქურად, სადაც უნდა აღზრდილიყო მომავალი საბჭოთა მოქალაქე, რომლის ზოგადად დასახასიათებლად მომაქვს ამონაწერი გურამ რჩეულიშვილის დაუთავრებელი ნაწარმოებიდან — „შუა საუკუნის ადამიანის მოგზაურობა მე-20 საუკუნეში, ანუ თავგადასავალი გურამ რჩეულიშვილისა“:

„...აქ საბჭოების ქვეყანაში ძირითადი მასა აღტაცებულია უკიდურესობამდე ყველაფრით. ეს აღტაცება უცნაური ბანგია ყველასათვის. აქ ხალხი მოგვაგონებს თეატრში მჯდომ მასას, რომელსაც თითქოს ალკა აქვს დარტყმული, რომლის გარღვევის პირველი მცდელობა აუცილებლივ უნდა დაიღუპოს, ამიტომ ყველანი სხედან და უყურებენ უცნაურ სპექტაკლს, სადაც წამდაუწუმ გამოაქვთ დროშები და იძახიან „გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შას“. ხალხიც ვაშას იძახის, ვინც არ იძახის, სპობენ, როგორც სარეველას, საერთო განწყობილების ხელოვნურად ჩამგდებს. ბოლოს რჩება მხოლოდ ისეთი ხალხი, რომელიც საკუთარი სურვილით იძახის ვაშას. ისეთი ხალხი, რომლებსაც უკვე გადაავიწყდათ როგორ დაიწყეს ყვირილი, რომლებსაც არც უნდათ სხვა მდგომარეობა. უჩვეულო ტუტუცური აღტაცებაა ყველას სახეზე გამოხატული. რაც შეიძლება მეტი აღტაცება! ისეთი ლოზუნგი, რომ ერთი მაინც არ ჩავარდეს მელანქოლიაში, თორემ გადადებს სხვასაც. მელანქოლიკი გადამდები ბაცილაა! მელანქოლიკებში შედის ხალხი, რომელიც არ ყვირის, რომელიც აზროვნებს... აღტაცებაა გამეფებული მუდმივად ჰორიზონტის სიშორეზე მყოფი კომუნისტის სახელით.“ ე. ი. პიონერთა სასახლე უნდა ქცეულიყო იმ საწრთობ ქურად, სადაც უნდა დაბადებულიყო ახალი ადამიანი... აღტაცებული, მზადმყოფი ყოველ წამს „ვაშას“ დასაძახებლად „მუდმივად ჰორიზონტის სიშორეზე მყოფი კომუნიზმის სახელით“. თუ ეს ყველაფერი იყო ასე და ყველაფერი ამ ახალი, ეროვნებადაკარგული, პიროვნებადაკარგული, აღტაცებული ადამიანის შესაქმნელად იყო გათვალისწინებული, თუ იმისათვის თბებოდა ომის ცივ დღეებში ეს მდიდრული, ძველებური შენობა, თუ იმ აღტაცებისათვის იდგმებოდა იმ ქარცეცხლიან დღეებში სარკეებიან დარბაზში ჭერამდე აწვდილი, ბრჭყვიალა ნაძვის ხე, თუ იმისათვის ურიგდებოდათ ბავშვებს იმ სიღარიბის წლებში საახალწლო საჩუქრები, თუ აღტაცებული ადამიანის შესაქმნელად იყო გამოყოფილი მილიონობით მანეთი, სახელსნობებისა და ლაბარატორიების შესაქმნელად, ექსპედიციების დასაკომპლექტებლად, მაშინ მთავრობის გულუბრყვილობით გმირულად უსარგებლია მე-3 საცდელი სკოლის დირექტორს დიროთე ფირცხალავას, რომელიც მაშინ სასახლეს ჩაუდგა სათავეში. მან ბავშვების საწვრთნელი ქურა, სადაც მათ საბჭოთა მოქალაქის შესაფერი ადეურ-პოლიტიკური აღზრდა უნდა მიეღოთ, გარდაქმნა კულტურის ნამდვილ კერად. სასახლეში ადრეული ბავშვობიდან ეუფლებოდნენ პატარები საქართველოს სიყვარულს არა აბსტრაქტულად, არამედ რეალურად, კონკრეტულად, თვითოეული მისი ქვის თუ ქანის გადაბრუნებ-გადმობრუნებით, საქართველოს აწმყოსა და მომავლის თუ ისტორიის ჭკვიანური, დაკვირვებული, მეცნიერული შესწავლით, მისი მთებისა თუ ველების დალაშქვრით... დიროთე ფირცხალავამ სასახლეში მოიზიდა უნიკალური ცოდნის, განათლების და კულტურის პედაგოგები, რომლებიც არ იშურებდნენ დროს, ენერგიას, ცოდნას ჭეშმარიტი მამულიშვილების აღსაზრდელად. სასახლეში დაიწყო მუშაობა მზია ერისთავმა, „ცოცხალმა ენციკლოპედიამ“, ლიტერატორმა, შემოქმედმა, ფილოსოფოსმა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მან მისცა „დასაბამი საქართველოში ტურისტულ მოძრაობას“. მზია ერისთავმა, თავის მხრივ, კონსულტანტებად მოიწვია ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, პირველი ქართველი ალპინისტები, რომლებიც ალპინისტურ ჯგუფებს უძღვებოდნენ. ისტორიის წრეს, როგორც ვთქვით, ხელმძღვანელობდა ირინე მიქელაძე, გეოლოგიის წრეს მავრა გეგეჭკორი, გეოგრაფიის ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორის, დავით დინდუას მეუღლე, რუსულ წრეს — ვალია გრიაზნოვა, ქართულს — ქეთევან ანანიაშვილი, ქიმიის წრეს — ნიკო ჯაფარიძე... სასახლეში იყო დრამატული წრე, თოჯინების თეატრი, რომელსაც ცოლ-ქმარი ჯალაღანიები უძღვებოდნენ და ა. შ. „სასახლეში სიხარულით დავდიოდით. ეს პედაგოგებით იყო განპირობებული. დავდიოდით მცხეთაში, მღვიმეში... ვაკეთებდით ლამაზ გვირგვინებს... კალათებს.... გვაძლევდნენ ამოცანებს: მაგალითად, დეიდა თალიკო იშნელი გვეტყოდა: გაიკეთეთ კალათა ხავსისაგან. ვაკვირდებოდით მთის მდინარეებს, ცხოველთა და მცენარეულთა საფარს, ტოპონიმიკას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწერდით ზეპირსიტყვაობას. სასახლეში მიგვქონდა ჩანახატები, ექსპონატები, ჯაჭვის ნატეხები, ქითნის ნატეხები. ვახდენდით მასალის სისტემატიზაციას, ვახარისხებდით პედაგოგების დახმარებით, მერე ვაწყობდით გამოფენებს... დატვირთული დრო იყო. მეთოდოლოგიურად იყო აწყობილი სწავლება. მთავარი იყო პედაგოგთა საოცარი კოლექტივი. ის ენთუზიაზმი, ის ხალხი ალარ არის, ვინც ამას აკეთებდა. ბავშვებისადმი დამოკიდებულება იყო სერიოზული. ვეთხულობდით ივანე ჯავახიშვილს...“ – გაიხსენა ჯილდა ქორქიამ. „მახსოვს, დავწერე მოხსენება „თბილისის ქარვასლები“. სერიოზული ისტორიული ანალიზი იყო... რა არის ქარვასლა, როგორია მისი აგებულება, არქიტექტურა. რა იყო მისი ფუნქცია და სხვა. მეორე იყო „თბილისის ღაგეგმარება“. დღესაც არ ვიტყოდი უარს არც ერთზე. ასეთი იყო ჩვენი, ყველას თემები... ეს იყო მეცნიერული კვლევები“ (მანანა ანთიძე). 1940-60-70-იანი წლები იყო სასახლეში ბავშვთა უწყვეტი მდინარების წლები თბილისის სხვადასხვა უბნიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ყველა ამ ელელ-ჩამვლელს ახსოვს იმ წლებში წითელყელსახვევიანი ბიჭებისა და გოგონების ნაკადი, რომელიც სასახლის დიდი საღარბაზო კარისაკენ მიემართებოდა და შემდეგ უჩინარდებოდა ამა თუ იმ სართულსა თუ ოთახში განლაგებულ სახელოსნოებსა და კაბინეტებში. წლების განმავლობაში სასახლეში კულტურული ცხოვრება ჩქეფდა; იგი სხვადასხვა დაწესებულებებსა და უბნებში იაბნეულ მასწავლებელ-მოსწავლეთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერების, მსახიობების თავშეყრის ადგილიც იყო. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი შენობა, რომელიც ომის დროს თბილისი, იყო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

ეს ყველაფერი არის ფაქტი და ჩვენი ისტორია ვერც ერთ სახელზე ვერ იტყვის უარს, როგორც არ უნდა ვეცადოთ ამოვიღოთ ისინი ხმარებიდან. ფაქტია ისეთი სიტყვები, როგორიცაა: კომკავშირი, პიონერი, ალკა, ლენინი, ბორის ძნელაძე, მეფისნაცვალი, ვორონცოვი, „მოსკოვის დიდი გზა“... ფაქტები და სახელები, რომლებიც თვითონ ლაპარაკობენ თავიანთ თავზე... და დასაბამს აძლევენ ფიქრებისა და ემოციების დაუსრულებელ ჯაჭვს... განა ახლა კი ერთნაშნა აზრებს აღძრავს ამ ელელ-ჩამ ელელში ტყვეებით დაცხრილული, ერთ დროს თეთრი სასახლე, რომელსაც წინა საუკუნეებში, წინა წლებში მხოლოდ აშენებდნენ და აშენებდნენ, ალამაზებდნენ, უმატებდნენ... თურმე მომავალსაც გულისხმობდა 1981 წელს დაწერილი სიტყვები: „ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოში ქალაქი, რომლის მატიანე ისეთი მრავალფეროვანი, გმირული და, ამასთანავე, ტრაგიკულიც იყოს, როგორც თბილისსა აქვს. ამ უძველესი ციხე-ქალაქის ისტორია იწერებოდა სისხლითა და სამშენებლო დულაბით.“ განა დავიწყებას არ მისცა ჩვენ წინ დატრიალებულმა ტრაგედიამ თავისი მნიშვნელოვნობით ყველა ძველი რბევა, ნგრევა, სისხლი? და აი, ჩვენს წინაა ტყვეებით დაცხრილული, ერთ დროს ამაყი, ვორონცოვის საბრძანებელი – პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. შეიძლება რაღაცისათვის საჭირო იყო მისი მხილება, გვირგვინის მოხდა, დამიწება, დამდაბლება, რადგან „კულტურის კერა“ შეუმჩნეველად, თანდათანობით, მოულოდნელად, წლების განმავლობაში სიყალბის სიმბოლოდ გადაიქცა. 1989 წლის 8 აპრილს გამვლელების წინ იშლებოდა უცნაური სანახაობა: ლითონის მაღალი, აჟურული გალავნის იქით, სასახლის საგანგებოდ გაშენებულ უნიკალურ ბაღში, თითქმის ყველა ნეკერჩხლის, წითელი ხისა და კლეოდენტრონების უკან გაუნძრეველად იდგნენ უცნაურად მოკლე, ბრტყელპირა ნიჩბებით, მწვანე ყუთებითა და მწვანე ტანსაცმლით აღჭურვილი, მართლაც ეროვნებადაკარგული, პიროვნებადაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ყოფილი ოქტომბრელ-პიონერ-პარტიულები და უცნაურად უთვალები სახეებით იყურებოდნენ თავის წინ, ერთი მიმართულებით... 8 აპრილს მოჰყვა 9 აპრილი, შეწირული 15 ქალი, 15 მსხვერპლი — ჯერ ვაურკვეველი, საითკენ მიმავალ გზაზე... სულ ორ-სამ წელიწადში გაირკვა, რომ 9 აპრილი მხოლოდ უვერტიურა იყო 1993 წელს თბილისში დატრიალებული ტრაგედიისა, როდესაც თვითონ თბილისელებმა, ხეების ჩაურეკლად, ერთ დროს ბაღვენახებით დაფარულ ფერდობზე შეფენილი შენობები ნაცარტუტად აქციეს. ახლა თებერვალია იმავე წლის... ჩაშავებულ, დაცხრილულ სასახლეში მოლიანად ჩამკვდარია ცხოვრება. გაყინული შენობის კედლები ავლენენ უფროსების დამოკიდებულებას მომავალი თაობის მიმართ, უფროსებისა, რომელთა ცხოვრებაში ბავშვებს აღარ უჭირავთ არცერთნაირი ადგილი...

მაშ ასე! გურამი პიონერთა სასახლის ისტორიის კაბინეტის წევრი გახდა და ამ კაბინეტს ხელმძღვანელობდა ირინე მიქელაძე. მან საველე მუშაობას თავიდანვე ჩაუყარა საფუძველი პატარ-პატარა გასვლებით მცხეთაში, შიო მღვიმეში და სხვა, რაც ყოველ კვირას ეწყობოდა. მაგრამ მთავარი მოვლენა-ამბავი იყო ხევსურეთის კომპლექსური ექსპედიცია, რომელიც — პირველად სასახლის ცხოვრებაში — მთელი თვით აპირებდა გასვლას საქართველოს ამ მთიან მხარეში, რაც ომის შემდგომ პერიოდში ძალიან დიდ სირთულეებთან და რისკთანაც კი იყო დაკავშირებული, რადგან ხევსურეთში დათარეშობდნენ ხუჯბარიოს ჯგუფები და საფრთხეს უქმნიდნენ როგორც ხევსურებს, ასევე ჩამოსულებსაც.

ექსპედიციისათვის საგანგებოდ ემზადებოდა მთელი სასახლე, თითქმის მთელი თვის განმავლობაში. სამეურნეო ნაწილი ზრუნავდა კარვებზე, საველე აღჭურვილობაზე, პროდუქტებზე; ბავშვები ეცნობოდნენ ხევსურეთის შესახებ ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და სხვა სახის ლიტერატურას; ამოხაზეს გეოგრაფიული რუკა (ეს რუკა, დახაზული ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის, თენგიზ მგელიაშვილის მიერ, თან დაერთვის ამ ეთნოგრაფიას)... ჰედაგოგებმა საგანგებოდ მოიწვიეს ხევსურეთის ფოლკლორის ცნობილი მკვლევარი ქ-ნი თინა ოწიაური, რომელმაც საინტერესოდ და ცოცხლად დაუხატა ბავშვებს ხევსურეთის წარსული და აწყო, ხევსურების ქცევისა და ხასიათის თავისებურებანი. სასახლის სხვადასხვა კაბინეტები და სექციები ერთდროულად აპირებდნენ მთიანი მხარის დალაშქვრას. ლიტერატორებს უნდა შეეგროვებინათ და ჩაეწერათ ზეპირსიტყვაობა, გეოლოგებს უნდა შეესწავლათ ქანები, ისტორიკოსებს აწმყოში წარსულის ნაკვალევი უნდა აღმოეჩინათ (სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა გურამის მოხსენებაც: „ძველი და ახალი ხევსურეთი“); ეთნოგრაფების საგანგებო კვლევის საგანი უნდა გამხდარიყო ტანსაცმელი, აღჭურვილობა, ინტერიერი; კომპლექსურ ექსპედიციაში შედიოდნენ ე. წ. „აკუკლიჩკებიც“ — თოჯინების თეატრი, ნორჩ შემოქმედთა წრე. ექსპედიციის ძალიან მნიშვნელოვანი წევრი იყო სერგო ზაქარიაძე, რომელიც, იმხანად თეატრიდან გამოგდებული, სასახლეში მუშაობდა. ბოლოს და ბოლოს დამთავრდა მზადება და დათქმულ დღეს ეკვრის ხიდიდან გამცილებლების, მშობელ-ახლობლების ხმაურში ხევსურეთისაკენ დაიძრა ბავშვებით, პროდუქტებით და სხვა საჭირო ინვენტარით ავსებული ღია საბარგო მანქანები. ეს იყო 1950 წლის 7 ივლისი. თუმცა თავდაპირველად არავის ახსოვდა ზუსტი წელი. თარიღი მერყეობდა 1949- 1952 წლებს შორის. 1981 წელს გამოცემულ სასახლის გაზეთშიც კი („ვაზაფხული“), რომელიც სპეციალურად ამ ექსპედიციის გახსენებას მიეძღვნა, თარიღად დასახელებულია 1951 წელი: „1951 წლის ზაფხული უჩვეულო იყო სასახლის ნორჩი ლიტერატორებისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის. ისინი მონაწილენი გახდნენ ხევსურეთის მაღალმთიანი კომპლექსური ექსპედიციის, რომელიც აერთიანებდა...“ შეიძლება ვინმეს ჩემს ახირებადაც მოეჩვენოს ამ სიზუსტის ძიება ექსპედიციის წევრთა „დაკითხვისას“ რა მნიშვნელობა აქვს, სასაცილოც კია — ერთი წელი იქით თუ აქეთ, ერთი თვე იყვნენ ხევსურეთში თუ მთელი ზაფხული... თუ ორი კვირა... მით უმეტეს, დროთა სიშორიდან, დღევანდელი დღის უპირატესობიდან, რომელსაც შეუძლია ცოდნით, გამოცდილებით სავსემ გადახედოს განვლილ დღეებს, ყველაფერი გარკვეულია: რა ნათელია წარსული, რა უბრალო, რა გულუბრყვილო... ალბათ მკითხველს ახსოვს კიდეც, რომ ჩვენი ოჯახის, ე. ი. გურამის ცხოვრების პირველი თექვსმეტი წელი თითქმის ერთდროულად, თანაარსებულად, დაუნაწევრებლად მივაწოდე მკითხველს და არც დედაჩემის ჩანაწერებისა თუ წერილებისათვის მიცდია მიმეცა თანმიმდევრული, ზუსტი, ქრონოლოგიური ასახვა.მაგრამ დამთავრდა ჩემი ძმის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც საფუძველი ეყრებოდა შენობას, რომელიც ძალიან მალე, არაჩვეულებრივი სისწრაფით, ოღონდ მაინც თანმიმდევრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აღმართულიყო ამ საძირკველზე. ექსპედიციის თარიღიდან მოყოლებული, საოცრად მნიშვნელოვანი ხდება — რაღაც როდის იყო: ერთი წლით ადრე, თუ ერთი წლით გვიან, ზაფხულში თუ შემოდგომაზე, რომელიც ზაფხულს მოსდევდა. 1950 წლიდან მოყოლებული, რაც უფრო წინ მივდივარ, მით უფრო მძაფრდება ქრონოლოგიური ჩარჩოს აღდგენის მოთხოვნილება... საოცრად მნიშვნელოვანი ხდება აწმყო დრო, საყოფაცხოვრები დრო, რომელიც უცნაურია, მაგრამ ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. ახლა რომ ვფიქრობ, გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების სიუჟეტური მოძრაობა დაიწყო იმ წერტილში, საითკენაც დაიძრა ის შემდეგ და სადაც უნდა მისულიყო ბოლოს; თანდათანობითი crescendo ანუ crescendo poco à poco, აღმავალი ხაზი, რომელიც მიჰყვება ჩემი ძმის ცხოვრება-შემოქმედების ევოლუციას, თავდაპირველად ჩაისახა საოცრად ნათელ, ჩუმი სიმხიარულითა და ჰარმონიით სავსე Allegretto-ში: ჭრიჭინებში, ხვიხვინებში, კაკნებში, გალობებში, ჭიკჭიკებში, ფრუტუნებში, კისკისებში... ათასი ხმით, ათასი პარტიით სავსე სრულ სიხუმრეში: ბავშვობის უხინჯო, წყნარი, ლაღი დღეების დროს. უხმო სიმფონიას მიყვებოდა ჯერ მხოლოდ გულში ამღერებული უხმო საყვარულის მელოდია: პატარა კვიცის პარტია, პატარა კვიცის ხმა, Andante Cantabile, რომელსაც თურმე განსხვავებულ სულ რამდენიმე წელიწადში უნდა დაეწყო („არ შეიძლება ამდენი ვნახო და არ დავწერო...“ (დღიურიდან). Allegretto ხმის სიმძლავრის თანდათანობით ზრდასთან ერთად გადადიოდა Allegro-ში, მერე Presto-ში... ძლიერდებოდა ხმა, ძლიერდებოდა ტემპი და, ბუნებრივია, მატულობდა სიმხურვალეც. 1960 წლის 23 აგვისტოს ამ თანდათანობითმა მზარდმა ხმამ გაამტვრია „ბაკანი“ და დაიგრგვინა ათასად დაშლილ ერთ ხმად, როგორც სამყაროს ერთიანობის დამადასტურებელმა საბუთმა, საზეიმო Adagio-ში და ერთდროულად ყველაფერი, როგორც უკვე არსებული, გაიხსნა, გაიკვა, ნათელი გახდა და სულ სხვა საბურველში გაეხვა...

მაშ ასე, კითხვა-კითხვით დაზუსტდა ხევსურეთის კომპლესური ექსპედიციის თარიღი: 1950 წლის 7 ივლისი. იგივე თარიღი ზუსტად აღადგინა ანზორ სალუქვაძემ, რადგან მეათე კლასელი ანზორი გააცილა მამამ, რომელმაც ამქვეყნიური საბრძანებელი თურმე მომდევნო წელიწადს, ე. ი. 1951 წელს დატოვა. მერყეობს ყველა მოგონებაში ექსპედიციის ხანგრძლივობაც. უმეტესისათვის ეს იყო „მთელი ზაფხული“: ორი-სამი თვე. ამ შემთხვევაშიც მართებულ წყაროდ პატარა ბიჭის ჩანაწერები მივიჩნიე და ამიტომ თამამად შეძლია ვთქვა, რომ ექსპედიცია გაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელდა 1950 წლის 2 ავგისტომდე, ე. ი. თითქმის ერთი თვე.

ასე რომ, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კომპლექსური ექსპედიცია თბილისიდან გავიდა 1950 წლის 7 ივლისს, დილით ადრე, და იმავე დღეს, საღამოთი დაბინავდა ს. ბარისახოს ინტერში ზდებარე სკოლა-ინტერნატში, რომელიც ერთადერთი იყო მთელს რაიონში. ეს სკოლა-ინტერნატი ამავე დროს რაიაღმასკომის შენობაც იყო და, საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ის იყო ერთადერთი ადმინისტრაციული შენობა მთელს ხევსურეთში. ამბობენ, ამ შენობაში მოქცეულმა დაწესებულებებმა ანუ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობამ თავის აყვავებას იმ ხანიან მიაღწია ისეთი შესანშნავი პედაგოგისა და პიროვნების ხელში, როგორიც გახლდათ ბ-ნი თვალავაძეო, „დაუვიწყარია ბარისახოში გატარებული დღეები, მდ. არაგვისა და ლიქოკის ხევის შესართავთან, შესანიშნავ მინდორზე ვატარებდით დროს,..“ (ჯილდა ქორქია); „ბარისახოში რამდენიმე დღე გავჩერდით, ალბათ აკლიმატიზაციისათვის. არაგვის ნაპირზე, მინდორზე ვთამაშობდით, შორიახლო მწყემსავდნენ ცხენებს. ბიჭები ჯირითობდნენ, ჩვენ ვუყურებდით... (ციცინო მჭედლიშვილი).

აი, ეს ის იალაღებია, ის სერებია, რომლებზედაც სულ ახლახან ვწერდი.. ამ იალაღებზე დანავარდობს პატარა კვიცი... ეს ის მინდორია, რომელიც ახლა ჩემი თვალთახედვის წერტილიდან ხან სულ ცარიელი მოჩანს, გატრუნული, გარინდებული, ისევ და ისევ სერები და ტრიალი მინდვრები — უსასრულობამდე, ხან კი ჟივილ-ხივილით ივსება ყველფერი: პატარ-პატარა ოღროჩოღრო მოედნებით, საჩხუბრად ჟალყზე შემართული ბიჭებით, კოკონებით, იქვე, სერებზე მობალახე ცხენებით, შორს, მთის ფერდობზე შეფენილი ხალიანი ძროხებით; ივსება გარემო „ბევრი ბავშვებით ერთად“, აი, აი. ამ გოგოთი მამა ძალიან ამაყობს. ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი, მზეზე ახალგარუჯული, ცხვირაქერცლილი გოგო-ბიჭებით, რომლებიც ხელის გაჭრით, ღვინოში ვერცხლის ჩაფხვნით უმძობილდებიან და უდობილდებიან ერთმანეთს. აი, ხევსურეთის იალაღები... „ბევრი ბავშვები ერთად“... თურმე ეს „აი“, რომელიც წერის დაწყებისთანავე ამეკვიატა, ახლა მივხვდი მხოლოდ, გოგებაშვილის ფდა-ენის პირველი სიტყვაა; მეორე სიტყვაში კი („აა“) შეგიძლია მთელი სამყარო ჩაანაცვლო. აი, ისევ დამთხვევა, თუ წინასწარ დანახული მომავალი წარსულში. ერთხელ, რატომღაც, რომელიღაც კლასში, ვეუბნები ჩემს ამხანაგს: „ძალიან მიყვარს თქმა: „აი“. „მეც მიყვარს“, — მპასუხობს ის და მე, გახარებული, რომ ერთდროულად გვიყვარს რაღაც, გულში ვამბობ: „აი, თურმე იმასაც უყვარს“. აი აა, აი... შეხედე, გაიშვირე ხელი, ჩამოიხსენი ბინდი თვალებიდან, შორს წასვლა არ გინდა, ყველაფერი შენს წინაა, შენშია... აი... აი... აი... აი, თურმე, ხე; აი, ვარდი,

აი, კურღელი

აი, ხოჭო

აი, რწყილი

აი, ბაღლინჯო

აი, ეს ქვეყანა... აი, ფიროსმანი... აქ არაფერს არ უნდა ძებნა, ვნებებსა და გრძნობებში ჩაკარგვა თავის საპოვნელად ლაბირინთებში, ხლართებში გახვევა, ძლიავს მბჟუტავი სინათლის ვზის გამოკიდება... აი, ადამი მიქელაძელოსი... აი, ედემის ბაღი... აი, „ნეტარი უსურვილობა“...

აი, პორტრეტი ბიჭის, ოქროსფერი ხუჭუჭა თმით, რომელიც ცხვრის ბეწვივით წვრილად და მბზინავად ეხვევა კოხტა თავზე... და არცაა გასაკვირი თუ გავიხსენებთ მისი დედისა და მამის საქმიანობას, მათ გაუთავებელ ტრიალს ცხვრის ფარაში... ამ ბიჭს ახლა პატარა შვილი ჰყავს, პატარა ია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნახე! ზუსტად ჩემნაირი თმა აქვს, ჩემნაირი თვალები; რა ლამაზია, რა ლამაზი...“ (აკი ვთქვი, არ მინდა დაიკარგოს გურამის არც ერთი სიტყვა, რომელიც მეხსიერებაში ამოტივტივდებამეთქი). ვეღარ იკავებს ჩემი ძმა სიხარულს. ამ პატარა გოგოს ახლა ხუჭუჭთმიანი ვაჟი ჰყავს და ხუჭუჭთმიანი გოგო... აი, პაპა — ჩემი ძმა, რომელიც უკვე გასაძდა... გურამის და ლინას შვილიშვილები... აბა, აიღე ნებისმიერის პორტრეტი, შიგ არის ოთხივე. ერთში — ოთხი. ეს — აქეთ, მომდევნო თაობებში, წინაპრებში? დაახლოებით ალბათ ისე, როგორც ერთხელ ძია ლეომ თქვა პატარა ლიკაზე, ჩემი მეუღლის დის შვილზე... „რა ლამაზია, ძია ლეო, პატარა ლიკა, საოცრად ლამაზი, არა?“ — ვუთხარი მე. „არცაა გასაკვირი, ციციშვილების გვარი საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა“, — თქვა ძია ლეომ. მე ვტრაბახობ ჩვენი გვარის სიძველით და გადაკრულად ვახსენებ მკითხველს ჩვენს წარმომავლობას მესხეთიდან, შუა საუკუნეებიდან... მაგრამ არსებობს კი ადამიანი, რომლის ძირები არ მიდიოდეს წარსულის ამოუცნობ სიღრმეებში?.. ჩვენ, ყველა, ვიხვეწებით და ვიხვეწებით მას შემდეგ, რაც ჩვენი, ყველას, წინაპარი ბუკითა და ნაღარით გამოაცილეს ედემის ბაღიდან ანგელოზებმა, რაც ასე დავუპირისპირდით სამყაროს, ერთმანეთს, საკუთარ თავს. ჩვენ, ყველა ერთად, ვიხვეწებით და ვიხვეწებით და დახვეწილები მივდივართ წინ, გაუჩერებლივ...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი სოლომანაშვილი

უკვე მეორე ათეული წელია, რაც გამოჩენილი მწერლის **თამაზ ჭილაძის** თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ტარდება ახალგაზრდა ქართველ დრამატურგთა „ბიჭვინთის სემინარები". ამ შეკრებებმა დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა ლიტერატორთა დაოსტატებას, ქართულ თეატრალურ აფიშებზე მანამდე უცნობი სახელების წარმოჩენას. ამჟამად ბატონი თამაზი უძღვება თეატრალურ ინსტიტუტში ჩამოყალიბებულ დრამატურგთა სტუდიას. ჟურნალ „ცისკრის" წინამდებარე ნომერში ვაქვეყნებთ ამ სტუდიის ერთ-ერთი წევრის ახალგაზრდა დრამატურგის ირაკლი სოლომანაშვილის პიესას.

ქაღალდის ფრინველი

მოქმედი პირნი:

მედეა
სულხანი
დარეჯანი
ნატო
მაიკლი
გეგა
გუგა
შალიკო
სამხედრო
ბიძინა
რობიზონი
ქურდი

სცენაზე კინოეკრანია ჩამოკიდებული, რომელზეც მოჩანს თბილისის ხედები. ისმის სიმღერა თბილისზე. სცენაზე შემოდის ტურისტული ჯგუფი — პიესის მოქმედი პირნი. მათ წინ მოუძღვება დარეჯანი, რომელიც სცენაზე მყოფთ ურიგებს თბილისის რუკებს.

დარეჯანი. პატივცემულო სტუმრებო, ეს თბილისის რუკაა. ახლა ჩვენ ვიმყოფებით ფუნიკულიორზე. თქვენს თვალწინ გადაშლილია ქალაქის შესანიშნავი ხედი. ბრძენმა ქართველმა ერმა შეთხზა ერთობ პოეტური ლეგენდა საქართველოს დედაქალაქის დაარსების შესახებ. ეს მოხდა მეხუთე საუკუნეში. ლეგენდა იუწყება: საქართველოს დიდმა მეფემ, ვახტანგ გორგასალმა ნადირობა განიზრახა. მცხეთიდან, ანუ იმდროინდელი სატახტო ქალაქიდან აქეთ გამოეშურა. იმ დროისათვის ამ ადგილებში ტყეები იყო გადაჭიმული.

სულხანი თბილისის რუკისაგან ქაღალდის ფრინველს აკეთებს და დარბაზში უშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯანი. ნადირობისას მოულოდნელად ბუჩქებიდან აფრინდა ხოხობი. მეფე ვახტანგის სანადიროდ გაწვრთნილი მიმინო ხოხობს დაედევნა.

ტურისტული ჯგუფი სცენიდან გადის. კინოეკრანი ზემოთ იწევს. სულხანის ოთახი. ოთახის უკანა კედელთან ვარსკვლავებით მოხატული, უზარმაზარი ლურჯი გლობუსი დგას. გლობუსს დაჰყურებს კიბეზე დამაგრებული მიკროსკოპი. გლობუსის გვერდით, კარადაზე პატეფონია. ოთახის მარჯვენა კედელში ფანჯარაა გამოჭრილი. მარცხენა კედელში ოთახში შემოსასვლელი კარია. სცენიდან დარბაზის მიმართულებით გამოგრძელებული ბილიკი აივნით ბოლოვდება, რომელზეც ცისკენ მიმართული ტელესკოპი დგას. სცენის შუაგულში სახეიმოდ გაწყობილ სუფრას ტორტი ამშვენებს. მარცხენა კედელზე ტელეფონი კიდია.

სცენაზე ეშვება თბილისის რუკისაგან დამზადებული ქაღალდის ფრინველი. სულხანი მიკროსკოპით დასცქერის გლობუსს. აივანზე გადის. ტელესკოპში იჭვრიტება. ტელესკოპის ლინზას აორთქლებს, ჰერანგის სახელოთი წმენდს. ტელესკოპში იჭვრიტება. ოთახში შებრუნდება. გლობუსს ვარსკვლავს ახატავს. აივნისკენ გამობრუნდება, იატაკზე დაგდებულ ქაღალდის ფრინველს წაჰკრავს ფეხს. ფრინველს ფრთას მოახევს. ქაღალდის ნაგლეჯით ტელესკოპის ლინზას წმენდს. ნაგლეჯს შეათვალიერებს, რომელიც თბილისის რუკა აღმოჩნდება. რუკას კედელზე ჭიკარტებით აკრავს. რეკავს ტელეფონი. სულხანი იღებს ყურმილს.

სულხანი. ალო! გისმენ! ალო! ალო! გისმენ! რომელი ხარ? ალო! ალო! ყურმილს კიდებს. აივნისკენ გამოემართება. ტელეფონის ზარი შეაჩერებს.

სულხანი. ალო! გისმენ! გისმენ! ხმა ამოიღე! ხმა ამოიღე, შენი...

სულხანი ტელეფონს ქსელიდან გამორთავს. აივნისკენ მიდის. ამჯერად კარის თავზე ჩამოკიდებული ზარის რეკვა ისმის. სულხანი კარს აღებს. ოთახში ქურდი შემოდის, რომელიც სულხანს შუბლზე მიაბჯენს იარაღის ლულას. ქურდი მუჯლუგუნით ძირს აგდებს სულხანს და ოთახში რაღაცის ძებნას იწყებს. იხედება მაგიდის ქვეშ. კარადაში იქექება, ბოლოს მიკროსკოპისკენ გაემართება. კარზე დაკიდებული ზარი რეკავს. აფორიაქებული ქურდი წამოწეულ სულხანს იარაღის მუქარით ანიშნებს, ისევ იატაკზე დაემხოს. ზარი რეკავს. ქურდი ტელესკოპს ტომარაში ნაღებს. ზარი რეკავს. ქურდი იარაღის მუქარით უბრძანებს სულხანს, ფეხზე ადგეს და შეტრიალდეს. ქურდი მაგიდიდან ბოთლს იღებს და სულხანს თავში ურტყამს. სულხანი უგონოდ ეცემა. ქურდი სულხანს კარადაში ამწყვდევს. კარადას გასაღებით კეტავს. გასაღებს დარბაზში მოისვრის. ბოთლსაც მოიქნევს, მაგრამ გადაიფიქრებს. კარზე ზარი რეკავს. შემცბარი ქურდი აივნიდან გადაჰყოფს ფეხს. წამით შეყოვნდება. აივნიდან გადაძრომას გადაიფიქრებს. ოთახში შემობრუნდება. რუკას გვერდს ჩამოახევს. ბოთლს მაგიდაზე დადებამდე ნაგლეჯით ნათითურებს მოწმენდს. მიკროსკოპსაც ტომარაში ჩადებს. ზარი რეკავს. ქურდი ფანჯრიდან გადაძვრება. ზარის გაბმული რეკვა წყდება, ისმის კარზე ბრახუნი. ოთახში რობიზონი და ბიძინა შემოდიან.

რობიზონი. სულხან! შინა ხარ, სულხან? ალო! სულხან! სად ხარ?

ბიძინა. სად არის სულხანი?

რობიზონი. ყოველ შემთხვევაში, აქ ვერ ვხედავ.

ბიძინა. იქნებ, სხვის ბინაში მოვხვდით? **(ოთახიდან გასვლას აპირებს).**

რობიზონი. **(ბიძინას აჩერებს)** არა, ნამდვილად სულხანის ბინაა, აი გლობუსი.

ბიძინა. მაშ, სულხანი სადღაა?

რობიზონი. არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინა. სირცხვილია, დაუკითხავად შემოვედით. უმჯობესია, გარეთ დაველოდოთ. **(ოთახიდან გასასვლელად მიიწევს).**

რობიზონი. მოიცა, კაცო, აქ მოვუცადოთ. მოვა, სად წავა? ნახე, რა ტორტი გამოუცხვია. **(მაგიდიდან დანას იღებს და ტორტის დაჭრას აპირებს).**

ბიძინა. არა, ტორტს მაინც ნუ დაჭრი, უხერხულია.

რობიზონი. ჰო, კარგი, დამშვიდდი. დაველოდოთ და მერე დაეჭრათ. **(დანას მაგიდაზე დადებს, თითს ტორტის კრემში ამოავლებს და გაილოკავს).**

ბიძინა. მაინც რა აღმოაჩინა სულხანმა?

რობინზონი. არა, ჯერ პოლომდე არ აღმოუჩენია, მაგრამ იმედია აღმოაჩენს. ყოველ შემთხვევაში, იმედი თუ არა, სურვილი მაინც არის. მოსცლია რა, მეტი საქმე არა აქვს? აუჰ, საქმეზე გამახსენდა, დახარეკი მაქვს. **(ტელეფონს ძივარდება, დისკის აწვალებს).** ეეჰ, ეგეც მყავს რა ჯორდანო ბრუნო, ტელეფონი ვერ გაუკეთებია.

ბიძინა. **(ჯიბიდან იღებს ჭადრაკს)** რობიზონ, ჭადრაკი ხომ არ გვეთამაშა?

რობიზონი. რა დროს ჭადრაკია? ხომ ხედავ, საქმე მაქვს და ვერ ღამირეკია.

ბიძინა. ვფიქრობ, ტელეფონის ტყუილად წვალებას ისევ ჭადრაკის თამაში აჯობებს.

რობიზონი. შენ მუდამ საინტერესო გამოსავალს პოულობ რთული სიტუაციიდან. როგორ ახერხებ?

ბიძინა. იცი, გამოგიტყდები — ჭადრაკის წყალობით. საუკეთესო საშუალებაა ლოგიკური აზროვნების გამოსამუშავებლად.

რობიზონი. არაა?..

ბიძინა. გეფიცები.

რობიზონი. მაშ ვითამაშოთ, თეთრები ჩემია.

ბიძინა. თუ თეთრებით შენ ითამაშებ, მაშინ შავები ჩემია.

რობიზონი. ვაა, ლოგიკური აზროვნებაც ამას ჰქვია.

ბიძინა. უკვე შეამჩნიე, არა? მეტსაც ვეტყვი: თუ თეთრები შენია, მე კი შავებით ვითამაშებ, მაშინ პირველი სვლა შენ გეკუთვნის.

რობიზონი სვლას აკეთებს, ბიძინა ფიქრობს.

ბიძინა. ამ სვლას არ გირჩევ.

რობიზონი. რატომ?

ბიძინა. მეთხუთმეტე სვლაზე კუს დაკარგვა მოგიწევს და თუ მეცხრამეტე სვლის შემდეგ ყაიმს არ შემომთავაზებ, რის შემდეგაც, მე თუ უარი განვაცხადე ყაიმზე, ოცდამეხუთე სვლაზე უეჭველად დამარცხდები.

რობიზონი. შენ თუ წინასწარ იცი ყველაფერი, მაშინ თამაშს რაღა აზრი აქვს?

ბიძინა. ყველაფერი წინასწარმეტყველებმა იციან. მე, უბრალოდ, ვვარაუდობ. ჩემი მხრიდან თამაშის ინტერესი კი იმაში მდგომარეობს, რომ გავარკვიო, რამდენად ლოგიკურად აზროვნებ.

რობიზონი. ესე იგი, მე თუ ვაზროვნებ, უნდა წავაგო?

ბიძინა. საერთოდ, ლოგიკური აზროვნება ალოგიკურობასაც მოითხოვს, ხოლო თამაშის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ლოგიკურია ალოგიკურობა.

რობიზონი. **(უშედეგო ფიქრის შემდეგ)** მე გავრისკავ და მაინც ამ სვლას გავაკეთებ.

ბიძინა. რაც შეეხება რისკს. **(უბიდან იღებს წიგნს, სარჩევში ეძებს, საოაურს კითხულობს).** მე ამ მოვლენას ორ კატეგორიად ვყოფ. ერთი მათგანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც პირობითად „ა“ ვარიანტი შეიძლება ვუწოდოთ, აზროვნების ნაკადის ჩიხში მოქცევას განაპირობებს და ვინაიდან აზროვნების ფენომენს უწყვეტი მოძრაობა ახასიათებს, ხოლო ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში კი უმოქმედოდაა, იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება და იძულებულია ნებისმიერი საშუალება მოსინჯოს, რამაც შეიძლება ფუნქცია დაუბრუნოს, ანუ ხელახლა ამოქმედოს. რა თქმა უნდა, ეს ვარიანტი ნაკლებად მომგებიანია, ვინაიდან არ ითვალისწინებს მოცემული მომენტისათვის გარემოში არსებულ მიმდინარე ლოგიკურ პროცესებს. ხშირ შემთხვევაში იგი კრახს განიცდის, რადგანაც „ა“ ვარიანტში მოყვანილი მაგალითი მთლიანად სპონტანურ აზროვნებას ემყარება და ამ პირობებში კი ძნელია ამ სიძლიერის რეაქცია მივიღოთ, რომელიც დამანგრეველი ძალით იმოქმედებდა გარემოში არსებულ ლოგიკურ პროცესებზე, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ჩიხად გვევლინება. თუმცა არსებობს ვარიანტი „ბ“. ამ შემთხვევაში ობიექტი, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით, გარემო პირობების ზეგავლენით კი არ მოქმედებს, არამედ თვითონ მართავს გარემოში არსებულ მოძრაობას და ცდილობს თვითონ გარემო მოაქციოს ჩიხში. ამისკენ მას უბიძგებს მაცდუნებელი სურვილი, — თავი დააღწიოს ეგრეთ წოდებულ ბეგარას, რომელსაც ცალკეული ინდივიდისაგან მოითხოვს გარემო, იმის საფასურად, რომ ინდივიდი არის თანამგზავრი სამყაროში არსებული ძირითადი ლოგიკური პროცესისა. „ბ“ ვარიანტში რისკი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ალოგიკური აზროვნების ნაირსახეობა, რომლისთვისაც კარგად არის ცნობილი გარემოში არსებული ლოგიკა და ამდენად არ ატარებს სპონტანურ ხასიათს, განპირობებულს იძულებითი ვითარებიდან. თუმცა „ბ“ ვარიანტი „ა“ ვარიანტთან შედარებით მეტად მომგებიან ხასიათს ატარებს, საერთო ჯამში კრახი ორივესთვის გარდაუვალია, ვინაიდან არ არსებობს სამყაროს მოძრაობის დამოუკიდებლად არსებული მოძრაობა. ყოველი ცდა ამგვარი მოძრაობის წარმოშობისა არსებულ ტერმინოლოგიაში რევოლუციად იწოდება. რევოლუციაკი, როგორც მოგეხსენებათ, სხვა არაფერია, თუ არა კატალიზატორი, რომელიც აჩქარებს მოვლენათა მიმდინარეობას, რომლის დროსაც ბუნებრივია, ირღვევა მოვლენათა მონაცვლეობისა და მათი არსებობის ლოგიკა. ამ ვითარებაში, ჯერ ერთი, წარმოიშობა ენერგია, რომელიც აღემატება ბუნებრივს და, მეორეც, კატალიზატორის მეშვეობით მოვლენათა განვითარებისათვის საჭირო დრო ჩვეულებრივზე მცირეა. მცირე დროის მონაკვეთში კი ყოველი მოვლენა ინკუბაციის პერიოდის გავლას ვერ ახერხებს და ამდენად ენერგია, რომელიც რეალიზირებულ უნდა იქნეს, ხელოვნურად იხშობა, მაგრამ არამც და არამც არ ისპობა. იგი ქვეშეუცნობლად, გენეტიკური კოდით გადაეცემა თაობიდან თაობას და მიეცემა თუ არა საშუალება, დაუყოვნებლივ შეიძლება გამოვლინდეს — რეალიზაცია მოახდინოს საკუთარი თავისა. თუმცა ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა რეალიზაციის დროს კონტროლი გაეწიოს მისი გამოყოფის დოზირებას, საჭიროზე მეტი ენერგია რომ არ ამოიფრქვეს, რომელიც მოვლენათა მონაცვლეობის ერთხელ უკვე დარღვეულ პროცესს ხელახლა დაარღვევს. როგორც წესი, ეს ასეც ხდება და შედეგად ალოგიკურობა მხოლოდ მორიგი მოვლენის სახეს ღებულობს, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ლოგიკურად მეორდება. ამდენად, ალოგიკურობა ლოგიკურობის ოპოზიტური მოვლენა კი არა, არამედ მისი შემადგენელი ნაწილია.

რობიზონი. კარგი, მაშინ შავებით მე ვითამაშებ და პირველი სვლა შენ გააკეთე.

ბიძინა. ოო, საინტერესო წინადადებაა, ამას სხვაგვარად პასუხისმგებლობისაგან გაქცევა შეიძლება ეწოდოს. არადა, როგორც ცნობილია, ჭადრაკში თეთრი ფიგურები მხოლოდ იმიტომ სარგებლობენ უპირატესობით, რომ პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ისინი აწყებენ თამაშს. მაგრამ ის, ვისაც პირველი ნაბიჯის გაუბედაობაზე ინიციატივის შიში აწუხებს, პარტნიორის შეცდომებზე აწყობს პოლიტიკას. შენ იმაზე არ დაფიქრებულხარ: ერთიც ვნახოთ და პარტნიორი არ შეცდეს?

რობიზონი. აბა, რა ვქნა?

ბიძინა. დამნებდი.

რობიზონი. დაგნებდე?!

ბიძინა. ჰო, დამნებდი. არა, იქნებ რაიმე სხვა წინადადება შეგიძლია შემომთავაზო?

რობიზონი. შემოგთავაზო?!

ბიძინა. ჰო, რატომ დაიბენი? მე ძალიან მაინტერესებს შენი მსოფლმხედველობის დიაპაზონი.

რობიზონი. რაა?

ბიძინა. მიდი, მიდი.

რობიზონი. იცი... მე... ისა...

კარზე დაკიდებული ზარი ირეკება. რობიზონი კარისკენ მიდის.

ბიძინა. სად მიდიხარ, მოიცა! მგონი საინტერესო საკამათო თემა წარმოიშვა. **(რობიზონს ხალათში წაავლებს ხელს).**

რობიზონი. ჰო, კარგი, ჯერ კარს გავაღებ, ვიღაცაა, უხერხულია.

ბიძინა. მოიცა, მოითმენენ. შენ თუ არ გსურს, მე განვავრცობ თემას.

რობიზონი. თავი გამანებე! სირცხვილია. **(ხელს გააშვებინებს, კართან მიირბენს და აღებს).**

ოთახში მედეა და ნატო შემოდიან.

მედეა. გამარჯობათ!

ბიძინა. გა... გამარჯობათ! **(თვალი უშტერდება მედეაზე).**

ნატო. **(უკმეხად)** გამარჯობა! **(ხელს ჩაკიდებს მედეას და ოთახში შემოყავს).**

მედეა. სულხანი სად არის?

რობიზონი. სულხანი?! ახ, სულხანი?

ბიძინა. სულხანი გასულია და ალბათ, მალე მოვა.

მედეა. რომ არ მოვიდეს?

რობიზონი. რომ არ მოვიდეს?!

ბიძინა. მაშინ, ჩვენ წავალთ.

რობიზონი. დიახ, მაშინ ჩვენ წავალთ.

მედეა. ჩვენი წასვლის შემდეგ რომ მოვიდეს?

ბიძინა. ეწყინება.

მედეა. უმჯობესია დაველოდოთ.

რობიზონი. რა თქმა უნდა, უეჭველად უნდა დაველოდოთ.

ნატო. მაშ, დაველოდოთ. **(მედეა სკამთან მიჰყავს, ხელჩანთიდან პუანტებს იღებს და აწვდის)** მედეა, ხომ არ გავიწყდება, რომ ამ კვირის ბოლოს პრემიერაა დანიშნული?

მედეა სკამის საზურგეს ეყრდნობა, ვარჯიშს იწყებს. ნატო იმავე სკამზე ჯდება. ხელჩანთიდან რვეულებსა და საწერ კალამს იღებს, კალმით რვეულებში რაღაცას ასწორებს.

ნატო. **(მედეას)** მიდი, მიდი, ნუ გეზარება. სულხანის ლოდინში უქმად რომ არ მოვცდეთ, შენ ივარჯიშე, მე ჩემი მოსწავლეების საკონტროლოებს შევასწორებ. **(რვეულში იხედება)** ნახე, ნახე, რა დაუწერია ამ იდიოტს, უვიცების თაობა მოდის, უვიცების.

ბიძინა ნატოს ჭადრაკის დაფას ცხვირთან მიუტანს.

ბიძინა. უკაცრავად, ჭადრაკს ხომ არ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო. რა დროს ჭადრაკია, ხომ ხედავ, ვმუშაობ, არ მცალია.

ბიძინა. (**მედეას**) თქვენ ხომ არ...

ნატო. არც მაგას სცალია!

რობიზონი გვერდით გაწევს ბიძინას. მედეას დასტრიალებს.

რობიზონი. (**მედეას**) მაპატიეთ, ვენაცვალე, თქვენი სახელი?

ნატო. (**ზურგს უკნიდან**) მე ნატო მქვია, მაგას — მედეა. გაინტერესებს კიდევ რამე?

რობიზონი. კი.

ნატო. რა?

რობიზონი. მე რობიზონს მეძახიან.

ბიძინა. მე ბიძინას.

ნატო. მაშასადამე, შენ რობიზონი გქვია, შენ კი...

ბიძინა. ამას თუ რობიზონი ჰქვია, მაშინ მე ბიძინა მერქმევა.

ნატო. უყურე შენ. (**რვეულებს მიუბრუნდება**).

რობიზონი. ძვირფასო მედეა.

მედეა. ბატონო?

რობიზონი. თუ არ ვცდები, საიდანღაც მეცნობით.

მედეა. მართლა?! ალბათ „გედის ტბიდან“.

რობიზონი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა. ყოველ ზაფხულს გედის ტბაზე ვისვენებ, მერე რა თბილი და კამკამა წყალია. ნამდვილად იქ გნახავდით.

ნატო. არა მგონია.

რობიზონი. რატომ?

ნატო. მედეა მხოლოდ ზამთრის სეზონზე ისვენებს ხოლმე.

რობიზონი. მართლა? სამწუხაროა.

ბიძინა. (**მედეას**) ჭადრაკი თუ გიყვარს?

მედეა. (**ვანაგრძობს ვარჯიშს**) კი, ძალიან. ჭადრაკთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს.

ბიძინა. შესანიშნავია, ხომ არ გვეთამაშა?

მედეა. არა, ჭადრაკის თამაშს მამა მიკრძალავს. პატიოსანი გოგონები ჭადრაკს არ თამაშობენო.

ბიძინა. რა ბარბაროსობაა, რატომ?

მედეა. იცით, როდესაც პატარა ვიყავი, მამაჩემის ყოფილი მასწავლებელი დამპირდა, ჭადრაკის თამაშს გასწავლიო. ჰოდა, მეც დავიწყე იმ კაცთან სიარული. კაცი წლოვანებით დიდი იყო, თითქმის მოხუცი. ლამის სამოცდახუთი წლის. მართალია ჭადრაკის თამაში მასწავლა, მაგრამ ერთ დღეს, მასთან შინ რომ მივედი, ხალათის ამარა დამხვდა და როდესაც შემიყვანა ოთახში, კარები მაგრად ჩარაზა, მერე ფირსაკრავს ხმა აუწია და...

რობიზონი მუჯლუგუნით გასწევს ბიძინას. მედეას წელზე ხელს შემოხვევს. ნატო რვეულებს იატაკზე გადააწყობს. კარადაზე შემოდგმულ პატეფონს ჩართავს. პატეფონიდან მომავალი მელოდია ფარავს მედეას ხმას. ცეკვა-ცეკვით მოახლოებული ნატო მედეას წელიდან ხელს ააღებინებს რობიზონს და საცეკვაოდ გამოიწვევს. რობიზონი უარზეა, მაგრამ იმდენად მძლავრად ჩასჭიდებია ნატო, რომ იძულებულია ეცეკვოს. მელოდიის გაგონებაზე მედეა სკამს ხელს უშვებს და თავისთვის იწყებს ცეკვას. ბიძინა აცეკვებულ მედეას დაჰყვება. მელოდიის ხმა იკლებს.

ბიძინა. ერთი უზნეო მამაკაცის მაგალითზე, მით უმეტეს ხანში შესულისა, რომლის ასაკისთვისაც ფიზიოლოგიური გარდატეხის მძიმე წუთებია დამახასიათებელი, არ შეიძლება ვიმსჯელოთ მთელს საჭადრაკო სამყაროზე. მამათქვენის დამოკიდებულება ჭადრაკისადმი ერთობ სუბიექტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა. შესაძლოა.

ბიძინა. შვილების უპირველესი ვალი კი ისაა, რომ ძამათა ჩვენთა შეცდომები გამოვასწოროთ. თუნდაც ახალი შეცდომების დაშვების საფასურად.

მედეა. ვერ გავიგე?

ბიძინა. გაგებას ყოველთვის მოვასწრებთ. უმჯობესია პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

მედეა. რომელ საქმეზე?

ბიძინა. მოდით, ჭადრაკის თამაშით დავიწყოთ და მერე გამოჩნდება. **(გაუწვდის ჭადრაკის დაფას).**

მედეა სვლას აკეთებს.

ბიძინა. ოო, ჩინებული სვლაა, არის ამაში რაღაც სექსუალური.

მედეა. რა საინტერესოა, როგორ მიხვდით?

ბიძინა. როგორ და...

მელოდია ამჯერად ბიძინას ხმას ფარავს. ბიძინა მოცეკვავე მედეას წელზე ხელს შემოხვევს და რაღაცას ენერგიულად უხსნის. ნატო რობიზონს თავს ანებებს, ბიძინასთან მიდის და ჭადრაკის დაფაზე სვლას აკეთებს. მელოდიის ხმა იკლებს. თავბრუდახვეული რობიზონი უაზროდ დაძრწის.

ნატო. (ბიძინას) ქიშ!

ბიძინა. რა ბრძანეთ?

ნატო. ქიშ! ქიშ-მეთქი! და თუ კიდევ გააგრძელებ ლაყბობას, მეტსაც გეტყვი.

ქიშით განაწყენებული ბიძინა ჭადრაკს დააცქერდება. საერთოდ გადაავიწყდება მედეა.

მედეა. თუ შეიძლება, განაგრძეთ, საინტერესოდ ვყებოდით.

ბიძინა. რა დროს ეგ არის, ვერ ხედავ, ვაზროვნებ, და საერთოდ, გამანებე თავი!

ბიძინა მედეას გასცილდება. რობიზონი ნატოსთან ცეკვის შემდეგ მოითქვამს თუ არა სულს, მაშინვე მედეას მიადგება.

რობიზონი. მედეა, მაგას თავი დაანებე **(მიუთითებს ბიძინაზე),** ეგ თეორეტიკოსია, საქმის კეთება რომ არ იცის, იმიტომ ლაყბობს ამდენს.

ნატო. (რობიზონს) ბიჭო, შენ კიდევ არ ეშვები ამ გოგოს? ამხელა კაცს მეტი საქმე არა გაქვს?

რობიზონი. ჰმ, მე საქმეს რა გამომილევს, უბრალოდ, ტელეფონი არ მუშაობს და რამე ხომ უნდა ვაკეთო?

ნატო. მაშ ტელეფონი არა? **(ტელეფონთან მიდის).**

რობიზონი. (მედეას) არა, ნამდვილად საიდანღაც მეცნობით.

მედეა. საინტერესოა, ალბათ ნიშნობიდან.

რობიზონი. აუჰ, კაცო ძლივს არ გავიხსენე, რა თქმა უნდა ნიშნობიდან. ოღონდ ზუსტად აღარ მახსოვს, ვისი ნიშნობა იყო.

მედეა. ჩემი და სულხანისა.

რობიზონი. ვისი?!

მედეა. ჰო, ჰო, ჩემი და სულხანისა.

რობიზონი. (დაიბნევა) არა, არა მგონია. მე მაგ ნიშნობაზე არ ვყოფილვარ, საერთოდ არც ვიცოდი და ბოლოს და ბოლოს სულაც არ მაინტერესებს.

მედეა. რატომ ნერვიულობ? ადამიანი ნიშნობის შემდეგაც ადამიანად რჩება.

რობიზონი. მართლა? საინტერესოა.

მედეა. რა არის საინტერესო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობიზონი. საინტერესოა, საიდან მეცნობი? შემოხვევით ბროკერთა ბირჟიდან ხომ არა? იქნებ ბიზნესით ნართ გატაცებული?

მედეა. არა, ბროკერთა ბირჟაზე სიარულს მამა მიკრძალავს.

რობიზონი. რატომ?

მედეა. ასე ამბობს, კომერცია პატიოსანი ვაჭრობისთვის არ შეიძლებაო.

რობიზონი. (მედეას წელზე ხელს მოხვევს) რატომ არ შეიძლებაო?

მედეა. მე რომ პატარა ვიყავი, მამაჩემის ბიზნესმენმა მეგობარმა, რომელსაც ბევრი ფულები ჰქონდა, შემომთავაზა, ჩემთვისაც ესწავლებინა ფულების შოვნა. სულ ამას მეუბნებოდა, საქმე ისე უნდა გააკეთო, პარტნიორსაც ესიამოვნოს, შენც გესიამოვნოს და თან შესაბამისი გასამრჯელოც მიიღო. თავიდან თეორიულად მახსნიდა, კონსპექტიც კი შევადგინე. მერე კი, როდესაც სწავლების პრაქტიკულ კურსზე გადავედით, მაშინ...

ნატო. (რობიზონს) ყმაწვილო! ოქვენი ტელეფონიც ამუშავდა.

რობიზონი. როგორ?

ნატო. უბრალოდ, ქსელიდან ყოფილა გამორთული.

რობიზონი. დიდი მადლობა, მაგრამ ახლა ტელეფონისთვის არ მცალია.

ნატო. ძალიან კარგი, მაშინ მე მეცეკვე. **(რობიზონს ხელს აადებინებს მედეას წელიდან. საცეკვაო შელოდია ირთვება).**

რობიზონი. არა! არა! **(მელოდია ისევ ჩუმდება)** ცეკვა არ არის საჭირო. გადაუდებელი საქმე მაქვს. **(ტელეფონს მივარდება, ნომერს კრეფს)** ალო! ალო! ბინდო, შენა ხარ? მისმინე, ბინდო, ახალი არი რამე? კვერცხი? ხუთი ყუთი? მე, მეე? **(ოთახს მოათვალიერებს. მზერას ტორტზე შეაჩერებს)** მე ტორტი მაქვს, ახალი გამომცხვარია, ოღონდ ერთი ყუთიც უნდა დაუმატო. ესე იგი, ექვსი ყუთი, კარგი, შევთანხმდით. **(ყურმილს კიდებს. ხელახლა კრეფს ნომერს).**

ნატო მედეას სკამთან მიიყვანს. მედეა ვარჯიშს განაგრძობს, ნატო იმავე სკამზე ჯდება, რვეულებს ასწორებს.

ნატო. დაუნება, დებილება, ავადმყოფება, ნახე, ნახე რას წერს. წმინდა წყლის პარანოიკაა. არა, არა, ნამდვილად გონებასუსტების თაობა მოდის.

რობიზონი. (ყურმილში) მისმენე, მისმინე! კვერცხის პარტია მაქვს. ოთხი ყუთი, თუ გინდა? ოც ფრთა ქათამში გამიცვალე. ჰო, კარგი, კიდევ ერთ ყუთს დაგიმატებ, ხუთი ყუთი კვერცხი და ოცი ფრთა ქათამი. რაა? კიდევ რამე?

ბიძინა. (რობიზონს) როგორ ფიქრობ, მხედარი შავ კვადრატზე რომ ვითამაშო, ქიშს გავექცევი?

რობიზონი. გადი, რა, შენთვის არ მცალია. **(ტელეფონში)** ჰო, გრიშა, გისმენ. **(ბიძინას)** მოიცადე!

ბიძინა გახარებული ბრუნდება რობიზონთან. რობიზონი ჭადრაკს გამოართმევს.

ბიძინა. შავზე აჯობებს, არა?

რობიზონი. (ტელეფონში) კარგი, როგორც იყოს, ხუთი ყუთი კვერცხი და ერთი ჯიბის ჭადრაკი. როგორ თუ რად გინდა? ლოგიკურ აზროვნებაში დაგეხმარება.

ბიძინა. ვერ გავიგე?

რობიზონი. რა ვერ გაიგე?

ბიძინა. კვერცხები რა შუაშია?

რობიზონი. შენთვის არ მითქვამს. ხომ ხედავ, საქმეზე ვლაპარაკობ, მომწყდი რა თავიდან.

ბიძინა ნაწყენი გასცილდება რობიზონს.

რობიზონი. (ტელეფონში) არა, არა, შენთვის არ მითქვამს. გრიშა, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცადე, არ დაკიდო. ესე იგი შევთანხმდით, შენგან ოცი ქათამი. ჩემგან ოთხ ყუთს დამატებული ერთი ყუთი კვერცხი და კიდევ ჯიბის ჭადრაკი ლოგიკური აზროვნებისათვის. **(კიდებს ყურმილს. ისევ კრეფს ნომერს)** ალო! ტარიელ! მისმინე....

კარის თავზე ჩამოკიდებული ზარი რეკავს. რობიზონი ტელეფონზე საუბარს განაგრძობს. მისი ხმა არ ისმის. ზარის ხმაზე მედეა ვარჯიშს თავს ანებებს.

მედეა. სულხანი! სულხანი მოვიდა! **(ცეკვა-ცეკვით გაექანება კარისაკენ).**

მედეა აღებს კარს. ოთახში დარეჯანი შემოდის. ერთ ხელში ჩაის ჭიქა უჭირავს, მეორეში — ბუზების ჯოხი. გაწბილებული მედეა უკან დაიხევს.

დარეჯანი. უიმე, სტუმრები უკვე მოსულან! **(ჩაის ჭიქას მაგიდაზე დგამს)** დედა, რამდენი ბუზი ირევა. რა ამბავია. **(ბუზის საკლავს მაგიდის თავზე იქნევს)** სულხანი სად არის?

მედეა. სულხანი გასულია.

დარეჯანი. მე კი მისი საყვარელი გოგლიმოგლი მოვუტანე. **(მედეას)** რაო, რა მითხარი, სად არისო?

მედეა. არ ვიცი, გასულია.

დარეჯანი. ნუ, რა უცნაური ბიჭია, პირდაპირ არ ვიცი. შინ ამდენი სტუმარი ჰყავს და თვითონ სადღაც დაბორიალობს.

მედეა. არაფერია, ალბათ მალე მოვა.

დარეჯანი. მოვა, აბა სად წავა. შენ მედეა გქვია, არა?

მედეა. დიახ.

დარეჯანი. (მედეას გაუღიმებს. ლოყაზე ხელს მოუთათუნებს) უი, შენი ჭირიმე. რა მშვენიერი გოგო ყოფილხარ, სწორედ ასეთი წარმომედგინე. მე სულხანის მეზობელი ვარ. შეგიძლია ქალბატონი დარეჯანი დამიძახო, ან დეიდა დარეჯანი. გინდა, უბრალოდ დარეჯანი, თუნდაც დარიკო. ერთი კი იცოდე, სულხანს გოგლიმოგლზე მეტად არაფერი უყვარს. ოღონდ გოგლიმოგლი აჭამე და თუ გინდა სულსაც მოგცემს. ხომ იცი, ყველა მამაკაცს თავისი სუსტი წერტილი აქვს. არა, მართლა რა კარგი გოგო ყოფილხარ. შენ გენაცვალე. **(მედეას უღიმის და ლოყაზე უთათუნებს ხელს)** დედა, მეც არა ვთქვი, ამდენი ბუზი საიდან შემოფრინდა-მეთქი. **(ფანჯარას კეტავს),** მედეა, გენაცვალე, გოგლიმოგლის გაკეთება ხომ იცი? თითო კვერცხის გულზე ოთხი....

რობიზონი. (ტელეფონში) ალო! დურმიშხან, ესე იგი ჩვიდმეტი ძროხა და ერთი კარადა. **(დარეჯანს)** უკაცრავად, ეგ კარადა რისგან არის?

დარეჯანი. ეს კარადა?

რობიზონი. ჰო, დროზე, კაცი მელოდება, ეგ კარადა.

დარეჯანი. ვერ გავიგე, ეს კარადა რა?..

რობიზონი. რისგან არი? რა მასალაა?

დარეჯანი. წიფელია.

რობიზონი. წიფელი?! **(ტელეფონში)** მისმინე, დურმიშხან! კაკლის კარადაა, კაკლის, ჰო, ჩვიდმეტი ძროხა და ერთი კაკლის კარადა... **(რობიზონის ხმა იკარგება, ტელეფონზე პირის ცმაცუნით საუბრობს).**

დარეჯანი. (რობიზონის მისამართით) სულელია ვიღაცა. **(მედეას)** ჰოდა, რას გეუბნებოდი?

მედეა. გოგლიმოგლის რეცეპტს.

დარეჯანი. ჰო, ესე იგი, ჩემო მედიკო, თითო კვერცხის გულზე ოთხი კოვზი შაქარი. არა, წესით ექვსი უნდა, მაგრამ სულხანს ბოლო ანალიზებში აწეული შაქრიანობა აღმოაჩნდა და ტკბილეულს ვერიდებით. ასე რომ, უმჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესია ოთხი კოვზი იყოს. **(ბუზის საკლავით ნატოს მუხლებზე გადაშლილ რვეულზე ბუზს კლავს).**

ნატო. რა ხდება?!

დარეჯანი. უკაცრავად, ხელს გიშლიდათ და მოვკალი.

ნატო. გმადლობთ **(თვალს გააყოლებს დარეჯანს).**

დარეჯანი. ჰოდა, ჩემო მედეა, რაც მთავარია, გოგლიმოგლი კაკაოიანი უნდა იყოს. ერთ კვერცხის გულზე ნახევარი ჩაის კოვზი კაკაო. მე მთელ კოვზს ვყრი, რადგანაც სულხანს ორი კვერცხის გოგლიმოგლი უყვარს.

ბიძინა, რომელიც აქამდე გლობუსის გვერდით მდგარ კიბეზე იყო ჩამომჯდარი, საუბარში ჩაერევა.

ბიძინა. შესანიშნავია, ორი კვერცხის გოგლიმოგლი. ორი კვერცხი ერთი არ არის და, მით უმეტეს, არც სამი, რადაც საშუალო, ასე ვთქვათ, ოპტიმალური.

დარეჯანი. (ბიძინას) რა თქმა უნდა, ოპტიმალურია.

ბიძიჩა. თქვენ ოპტიმისტი ხართ?

დარეჯანი. რა შეკითხვაა?! მე ხომ სულხანის მეზობელი ვარ.

ბიძინა. მაშინ მითხარი. პარტია რომ მოვიგო, რომელი სვლა აჯობებს, კუ ცე-სამი, თუ ლაზიერი ე-ხუთი?

დარეჯანი. შენ ბიძინა გქვია, არა?

ბიძინა. დიახ, გახლავართ.

დარეჯანი. ჰოდა, ჩემო ბიძინა, ამ შემთხვევაში კორჩნოი კუთი ითამაშებდა, კარპოვი ლაზიერით. ხოლო მე და სულხანი, როგორც წესი, პაიკით ვთამაშობთ. **(სვლას აკეთებს).**

დარეჯანის მოულოდნელი სვლით ჩაფიქრებული ბიძინა ისევ კიბეზე ჩამოჯდება.

რობიზონი. (ტელეფონზე) ვანიჩკა! ვანიჩკა-მეთქი! მოიცადე! მომისმინე, ვანიჩკა! ოხ, შენი, დამიკიდა. **(ახეთქებს ყურმილს).**

დარეჯანი. (რობიზონს) რა იყო, რატომ ნერვიულობ?

რობიზონი. რაღა რატომ ვნერვიულობ, ცხენში კამეჩი გამიცვალე-მეთქი და არაფრით არ დამთანხმდა.

დარეჯანი. უი, მე ვიცი, ნაცნობი მყავს ერთი, სერგო ჰქვია, იმას უნდოდა ცხენები. მგონია კამეჩებსაც გაგიხერხებს. ახლავე გეტყვი სერგოს ნომერს. **(ხალათის ჯიბიდან იღებს ტელეფონის ნომრების წიგნს).**

რობიზონი. ვაიმე, ქალბატონო დარეჯან, ზეპირი მახსოვრობა არ მივარგა და იქნებ ქაღალდზე დამიწეროთ.

დარეჯანი კედელზე გაკრულ რუკას გვერდს ჩამოახევს, ნატოს უკითხავად ხელიდან ართმევს საწერ კალამს და რუკის ნაგლეჯზე ნომერს წერს. კალამს უბრუნებს შეცბუნებულ ნატოს. მადლობის ნიშნად ულიმის და ნაგლეჯზე დაწერილ ნომერს რობიზონს აძლევს.

დარეჯანი. სერგო იკითხე და ასე უთხარი, ქალბატონი დარეჯანისგან გაწუხებთ-თქო. თუ ვერ გამიხსენა, დედა დარეჯანი, ჩვენი დარიკო-თქო და უეჭველად დაგეხმარება.

რობიზონი. ვაიმე, დედაც შენ ხარ, დაც, დეიდაც, ცოლიც და საყვარელიც. **(ხელებს უკოცნის დარეჯანს).**

დარეჯანი. ჰო, ჰო, კარგი, გეყოფა.

რობიზონი. (ეძგერება ტელეფონს) ალო! ალო! სერგო! ბატონო სერგო!

დარეჯანი და მედეა უხმოდ საუბრობენ. კიბეზე ჩამომჯდარი ბიძინა ჭადრაკს ჩაჰკირკიტებს.

რობიზონი. ჩემო სერგო, სერგეი, სასწრაფოდ მჭირდება ოცდახუთი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩი, შემიძლია თვრამეტი ჯიშიანი ცხენი შემოგთავაზო, კარგი, ორ ცხენსაც დაგიმატებ და ბუზის საკლავსაც გამოვაყოლებ. რად გინდა? რად გინდა და ბუზებს აუქშევ დაღლილ ცხენებს. ესე იგი... **(რობიზონი უხმოდ აგრძელებს საუბარს).**

ლარეჯანი. **(მედეას)** ორი კვერცხი მანამდე უნდა თქვიფო, სანამ არ გათეთრდება. მერე კაკაის დამატება არ დაგავიწყდეს. თუ გინდა, ოთხი კვერცხის გოგლიმოგლი მოთქვიფე. ორივენი ერთი ჭიქიდან შეჭამთ. **(გაუღიმებს მედეას და ლოყაზე ხელს მოუთათუნებს)** უიმე, შენი ჭირიმე, რა სიცოცხლე ხარ, კაცო, შენც ხომ გიყვარს გოგლიმოგლი?

მედეა. კი, მაგრამ მამა მიკრძალავს.

ლარეჯანი. რატომ?

მედეა. ყველაფერი იმის ბრალია, რომ მამაჩემის მეგობარი, რომელსაც უზარმაზარი კვერცხები ჰქონდა, დამპირდა, გოგლიმოგლს გაჭმევო და...

ლარეჯანი. მერე მაგაში რა არის ცუდი?

მედეა. მამაჩემს ჰკითხეთ, იმ ამბის შემდეგ ასე ამბობს, პატიოსანი გოგონები გოგლიმოგლს არ ეტანებიანო.

ლარეჯანი. რა სისულელეა, მე რომ დედაშენი ვიყო, მამაშენი სულ სხვა აზრისა იქნებოდა გოგლიმოგლის თაობაზე.

ნატო. **(სკამიდან დგება)** მაინც როგორი აზრისა იქნებოდა მამამისი, თქვენ რომ მედეას დედა ყოფილიყავით?

ლარეჯანი. **(ჩაეცინება)** როგორის?! გულწრფელად გაინტერესებს, გენაცვალე?

ნატო. დიახ. **(ლარეჯანთან მიდის და ხელკავს გაუყრის).**

ლარეჯანი. როგორის და...

ლარეჯანისა და ნატოს დიალოგი უხმოდ მიმდინარეობს. რობიზონიც ხმის გარეშე გაცხარებული საუბრობს ტელეფონზე. ბიძინა ხმის ამოუღებლად თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს. ჭადრაკის დაფაზე სელას აკეთებს. კმაყოფილი აცქერდება დაფას. ჭადრაკის დაფას მოატრიალებს. მკვეთრად შეეცვლება გამომეტყველება, უკმაყოფილოდ ფიქრობს მომდევნო სვლაზე. მედეა მელოდიის გარეშე გატაცებით ცეკვავს. ამ უხმო აურზაურს კარზე დაკიდებული ზარი წყვეტს.

მედეა. სულხანი მოვიდა! ნამდვილად სულხანია! **(გახარებული აღებს კარს).**

ოთახში შემოდის სამხედრო, ხელში მძიმე ჩანთა უჭირავს. ოთახში მყოფნი გაოცებულნი ათვალიერებენ სამხედროს.

სამხედრო. **(მედეას)** მეორე სართულზე, მარჯვნიდან მესამე ფანჯარა ამ ოთახშია?

ლარეჯანი. **(სამხედროს)** დიახ, ამ ოთახშია, რა გნებავთ?

სამხედრო. **(გამოთქმით)** როგორ თუ რა?! უღრუბლო ცა!

მხედრული სული, გმირული გული.
სიკვდილი მტერს! მშვიდობა ერს!
ვფიცავ სამშობლოს, დედას და მზეს!

სცენაზე მყოფნი უკრავენ ტაშს. სამხედრო მადლობის ნიშნად მორცხვად ხრის თავს.

მედეა. რა შესანიშნავი ლექსია, ბის!.. ბის!

სამხედრო. მართლა მოგეწონათ?

მედეა. რა თქმა უნდა ფანტასტიურია!

სამხედრო. მაშინ, **(გულის ჯიბიდან იღებს რვეულს)** კიდევ წაგიკითხავთ რამდენიმე ლექსს. იცით, მზვერავ-პოეტთა ბატალიონის მედროშე გახლავართ. მართალი გითხრათ, მოწოდებით პოეტი ვარ. ამჯერად, დროებით ვემსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურები სამშობლოს ინტერესებს. არა, უთუოდ უნდა წაგიკითხოთ ჩემი ბოლო პერიოდის ლექსები. **(გადაშლის რვეულს).**

ნატო. (სამხედროს) ყმაწვილო, ხომ არ გაიწყლებათ, სამხედრო მოვალეობის შესასრულებლად რომ მობრძანდით.

სამხედრო. ოხ, მაპატიეთ, რა თქმა უნდა. მიბოძეთ **(ნატოს საწერ კალამს ართმევს, რუკაზე რაღაცას მონიშნავს. კალამს უბრუნებს. ჩანთიდან იღებს დაშლილ თოფს და აწყობს.)**

ბიძინა. (სამხედროს) როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში, სტრატეგიული თვალსაზრისით, თეთრმა პაიკმა ეფ-შვიდი სვლა უნდა გაითამაშოს, თუ მოწინააღმდეგის შავი პაიკის აყვანა აჯობებდა?

სამხედრო. სამხედრო საიდუმლოების გამხელის უფლება არა მაქვს.

ბიძინა. უი, მაპატიეთ **(ჩაფიქრებული გასცილდება).**

რობიზონი. (აქამდე საუბრობდა ტელეფონზე) შენ თოფს ოპტიკური სამიზნე მოყვება?

სამხედრო. ეგეც საიდუმლოა. **(თოფს ოპტიკურ სამიზნეს უმაგრებს).**

რობიზონი. (ტელეფონში) ჰო, რაჟდენ, თოფი ღამის ხედვის ოპტიკური სამიზნეთი და კარგი რქებჩაგრეხილი ჯიხვი ჩემგან. **(ყურმილში საუბარს უხმოდ განაგრძობს).**

სამხედრო ფანჯარას გამოაღებს. თოფის ლულას გარეთ გადაყოფს. ცალ ფეხზე ჩამუხლული რაღაცას მიზანში ამოიღებს. ასე გაშეშდება. მედეა სამხედროს უტრიალებს. სამხედრო ყურადღებას არ აქცევს. მედეა ცეკვა-ცეკვით შემოუვლის სცენაზე მყოფთ, ტელეფონზე მოსაუბრე რობიზონს, კიბეზე ჩამომჯდარ ბიძინას. უხმოდ მოლაპარაკე დარეჯანსა და ნატოს. მედეას მიახლოვებისას ყოველი მათგანი ხმამაღლა აგრძელებს საუბარს.

დარეჯანი. (ნატოს) არ დამიჯერებ და თავიდან არც სულხანს უყვარდა გოგლიმოგლი. როგორ არ მავუდექი — მეზობლურად, დედაშვილურად. მეგობრულად, სიყვარულით, მოფერებით და როგორც იქნა... **(დიალოგი უხმოდ გრძელდება).**

მედეა. (სამხედროს) თქვენ სამხედრო ბრძანდებით არა?

სამხედრო არ პასუხობს.

...რა ლამაზი ფორმა გაცვიათ. მეც მინდოდა სამხედრო გავმხდარიყავი და თქვენსავით ლამაზი, ჭრელი ფორმა მცმოდა. მართლა, მართლა არ გატყუებ. დავიძინებდი თუ არა, მუდამ თქვენი ფორმის მსგავს ჭრელ სიზმრებს ვხედავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მამამ ამიკრძალა.

სამხედრო თითის ტუჩთან მიტანით სიჩუმეს მოითხოვს.

მედეა. რატომ ამიკრძალა? იმიტომ, რომ პატიოსან გოგონებს ჯარში არაფერი ესაქმებათო.

სამხედრო ვაღიზიანებული გააქნევს თავს, ხელით უჩვენებს — გამცილდიო.

მედეა. ჰო, ჰო, მამაჩემი მიკრძალავს, რადგანაც, როდესაც მამაჩემი სამხედრო მოვალეობას იხდიდა, მე მაშინ პატარა ვიყავი და ყახარმაში ვესტუმრე. სხვა სამხედროები ვაზნების ჩუქებას დამპირდნენ, იმ პირობით, თუ ყოჩაღად მოვიქცეოდი, ვაზნები გამოვართვი. იმათმა კი...

ნატო. (მედეას) რა გადაეკიდე ამ სამხედროს! ხომ ხედავ, გასაიდუმლოებულ მოვალეობას იხდის. **(მედეა სკამთან სავარჯიშოდ მიჰყავს, თვითონ იმავე სკამზე ჯდება, რვეულებს ასწორებს).**

დარეჯანი. ვაიმე, ვაიმე, რამდენი ბუზი შემოფრენილა!

დარეჯანი ფანჯრის დახურვას ცდილობს. სამხედრო ფანჯარას მხარს ჩაუდგამს, დახურვის საშუალებას არ აძლევს. ერთ ხანს ორივენი ფანჯარას ეჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვებიან. კარზე ზარის რეკვა ორთაბრძოლას წერტილს უსვამს. მედეა კარისკენ გაექანება.

მედეა. სულხანი მოვიდა!

სამხედრო. სულხანი არ არის, ვიღაც უცხოა.

სამხედროს ფრაზა მედეას შეაჩერებს.

დარეჯანი. უი, სულ დამავიწყდა, დღეს ერთი უცხოელი სტუმარი უნდა ეწვიოს სულხანს.

ზარი მეორდება. დარეჯანი კარს აღებს. ოთახში შემოდის მაიკლი. ხელში დიპლომატი უჭირავს.

დარეჯანი. ჰელოუ, მაიკლ!

მაიკლი. გაუმარჯოს, დარეჯან! **(დიპლომატიდან საღეჭ რეზინს იღებს და დარეჯანს აწვდის. მაიკლს ფეხსაცმელი გახდილი აქვს და თასმებით მხარზე გადაუკიდია).**

დარეჯანი. ოო, გმადლობთ.

მაიკლი სცენაზე მყოფთ ჩამოურიგებს საღეჭ რეზინს. მისი მიახლოვებისას ყველას, სათითაოდ, ხმა უბრუნდება.

რობიზონი. (**ტელეფონში**) ჰა, ჩემო აქვსენტი, ესე იგი შეკთამხმდით, აღარ უნდა მაგას ბევრი ბაზარი.

ბიძინა. (**ჭადრაკს დასცქერის**) არა, ეს შეუძლებელია, ორივე შავი ოფიცერი თეთრ კვადრატზე აღმოჩნდა.

ნატო. (**რვეულებს ასწორებს**) წმინდა წყლის დაუნია. ერთი გაჩვენოთ, რას წერს.

მედეა. (**ვარჯიშობს**) ერთი, ორი, სამი, ერთი, ორი, სამი.

სამხედრო. (**მაიკლს, რომელიც საღეჭ რეზინს გაუწვდის**) აკრძალული მაქვს უცხოელებთან კონტაქტი. ძალიან გთხოვთ, თავი გამანებეთ.

დარეჯანი. (**უკან დაყვება მაიკლს და ბუზებს უქშევს**) მაიკლი უცხოელი არ არის, მაიკლი ჩვენია, დაიბადა ხელმოკლე ქართველი ზანგის ოჯახში. წერა-კითხვა დედამ ასწავლა, სამშობლოს საყვარული მამისგან მოსდგამს. შერე რა მოხდა, უცხოეთში რომ ცხოვრობს, ემიგრანტია. მაიკლი ისე, ოფიციალურად ჰქვია, ოჯახში მოფერებით მიხოს ეძახიან.

რობიზონი. ალო! ალო! ფუ, გაფუჭდა, ამის დედაც ვატირე! **(ტელეფონს ძირს დაანარცხებს. ყურმილს შეამოწმებს)** ალო! ალო! ხმა ამოიღე! **(რაღაცას მოისაზრებს. მაიკლთან მიდის)** ეი, ჩვენებურო.

მაიკლი. გისმენ.

რობიზონი. ჩემო მაიკლ-მიხო, უნდა მიშველო, ტელეფონი გამიფუჭდა.

მაიკლი ტელეფონს გამოართმევს, დიპლომატში ჩადებს, სანაცვლოდ დიპლომატიდან ამოღებულ ახალ ტელეფონს გაუწვდის. რობიზონი აპარატს ხელიდან გამოსტაცებს და ტელეფონზე რეკვას განაგრძობს.

ბიძინა. პატივცემულო მაიკლ, საინტერესოა თქვენ რას ფიქრობთ საჭადრაკო დაფაზე ფიგურათა მოცემული განლაგების შესახებ?

მაიკლი. ჭადრაკი რასისტული თამაშია.

ბიძინა. კი მაგრამ, რატომ?

მაიკლი. თუ კარგად დაუკვირდებით, ამაზე პირველივე სვლა მეტყველებს.

ბიძინა. ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ფიგურათა ფერი არ უნდა განაპირობებდეს პირველი სვლის უპირატესობას?

მაიკლი. არა, მე ვფიქრობ, რომ ფიგურები ერთი ფერისანი უნდა იყვნენ.

ბიძინა. მაგრამ თამაში ხომ აზრს კარგავს?

მაიკლი. განა აუცილებელია ყოველი აზრის მიღება?

ბიძინა. მაინც... ვერ გავიგე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკლი. მე რომ მივიღო თქვენი თამაშის აზრი, მაშინ უნდა უარვყო აზრი ჩემი თამაშისა.

მედეა. (მაიკლს) თქვენ დიდი ხანია რაც ჩამობრძანდით?

მაიკლი. არა, ახალი ჩამოსული ვარ და ჩემი ჩამოსვლის მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი სულხანთან ვიზიტია, დავალებული მაქვს გადაცემა მილოცვა. **(დიპლომატიდან იღებს ფურცელს, იწყებს კითხვას).** სულხან, გულითა და სულით გილოცავთ უნიკალურ აღმოჩენას, რომლის წყალობითაც, თქვენ ჩვენი ორდენის საპატიო წევრი ხდებით. პატივისცემით მშვიდობისა და უღრუბლო ცისათვის მებრძოლ, გარემოს დამცველ ასტრონომთა საერთაშორისო ორდენი. .

ბიძინა. ესე იგი, ასტრონომთა საერთაშორისო ორდენი, ანუ შემოკლებით ა. ს. ო. არა?

მედეა. ა. ს. ო. ვაი, რა საინტერესოა!

დარეჯანი. თქვენც ასტრონომი ხართ?

მაიკლი. ო, არა, მე ბოტანიკას ვამჯობინებ. მცენარეებს ვიცავ გადაშენებისგან. ვანადგურებ ათასგვარ მღრღნელებს, პარაზიტებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბუნებას სიცოცხლეს ვუხანგრძლივებ.

ბიძინა. უკაცრავად, თქვენ თქვით, რომ მღრღნელებს ვანადგურებო?

მაიკლი. ვანადგურებ კი არა, მუსრს ვავლებ.

ბიძინა. კი, მაგრამ მღრღნელებიც ხომ ბუნების შვილები არიან, მათაც ხომ უნდათ სიცოცხლე.

მაიკლი. ეგ მე არ მეკითხება, მაგ საკითხზე ზოოლოგები მუშაობენ. ყველა თავისას იცავს.

დარეჯანი. მიხო, ბუზების საკითხი როგორ დგას უცხოეთში, ჩვენთან, მაგალითად, დღითი-დღე მატულობს.

მაიკლი. ოო, ბუზების საკითხი ყველგან და ყოველთვის აქტუალური იყო. თუმცა უმეტესობა მათი წინაალმდეგია, მაგრამ მოიძებნებიან ისეთებიც, რომელნიც ამ პარაზიტებს აქტიურად უჭერენ მხარს.

დარეჯანი. თქვენ რა აზრის ხართ?

მაიკლი. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მათთან ბრძოლა მიხდება. თუმცა პირადი კონფლიქტი არასდროს მქონია. შემიძლია შემოგთავაზოთ შხამიანი ბალონი, მეტად ეფექტური საშუალებაა. **(დიპლომატიდან იღებს ბალონს და დარეჯანს აწვდის).**

დარეჯანი, ბუზის ჯოხის მაგივრად, ბალონით საწამლავს ყოველ კუთხეში ასხურებს.

მედეა. მაიკლ, მაიკლ, სულხანი უცხოეთში არ შეგხვედრია?

მაიკლი. უცხოეთში?! არა, მე აქ მეგულებოდა. ნუთუ სულხანიც წავიდა?! რა უბედურებაა, ვინმე ხომ უნდა დარჩეს, ვის ხელში ტოვებთ აქაურობას?

დარეჯანი. არა, სულხანი არსად არ აპირებს წასვლას. სულხანს უყვარს სამშობლო, სულხანი ნამდვილი პატრიოტია.

მაიკლი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე პატრიოტი არა ვარ?

დარეჯანი. არა, როგორ გეკადრებათ, მე ეს არ მიგულისხმია.

ბიძინა. პატრიოტიზმი... **(წიგნს იღებს, სათაურს ეძებს.)** პ, პ, პარაბოლა, პარადოქსი, პასპორტი, ჰო, პატრიოტიზმი. **(კითხულობს)** ესე იგი, პატრიოტიზმი. ჩვენ თუ პატრიოტიზმს განვიხილავთ როგორც გეოგრაფიულ ცნებას, მაშინ ყოველი პატიმარი ეროვნული გმირი ყოფილა. აქედან გამომდინარე, პატრიოტიზმს არ უნდა ახასიათებდეს ისეთი ძლიერი გრძნობა, როგორიც სიყვარულია, იგი იძულებითი ზემოქმედების შედეგი არ უნდა იყოს. თუმცა არსებობენ, და თანაც მრავლად, სასჯელმოხდილნი, რომელნიც ხელახლა სჩადიან დანაშაულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ამ ქმედებას ნოსტალგია ეწოდება?.. და რა?.. სამშობლოსკენ ლტოლვა დანაშაულს მოითხოვს? **(წიგნს დახურავს).**

ლარეჯანი. შენი მსჯელობა სუბიექტურია.

ბიძინა. სუბიექტურია იმდენად, რამდენადაც თქვენ არ გსურთ მისი მიღება. თქვენ კი ვერ იგებთ, არამედ არ გინდათ გაიგოთ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ადამიანს მხოლოდ იმიტომ ახასიათებს აზროვნება, რომ მეორე ადამიანის ნაზრევი უარყოს.

მაიკლი. იცით...

ბიძინა. მაცადეთ! ნუ მიშლით ხელს აზროვნებაში **(ალობუსთან მდგარ კიბეზე ადის. წიგნს გადაშლის.)**

ნატო. აუ!, ახლა დაიწყებს ყვირილს. **(დგება, რუკასთან მიდის, გვერდს მოაჩვენს, ნაგლეჯებს დააგორგოლავებს და ყურებში იტენის. ისევ სკამზე ჯდება, განაგრძობს რვეულების შესწორებას).**

ბიძინა. (კითხულობს) მე მსურს დავამტკიცო, რომ ბუნებაში კატასტროფებს იწვევს საზოგადოების უმეცარი მოთხოვნილება აბსტრაქტული გრძნობების განვითარებისა, რასაც სხვაგვარად იდეალების მატერიალიზაცია ეწოდება. ქალბატონო დარეჯან, თქვენი მოსაზრების მიხედვით, თუ პატრიტიზმი დამოკიდებულია რაღაც გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, მაშინ ამ ტერიტორიის რაობამ უნდა განაპირობოს გრძნობის რაოდენობაც. რაც ყოვლად აბსურდულია, ვინაიდან გრძნობას არ ახასიათებს უნარი რაიმე შკალის მიხედვით აიზომოს, აიწონოს, აითვალოს, არა აქვს მინუს-პლიუს პოლუსები. არა აქვს საზომი ერთეული. სწორედ ეს უუნარობაა უნარი სამყაროს არსებობისა. როდესაც მიჯნური იწყებს ფიქრს, სატრფოს რომელი ფიზიკური ღირსებანი განაპირობებს მისადმი ლტოლვას, იმწამსვე არსებულ ობიექტს ადარებს წარმოსახვაში შექმნილ. გაიდეალებულ, აბსტრაქტულ მოდელს. შედეგად, სასწორის საპირისპირო მხარეს ორი სამყარო აღმოჩნდება, რომელთა შორისაც იმდენივეა განსხვავება, რამდენიც მსგავსება. ამ დროს ჩვენს მიერ განხილული ინდივიდი არჩევნის წინაშე დგება — დაკმაყოფილდეს არსებული სუბიექტით, რომელიც იდეალთან შედარებით შესაძლოა გონჯადაც კი მოგვეჩვენოს, ანდა დარჩეს მარადჟამს მაქსიმალისტად და სდიოს მას, რასაც ვერასდროს ჰპოვებს. ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში განგებას ადამიანისთვის პირადი არჩევნის ინიციატივა მიუცია. რასაც ვერ ვიტყვით სამშობლოსა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ადამიანს არ ძალუძს ამაირჩიოს სამშობლო, ვინაიდან იგი თავისდაუნებურად იბადება ამა თუ იმ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიისადმი მასში ჩასახული გრძნობები იძულებით ხასიათს ატარებს. იგი რაღაც წერტილ-წყვეტილი ხაზით შემოფარგლულ ტერიტორიაში ისევეა გამომწყვდეული, როგორც რივნი ტუსაღი მავთულხლართით დახშულ საპატიმროში. ნუ აქცევთ, ხალხნო, პატრიოტიზმს მიწის ნაგლეჯად! ჩვენი გრძნობები მეტად ძვირფასი სიმდიდრეა, ვიდრე ისინი, ვინც ამ გრძნობებს იმსახურებენ! გიყვარდეთ სამშობლო ამ ოხერი წერტილ-წყვეტილი ხაზების გარეშე! **(ბიძინა კედელზე გაკრულ რუკას მივარდება, ერთ გვერდს ჩამოახევს და დააქუცმაცებს.)**

ლარეჯანი. ბიძინა, დამშვიდდი, სირცხვილია, გეყოფა.

ბიძინა. რა მეყოფა? რა არის სირცხვილი, — ვილაპარაკო ის, რასაც ვფიქრობ?

ლარეჯანი. არა, იფიქრო იმაზე, რასაც ლაპარაკობ.

მაიკლი. ბატონო ბიძინა, ინებეთ საპნის ბუშტები, ნერვებს აწყნარებს. **(დიპლომატიდან იღებს ქილას საპნიანი წყლით და აწვდის ბიძინას).**

ბიძინა დაძრწის ოთახში, ხან ჭადრაკს აცქერდება, ხანაც საპნის ბუშტებს უშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა. მიხო, მიხო, ფეხსაცმელი რატომ არ გაცვია?

მაიკლი. დედამიწის შუაგულიდან მომავალ ენერგიას ვიღებ.

მედეა. მიხო, მიხო, რატომა ხარ ასეთი შავი?

მაიკლი. იმიტომ, რომ...

მედეა. იცი, მამაჩემი მიკრძალავს შავ ადამიანებთან ურთიერთობას.

მაიკლი. რატომ?

მედეა. იმიტომ, რომ პატიოსანი გოგონები შავ კაცებთან არ მეგობრობენო.

მაიკლი. **(ხელს მოხვევს მედეას)** მამაშენი რასისტია?

მედეა. არა, უბრალოდ, როდესაც პატარა ვიყავი, მამაჩემს აფრიკელი სტუმარი ეწვია, სტუმარი ძალიან შავი კაცი იყო, იმ სტუმარმა ბანანი შემომთავაზა და მეც, რა თქმა უნდა დავთანხმდი.

მაიკლი. **(ანერვიულებული ხმით)** მერე, მერე?

მედეა. ჰოდა...

ნატო. **(მედეას სიტყვას აწყვეტინებს)** უკაცრავად, მაიკლ, შეიძლება შენობით მოგმართო?

მაიკლი. ახლა არ მცალია, მოგვიანებით. **(მედეას დიპლომატიდან ამოღებულ თეთრ ხელსახოცს ჩუქნის)** ინებეთ.

დარეჯანი. **(მაიკლს)** მაიკლ, ეგ სხვა პიესიდან არის.

მაიკლი. **(ხელსახოცს დახედავს) ოხ,** სულ დავიბენი, ყველაფერი ავურიე. **(მედეას)** მაპატიეთ. **(დიპლომატში აბრუნებს ხელსახოცს. სანაცვლოდ იღებს ბანანს და მედეას გაუწვდის).**

ნატო. მიხო!

მაიკლი. ხომ გითხარით, არ მცალია-მეთქი!

ნატო. შენ გეუბნები, მოიხედე **(ხელს კიდებს და უხეშად ატრიალებს).**

მაიკლი. რა ხდება?

ნატო. ეე, მიხო ხარ თუ მაიკლი, სადაური ჩვენებური ემიგრანტი ხარ?

მაიკლი. მეე?!

ნატო. ჰო, ჰო, შენ.

დარეჯანი. მიხო, გთხოვ მოგვიყვე, მეც საოცრად მაინტერესებს.

მაიკლი. ბევრი რამ გამეკო ჩემი სამშობლოს შესახებ, ნანახმა კი მოლოდინს გადააჭარბა. გოგირდის უნიკალური აბანოები გვქონია. ჩამოვედი თუ არა, პირველ რიგში სწორედ ეს აბანოები მივიღე.

ნატო. **(თავისთვის)** რა ვიცი, ნაბანავების არაფერი გეტყობა და...

მაიკლი. მე მართლა პირველად ვარ სამშობლოში, მაგრამ სწორედ გოგირდის აბანოების წყალობით, ისე ვგრძნობ თავს, თითქოს მთელი ცხოვრება აქ გამეტარებინოს. მამაჩემი სამშობლოში დაიბადა. ძნელბედობის ჟამს იძულებული შეიქნა გასცლოდა აქაურობას და მამულისგან მოშორებით დამკვიდრებულიყო. მეც სწორედ იქ დავიბადე. მამაჩემი ახლა ღრმად მოხუცებულია და ალბათ მალე გარდაიცვლება. მე აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ მისთვის საფლავის ადგილი შევარჩიო. იცით, ძალიან მომეწონა თთაწმინდის პანთეონი, ქალაქს ზემოდან დაჰყურებს, მშვენიერი ხედი იშლება, ჰაერიც საუცხოოა და საერთოდ, საკმაოდ სიმპატიური ადგილია. **(მიდის კედელზე გაკრულ რუკასთან)** თუ არ ვცდები, თთაწმინდა სადღაც ამ რაიონშია, არა?

დარეჯანი. დიახ.

მაიკლი. **(რუკას გვერდს ჩამოახევს)** მამაჩემს მინდა წავუღო, მშვენიერი სუვენირია.

ნატო. პანთეონი?! შენ იცი, რომ თთაწმინდის პანთეონში მხოლოდ გამოჩენილი ადამიანები განისვენებენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიკლი. კი, როგორ არა, გავიკითხე და იქ მყოფმა საზოგადოებამ საგსებით დამაკმაყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც ყველაფერი რიგზეა.

ნატო. მერედა მამაშენმა რით გამოიჩინა თავი?

მაიკლი. როგორ თუ რითი?! მამაჩემი ხომ ემიგრანტია! მუდამ ოცნებობდა უცხოური კაპიტალის სამშობლოში დაბანდებაზე. საწყალი, სიკვდილის შემდეგ მაინც აისრულებს ოცნებას.

კარზე ირეკება ზარი. მედეა კარისკენ გაექანება.

მედეა. სულხანი! ნამდვილად სულხანი მოვიდა!

სამსეედრო. სულხანი არ არის, ვიღაც ორნი არიან.

კართან მისული მედეა უკან გამობრუნდება. კარს დარეჯანი აღებს. ოთახში გუგა და გეგა შემოდიან. გუგას ხელში სავსე ცელოფანის პარკი უჭირავს. მოსულები ოთახში მყოფთ შეათვალიერებენ.

გეგა. ხომ გეუბნებოდი, სხვაგან წავიდეთ-მეთქი. ნახე, აქ რამდენი ხალხია.

გუგა. სამაგიეროდ, სულხანს ვარსკვლავებიანი ვლობუსი აქვს.

გეგა. კარგი, აქ მოვხარშოთ, ოღონდ, მე ჩემ წილში არავის ჩავსვამ.

გუგა. (დარეჯანს) აქ რა ამბავია, რა ხდება?

დარეჯანი. სულხანი თავის მომავალ აღმოჩენას აღნიშნავს.

გეგა. ვა, ეგეთი რა უნდა აღმოაჩინოს?

დარეჯანი. რა, არაფერი გაგიგიათ?

გუგა. გენაცვალე, ეგრე რატომ გველაპარაკები, ჩვენ ორივენი გაგების ბიჭები ვართ. ჩვენ რომ გაგვიგია, მაგდენი ყველას ერთად სიზმარშიც არ გინახავთ.

დარეჯანი. არა, მე სხვა რამეზე ვლაპარაკობ, თქვენ მე ვერ გამიგეთ.

გეგა. (გუგას) ე, ამაო რამე ხომ არ ეშლებათ? **(დარეჯანს)** რომ გეუბნებით, ესე იგი ეგრეა! მე თუ გავიაქეი, ყველას ერთად გადაგჭრით.

გუგა ჯიბიდან დანას იღებს და გეგას აწვდის, გეგა არომევს და დარეჯანს გადაჩეგავს.

გეგა. (გუგას) არა, ბიჭო, ვერ დავარტყამ, ქალია.

გუგა. მერე რა მოხდა, მაია წყნეოელიც ქალი იყო, მაგრამ ვაჟკაცურ გაგებას აწვებოდა. კაცურადაც მოკლეს.

გეგა. არა, ძმაო, ქალის მოკვლა არავაჟკაცურია. კაცის ტანსაცმელი ჩაიცვას და მერე დველაპარაკები **(დანას გუგას უბრუნებს).**

გუგა. (დარეჯანს) ეს კაცი მართალია. მადლობელი იყავი, კაცი რომ არა ხარ.

დარეჯანი. გმადლობთ.

გუგა. (ყველას) ჰა, პრეტენზიები ხომ არა გაქვთ?

ოთახში მყოფნი შეშინებულები უარის ნიშნად თავს გააქნევენ.

გუგა. (დარეჯანს) სულხანი სად არის?

დარეჯანი. გასულია და იმედია, მალე მოვა.

გუგა. იმედიაზე არ გეკითხებიან, სულხანი როდის მოვა-მეთქი!

ბიძინა. (ბიდის გეგასთან) უკაცრავად, თუ შეიძლება, რომელ სვლას ამჯობინებდით?

გეგა. მეე?

ბიძინა. დიახ, სასურველია, რომ თქვენ.

გუგა. ესე იგი ჩვენ, არა? **(გეგას)** რომელი ვითამაშოთ?

გეგა. რა თქმა უნდა, შავი.

გუგა. მაშინ ეს ვითამაშოთ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲔᲒᲐ. ეგ, ბიჭო, ოფიცერია, ხელი გაუშვი, თავი არ გაიფუჭო, მაგას ეს აჯობებს. **(აკეთებს ᲮᲚᲔᲚᲐ).**

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. პაიკი? ოო, ლოგიკური ᲮᲚᲔᲚᲐ.

ᲒᲔᲒᲐ. ჰა, გინდა კიდევ რამე?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. არა, გმადლობთ, არაფერი. თუმცა, იმედის თაობაზე მსურდა ჩემი აზრი გამომეთქვა.

ᲒᲣᲒᲐ. (ᲒᲔᲒᲐᲡ) თქვას, თუ ვცემოთ? **(აწᲕᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲡ).**

ᲒᲔᲒᲐ. ᲯᲔᲠ თქვას **(ᲓᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲝᲗᲛᲔᲕᲡ).**

ᲒᲣᲒᲐ. (ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ) მიდი, თქვი.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. (ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲡ, ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ) იმედი რთული ფენომენია და დამოკიდებულია არა პიროვნებაზე, რომელსაც ეს ფენომენი მართავს, არამედ ფენომენზე, რომლითაც ინდივიდი იმართება. იმედი გულისხმობს ერთი ადამიანის მოსალოდნელ ქმედებას მეორის წარმოდგენაში და ეფუძნება პირველის ნამოქმედარს სხვა ანალოგიურ, ან ახლო ანალოგიურ ვითარებაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში მოარული გამოთქმა — „იმედის გაცრუება“ გულისხმობს არა პერსონაჟის არასწორ სვლას, არამედ პერსონაჟის მიმართ დამკვირვებლის არასწორ შეხედულებას, ვინაიდან დამკვირვებელი თვითონ ქმნის სამყაროს, რომელსაც „იმედს“ უწოდებს, თვითონვე აკანონებს მას და უზურპაციაში აქცევს პერსონაჟს, რომლის პროტოტიპად სინამდვილეში დამკვიდრებული მეტად გვევლინება, ვიდრე ის, ვის სახელსაც პერსონაჟი ატარებს.

ᲒᲔᲒᲐ. მაგითი რისი თქმა გინდა?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. მხოლოდ და მხოლოდ იმისი, რომ იმედი არა რეალური ცხოვრებაა, არამედ რეალურის პარალელური, ისევე როგორც ოცნება. ამიტომაც ორივენი ინდივიდისთვის სასურველი სამყაროს წყობის ხასიათს გულისხმობენ და არა სამყაროს წყობისათვის სასურველ ინდივიდის ხასიათს.

ᲒᲣᲒᲐ. მერე?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. მერე? მერე არაფერი, უბრალოდ ის, რომ სულხანი ღმერთმა უწყის სად არის და მხოლოდ ქალბატონი დარეჯანის სამყაროში არსებულ სულხანის ქცევაზე სულაც არ არის დამოკიდებული რეალური სულხანის ქცევა.

ᲒᲣᲒᲐ. (ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲡ) ძმაო, რა თავგზას გვიბნევ!

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. არა, როგორ გეკადრებათ.

ᲒᲣᲒᲐ. (ᲓᲐᲜᲐᲡ აწᲕᲓᲘᲡ ᲒᲔᲒᲐᲡ) ხომ გეუბნებოდი, ვცემოთ-მეთქი.

ᲒᲔᲒᲐ. (ᲓᲐᲜᲐᲡ ᲒᲐᲮᲣᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲡ) ბოლოს და ბოლოს, არ იტყვით, სად არის სულხანი?! დაგხოცავთ, თქვენი დედა ვატირე!

ᲒᲣᲒᲐ. დაგხოცავთ!

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. (აკანკალებული ᲮᲛᲘᲗ) არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი.

ᲡᲐᲛᲬᲔᲚᲠᲝ. სულხანი აქ არის, კარადაშია დამწყვდეული.

ᲒᲔᲒᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲒᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲛᲘᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲭᲕᲔᲜᲔ. ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ ᲣᲙᲐᲜ-ᲣᲙᲐᲜ ᲘᲮᲔᲕᲔ, ᲛᲝᲑᲣᲖᲣᲚᲘ ᲙᲔᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲨᲓᲔᲑᲐ. ᲗᲕᲚᲔᲑᲡ ᲮᲣᲭᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲘᲤᲐᲠᲔᲑᲡ. ᲓᲐᲜᲐᲛᲝᲫᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲒᲐᲡ ᲒᲣᲒᲐ ᲛᲘᲧᲕᲔᲑᲐ. ᲒᲔᲒᲐ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲣᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲕᲐ.

ᲒᲔᲒᲐ. (ᲙᲐᲠᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲡ) სულხან, აქა ხარ, ძმაო?

ᲒᲣᲒᲐ. გამოდი, ბიჭო, ჩვენ მოვედით.

ᲙᲐᲠᲐᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲘᲘᲠᲑᲔᲜᲡ ᲛᲔᲓᲔᲐ. ᲙᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲦᲠᲘᲭᲝᲨᲘ ᲘᲮᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲖᲔ ᲐᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲡ.

ᲛᲔᲓᲔᲐ. სულხან, გენაცვალე, გამოდი, თუ გიყვარვარ, გამოდი, რა!

ᲒᲣᲒᲐ. გამოდი, ბიჭო, გამო 'დროზე!

ᲒᲔᲒᲐ ᲛᲔᲓᲔᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲕᲔᲕᲡ.

ᲒᲔᲒᲐ. (ᲛᲔᲓᲔᲐᲡ) შენი სახელი, გენაცვალე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა. მე მედეა მქვია.

ბეგა. ვა, რა ჯიგრული სახელი გქონია. დაგინახე თუ არა, მაშინვე ვიფიქრე, ამას ნაღდად მედეა ერქმევა-მეთქი.

ბუბა. (კარადაზე აკაკუნებს) სულხან, გამოდი! გამოდი, თორემ შემოვედით. გამოდი, ბიჭო! გამოდი, სანამ გეგამ აგჭრა. **(გეგას)** არ გამოდის, ეტყობა, შენი არ ეშინია.

ბეგა. გაანებე, არაფერია. **(განაგრძობს მედეასთან საუბარს).**

რობიზონი. (ტელეფონზე) დარისპან! სამოცი დათვი და ოთხმოცი ნიანგი შენი. არა, ნაკლებად არ იქნება, მინიმუმი სამოცდათვრამეტი, ჰა, ჰა სამოცდაჩვიდმეტნახევარი... არა, სამოც დათვზე მეტს მე ვერ მოგცემ, ისე თუ გინდა... **(სცენას მოათვალიერებს)** ჰო, თუ გინდა, ერთ უცხოელს დაგიმატებ და მოვრიგდეთ... **(მაიკლს)** მიხო.

მაიკლი. ბატონო.

რობიზონი. კბილები დაკრიჭე.

მაიკლი კბილებს კრიჭავს.

(ტელეფონში) ოო, ისეთია, რკინას კვნეტს. ჰა, ხომ გეყოფა? არა, გეხვეწები. არა, მეტი დათვი არ მყავს. გამიგე, კაცურად გამიგე... ნუ დამლუპავ, მეტს ვერ მოგცემ... არ მოგცემ და მორჩა. ბიჭო, შენ გეუბნები, არა-მეთქი!.. დაფიქრდი, თავი არ წაგო. გესმის, არ მოგცემ!.. არა!.. ჰო, ვერა, ვერა რა! გემუდარები რა, შენი ჭირიმე, არ დამლუპო, მაქსიმუმი სამოცდაერთი, ჰა, ჰა, სამოცდაერთ ნახევარი... ჰო, კარგი, ორი, ორნახევარი **(რობიზონის ხმა წყდება. უხმოდ განაგრძობს ლაპარაკს).**

ბიძინა. (კიბეზეა ასული და ხმამაღლა ფიქრობს) რამდენად მომგებიანი იქნება ლაზიერების გაცვლა? ფაქტიურად, ორივე მხარე კარგავს ყველაზე ძლიერ ფიგურას. მაგრამ დაფაზე რჩებიან პაიკები, რომელნიც პოტენციური ლაზიერები არიან. თუმცა, ეს ძალზე იშვიათად ხდება. და მაინც, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ორ ლაზიერს ისევ თექვსმეტი პოტენციური პაიკი ყოფია. მაგრამ ისინიც რომ გამოუვალ მდგომარეობაში მოხვდნენ? **(უხმოდ განაგრძობს საკუთარ თავთან საუბარს).**

დარეჯანი. (მაიკლს) მიხო, ჩვენი სამშობლო გარედანაც ისეთივე ლამაზია, როგორც შიგნიდან?

მაიკლი. გაიწია, შენ თვითონ სად იმყოფები.

დარეჯანი. მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

მაიკლი რას ბრძანებთ, მთავარი ეს აჩის. როდესაც შიგნით ხარ, მაშინ გარედან უფრო ლამაზია, როდესაც გარეთ — მაშინ შიგნით.

დარეჯანი. თუ არც გარეთ ხარ და არც შიგნით?

მაიკლი. მაშინ...

ნატო. (დარეჯანისა და მაიკლის ხმას ფარავს) უვიცი, უვიცი. შტერი, იდიოტი, რას წერს, რა სისულელეებია. **(ნაწერებს კალმით ასწორებს).**

ბუბა. (კარადაზე აბრახუნებს) გააღე, ბიჭო, გამოდი! სულხან, ჩემი დედას გეფიცები, გამოდი, თავი არ გაიფუჭო. **(დანას ხსნის და გეგას აწვდის, რომელიც აქამდე უხმოდ ესაუბრებოდა მედეას).** გეგა, ძმაო, არ გამოდის. მოდი, ქენი რამე.

გეგა უხასიათოდ ართმევს დანას, ისევ განაგრძობს მედეასთან არშიყს და ზრდილობის გულისთვის დანის წვვრს კარადას ურჭობს.

რობიზონი. (ტელეფონზე) მაშ, სამოცს არ მომცემ, არა? კარგი, ვნახოთ, ვისი აჯობებს. **(ტელეფონით ხელში მიდის გეგასთან).** უკაცრავად, მეგობარო.

ბეგა. (უკმაყოფილოდ) რა იყო, რა ხდება?

რობიზონი. იცით, რაშია საქმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგა. ჰო, ეხლა ამოღერღე.

რობიზონი. (ბეგას ყურმილს მიაჩეჩებს) აი, სამოც დათვს ოთხმოც ნიანგზე არ მიხურდავებს. როგორმე ორი სიტყვა შემაწიე.

ბეგა. ვერ გავიგე, რა გინდა?

ედეა. (ბეგას) ჰოდ, პატარაობისას, მე და ჩემი კარის მეზობელი ბიჭუნა, შემოხვევით სააბაზანოში ერთად ჩავიკეტეთ. გარედან კარზე გვიბრახუნებდნენ და გამოდითო, გვიყვიროდნენ. მე გამოსვლა მინდოდა, ჩემმა მეზობელმა კი...

რობიზონი. (ბეგას ტელეფონს აჩეჩებს) მიდი რა, შენ რომ დაელაპარაკები, შეეშინდება. უთხარი, სამოც დათვზე მეტს არ მოგცემს-თქო.

ბეგა. წადი, თავი დამანებე!

რობიზონი. გეხვეწები, რა! გემუდარები! ოთხმოც ნიანგს მაძლევს, პატივისცემა ჩემზე იყოს. ათ პროცენტს ღაგითმობ.

ბეგა. გადი, ძმაო, მანამ ლამაზი ხარ.

რობიზონი. კარგი, თხუთმეტი პროცენტი აიღე. მიდი, რა! ოცს მოგცემ. ოცდახუთი! ორმოცი!

ბეგა. სამოცს მომცემ?

რობიზონი. ეე, სამოცი არა. ორმოცდაათი.

ბეგა. არა და დაახვიე.

რობიზონი. კარგი, სამოცი იყოს, ოთხმოცის სამოცი პროცენტი ორმოცდარვა ნიანგია.

ბეგა. ოთხმოცი პროცენტი მომეცი.

რობიზონი. ااا!!! **(სასოწარკვეთილი ყვირის).**

ბეგა. ნიანგები მინდა ეხლა მე? გადი, ძმაო, გაიპარე, სანამ დამიხრჩვიხარ. **(რობიზონს ხელიდან გამოვლეჯს ტელეფონს და იატაკზე დაანარცხებს. ისევ მედეას მიუბრუნდება)** ჰო, სიცოცხლე, მერე რას მიყვებოდი?

ედეა. სად გავჩერდი?

ბეგა. შენ რომ გამოსვლა გინდოდა და შენ მეზობელს შესვლა **(მიიხუტებს მედეას).**

ედეა. ჰო, გამახსენდა...

ნატო მედეასთან ჩახუტებულ ბეგას დაინახავს თუ არა, მაშინვე რვეულებს თავს მიანებებს და ბეგასთან მიიჭრება. ისმის პატეფონის ხმა.

ნატო. (ბეგას) ხომ არ გვეცეკვა?

ბეგა. არა, დაიკო, არ ვცეკვავ.

ნატო. (კეკლუცად) იქნებ მაინც...

ბეგა. (მედეასთან დაშორება არ უნდა) არა-მეთქი, გოგო!

ნატო. (ხელს ჰკიდებს ბეგას და ძალით აცეკვებს) მოდი, გიჟო, მე გასწავლი ცეკვას.

ბუშა. (კარადაზე აბრახუნებს) სულხან! გამოდი, შე ახვარო!

კარადას მშვიდად უახლოვდება მაიკლი. დიპლომატიდან გასაღების დიდ აცმას იღებს და კარის საკეტზე მორგებას იწყებს. ბუგა კარზე ბრახუნს წყვეტს, ერთხანს გაოგნებული შესცქერის მაიკლს. მერე გონს მოეგება და გასაღებების აცმას ხელიდან წაგლეჯს.

ბუშა. (მაიკლს) ეე, ბიჭო, შენ ჩაკეტე სულხანი? შენ ჩაკეტე, არა, შე ნაბიჭვარო! **(მუჯლუგუნით ბეგერდზე გააგდებს მაიკლს, რომელთანაც დარეჯანი მიდის, ამშვიდებს და ბეგერდით გაჰყავს. ბუგა თვითონ ცდილობს გასაღებების მორგებას, მაგრამ უშედეგოდ. ისევ იწყებს სულხანის ლანძღვასა და კარებზე ბრახუნს).**

რობიზონი. (გატეხილი ტელეფონის აპარატით მიდის მაიკლთან) უკაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავად, თქვენ მაინც დამეხმარეთ, პარტნიორთან დაკავშირების საშუალება დაკარგე.

მაიკლი ტელეფონს შეათვალიერებს. გატეხილ ტელეფონს დიპლომატში დებს, სანაცვლოდ იღებს ფაქსის აპარატს და რობიზონს აძლევს. რობიზონი გაოცებული დასცქერის აპარატს. მაიკლი განუმარტავს.

მაიკლი. (რობიზონს) ეს ფაქსია — ტელეფონზე სრულყოფილი აპარატი. საქმიანი ურთიერთობისთვის აუცილებელი ხელსაწყოა.

რობიზონი ართმევს ფაქსის აპარატს და იწყებს საუბარს. ცეკვით გართული ნატო თავს ანებებს გეგას და დარეჯანთან განაგრძობს ცეკვას. თავბრუდახვეული გეგა კარადასთან მილასლასდება, სადაც ღონემიხდილი გუგა თავსდა ურტყამს კარადის კარს. იქვეა მედეაც.

გუგა. (სულხანს) გამოდი! გამოდი-მეთქი!

გეგა. თავი გაანებე, იყოს, მაგის დედაც ვატირე! ახლა საქმეს მივხედოთ.

გუგა. ჰო, ნაღდს ბაზრობ. **(ხსნის ცელოფანის ტოპრაკს, საიდანაც კოლბებსა და სპირტქურას ამოიღებს. გეგა და გუგა ჰატარა ქიმიურ ლაბორატორიას მოაწყობენ).**

მედეა. (კარადას ეფარება) სულხან, შემოგევლე, გამოდი, რა!

ბიძინა. (სამხედროს ჭადრაკს აჩვენებს) როგორ ფიქრობთ, ჩემი სტრატეგიული სვლა გაამართლებს?

სამხედრო არ პასუხობს.

ბიძინა. იქნებ მაინც მიპასუხოთ, თქვენი აზრი, როგორც პრაქტიკოსი პროფესიონალისა, ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. **(უშედეგოდ ელოდება სამხედროს პასუხს. გაწბილებული კარადასთან მიდის)** სულხან, გესმის, სულხან? მე ბიძინა ვარ, ბიძინა. გენიალური ტაქტიკური ხერხი მოვიაზრე. შენ რას იტყვი. ხომ მართლაც გენიალურია? თეორი ფიგურებიდან მხოლოდ მეფე და ერთი პაიკი დაკტოვე, შავებიდან კი ყველა დაფაზეა. თექვსმეტივე ფიგურა, გესმის, თექვსმეტივე! არა, არ გეეონოს, შავებს ფორა მივეცი. თავიდან მეც ასე მეგონა, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ გენიალური ტაქტიკური ხერხია. ჯერ ერთი, — მრავალფიგურიანობამ შესაძლოა ქაოსი გამოიწვიოს. ხომ წარმოგიდგენია, ერთ მხარეს მეფე, რომელსაც, ფაქტიურად, შიშის მეტი არაფერი დარჩენია და პაიკი, რომლის მოვალეობაც და პირადი ამბიციებიც ერთ მიზანს ემსახურება: გახდეს ლაზიერი. მეორე მხარეს კი შვიდი გაბღენძილი ფიგურა. ერთი თვითკმაყოფილი მეფე და რვა პაიკი, რომელნიც დიდი ხანია შეგუებიან ბედს, — შვიდი ზემდგომის სვლებს შეეწირონ. ახლა ხომ გესმის! ერთი მხარე თვითკმაყოფილების იდიოტურ განცხრომაში იხრჩობა, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ მეფე და პაიკია, მაქსიმალური შიში და მინიმალური შესაძლებლობა. და რაც მთავარია, ყოველივე ზემოთ თქმულით გამოწვეული ტკივილი, საშინელი ტკივილი. ტკივილი მკურნალი შიშისა, ტკივილი მკურნალი მარტობისა, უნუგეშობისა, ქაოსისა, პრეტენზიულობისა. ტკივილი, რომელმაც შესაძლოა დამარცხებისაგან იხსნას თეთრები, მათ ხომ უკვე სტკივათ, მათ აღარაფრის აღარ ეშინიათ. მათ ოვემეს ტკივილი და უკან დასახევი გზა მოეჭრათ. მივაგენი, გესმის, მივაგენი! მხოლოდ ტკივილი, მხოლოდ საშინელი ტკივილი გვიხსნის. გესმის, სულხან! მივაგენი! სულხან, მიპასუხე, ხმა ამოიღე, სულხან, სულხან! ეჰ, სულხან, სულხან. **(გასცდება კარადას და კიბეზე ჩამოჯდება).**

ნატოსთან ცეკვით დაქანცული დარეჯანი კარადასთან ჩამომჯდარ მედეას თავზე წამოადგება.

მედეა. დეიდა დარეჯან, რა ვქნა, სულხანი რომ არ გამოდის?

დარეჯანი. ძალიან ნუ ინაღვლებ, რამე მოგვარდება.

მედეა. გმადლობთ, დეიდა დარეჯან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯანი. ჰო, მართლა, მე და ნატომ მოვილაპარაკეთ **(გახედავს დავ-ჰაეროვან კოცნას გაუგზავნის ნატოს, რომელიც ისევ რვეულებში ნაწერებს ასწორებს)** და შეგიძლია დედა დამიძახო, იცი, ზოგჯერ სულხანიც დედას მეძახის, იმისდა მიხედვით, თუ მოცემულ ვითარებაში რა მეზობლურ ურთიერთობაში ვიმყოფებით.

მედეა დარეჯანს უღიმის.

დარეჯანი. ვაიმე, დედა გენაცვალოს, რა საყვარელი ვინმე ხარ, შენი ჭირიმე. **(ლოყაზე მოუთათუნებს ხელს).**

სცენაზე მყოფნი ისევ უხმოდ ურთიერთობენ და ჩვეულ საქმიანობით არიან გართულნი. გუგა და გუგა თავიანთ ქიმიურ ლაბორატორიას ჩაჰკირკიტებენ. სამხედრო რაღაცას გულისყურით უმიზნებს თოფს. ნატო რვეულებში იქექება. კიბეზე მჯდარი ბიძინა ჭადრაკის დაფას აცქერდება და საპნის ბუშტებს უშვებს. რობიზონი ფაქსით არის გართული, მაიკლი ფეხშიშველა დადის სცენაზე და გულმოდგინედ ათვალიერებს ყოველ ნივთს. **დარეჯანი ჰაერში ასხურებს ბუზების საწინააღმდეგო წამალს. მედეა კარადის გარშემო დაღონებული ცეკვავს. პატეფონის ხმას სცენის მიღმა ყვირილი წყვეტს.**

შალიკო. (სცენის მიღმა) მაინძელო!.. მაინძელო!

მედეა. სულხანი!..

დარეჯანი. არა, გენაცვალე, სულხანი შინ დაბრუნებისას „მაინძელოს“ არ ყვირის.

მედეა. ხომ შეიძლება, მაინცდამაინც დღეს მონდომებოდა მაინძელოს დაძახება.

დარეჯანი. არ მესმის, რატომ უნდა მონდომებოდა?!

მედეა. უბრალოდ, ნასვამია და ხუმრობს.

დარეჯანი. არა, შეუძლებელია. ბოლო ერთი კვირაა სულხანს ნაღვლის ბუშტი აწუხებს და მე კატეგორიულად ავუკრძალე ალკოჰოლური სასმელების მიღება.

მედეა. იქნებ არ დაგიჯერათ?

შალიკო. (სცენის მიღმა) მაინძელო! მაინძელო!

დარეჯანი. არა, ნამდვილად არ არის სულხანი.

მედეა. არა, იქნებ მაინც...

ნატო. მედეა, რა გემართება? სულხანი ხომ კარადაშია.

მედეა. ვიცი, მაგრამ მინდა, რომ გარეთ იყოს და „მაინძელოს“ ყვიროდეს. არის ამაში რაღაც ეგზოტიკური და თანაც რომანტიულია.

ნატო. შენ მუდამ ასე გგონია ხოლმე.

დარეჯანი. არა, მაცადეთ, თუ სულხანი გარეთ არის, მაშინ კარადაში ვინღაა? და საერთოდ, მითხარით რა ვქნა? ხომ უნდა ვიცოდე, სულხანს ვუღებ კარს თუ ვინმე სხვას.

სამხედრო. სულხანი კარადაშია.

მედეა. გარეთ ვინღაა?

სამხედრო. გააღეთ და გაიგებთ.

დარეჯანი. არა, მე მეშინია, მე კარს არ გავაღებ.

შალიკო. მაინძელო! მაინძელო!

მედეა. თუ სულხანი არ არის, არც მე გავაღებ.

გეგა. (გუგას) არ გამაგიჟონ, უთხარი რამე.

გუგა. (სცენაზე მყოფთ) ეხლა დროზე გააღეთ, თორემ თუ გაგიჟდა, ყველას გადაგჭრით.

დარეჯანი. ახლავე, ახლავე, ოღონდ თქვენ არ ინერვიულოთ. **(კართან ფეხაკრეფით მიდის, კარს აღებს და სასწრაფოდ ისევ უკან ბრუნდება).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში შემოდის ფეხშიშველა შალიკო, რომელსაც მხარზე ხურჯინი ჰკიდია, ხელში ქათამი უჭირავს.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. გამარჯობათ თქვენი.

ᲒᲔᲒᲐ. **(თავისთვის)** შენი და შენი ორი კეთილი მეზობლის...

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. **(შალიკოს)** გაგიმარჯოს.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. **(ტვირთს იატაკზე აწყობს და ჯიბიდან ფურცელს იღებს)** ჯემალი მინდოდა.

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. ჯემალი?! **(ოთახს მოათვალიერებს)** ეგეთი აქ არავინაა.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. არაა? **(დააცქერდება ფურცელს)** კაი, აბა, ბოდიში. **(ხურჯინს დასწვდება და გასვლას აპირებს, მაგრამ წამით შეჩერდება)** კიდევ ბოდიში, არც ჯუმბერია?

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. **(ისევ მოათვალიერებს ოთახში მყოფთ)** არც ჯუმბერი.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. არ მატყუებთ?

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. არა.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. ნამდვილად არ მატყუებ?

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. არა, ნამდვილად არ არის, რატომ უნდა გატყუებდეთ?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. ტყუილი! თქვენ იცით, რა არის ტყუილი? **(კიბეზე წამოდგება).**

ᲒᲔᲒᲐ. **(ბიძინას)** აბა, ეხლა დაჯექი, თორემ ავდექი.

ბიძინა სასწრაფოდ ჯდება.

ᲒᲔᲒᲐ. **(შალიკოს)** ე, ბიჭო, შენ კიდევ, რომ გეუბნებიან, არ არისო, ესე იგი ეგრეა საჭირო.

გუგა გეგას დანას გაუწვდის. გეგა უკან მიუგდებს დანას.

ᲒᲔᲒᲐ. **(გუგას)** შენ კიდე ნუ გამიხურე, რა. მოდი, საქმეს მიხედე.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. **(ფურცელს გამოიწვდის)** აქ ასე წერია, თორემ მე რა.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. **(შალიკოს ფურცელს გამოართმევს)** ხოო, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. რა მაკვირვებსო?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. არაფერი, ეს ისე **(ფურცელს დაჭმუჭნის და გადააგდებს).**

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. რას შვრები?

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. მოიცა, რა დროს ეგ არის. ერთი ის მითხარი, შენი აზრით, ჭადრაკის ფიგურებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. **(უაზრო თვალებით დააცქერდება ჭადრაკის დაფას. გამომეტყველებაზე ეტყობა, თამაში არ იცის. თავის დასაძვრენად საუბრის თემას ცვლის)** ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი. **(ტვირთს ძირს დააწყობს და მარჯვენა ხელს გაუწვდის)** მე შალიკო მქვია.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. მე, ბატონო ჩემო, — ბიძინა **(ხელს ჩამოართმევს).** მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვატყობ, თქვენ ჭადრაკისა არაფერი გაგეგებათ, მაგრამ რომ გაგეგებოდეთ, უეჭველია, ყველაზე ძლიერ ფიგურად ლაზიერს დაასახელებდით. მე კი მოგახსენებთ, რომ ცდებით. მანევრირების მაქსიმალური შესაძლებლობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ლაზიერი მნიშვნელობით აღემატება მეფეს, რომელიც, მართალია არ გამოირჩევა შეტევითი ხასიათით, მაგრამ ის ერთადერთია, რომელსაც უნარი შესწევს მატჩი ყაიმით დაასრულოს — ზავზე მოაწეროს ხელი. არის ასეთი საჭადრაკო ტერმინი „პატი“.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. აუჰ, უყურე შენ...

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. მაპატიეთ, რომ გაგაცდინეთ, თავისუფალი ბრძანდებით.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. არა, ჭირიმე, რა მოცდენაა, ილაპარაკე თუ გინდა, მე მაინც თავისუფალი ვარ.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ. თავისუფალი?! **(წიგნს გადაშლის, სარჩევში სათაურს ეძებს)** თავი, თავი, თავი, თავისუფალი. **(კიბეზე ადის, კითხულობს)** თავისუფლება ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობითი ცნებაა. მეტად ამორფული და დაუკონკრეტებელი საზღვრების მქონე. საზოგადოების მცდარად მოაზროვნე დიდი ნაწილი თავისუფლებისკენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ილტვის, რომ თავისუფალ მდგომარეობაში მყოფნი მინიჭებული უფლებების რეალიზაციას მხოლოდ საკუთარ თავზე შეძლებენ, ვინაიდან თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, პიროვნების დამოუკიდებლობას, ანუ საზოგადოებისაგან იზოლირებას გულისხმობს და არა საზოგადოებაზე უფლებების ქონას. საზოგადოებასთან გამიჯნული ინდივიდი კი, ადრე თუ გვიან, უპირისპირდება საკუთარ თავს. ვინაიდან ყოველ ადამიანში ძევს დიდი რაოდენობა დადებითი და უარყოფითი ემოციებისა, რომელთა რეალიზაციაც მას მხოლოდ საკუთარ თავზე შეუძლია განახორციელოს. ეს ყველაფერი ადამიანში ავადმყოფურ გამოვლინებებს იწვევს, ის ხდება მაზოხისტი, თუნდაც ნარცისი, ალბათ, ეს ორივე ერთი და იგივეა. სინამდვილეში კი ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი მოსაზრება მხოლოდ თეორიული ანალიზია თავისუფლების ცნებისა. პრაქტიკაში თავისუფლება შაშხანაზე წამოცმულ მოფრიალე ბაირაღზე წარწერილი ლოზუნგია, რომლის ქვემოთაც ლაზიერად გადაქცევის მოსურნე პაიკთა ბრბო დგას. ბრბო, რომელიც მზად არის მუსრი გაავლოს მისი სვლის საწინააღმდეგოდ მომავალ კონტრასტული ფერის პაიკებს. **(დაამთავრებს თუ არა სიტყვას, მაშინვე საპნის ბუშტების გაშვებას იწყებს).**

შალიკო. **(დარეჯანს ბიძინაზე)** სულელია?

დარეჯანი. არ ვიცი, ამბობენ, როცა ჩუმად არის, ჭკვიანიაო.

შალიკო. ეჰ, რაღაცას მატყუებთ, წავედი მე, წავედი. **(ოთახიდან გასვლას აპირებს, მაგრამ ამჯერად მაიკლი შეაჩერებს).**

მაიკლი. სად მიდიხართ? ბიძინა არ აპირებდა თქვენს განაწყენებას, უნებურად მოუვიდა.

შალიკო. ჯემალი თუ არა, ჯუმბერი მაინც უნდა მოვძებნო, თორემ მაგათ მეტი ნაცნობი არ მყავს ქალაქში და დავიკარგები.

მაიკლი. იხ, როგორ გეკადრებათ, ხვალამდე აქ მოისვენეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ჩვენს დედაქალაქში რაოდენ სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

შალიკო. სახეზე გატყობ, შენ რაღაცას მატყუებ, მაგრამ რაკი მთხოვ, უსინდისო კაცი უნდა ვიყო, უარი რომ გითხრა. **(იატაკზე აწყობს ბარგს).** თქვენი სახელი, ბატონო?

მაიკლი. მაიკლი, ჩვენებურად მიხო.

შალიკო. **(ხელის ჩამორთმევა უნდა, მაგრამ ჯერ მაიკლის ხელის გამოწვდას დაელოდება)** სადაურად, ჩვენებურად?

მაიკლი. იქაურ ჩვენებურად. მოკლედ — გრძელი ისტორიაა.

შალიკო. კაი ბატონო, დამიმალე, არ მითხრა. მე აქაურადაც და იქაურადაც შალიკო მქვია.

მაიკლი. ესე იგი, შალიკო, შალვა, შარლ.

შალიკო. მაშ, ზანგურად შარლი მერქმევა. კეთილი და პატიოსანი.

მაიკლი. **(გაუღიმებს)** ჩემი ძვირფასო შარლ, თქვენც დედამიწის წიაღიდან მომავალ ეროვნულ მუხტს ღებულობთ.

შალიკო. რაზე მატყობ?

მაიკლი. თქვენც, ჩემსავით, ფეხშიშველი ბრძანდებით.

შალიკო. მე არ ვიცი, შენ რას ღებულობ, მე კი შინიდან აქამდე მომავალ გზაზე ფეხსაცმელი შემომაცვდა და გადავყარე.

მაიკლი. ო, რა სამწუხაროა.

შალიკო. ძალიან შეწუხდი?

მაიკლი. რა თქმა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკო. მაშინ მათხოვე შენი ფეხსაცმელი, შენ მაინც იმუხტები და არ გჭირდება **(ხელს წაიღებს მაიკლის ფეხსაცმელისკენ).**

მაიკლი. ო, ესენი არა. სხვებს მოგართმევთ. **(დიპლომატში თავის ფეხსაცმელებს აწყობს, იქიდან კი ფლოსტებს ამოიღებს შალიკოსთვის).**

შალიკო. შენები კი ჯობდა, მაგრამ ამაზეც მადლობა. **(იცვამს ფლოსტებს. ფეხზე კარგად რომ მოირგოს, ოთახში გაივლის. რუკასთან მივა, გვერდს ჩამოახევს, ფლოსტის წვერზე დაიფურთხებს და რუკის ნაგლეჯით აპრიალებს).** შენები დაგენანა და ესენი გაასაღე, ხომ?

მაიკლი. არა, როგორ გეკადრებათ!

შალიკო. კაი ახლა, უკადრებელი რაა ამ ქვეყნად. უცხოეთიდან ჩამოსული რომ ხარ, გეტყობა, მაგრამ ჩემი მოტყუება არც ისე ადვილია, იქ რომ ჰგონიათ.

მაიკლი. თქვენი უნდობლობა რით დავიმსახურე?

შალიკო. მაშ სანდო კაცი ხარ, არა? **(მაიკლს მხარზე შემოარტყამს ხელს)** ხო, ხო, კარგი ახლა, **(ხურჯინიდან იღებს ჩურჩხელას)** ჰა, აიღე, ჩურჩხელაა, ჯანჯუხა არ გეგონოს.

მაიკლი. მადლობთ. **(ჩურჩხელას დაყნოსავს, მერე დიპლომატში შეინახავს. სანაცვლოდ კი საღეჭ რეზინს გაუწვდის შალიკოს).**

შალიკო. შეხე, ხომ ვამბობდი, უცხოეთში ყველა ჩვენს მოტყუებას ცდილობს-მეთქი. მე ნიგვზიანი ჩურჩხელა მივეცი, ეს კი მატყუარა კანფეტს მაძლევს. არ ხარ, მიხო, შენ სანდო და კარგი კაცი. მოვალ მეც თქვენსას და ვნახოთ მერე...

რობიზონი. (შალიკოს) შენი ქათამი კვერცხს ხომ დებს?

შალიკო. კი, ტყუპს.

რობიზონი. ძალიან კარგი. **(ფაქსით რაღაცას გადასცემს).**

შალიკო. რაში გჭირია ჩემი ქათამი?

რობიზონი საქმითაა გართული და პასუხს არ სცემს.

შალიკო. ხმა ამოიღე.

რობიზონი არ პასუხობს.

შალიკო. კარგი, ბატონო, ჩურჩხელა მიირთვი.

რობიზონი მადლობის ნიშნად თავს დაუკრავს. ჩურჩხელას მოკბეჩს და უხმოდ განაგრძობს საქმეს. შალიკოს ჩურჩხელები მიაქვს გეგასთან და გუგასთან.

გუგა. (შალიკოს) ეს რა არის?

შალიკო. ჩურჩხელა.

გეგა. ვაა, ჩურჩხერა?! ჩურჩხერა ასწორებს.

გუგა. ორი ცალი რა არის, ბიჭო? მოიტა კიდე.

შალიკო თითოსაც დაუმატებს.

გუგა. კიდევ-მეთქი!

შალიკო. მეტი არ მაქვს.

გუგა. აბა ჯიბეები ამოატრიალე.

შალიკო მარჯვენა ჯიბეს ამოატრიალებს. ჯიბე ცარიელია.

გუგა. ეგ არა, მეორე. **(მარცხენა ჯიბეში ხელს უყოფს შალიკოს და ერთი ჩურჩხელა ამოაქვს).**

გეგა. მეორედ არაფერი შეგეშალოს, ბიჭო!

გუგა პანღურს უთავაზებს შალიკოს. მისი ჯიბიდან ამოღებულ ჩურჩხელას სამად გაყოფს. ერთს ჯიბეში ჩაიდებს. დანარჩენ ორ ნაწილს, ოთხ მთელ ჩურჩხელასთან ერთად, მეგობარს ძმურად გაუნაწილებს. შალიკო სამხედროსთან მიდის, შარვლის ტოტს აიწევს და წინდიდან რამდენიმე ჩურჩხელას ამოაცურებს. ერთს სამხედროს შესთავაზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკო. ძამიკო, დაასვენე ცოტა ხანს ეგ თოფი და გასინჯე ჩურჩხელა. **სამხედრო უარის ნიშნად თავს გააქნევს. შალიკო ყელის გამოწევით შეეხვეწება. სამხედრო ისევ უარზე დგას. შალიკო ფანჯრის რაფაზე დაუდებს ჩურჩხელას და წამოსასვლელად გამოტრიალდება. მაგრამ რაღაცას მოისაზრებს. სამხედროს მიუბრუნდება. კარგად შეათვალიერებს თოფს. სამხედრო უკმაყოფილოდ ამოხედავს. შალიკო მლიქვნელურად გაუღიმებს. მეორე ჩურჩხელასაც დაუდებს და ბიძინასთან მიდის. ბიძინა ქათამს ეთამაშება.**

შალიკო. რას გადაეკიდეთ ამ ჩემს ქათამს?

ბიძინა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჯერ ქათამი გაჩნდა თუ კვერცხი?

შალიკო. შენზე ამბობენ, ჭკვიანი კაცაო. იმაზე იფიქრე, რასაც გაძლევენ და მადლობა არ დაგავიწყდეს, თორემ მე რასაც ვფიქრობ, იმაზე ფიქრი კაის არაფერს გაფიქრებინებს.

ბიძინა. (ჩურჩხელას გამოართმევს) მადლობთ.

შალიკო. მადლობა ახლა არ მჭირდება, როცა დამჭირდება, მაშინ გადამიხადე. **(დარეჯანთან მიდის, რომელიც გაწყობილ სუფრას ბუზების საწამლავს ასხურებს)** ჩურჩხელას ხომ არ მიირთმევდით, ქალბატონო?..

დარეჯანი. დარეჯანი.

შალიკო. ქალბატონო დარეჯან.

დარეჯანი. მადლობთ, გეთაყვა.

შალიკო. რა სამადლობელი ეს არის, ჩურჩხელაა ბოლოს და ბოლოს, აი ტორტი რომ იყოს, მაშინ კიდევ მესმის.

დარეჯანი. დიდი სიამოვნებით მოგიჭრიდი ერთ ნაჭერს, მაგრამ...

შალიკო. რას ბრძანებთ გენაცვალე! თქვენ როგორ შეგაწუხებ, მე თვითონ მოვიჭრი. **(დანას მოავლებს ხელს).**

დარეჯანი. არა, იცით, სულხანის გარეშე უხერხულია.

შალიკო. სულხანი?! სულხანი ვინღაა?

დარეჯანი. სულხანი დღევანდელი თავშეყრის გმირია.

შალიკო. მოკვდა?

დარეჯანი. არა, როგორ გეკადრებათ, ღმერთმა დაიფაროს.

შალიკო. აბა, ცოცხალი გმირი მე არ გამიგია.

დარეჯანი. არა, საქმე ისაა, რომ სულხანმა დღეს, ჩვენს თვალწინ დიდი დათვის თანავარსკვლავედი უნდა აღმოაჩინოს, რომელიც საშუალებას მისცემს ამოხსნას კოსმიური საიდუმლო ჩვენსკენ მომავალი ბედნიერებისა, არა, შესაძლოა უბედურებისა, დაზუსტებით ვერ გეტყვით, მგონი ჯერ სულხანმაც არ იცის. მოკლედ, თანავარსკვლავედის შემადგენელი ექვსი ვარსკვლავი უკვე აღმოაჩინა, მხოლოდ ერთი დარჩა. დღეს სწორედ ის დარჩენილი მეშვიდე ვარსკვლავი უნდა აღმოაჩინოს და წვეულებაც ამ ფაქტის აღსანიშნავად მოაწყო.

შალიკო. უყურე შენ... **(დაფიქრდება)** რომ ვერ აღმოაჩინოს, ამ ტორტს არ დაჭრით?

დარეჯანი. არა, დიდი დათვის თანავარსკვლავედი დიდი ხანია აღმოჩენილია. ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თანავარსკვლავედია. დიდი დათვის შვიდი ვარსკვლავისაგან შემდგარი კონფიგურაცია ჩამჩას წააგავს. **(დარეჯანი გლობუსზე დახატული ვარსკვლავების მიხედვით უხსნის)** მათგან ორი ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავის — ალიოტის და დუბჰეს ბრწყინვალება ერთ მთელ, რვა მეათედ ვიზუალური ვარსკვლავური სიდიდის ტოლია. ჩამჩის ორი კიდური ვარსკვლავის მიხედვით, რომელთაც, შესაბამისად „ალფა“ და „ბეტა“ ასოებით აღნიშნავენ, შეიძლება ვიპოვოთ პოლარული ვარსკვლავი.

შალიკო. მერე, ავდგეთ და ვიპოვოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარეჯანი. არა, პოლარული ვარსკვლავიც ნაპოვნია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სწორედ სულხანმა უნდა იპოვოს.

შალიკო. მაინც და მაინც სულხანმა?

ბიძინა. დიახ, სულხანმა. ყოველმა ადამიანმა თუნდაც უკვე მილიარდჯერ აღმოჩენილი ნივთი ხელახლა უნდა აღმოაჩინოს და მილიარდ-მეერთეჯერ დაარქვას იმ ნივთს ის სახელი, რაც მას მილიარდჯერ უკვე ერქვა.

შალიკო. რატომ?

ბიძინა. იმიტომ, რომ გაიგოს — რატომ. და საერთოდ... **(აგრძელებს უხმოდ).**

ბეგა. (ქიმიური რეაქციის შედეგად მიღებულ სითხეს სულს უბერავს) ჰა, ბიჭო, დროზე, შპრიცი ამოიღე!

გუგა. (ჯიბიდან იღებს ცხვირსახოცში გახვეულ შპრიცს) ეე, ნემსი აქვს დასვრილი. **(რუკას გვერდს მოახევს და შპრიცის წვერს წმენდს).**

მაიკლი. (გუგას) ეგ არ ქნათ! მაგითი როგორ შეიძლება? **(დიპლომატიდან იღებს ორ ერთჯერად შპრიცს, ეროს გუგას გაუწვდის, მეორეს ბეგას).**

გუგა. (ბეგას) ვა. ნახე, რა კარგი ტიპი ყოფილა.

ბეგა. გაანებე თავი, წილში ჩაგვიდგება.

მაიკლი. როგორ გეკადრებათ, მე ჯანმრთელი ცხოვრების წესს ვეწევი. მხოლოდ და მხოლოდ სიიო.

ბეგა. სიიო?! ეგ რაღაა?

გუგა. ეგ იქაური ანაშა იქნება, რა...

ბეგა. (მაიკლს) ჰოო?..

მაიკლი. არც მთლად. როგორ გითხრათ...

გუგა. აუ, ეხლა ეს გაახურებს. **(მაიკლს)** მიდი, მიდი, შეაყოლე!

მაიკლი გასცილდება გუგასა და ბეგას. რობიზონი ნერვიულად აწვალებს ფაქსის აპარატს, ღილაკებს აჭერს თითს, ყურმილში ყვირის.

რობიზონი. ალო! ალო! **(ახეთქებს ყურმილს და მაიკლთან მიდის),** აუ, შენი ჭირიმე, კიდევ ერთხელ უნდა დამეხმარო, ეს ფაქსიც გამიფუჭდა.

მაიკლი. (რობიზონს ხელიდან გამოგლეჯს ფაქსს. დიპლომატში დებს, დიპლომატიდან იღებს ორ პატარა დროშას) წამოდი! წამოეთრიე!

რობიზონი გაოგნებული მიყვება მაიკლს, რომელსაც აივანზე გაჰყავს. ხელში დროშებს დაჭერინებს და საზღვაო ურთიერთობის ანბანს ასწავლის. რობიზონი იწყებს დროშების ქნევას. დაბალ ხმაზე ისმის ზღვის ღელვა.

ბუბა. (გუგას) მოვიდა?

ბეგა. კი, შენთან?

ბუბა. ჩემთანაც, ზღვის ხმა მესმის.

ბეგა. გლიჯავს.

ბუბა. ხურავს.

მედეა. ვინ მოვიდა? სულხანი მოვიდა?

ბუბა. სულხანი კი არა, „კაიფი“ მოვიდა, გენაცვალე.

ბეგა. ეხლა ვარსკვლავების ნახვა გაასწორებდა.

ბუბა. ფაიზაღი.

ბიძინა, რომელიც აქამდე უხმოდ ესაუბრებოდა შალიკოს, კიბეზე ასული ხმამაღლა აგრძელებს.

ბიძინა. ყოველი ადამიანი, ქვეშეუცნობლად თუ შეგნებულად ეძებს პოლარულ ვარსკვლავს. მაგრამ ყოველ მათგანს როდი ძალუძს მისი აღმოჩენა. -ციურ სამყაროში თვალით უხილავი თუ ხილული მრავალი მანათობელი ციური სხეული არსებობს. ადამიანის მიერ ამ უსიერ ვარსკვლავეთში ჭეშმარიტი ორიენტირის აღმოჩენა ადამიანის შრომაზეა დამოკიდებული. თუმცა, შესაძლოა შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შა უნაყოფოც აღმოჩნდეს, ვამომდინარე ადამიანის სულიერი პოტენციიდან. სამწუხაროდ და იქნებ საბედნიეროდაც მრავალად არსებობენ იმპოტენტები, რომელნიც პირველივე შემხვედრ ვარსკვლავს აღიარებენ სამყაროს ორიენტირად, და აღმოჩენით კმაყოფილნი, მათთვის ცნობილ ყოველ ახსტრაქტულ გრძნობას ოვეჯიანად განაწყობენ მათივე მიერ მოსაფალტებულ სამყაროში. და ამ სამყაროში პოლარულ ვარსკვლავს იგივე როლი აკისრია, რაც საგულდაგულოდ მოჩუქურთმებულ ოთახის ჭერზე მიმაგრებულ თაბაშირის ანგელოზს. და საერთოდ, ისინი არ საჭიროებენ არავითარ ციურ ორიენტირს, მათი კომპასის როლს ნშვენივრად ასრულებს უბრალო მაჯის საათი, რომელიც საუზმიდან ვახშამდე არსებული დროის მონაკვეთს აკანონებს.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. ეეჰ, შენ ისევ რაღაცას მატყუებ. გინდა კიდევ ერთი ჩურჩხელა ვამომტყუო, მაგრამ არ მოგცემ. **(დარეჯანს მიუბრუნდება)** ქალო, გამომართვი შენი წილი ჩურჩხელა და პირდაპირ მითხარი, სად არის სულხანი?

ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ. სამხედროს ჰკითხე, მე აღარაფერი ვიცი.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. (სამხედროზე) ის კიდევ ცოცხალია? **(მიდის სამხედროსთან. თვალებთან ხელს გაუტარებს. თითით ფრთხილად შეეხება. სამხედროს რეაქცია არა აქვს)** მგონია, მოკვდა ეს უპატრონო. **(პირჯვარს გადაიწერს).**

სამხედრო ამოხედავს.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. არა, ცოცხალია. **(სამხედროს)** სულხანი, სულხანი სად არის?

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ. კარადაშია.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. კარადაში ეძებს იმ რაღაც ვარსკვლავს? **(კარადას უახლოვდება, მედეა კარადის ირგვლივ ზლაზვნით ცეკვავს)** აქ არის გმირი?

ᲛᲔᲓᲔᲐ. იცი, მე რომ პატარა ვიყავი...

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. გამომართვი ეს ჩურჩხელა და გამანებე თავი. **(კარადაზე აკაკუნებს)** მაინძელო! გამოდი კარში, გახმა, ბიჭო, ტორტი. დაგვენახე ერთი წუღით და შებრუნდი ისევ უკან.

ᲛᲔᲓᲔᲐ. (შალიკოს) გმადლობთ, მაგრამ მამა მიკრძალავს ჩურჩხელების ჭამას.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. პირში გემო არ ჰქონია მამაშენს.

ᲛᲔᲓᲔᲐ. არა, უბრალოდ, პატიოსანი გოგონები ჩურჩხელებს არ ეტანებიანო.

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. აბა, რას ეტანებიანო?

ნატო კარადასთან გაჩნდება. მედეას ხელიდან გლეჯს ჩურჩხელას.

ᲜᲐᲢᲝ. მე არ მიკრძალავს მამა. **(ჭამს ჩურჩხელას).**

ᲨᲐᲚᲘᲙᲝ. ნახე, ნახე, როგორ ყვარებია ჩურჩხელა. აი, დედასა! მიირთვი კიდევ. **(აწვდის მეორე ჩურჩხელას. ნატო იმასაც ჩაკბენს)** დედა, დედა, როგორ შიებია ამ შეჩვენებულს **(კარადას)** გამო, ბიჭო, კარში! რა დროს ვარსკვლავებია, დაწყდა ხალხი შიმშილით. გაიგე! გამო გარეთ! **(აბრახუნებს კარადაზე)**

რობიზონი აივანზე დგას. ენერგიულად განაგრძობს დროშების ქნევას. ისევ ისმის ზღვის ღელვის ხუმი ხმა.

ᲑᲣᲒᲐ. აუ, ისევ ზღვას ვხედავ.

ᲒᲔᲒᲐ. ზღვა მომბეზრდა, ეხლა ვარსკვლავები მინდა.

ᲒᲣᲒᲐ. სულხანი ხომ დაგვპირდა, ვარსკვლავებს განახებთო.

ᲒᲔᲒᲐ. ჰო, დაგვპირდა.

ᲒᲣᲒᲐ. მერე?

ᲒᲔᲒᲐ. მერე, სულხანი სად არის?

ᲒᲣᲒᲐ. ამპობენ, კარადაშიაო. გამოვიყვანოთ?

ᲒᲔᲒᲐ. ფაიზალი.

გაბრუებული გეგა და გუგა ლასლასით მიდიან კარადასთან, სადაც მედეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო, დარეჯანი, ბიძინა, მაიკლი და შალიკო შეკრებილან. ყველა სთხოვს სულხანს — კარადიდან გამოვიდეს.

შალიკო. გამოეთრიე გარეთ! დაგვაყენე საშველი, დაგვაჭრევინე ტორტი. ბიჭო, ტორტია, ჩურჩხელა ხომ არ არის, ვაისამდე რომ შეინახო.

ნატო. სულხან, გამოდი! გამოდი, თორემ მოთმინების ფიალა ამევსება და ეს და მედეა სამუდამოდ წავალთ. გესმის, სა-მუ-და-მოდ!

დარეჯანი. სულხან, ნუ ჯიუტობ, გამოდი, სირცხვილია, გამოდი! ხმა მაინც ამოიღე. რა იყო, მანდ ბუზები ხომ არ გაწუხებენ? **(ბუზების საწამლავს ასხურებს კარადას).**

მედეა. სულხან, გამოდი, თორემ გაგებუტები. გამოდი, რა, სულხანიკო!

ბიძინა. სულხან, შენ მჭირდები ახლა, საჭადრაკო დაფაზე დაძაბული ვითარებაა შექმნილი და იქნებ შენ მიშველო.

მაიკლი. სულხან, მსოფლიო საზოგადოება გელოდება.

გეგა კარადასთან შეგროვილებს მიწევ-მოწევს და კარადის კარზე აკაკუნებს.

ბეგა. (დარეჯანს) რა, არ გამოდის?

დარეჯანი. არა, ჯიუტობს.

გეგა. გაალე, ბიჭო, კარი. ვარსკვლავები დაგვანახე.

ბუბა. (შპრიცი უჭირავს) სულხან, ნახე, შენი წილი წამალიც დავგრჩა, გამოდი, მაგრად გაგისწორდება. **(შპრიცის წვერს კარადაში უჩხვლეტს).**

გეგა. მაშ, არ გამოხვალ, არა?

ბუბა. (გეგას) ჩემ დედას გეფიცები, უნდა დაისაჯოს **(დანას აწვდის გეგას).**

გეგა. მაშ, გაგვიტეხე, არა? გაგჭრი, შე ახვარო **(დანას მთელი ძალით ურტყამს კარადას)**

მედეა. (კივის) ვაიმე! არ მოკლა!

მაიკლი. შეჩერდით, ხალხნო! რას იტყვის მსოფლიო საზოგადოება!

ბუბა. (ქეჩოში წაავლებს მაიკლს) ბიჭო, შენ ვინღა გეკითხება, შავი რომ ხარ, შავ გაგებას რატო არ აწვები?

სცენაზე აურზაურია. ქალები კივიან, მამაკაცები ილანძღებიან. შალიკო არეულობით სარგებლობს. იპარავს მაიკლის დიპლომატს. ჩუმად ხსნის. დიპლომატიდან ოქროსფრად დაფერილი ფეხსაცმელი ამოაქვს და უბეში მალავს. დიპლომატს წიხლით იქვე მიაგდებს. კარადასთან მიდის. იქ ისევ აურზაურია. ჩოჩქოლს ემატება ზღვის ტალღების ხმაურიც.

ბეგა. (კარადას დანას ურტყამს) გამოდი, უნდა მოგკლა! გამოდი, შე ახვარო!

შალიკო. (გეგას) დამშვიდდი, ძამიკო, გაანებე თავი.

ბეგა. შენ რაღა გინდა?

შალიკო. სიყვარული და სიამტკბილობა. მაგი მაინც არ არის მანდიდან გამომსვლელი. მე, ტორტი ვეჭამოთ-მეთქი, ვებატიჟებოდი და არ ქნა, არ გამოვიდა, შენ მოსაკლავად იბარებ და ახლა გამოვა?

ბუბა. არ მოვკლათ? აბა რა ვქნათ?

შალიკო. (ხელს გადახვევს გეგას) ძამიკო, მაგას თუ არ უნდა, ღმერთმა არ მისცეს, იჯდეს თავისთვის კარადაში. რისი გულისათვის იწყვეტ ნერვებს, შინაურები არ ვართ ყველა? ერთმანეთის შეჭმას ისევ ტორტის შეჭმა აჯობებს, თავი ნუ მოიკვდება. მივუსხდეთ სუფრას, დავჭრათ ტორტი, მეც რაღაც საგზალი მაქვს წამოღებული. ღვინო მაქვს, ბირონია პირდაპირ. კინაღამ დამავიწყდა, ჯუჯუნა მყავს კიდევ — ქათამი, ბევრ კარგ გოჭს რომ ჯობია, ისეთია. დავკლათ ქათამი, დავლიოთ ღვინო და დესერტად ტორტიც მივირთვათ. აბა, რაა ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება მეტი. საიქიოდან მივლინებით მოვსულვართ და ხვალ-ზეგ ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ.

ბეგა. (დანას უბრუნებს გუგას) ნაღდს ბაზრობს, ხო იცი.

მედეა. კი მაგრამ, მეშვიდე ვარსკვლავი რომ არ აღმოუჩენია?

შალიკო. აუ, მეტი სანერვიულო არ მოგცეთ ღმერთმა.

გლობუსზე დახატულ ექვს ვარსკვლავს უადგილოდ მიახატავს მეშვიდე ვარსკვლავს) ა, ბატონო, თქვენი მეშვიდე ვარსკვლავი და რომ არ გეწყინოთ, პოლარულსაც მოგარმევთ ახლავე. **(გლობუსს ვარსკვლავს ახატავს).**

ერთხანს ყველანი გაოგნებულები მისჩერებიან შალიკოს. გეგა გლობუსთან მიდის და სფეროს ატრიალებს.

ბეგა. ვა, როგორ ასწორებს, ეე!

ბიძინა. არა, ეს შეუძლებელია!

გუგა. როგორ თუ შეუძლებელია? რო ბრუნავს?..

ბიძინა. დაუშვებელია! ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი! ბარბაროსებო! უგნურებო! ეს ვარსკვლავი აქ არ უნდა იყოს.

ლარეჯანი. ვითომ რატომ? მე რომ მკითხოთ, ძალიანაც ლამაზად გამოიყურება.

ბიძინა. ტყუილი არასოდეს არ იქნება ლამაზი. ლამაზი ტყუილი საბოლოო ჯამში მუდამ უფრო მახინჯია, ვიდრე მახინჯი სიმართლე.

ნატო. კარგი, კაცო, ერთი! რა განადვლებს? ან მოვესწრებით, ან არა იმ საბოლოო ჯამს.

ბიძინა. თქვენ მართლაც არ მოესწრებით არაფერს. ამას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს.

მედეა. ვაიმე, მართლა?! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს კატასტროფები.

ლარეჯანი. ბიძინა, მაინც რას ხედავ აქ კატასტროფულს?

ბიძინა. სამყაროში ციურ სხეულთა განლაგება დიდ, საერთო კანონზომიერებაზეა დამყარებული, რაც სამყაროს არსებობის აუცილებელი პირობაა. მათი არევა იგივეა, რაც ათი მცნების კორექტურა!

შალიკო. და თუ ეს ხალხს უნდა? ჩემის აზრით, სავსებით დემოკრატიულია.

ბიძინა. დემოკრატიული კი არა, დეგენერატულია!

შალიკო. ჩურჩხელას რომ ჭამდი, ის ხომ იყო ჭკვიანური?

ბიძინა. წადი შენი!..

ლარეჯანი. ბიძინა, გრცხვენოდეს! არ დაგავიწყდეს, რომ სხვის ოჯახში ხარ.

ბიძინა. რომელ ოჯახზე ლაპარაკობ, შე, შე, შე მსუბუქი ყოფაქცევის ქალო!

გუგა. ბიჭო! ქალს როგორ ელაპარაკები, შენ იცი, რა არის დემოკრატია? თუ არ მოგწონს, დაგთხრი თვალებს და მერე ითვალე ვარსკვლავები.

ბეგა (სფეროს ატრიალებს) დემოკრატია, დემოკრატია, რამდენიც რა უნდა ილაპარაკოს, ეს მაინც ბრუნავს.

გუგა. (გეგას) ეს ამბობს, არაო, ეგრე არ არიო.

ბეგა. როგორ თუ არაო? მაშ ჩვენ გიჟები ვართ? **(ბიძინას)** დაგწვავ, შე ბოზო!

გუგა დანას გაუწვდის გეგას.

ბეგა. ამას დანა რად უნდა, ხელით დავახრჩობ.

ბიძინა. (შეშინებული) არა, როგორ გეკადრებაო, მე მაგის თქმა არ მინდოდა. უნებურად წამომცდა. თუ ხალხს უნდა, ესე იგი მეტის ღირსები არ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგა. რაა?

ბიძინა. ვაიმე. ისევ წამომცდა. თუ ხალხს უნდა, ესე იგი ასეა საჭირო.

გეგა. ჰოდა ეგრე, ხომ გამიგე, ბიჭო!

ბიძინა. კი, კი, ნამდვილად გავიგე.

გუგა. პრეტენზიები გააქ კიდე?

ბიძინა. არა, არა, რას ბრძანებთ, სავსებით მართალი ბრძანდებით.

გუგა. ჰოდა, მიდი, ყველას ბოდიში მოუხადე.

ბიძინა. (კიბეზე ადის) მაპატიეთ, მეტს არ ვიზამ, მეორეჯერ აღარ განძეორდება.

ბეგა. (გლობუსს მიუბრუნდება) ნახე, ნახე, როგორ ტრიალებს. **(გუგას)** ეს ვარსკვლავიც მაგრა ჩაჯდა, არა?

გუგა. ფაიზადი.

ყველანი გლობუსს დასტრიალებენ.

ნატო. (შალიკოს) ყოჩაღ, ბიჭო, მართლაც ლამაზია. ეს ფაქტი უნდა აღვნიშნოთ.

დარეჯანი. (სასმისებს ჩამოურიგებს გლობუსთან მყოფთ) შალვა, აბა შენი შეპირებული ღვინო სად არის?

შალიკო. ახლავე, ბატონო. **(ხურჯინიდან იღებს მოწნულ დოქს და სასმისებს ღვინით ავსებს).**

მაიკლი. ჩემო ძვირფასო, შარლ, თქვენ დღევანდელი დღის გმირი ბრძანდებით, გნებავთ ეროვნული გმირი, გნებავთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის, ძე არ მოვერიდები ამ სიტყვებს, თუნდაც საგალაკტიკოთაშორისო გმირი. მაცადეთ, მე თქვენ საჩუქარი უნდა მოგიძღვნათ. სად არის ჩემი დიპლომატი?

შალიკო. ოხ, მიხო, ნუ წუხდები, არ მინდა საჩუქარი.

მაიკლი. არა, დიპლომატი სად არის?

შალიკო. კარგი ახლა, არ მინდა საჩუქარი.

მაიკლი. ჩემი დიპლომატი! **(შეშლილივით დაეძებს დიპლომატს).**

შალიკო. არ მინდა-მეთქი, ბიჭო! **(ხელს ჩაავლებს მაიკლს).**

დარეჯანი. მიხო, გენაცვალე, რამდენი ხანიც გინდა, იმდენ ხანს დარჩი აქ. სულხანი კარადიდან გამოსვლას არ აპირებს და უმეზობლოდ ხომ არ დავრჩები?

შალიკო. რაღაც, ეს კარადა არ მომწონს.

ნატო. შენი ნება არ არის, გადააგდე და მზითევში ახალს მოგართმევენ.

შალიკო. ოხ, კარგი აზრია.

მედეა. გაგიმარჯოს, შალვა! **(გადაეხვევა შალვას და კოცნის).**

შალიკო. ოხ, რა იყო ეს?!

გუგა. გაგიმარჯოს, ძმაო! გაგებას გაუფრთხილდი. **(ჭიქას მიუჭახუნებს გეგას)**

ბეგა. (შალიკოს) გაგიმარჯოს!

გეგა და გუგა ვახტანგურად სვამენ.

შალიკო. მადლობელი ვარ, მაგრამ ყველა რომ არა სვამს?

გეგა. ვინა, ბიჭო, ვინ არა სვამს?

გუგა. (ბიძინას) აუ, ეხლა დალევ თუ?..

ბიძინა. გაგიმარჯოს, შალიკო!

შალიკო. ადრე ბევრს ჭიკჭიკებდი!

ბიძინა რა ხეირი თორემ... **(უხალისოდ სვამს ღვინოს)**

შალიკო. (სავსე ჭიქით მიდის სამხედროსთან) შენ არ დაილოცები?

სამხედრო. გაგიმარჯოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალიკო. დალიე.

სამხედრო. არ შეიძლება, სამშობლოს ინტერესებში არ შედის.

შალიკო. გამაგიჟებს ეს კაცი, თუ არ დალიე, რად გინდა მაშინ სამშობლო.

ძმდა. **(მიირბენს სამხედროსთან)** ერთი ჭიქა რას გიზამს, გეხვეწები, რა, დალიე! სამშობლოს გულისათვის, ძალიან გეხვეწები!

შალიკო. სირცხვილია, ბიჭო, დალიე, ქალი გთხოვს, სამშობლოს გულისათვის.

სამხედრო. თუ სამშობლოს უნდა... **(სასმისს მოიყუდებს და დაცლის. ხელახლა შესავსებად გაიწვდის).**

შალიკო სასმისს შეუვსებს. სამხედრო მეორე ჭიქასაც ცლის და ისევ გამოიწვდის სასმისს.

შალიკო. ახ, ბევრი მოგივა. ნამეტანი ყვარებია სამშობლო. პატრიოტი. უყურე შენ, რა მადიანი ყოფილა. **(სამხედროს ჭიქას გამოართმევს, რობიზონთან მიდის)** დალიე.

რობიზონი. **(წამით წყვეტს დროშების ქნევას)** გაგიმარჯოს! **(ღვინოს გადაკრავს და ისევ განაგრძობს დროშების ფრიალს).**

შალიკო. **(მედეას)** დარჩა კინმე ისეთი, მე რომ არ დამლოცა?

მედეა. სულხანი.

შალიკო. აუ, კინაღამ გამოძრჩა. **(კარადასთან)** სულხან! დამლოცე, ბიჭო, გეყურება, დამლოცე-თქო! არ ესმის. ჭიქას კარადის კართან დგამს).

მედეა ჭიქას გვერდით მოუდგამს თეფშს, რომელზეც ჩურჩხელა და ხილი აწყვია.

შალიკო. **(მედეას ხელს გადახვევს)** სანთელიც ხომ არ დავუნთოთ?

მედეა. არა, ცოტა ხანიც დაველოდოთ, იქნებ გამოვიდეს.

(ოთახიანად შესძახებს) მუსიკა!

ისმის საცეკვაო მელოდია.

მედეა. შაკო, მოდი, ვიცეკვოთ.

შალიკო ჩაბღუჯავს მედეას. ცეკვავენ. მედეასთან მიიჭრება ნატო.

ნატო. მედეა!

მედეა ცეკვას წყვეტს.

შალიკო. რა ხდება?!

მედეა. კაცებთან ცეკვას მამა მიკრძალავს.

შალიკო. რას გაიეებს მამაშენი?

ნატო. მე არ მიკრძალავს. **(შალიკოსთან იწყებს ცეკვას).**

მედეა განმარტოებით ცეკვავს.

ჯარეჯანი. **(მაიკლს)** მოდი, შემოგევლე, ვიცეკვოთ.

მაიკლი. ოო, ცეკვა კარგი რამაა.

მოცეკვავეებს დარეჯანი და მაიკლი შეუერთდებიან. ბიძინა საცოდავად უშვებს საპნის ბუშტებს.

გეგა. **(გუგას)** ცეკვა არ გინდა?

გუგა. არა, მე ვარსკვლავები მევასება.

გეგა. **(მედეას მიადგება)** მოდი, ჩემო სიცოცხლე, ვიცეკვოთ.

მედეა. მამა რომ მიკრძალავს?

გეგა. მამიკოს უთხარი, დედიკოს მიხედოს. **(მედეას მოეხვევა. ცეკვავენ).**

ნატოს ყურადღებას იქცევს გეგასა და მედეას ცეკვა, რომელიც თანდათანობით ემსგავსება ეროტიულ სცენას. ნატო გეგასაკენ იწევს, შალიკო ცდილობს ნატო შეაჩეროს. შალიკოსთან ჭიდაობაში ნატოს [illegible]დან პარიკი მოსძვრება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაბა შემოეხვევა. ნატო ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მელოტი მამაკაცი. გაოგნებული შალიკო ნატოს ხელს გაუშვებს. ნატო გეგას მივარდება და ყბაში მუშტს უთავაზებს.

ბეგა. ეე, პიდარასტი ხარ, ბიჭო?

გეგასა და ნატოს შორის იმართება ხელჩაროული ბრძოლა. გუგა გეგას დანას აჩეჩებს.

გუგა. მიდი, მიდი, მოკალი!

ბეგა. (დანას მოისვრის) არ მჭირდება შენი დანა. **(საქამრედან იღებს პისტოლეტს)** მოგკლავ, შე არაკაცო!

ისმის სროლის ხმა, ნატო იატაკზე ეცემა. მედეა ნატოს დაემხობა.

მედეა. მამა, მამიკო! ხომ გეუბნებოდი, სულხანთან მარტო გამიშვიმეთქი. რატომ არ დამიჯერე?! გული მიგრძნობდა, ყველაფერი ცუდად რომ დამიავრდებოდა. **(გეგას)** უხეშო! ცუდო! ნადირო! მამა რატომ მომიკალი?! **(ხმამაღლა ქვითინებს).**

ბეგა. (გაოგნებული შესცქერის იარაღს და სცენაზე გართხმულ ნატოს) ჩემი დედას გეფიცებით, მე არ მისვრია! გეფიცებით, მე არ ვყოფილვარ!

გუგა ჯიბიდან წიგნაკს იღებს, გეგას ცხვირთან მიუტანს. იარაღს ჩამოართმევს და ხელბორკილს დაადებს.

გეგა. (გუგას) შენც გაბოზდი, ძმაო?!

გუგა. სამშობლოს უსაფრთხოებას ვიცავ. ათი წელია დაგდევ. ვიცოდი, ადრე თუ გვიან კაცს რომ მოკლავდი. ნეტა იმ დანით მაინც მოგეკლა. მაგ დანით ჩადენილ ხუთ მკვლელობას მე ვიძიებ და გაუხსნელი საქმეები ალესილი ხანჯალივით მაწვნის კისერზე.

მოულოდნელად ისევ ისმის სროლის ხმა. გუგა გეგას იარაღს დააშტერდება. ყველანი გაოცებულნი მისჩერებიან.

სამხედრო. მოვარტყი! მოვარტყი!

დარეჯანი. რა ხდება? რას მოარტყი?

სამხედრო. პირველი ავაცილე და მეორე მაინც მოვარტყი. ხოხობს! ხოხობს მოვარტყი! ღრუბლებს მიეჩერებოდი, უეცრად ხოხობი გამოჩნდა. ინსტრუქციაში არ მქონდა მითითებული, ხოხობს ესროლეო, მაგრამ არც ის იყო მითითებული, არ ესროლოო. მოკლედ, დავუმიზნე და ვესროლე. პირველი ასცდა, კიდევ დავუმიზნე და კიდევ ვესროლე, მეორე ტყვია შიგ გულში მოხვდა.

სცენაზე ეცემა ხოხობი. ყველანი ხოხობს მისჩერებიან.

გეგა. (გუგას) მაშ, ფაქტზე ამოყვანე, კაცის მოკვლას მტენიდი, არა? შენ მე, ძმაო, ხოხობი ხომ არ გგონივარ. ისევ იმას დაუყეფე, ვინც აქამდე დაგიგლეჯია. **(იხსნის ბორკილებს და გუგას მიუგდებს).**

მედეა. (ნატოს) მამიკო, ადექი! თურმე არ მომკვდარხარ. ადექი დროზე, სირცხვილია, რას იფიქრებს ხალხი. მშიშარა და ქალაჩუნაო.

ნატო. (გონს მოსული წამოჯდება) გადავრჩი?

გუგა. გადარჩი და დაგაპატიმრებ კიდეც.

ნატო. რისთვის?

გუგა. აფერისტობისათვის! რატომ ჩაიცვი კაბა?

ნატო. შვილის პატიოსნებას ვიცავ.

გუგა. მაშ მე რა ვქნა? ვიღაც ხომ უნდა დავიჭირო?

ფალიკო. რა დროს დაჭერაა, ნახეთ რა ხოხობი ჩაგვივარდა ხელში. ერთი კარგი ჩახოხბილი ჩავხრაკოთ და ვიყოთ ასე, ვიღუღუნოთ. ისე, ხოხობი თუ არ გვეყო, ჩემი ქათამიც მივაყოლოთ. **(იწყებს ხოხბის გაპუტვას)** მომეხმარეთ თქვენც, ამოდენა ხოხობს მარტო ხომ ვერ გავპუტავ, თუ ხელების დასვრა არ გინდათ. ჰა?.. მოდით, მოდით, მერე დაიბანთ. თქვენნაირებს დუბანიაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელ-ნელა ყველანი ხოხობს ,მიესევიან. მხოლოდ გუგა და გეგა გამოერიდებიან. გუგა გეგასთან შერიგებას ცდილობს. გეგა გაურბის.

გუგა. არ გეწყინოს, ძმაო.

გეგა. შენი ძმები ბოინში დარბიან.

გუგა. მოვალეობას ვასრულებ, თორემ ხომ იცი...

გეგა. წადი რა, გაიარე.

გუგა. ბოლოს და ბოლოს, ორივე წამალზე ვზივართ, ხომ იცი, წამალმა ცუდი და კარგი ბიჭი არ იცის.

გეგა. წამალი გააქ?

გუგა. კი, ძმა (**ჯიბიდან შპრიცს ამოიღებს. გეგას გაუწვდის**) ძმურად გაკიყოთ. მე თვითონ გაგიკეთებ.

გუგა და გეგა წამალს იკეთებენ. ხოხობს შემოხვეულნი ერთხმად ყაყანებენ. სცენაზე ბუმბულები ტრიალებს. ყაყანი აუტანელ ყვირილსა და კვნესაში გადადის. გეგა და გუგა აივანზე გადიან, სადაც რობიზონი ამ ხნის განმავლობაში დროშების ფრიალს არ წყვეტდა. ისმის ზღვის ღელვის ხმა, რომელიც შტორმის საზარელ ხმაურში გადაიზრდება.

ბება. (**აივნიდან იხედება**) ეს რა ხმაურია?

ბუბა. მგონი, ზღვა ადიდდა.

გეგა. აქ ზღვას რა უნდა?! ალბათ გეჩვენება.

გუგა. არა, ნახე, ნახე, ნაღდად ზღვაა!

ისმის შტორმის დამანგრეველი ხმა, ხალხის კივილი და ზარის გაბმული რეკვა. სცენა ბნელდება. ხმაური ნელა მშვიდდება, ბოლოს საერთოდ ქრება. სცენაზე შუქი ინთება. ოთახში აღარავინაა, ნივთები აქეთ-იქით არის გაფანტული. ისმის ბრახუნი. კარადის კარი გამოიმტვრევა. კარადიდან გამოვარდება სულხანი. შუქი თვალს ჭრის. ხელით სახეს იჩრდილავს. ოთახს მოათვალიერებს. არეულ, დამტვრეულ ნივთებში უხალისოდ იქექება. იატაკიდან იღებს ღვინის ჭიქას, სასმელს დაენოსავს. სახე აეძრიზება და გადაღვრის. უხალისოდ ალაგებს ოთახს. სკამზე ჩამოჯდება. სიგარეტის მოწევა უნდა. მაგრამ ასანთს ვერ პოულობს. ჯიბიდან იღებს ფანქარს და ცეცხლის ასანთებად, პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, ხელის გულებით აჭრიალებს.

სცენაზე კინოეკრანი ეშვება. ისმის სიმღერა თბილისზე. კინოპროექტორის ეკრანზე თბილისის ხედები. სცენაზე შემოდის ტურისტული ჯგუფი — პიესის მოქმედი პირნი. მათ წინ მოუძღვება დარეჯანი, რომელიც ტურისტულ ჯგუფს თბილისის რუკებს ურიგებს.

დარეჯანი. მიმინოცა და ხოხობიც სადღაც გაუჩინარდნენ. მეფე თავისი ამალით მათ საძებნელად გაემართა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მეფემ იხილა ცხელ წყალში ჩაფუფქული მიმინოც და ხოხობიც. ცხელი წყალი ბუნებრივად ამოსჩქეფდა დედამიწიდან. მეფეს მოეწონა ეს ადგილი, ბუნებრივი ცხელი წყალი და ბრძანა ამ ადგილას ქალაქის აშენება. ქალაქს სწორედ თბილი წყლის გამო ეწოდა — თბილისი.

ტურისტულ ჯგუფს მაიკლი გამოეყოფა. დიპლომატიდან საღეჭ რეზინს იღებს და დარეჯანს გაუწვდის. დარეჯანი მადლობის ნიშნად თავს დაუკრავს. მაიკლი დარეჯანს ხელზე კოცნის, შემდეგ კი აივანზე გადის. დიპლომატიდან ძუჭით იღებს საღეჭ რეზინს და სახეგაბადრული მაყურებელში გადაყრის. ფარდა ეშვება.

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი სოლომანაშვილის პიესის „ჟაღალდის ფრინველის“ გამო

ამ პიესის ავტორი დღეს პირველ ნაბიჯს დგამს სამყაროში, რომელიც ალბათ ყველაზე მკაცრი, ყველაზე მწირი, ყველაზე ბუნდოვანი და, ამავე დროს, ყველაზე დაუნდობელი ნაწილია ჩვენი მწერლობისა; ვგულისხმობ დრამატურგიას, ჩვენში ყველასგან — ტელევიზია იქნება ეს, გამომცემლობა თუ თქვენ წარმოიდგინეთ, თეატრი — ერთნაირად ათვალისწუნებულ, უფრო მეტიც — აბუჩად აგდებულ ლიტერატურულ დარგს, სინამდვილეში კი ცხოვრების გადმოცემის, ჩვენი არსების წიაღში ცხოვრების აღმოჩენის მართლაც რომ ჯადოსნურ საშუალებას. იმედია არავის გადაჭარბებულად არ მოეჩვენება ჩემი ნათქვამი, თუ ვიტყვი, რომ უდრამატურგიოდ მწერლობა სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს. ისეთი დრო დადგა, ადრე ამ ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტების გამეორება აუცილებელი გახდა...

დღევანდელ დღეს, როცა ჩვენს თვალწინ და ერთგვარად ჩვენი ხელშეწყობითაც კი ნადგურდება და უფასურდება ჩვენივე ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი — კულტურა, პიესაზე ფიქრი, ოცნება საკუთარი დრამატურგიული ნაწარმოების დაბეჭდვასა ან სცენაზე წარმოდგენაზე თუ შეშლილობად არა, ფანტაზიად მართლაც შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს. ამავე დროს, როდის იყო, რომ პოლიტიკურ სისასტიკეს, ეკონომიკურ სიბეჩავეს, თანამედროვეთა გაუგებრობას ანდა ეგრეთ წოდებულ „ხად აზრს“ შეეკავებინოს, გაექარწყლებინოს, გაექროს სურვილი რაიმეს თქმისა თუ შექმნისა? თუკი ეს მოხდება, თუკი მართლაც გამოჩნდება რაიმე ძალა, რომელიც შეძლებს ადამიანში ჩაახშოს შემოქმედებისაკენ ლტოლვა, თუნდაც მისი „უწესობისა“ თუ „შეშლილობის“ გამო, მაშინ უნდა შევურიგდეთ იმ აზრსაც, რომ ჩვენი ცხოვრება ბიოლოგიურ არსებობად გარდაიქმნება, ყოველ შემთხვევაში, მას ადამიანურს ვეღარ დავარქმევთ, რადგან ადამიანის არსების მთავარი ნიშანი ის არის, რომ შემოქმედია, ღმერთმა მხოლოდ ის შექმნა „სახედ თვისად“. მისი გამოსაცნობი კიდევ ერთი ნიშანი ის გახლავთ, რომ მის რეალურ ცხოვრებას თამაში უდევს საფუძვლად, განუწყვეტლივ თამაშობს, თანაც არა მხოლოდ ბავშვობაში, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე. ბავშვის თამაში ემბრიონალური ფორმაა ადამიანის მთელი ცხოვრებისა, ერთგვარი ჩანასახია ცხოვრების იმ წესისა, რომელსაც მერე მთელი არსებობის მანძილზე ატარებს, ამკვიდრებს, „ასრულებს“. ამიტომაც ხელოვნება, ფაქტიურად, ადამიანობის ამ საიდუმლოს განუწყვეტელი გამომზეურებაა.

დღეს ჩვენში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ე. წ. ბანალური ჭეშმარიტებანი აღარ არსებობენ, უფრო ზუსტად — თითქოს თავიდან იბადებიან. ჩვენი ცნობიერება, ველური წაბლივით, სინამდვილის ეკლიან გარსს იშორებს, რათა სინამდვილეს შეუერთდეს ანდა სინამდვილე შეიწოვოს ერთიანად, ერთბაშად, რაც ერთი და იგივეა. ძველისძველი ანდაზა, ნაკვესი, იგავი, მითი დღეს ახალშექმნილივით ჟღერს. რაც უფრო ხშირად გავიმეორებთ მათ, უფრო ადვილად მივაღწევთ ხაწადელს — ადამიანს მივახედებთ საკუთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი თავისკენ, ადამიანს გავახსენებთ საკუთარ თავს...

ახალგაზრდა ავტორის ეს ნაწარმოები იმითაც არის საინტერესო, რომ უაღრესად დრამატიული, თითქმის სიბეღისწერო მომენტის გადმოცემა დაუსახავს მიზნად. ტრაგედიებს ახალგაზრდები უკეთესად გრძნობენ. მათ ნაწარმოებში, როგორც სეისმოლოგიური ხელსაწყოს შკალაზე, ხშირად სხვისთვის შეუმჩნეველი მიწისქვეშა ბიძგები აღინიშნება ხოლმე, შეიძლება იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ მომწყდარან „დედის“ ანუ ცხოვრების მკერდს, მათ იმპულსებს ჯერ კიდევ „სარძეო“ კბილები აქვთ, რაც ერთგვარ გულუბრყვილობასთან ერთად ნამდვილობის განცდასაც ანიჭებს ნაწარმოებს.

ეს პიესა თავისი თითქოსდა ერთფეროვანი წრიული მოძრაობით კარუსელსა ჰგავს, რომლის მუყაოს ცხენებზეც, ბავშვების ნაცვლად, ჩვენვე შევსკუპებულვართ, რაც სიცილს კი არა — შემაწუხებელ, მე ვიტყოდი, გამაოგნებელი უხერხულობის განცდას იწვევს. რაც უნდა უარი ვთქვათ იმ სინამდვილეზე, რაც ამ პიესაში სიტყვებიდანაა ამოწვერილი, მაინც გულის სიღრმეში ვხვდებით, რომ ეს ჩვენი სინამდვილეა, სადაც ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი გლობალურ დებილიზმამდე, რასაც სხვანაირად ბრიყვთა თვითმკვლელობა შეიძლება ვუწოდოთ. ასე ჩვენს თვალწინ ქუცმაცდება და ქრება არა მარტო ის მიწა, რომელსაც ჩვენს მამულს ვეძახდით და სამოთხის მდელოსავით, ოფლით, სისხლითა და ცრემლით ვრწყავდით, არამედ, და ეს ბუნებრივიცაა, ქუცმაცდება და იღუპება ჩვენი სულიც, ანუ მდაბიოვდება ის ღვთაებრივი ფენომენი, რომელმაც ამაოების „ხალი კლდეები“ მართლაც რომ ამქვეყნიურ სამოთხედ გვიქცია...

ზემოთ ვთქვი, ეს პიესა კარუსელს მაგონებს-მეთქი. მართლაც, უპირველესი მწერლური ღირსება, რაც სასურველია სცენაზეც შენარჩუნებული იქნეს, გახლავთ ის, რომ აქ ყველაფერი ჩოძრაობს, დამწყები ავტორისათვის საკვირველი ფრაზათა სიზუსტე და რეაქციების ლოგიკა ამ მოძრაობას თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ სახეს ანიჭებს, იბადება ფორმა, რომლის გათავისების შემდეგაც ნაწარმოების შინაარსსაც, უფრო ზუსტად — აზრს ვწვდებით. თუმცა ამაზე უკვე ვილაპარაკე...

მინდა მკითხველს შევახსენო, მის გულისხმიერებაზეა დამოკიდებული დამწყები ავტორის შემდგომი ბედი. ვერ ვიტყვი, რომ ამ პიესის სახით ის სრულყოფილ ნაწარმოებს წაიკითხავს, არაფერი ისე საზარლად არ ყვირის, როგორც ნიჭიერი ავტორის ნაკლი. მკითხველი ამას, რასაკვირველია, ადვილად შეატყობს, მაგრამ, იმედია, იმასაც მიხვდება, რომ ავტორი ნამდვილად ნიჭიერია...

თამაზ ჭილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიქს ბაღჩინიანი

მიტროპოლიტ დავითის მონოლოგი

ვახტანგ სართანიას

იყავ გულღია და ხელგაშლილი,
არ დაგენანოს, დღეს რასაც გასცემ
და დაკარგულად არ ჩათვალო,
რადგან ყველაფერს ხედავს უფალი
და ამედია: მოგიზღავს ასწილ...
თანაც ჩვენს ნათელ წინაპრებს უთქვამთ
უძველეს დროში — ქრისტიანულად:
„კარგი ჰქენი, ქვაზე დადევი,
გაიარე და წინ დაგხვდება“.

სიკეთე თესე ამ საწუთროში,
იყავ მართალი, როგორც მთესველი
და მადლს მოგაგებს სულ მალე ღმერთი...
გწამდეს: სიკეთის წმინდა მარცვალი
თუნდაც სიპ ქვაზე გაიხარებს
და ასმაგ ნაყოფს გამოიღებს...

იყავი ისე შუბლნათელი,
როგორც შენი ამაყი მთები,
დიადი და სახელოვანი,
ქვრივ-ობლების მფარველი და
შემბრალებელი;
თავზე ნამუსის ქუდი გეხუროს,
როგორც მყინვარწვერს ახურავს ნისლი...

ძმაო, ყარიბო!
გულმართალო და ხელმართალო —
მარადიულო პილიგრიმო,
გზად დაცემული შეივრდომე, წამოაყენე,
გაუნაწილე პურის ნატეხი,
გაუწოდე შენი მათარა...
და მიუტევე, თუ ოდესმე მწარედ გიგანა,
ან გაგიმეტა და წაგაქცია,
იყავ სულგრძელი და შეიცოდე
ყველა მოკვდავი...

ზღვასთან თუ დგახარ და იხრჩობა
ათგზის ცოდვილი —
ოდესღაც შენთვის სამარის მთხრელი
და ცოდვებით დამძიმებული,
ნუ დააყოვნებ,
გადაეშვი თამამად ზღვაში
და გამოსტაცე ადამის შვილი
აბობოქრებულ, მრისხანე ტალღებს...

ობოლს და მშიერს გაუყავი ალალი
ლუკმა,
არად ჩაავდო სიღარიბე
და იფიქრე სულის ნათელზე,
ჩაიღიღინე ძველი სიმღერა
და გზა ფერებით შეიმოსება...
გულნამცეცობა არ გაიკარო,
თორემ საქვეყნოდ დაეცემი,
დაძაბუნდები,
და დაკნინებულს ზურგს შეგაქცევს
წუთისოფელიც..
მარად გახსოვდეს, რომ სიკეთე უანგაროა
და გაცემულის, გაღებულის წვრილმან
ანგარიშს

ნუ დაიჩემებ:
უფასურდება ასე სიკეთე...
რადგან, ოდესმე ასწილ მიიღებ,
დათესილი სიკეთისათვის
ყოველივეს მოგიზღავს ღმერთი...

ოდეს ქარონი მოგაკითხავს
და დახუჭულ თვალებს ნისლივით
სიკვდილის რული დაეუფლება,
უკუნი ღამე წარიტაცებს
ნათელს და იმედს,
იმ სამსჯავროზე, სადაც მოხვდები,
ყველაზე დიდი ბრალმდებელი
და მსაჯული იქნებ, ღმერთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სიკეთე და ბოროტება,
შენი საქმენი —
კარგი თუ ავი,
ცხადი, სიზმარი და ცოდვა-მადლი
უფლის სასწორზე აიწონება...

გწამდეს, რომ მხოლოდ ღმერთი განაგებს
ძმამავალს ჩვენსას და თავად განსჯის,
ამქვეყნიური სიცოცხლისათვის
ვის რა ეკუთვნის ბოლოს და ბოლოს:
ზოგიერთისთვის სამოთხეს არჩევს,
მაგრამ ცოდვილი ჯოჯოხეთიდან
თავს ვერ დაღწევს ეეღარასოდეს...

ზოგი ბეწვის ხიდს გაივლის, შემდეგ
სალხინებელში მოხვდება, რათა
მოინანიოს ცოდვები თვისი
და გზა გაეხსნას სამოთხისაკენ...

თუმცა, გახსოვდეს:
წმინდანისათვის
ამას არა აქვს
მნიშვნელობა —
არავითარი...

ერთმანეთის გვესმოდეს

კონრეეისორ გიორგი დანელიას

ხშირად გვწადია, რომ ჩვენც ჩავწვდეთ
ჩიტთა გალობას,
მერცხლების ჭიკჭიკს
და ფოთოლთა იდუმალ შრიალს,
ჩვენს ენაზე აეხსნათ ქარის ხმა
და წვიმების სიმფონია ჩავწეროთ
ფირზე...

ვშმაგობთ, ვბობოქრობთ,
ფიქრით თავს ვიღლით
და ყველა ჩვენგანს
საკუთარი სატკივარი მოგვაქვს
წვალებით...

სასაცილოა, ჩვენ, ბედკრულებს,
ამ ცხოვრების ორომტრიალში,
ჩხუბში, ხმაურში
ერთმანეთის დღესაც არ გვესმის,
თანამოძმეთა წინააღმდეგ მივიწევთ
გესლით,
ღვარძლს ვანთხევთ ირგვლივ
და სიკვდილით ვემუქრებით
ერთიმეორეს...
დაე, ღმერთმა თვითონ განსაჯოს,
ამ საძაროს იდუმალება...
ჩვენ კი ერთმანეთს ვუთანაგრძნოთ
და ერთმანეთის სატკივარი გავიზიაროთ...

ჭკალუაში

არჩილ გოგელიას

ბევრჯერ ვწვევივარ
სხვადასხვა ქვეყნებს...
მაგრამ არც უვრცეს უდაბნოში,
სადაც მწველი სამუმი დაჰქრის,
არც ზღვის ქვიშნარზე,
არსად ასეთი სითბო, სიკეთე
არ შემხვედრია,
არც მზრუნველობა არ მიგრძვნია
სხვაგან ამგვარი...

მიწისძვრის შემდეგ
ბუდეაშლილმა
და ბედისგან განაწამებმა
სამეგრელოს სოფელ ჭკადუაშს
შეაფარა თავი სომხობამ,
იქ დაიდო თავისი ბინა...

აპარპალდა ისევ სანთელი,
სომხის კერია ისევ გაჩაღდა,
ბუხარში ცეცხლი აგიზგიზდა,
თონეც აენთო...

კერაზე ცეცხლი ახლაც ბრიალებს
და მარცვალიც ანთია ხნულში,
პურიც კვლავ ცხვება
და აკვანიც ირწევა სხივად....
ჭკადუაშის კეთილო მკვიდრო,
შენი სახლ-კარი დაილოცოს,
ფუძე-ყურეს ღმერთი ფარავდეს
და ჩახჩახა მზე
დაგნათოდეს აწ და მარადის...

თარგმნა **ბალათერ არაბულმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტლანა ალილუევა

წიგნი შვილიშვილთათვის

გარდაუვალი შედარებები

მამაჩემის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე საუბართან დაკავშირებით ოცდაათი წლით უკან დაწევის შემდეგ, ისევ საქართველოში დავბრუნდეთ.

რამდენადაც მთელი ცხოვრება მოსკოვში გავატარე და ქართულად არ ვლაპარაკობდი, მხოლოდ რამდენიმე ფრაზისა და სიტყვის თქმა შემეძლო, მე მომიხდა ჩემთვის **ახლად** აღმოჩენა საქართველოსი, სადაც ცხოვრობდა ყველა ჩემი წინაპარი. ჩემი ქალიშვილი, რომელიც ამერიკაში დაიბადა, ამავე პროცესს გადიოდა და არანაკლები ენთუზიაზმით. მისთვის ძალიან უცნაური რამ იყო ამ პატარა, სამხრეთის რესპუბლიკის შედარება თანამედროვე ამერიკასთან — მის სამშობლოსთან; ჩემთვის კიდევ უფრო უცნაური ამბავი იყო კოსმოპოლიტური, მშფოთვარე თანამედროვე მოსკოვიდან ამ ძველისძველი ქვების, ციხესიმაგრეებისა და წეს-ჩვეულებების საუფლო პაწია რესპუბლიკაში გადმობარგება. აქ ღრმად ფესვებგადგმულმა ნაციონალიზმმა, რომელიც ზოგჯერ უცნაური და არაშემწყნარებლურია ყოველივე არაქართულის მიმართ, უცებ ჩემთვის მოულოდნელად მაიძულა გამეგო და დამეფასებინა — ამ მოცემულ ვითარებებში — ჩემი მოსკოვური კოსმოპოლიტური აღზრდის ყველა უპირატესობა.

მრავალმილიონიან მოსკოვში, რომელიც XX საუკუნის დასაწყისისთვის ღია იყო ყველა ევროპული გავლენისა და ზემოქმედებისთვის, ჩემი ძმა და მე იმ ეპოქის — ოციანი წლების მიწურულისა და ოცდაათიანის დასაწყისის — სულისკვეთების შესატყვისად, ინტერნაციონალურად აღვიზარდეთ. ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, ვინ იყვნენ „გრუზინები“. ჩემი ძმა იტყოდა ბავშვობაში: ეგენი ისინი არიან, ხანჯლებით რომ დარბიან და ყველას მუცელს ფატრავენო. ჩვენ ბავშვობიდანვე გერმანულ ენას გვასწავლიდნენ. ეს მაშინ იყო ენა ახალი ტექნიკისა, მაშასადამე, კულტურისაც. იმ დღეებში ფრანგული წარსულს ჩაბარდა მის დამნერგავ თავადაზნაურულ საზოგადოებასთან ერთად. ჩვენს განათლებასა და აღზრდას დედა ადევნებდა თვალ-ყურს მის მიერ დაქირავებული პედაგოგების შემწეობით, და ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვქცულიყავით შეზღუდულ ნაციონალისტებად.

დედას ყველაფრის სრულყოფილად და სერიოზულად კეთება უყვარდა, ასე რომ ჩვენ ვსწავლობდით გუვერნანტებთანაც და შესანიშნავ სკოლებშიც. მერე ჩემი ძმა სამხედრო კარიერის გზას დაადგა, მე კი ისტორიას დავეწაფე მოსკოვის უნივერსიტეტში, ძირითადი კურსის დამთავრების შემდეგ კი — ლიტერატურასაც. ჩემი განათლება და აღზრდა იმდენად კოსმოპოლიტური იყო,

---

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი“, № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 1994 წ. № 1-2, 3-4, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამერიკაში ყოველთვის რამდენადმე მეჩოთირებოდა, როცა ნიუ-იორკში დაჟინებით მეპატიჟებოდნენ რუსულ საჩაიეში. და იცი წლისამ უარი ვთქვი იქ სიარულზე. ამერიკაში ჩავედი უკვე ჩამოყალიბებულ კოსმოპოლიტად, განსაკუთრებით — ჩემი ინდური გამოცდილების შემდეგ. „ღვეზელები“ ნიუ-იორკის რუსულ საჩაიეში, სადაც ასე გულაჩუყებით მეპატიჟებოდნენ, ჩემთვის მაშინ რაღაც წარმოუდგენელი დრომოჭმულობისა და აზროვნების სივიწროვის მაჩვენებელი იყო. მაგრამ ჩემი ახალი ამერიკელი მეგობრები ვერაფრით ვერ იგებდნენ, რატომ ვამბობდი ასეთი ბრაზით უარს რუსულ საჩაიეში სიარულზე, რომლითაც ისინი გულწრფელად იყვნენ აღტაცებულნი.

იმ დღეებში ისე ბედნიერი ვიყავი ფართო, ღია სამყაროში გაღწევით! ის **მშვენიერი** იყო, და მინდოდა სულ უფრო და უფრო მეტი რამეები გამეგო ჩემთვის იქამდე უცნობ **ყველა** ერზე, მათ შორის ამერიკელ ინდიელებზეც, რომლებმაც თავიანთი წელილი შეიტანეს ამ უნიკალურ შენადნობში — ამერიკულ კულტურაში. მე კი აქ სამოვართან დასაჯდომად მიწვევდნენ.

უკანასკნელ წლებში სავსებით შევეჩვიე, შეეგუე ცხოვრების ამერიკულ წესს და ამით გარკვეულწილად დავალებული ვარ ჩემი ამერიკელი გოგონასგან, რომელმაც თავისი უდიდესი წვლილი შეიტანა ამ პროცესში, რომელიც ჩემზე გაცილებით მეტად სწორედ მას სჭირდებოდა. ინგლისში გატარებული ორი წლის მანძილზე გავეცანით ცხოვრების კიდევ ერთ შესანიშნავ ინტერნაციონალურ სახეობას — ერთა ბრიტანულ თანამეგობრობას, რომელშიც ერთიანობა და დემოკრატიას ასე თვალსაჩინოდ ავლენენ ყველანი, დედოფლიდან დაწყებული, ინტერნაციონალური პანსიონების მოსწავლეებით დამთავრებული. ეს იყო შეუცვლელი, უბადლო მაგალითი ოლგასთვის, რომელმაც ერების თანასწორობასა და მათ შორის მშვიდობაზე კიდევ უფრო მეტი თავის კვაკერების სკოლაში შეიტყო.

და აი, მთელი ამ მრავალგვარი გამოცდილების შემდეგ, უცებ აღმოჩნდით პატარა, ძველი, ამაყი ქვეყნის სავსებით სხვა სამყაროში. ჩვენ სავსებით მზად ვიყავით ისიც გულმხურვალედ **მოგვექცია ჩვენს არსებაში, ჩაგვეხუტებინა,** ისევე, როგორც სულ ცოტა ხნის წინათ ოლგამ ჩაიხუტა თავის სკოლაში კენიელი, უგანდელი, პაკისტანელი და ინდონეზიელი ბავშვები... და ერთხელ ქართველი ბავშვების კამპანიაში ჩემმა ინტერნაციონალისტმა გოგონამ გამოხატა თავისი აღტაცება სომხებით, რადგან მათი შესანიშნავი ჯაზითაც მოიხიბლა და ადგილობრივი სახელგანოქმული სომეხი დალაქის ზეგავლენითაც.

და როგორ გაოცდა, როცა მეტყველა დუმილის შემდეგ შენიშნეს, ქართველთა კამპანიაში სომხებზე ლაპარაკიც კი არ ეგებისო. ამან ოლგა შეაძრწუნა თავისი უსამართლობით, და ჯიუტად განაგრძობდა საუბარს იმაზე, თუ როგორ მოსწონდა სომხები, მათი მუსიკა, მათი ჯაზი და ყველა მათი პროგრამა ადგილობრივ ტელევიზიაში. ამით შოკში აგდებდა თავის მეგობრებს, რომლებმაც მას შემდეგ თავაზიანად შენიშნეს, რომ ისინი, რასაკვირველია, მას, როგორც უცხოელს, პატიობდნენ ამის უცოდინრობას, მაგრამ მან არ შეიძლება და არ **უნდა** გაუთანაბროს „**ის** სომხები“ ქართველებს. ოლგა ამ ახალგაზრდული კამპანიიდან შინ სავსებით დაბნეული დაბრუნდა ასეთი უსამართლობით, რისი მიზეზის გაგებაც არ ძალუძდა, და მე გადაჭრით ვუთხარი, რომ ის მართალი იყო. საუბედუროდ, უბრალოდ, საუკეთესო კამპანიაში არ მოხვდა, რადგან თბილისის მაღალ ინტელიგენციაში ქართველები და სომხები საუკუნეების მანძილზე მეგობრულად ცხოვრობდნენ და, ვთქვათ, არტისტულ სფეროებში ერთმანეთთან შესანიშნავად თანამშრომლობდნენ. ქალაქი თბილისი ყოველთვის კოსმოპოლიტიზმის ნიშანი იყო, ყოველ შემთხვევაში — რევოლუციამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენ ხომ აქ სავსებით სხვა სამყაროდან მოვედით, სამყაროდან, რომელსაც მეც კი, ამდენი წლის შემდეგ, **ჩემად** მივიჩნევდი და სადაც ინტერნაციონალიზმი და შემწყნარებლობა უკვე დიდი ხანია იქცა აზროვნებისა და ქცევის ნორმად. ჩვენ უკვე არ ძალგვიძდა ამ კოსმოპოლიტიზმისთვის ზურგის შექცევა, მასზე ხელის აღება. ამერიკა — ეს ყველას სახლი — შეუძლებელია ასე ჩქარა დავიწყებულიყო. სხვა ხალხებისა და რელიგიების წარმომადგენელთა დამცირებისა და შეურაცხყოფის ამკრძალავი კანონები აქ უფრო ხშირად გვახსენდებოდა, ვიდრე შეგვეძლო ეს გვევარაუდა.

უდავოა, რომ მე არც კი შემეძლო ჩემს ძველ, ეგზოტიკურ, ორთოდოქსულ ეკლესიაში კრინტი დამეძრა კათოლიკებთან გადასვლის შესახებ... წარმოძდგენია, რა სკანდალს გამოიწვევდა ეს, მაგრამ მთელი ეს საოპერო რიტუალი, შესანიშნავი გალობა და ხუთ საათს ფეხზე დგომით გამასავთებელი ლიტურგიები ვერ შეძლებდნენ ჩემთვის შეეცვალათ ეკუმენური წირვა ლონდონში, წმ. პავლეს ანგლიკანურ ტაძარში, როცა მსოფლიოს ყველა მხრიდან მოსული დაახლოებით ორი ათასი მორწმუნე იკრიბება ტრადიციულად ზაფხულის კვირადღეებში, რათა ერთად იზეიმონ. მათ არავინ ეკითხება, რომელ კონფესიას ეკუთვნიან, ყოველი მათგანი საკურთხეველთან თანაბრად იღებს ზიარებას. მახსოვს, როგორ შემძრა იმ თანასწორობამ, რითაც გვხვდებოდნენ ყველას. უკრავდა შესანიშნავი კამერული ანსამბლი, შემდეგ ყველანი დავიმართ ზიარების მისაღებად. მე ვიცოდი, რომ ჩემი მეზობელი აგნოსტიკოსი იყო, მაგრამ ძალიან უნდოდა ზიარების მიღება. შესაძლოა, თანასწორობის ამ შემთხვევამ მის მეხსიერებაში ეკლესიის სასარგებლოდ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. იმიტომ, რომ ხელი არ ჰკრეს. ლონდონის სემინარიაში მშვიდი წირვაცა და კალიფორნიაში — ფრანცისკანული მესაც კი (განსაკუთრებით მათი საღდგომო ზეიმი) ღია კარის და სტუმართმოყვარეობის ასეთ შესანიშნავ გრძნობას აღუძრავენ ადამიანებს. აქ საქმეს ვერავითარი ახსნა ვერ უშველიდა. გამომაგდებდნენ.

მაგრამ დიდ **სამყაროში,** სადაც ჩვენ უკვე ცოტა წელი როდი ვიცხოვრეთ, აუცილებელია **ჩახუტება** ყველასი, ძმების — ქრისტიანებისა და არაქრისტიანებისაც კი. მარტოხელური, დოგმატური, გაქირული დაპირისპირება თქვენ მხოლოდ გაგმიჯნავთ დანარჩენთაგან. და, იმის მიუხედავად, რომ საკმევლის თანხლებით თქვენი მოსალბუნე არამიწიერი ქორო ასე მშვენიერი რამაა, როცა თქვენ ასე ინდივიდუალურად ხართ განძარტოებული **ღმერთის** წინაშე, იცით, რომ ხელი უნდა ჩაჰკიდოთ სხვებსაც, რათა გამოხატოთ მსოფლიო კრებულობა, ყველა ადამიანის მსოფლიო ერთიანობა **ღმერთის** წინაშე. აქ ვგრძნობდით ჩვენს — და მათს — განცალკევებას, სპეციფიკურობას, განუმეორებლობას — მაგრამ მარტოობასაც... ჩვენ ვგრძნობდით — განსაკუთრებით ეკლესიაში, მაგრამ არა მხოლოდ ეკლესიაში — ამ ქვეყნისა და მისი კულტურის უნიკალურობას, მაგრამ იმ ფაქტსაც, რომ ჩვენ უკვე შევეჩვიეთ დასავლეთის კულტურას, რომელიც თითქმის გაუერთიანებელსაც კი აერთიანებს. და რაც უფრო ვეთვისებოდით ამ ჩვენთვის მშობლიურ მიწას და ამ შესანიშნავ ადამიანებს, მით უფრო მეტად გვესმოდა, რომ გაყრის დღე გარდუვალად დადგებოდა. ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, **როდის** დადგებოდა ის დღე, მაგრამ უკვე ვგრძნობდით, რომ ამ გულმხურვალე ჩახუტებებისგან სუნთქვის შეკვრა გვეწყებოდა.

რასაკვირველია, აქ, საქართველოში, ყველაფერში ქართველებს ვუჭერდით მხარს და არ ვემხრობოდით არაფერს, რასაც მათთვის „ზემოდან უშვებდნენ“. არა მხოლოდ ქართველთა ნაციონალობის დამთრგუნველ, არამედ ამ პატარა ქვეყნისთვის „ზემოდან“ ჩამოგზავნილ პარტიულ და ეკონომიკურ დირექტივებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც. ჩაის, ციტრუსების, ხილის, ღვინის მოსავალი მთლიანად დაუყოვნებლივ „ჩრდილოეთში“ იგზავნებოდა, ისევე, როგორც ადგილობრივი საავტომობილო ქარხნის პროდუქცია, მარგანეცის ნედლეული და სხვა სიმდიდრეებიც. და თუმცა საქართველო თავდაუზოგავად ცდილობდა ამ დიქტატისთვის წინააღმდეგობის გაწევას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მან იცოდა, რომ ეს უთანასწორო ბრძოლა იყო.

მაშინდელმა მისმა პარტიულმა ბელადმა ედუარდ შევარდნაძემ ვინებამახვილურად გადაწყვიტა, რომ ადგილობრივი ინტერესებისთვის უთანასწორო ბრძოლას სჯობდა ყველაფერში „ჩრდილოეთისთვის“ დაეჭირა მხარი. ამ პირადმა პოლიტიკამ მას მოუპოვა აღიარება მოსკოვისა, სადაც ბოლოს და ბოლოს გაიწვიეს კიდეც, რათა გორბაჩოვის ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაეკავებინა. საქართველოში კი შევარდნაძემ გააკეთა ყველაფერი, — შესაძლებელიც და შეუძლებელიც, რუსეთისა და საქართველოს „კავშირისთვის“ ხოტბის შესასხმელად, ისიც კი, რომ მონუმენტი დაუდგა აქ საძულველ, 1784 წლის (უნდა იყოს 1783 წლის — მთარგმ.) გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლის თანახმადაც საქართველოს სამეფო აღმოჩნდა პეტერბურგის დამამცირებელ ქვეშევრდომობაში — მან დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა, გაწყდა სამეფო დინასტია და თავისუფალი ქრისტიანული სახელმწიფოს სტატუსი. და ეს ეროვნული სირცხვილი ახლა საეჭვო მხატვრული ხარისხის მონუმენტითა და გაუთავებელი პარტიული ზეიმებით აღინიშნა. ადგილობრივი მოსახლეობა, ეკლესია და ინტელიგენცია აღშფოთებული იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ამის შემდეგ შევარდნაძე შორს წავიდა.

მე უკვე ვილაპარაკე ედუარდ შევარდნაძესთან ჩემს პირველ შეხვედრაზე. მან მაგრძნობინა, რომ ჩემს შემთხვევაში **ყველაფერი** დამოკიდებული იყო მოსკოვის გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ის განუხრელად მიჰყვებოდა. მაშინ მივხვდი, რომ ჩემს წინაშე იყო საკმაოდ ჭკვიანი კაცი, შორს მიმავალი ამბიციების მქონე დიდი იერლომატი. დღეს შეუძლებელია ეს ვინმეს ეეჭვებოდეს. მაგრამ მაშინ პატარა განაპირა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ ჩანდა მისთვის ფართოდ გადაშლილი ჰორიზონტები, რომლებიც ძალზე ჩქარა რეალობად იქცა... და ის აქ აშკარად არ ესწრაფვოდა თავის თანამემამულეთა შორის იაფფასიან პოპულარობას. მოსკოვში პოპულარობა მისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ იყო. რაც შეგვეხება მე და ოლგას, ცხადი იყო, რომ ყოველთვის შეიძლებოდა შეგვქმნოდა გაუთავალისწინებელი სიძნელეები მოსკოვიდან დაწოლის შედეგად, — ჩვენს „დაჩქარებულ სოციეტიზაციაზე“ მოსკოვის იდეებს ხომ უკვე იქ, ჩრდილოეთში გავეცანით...

და ამ კეთილსურნელოვან მშობლიურ მხარეში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ, როცა შეგვიყვარდა ჩვენი მეგობრები და ცხოვრების მათი წესი, როცა შესანიშნავი ქეული მიწის სურნელით მოხიბლულნი ვიყავით, უკვე გვესმოდა, რომ ჩვენთვის მოულოდნელი და ახალი, მთელი ამ გამოცდილებისგან განშორება გარდუვალი იქნებოდა... ჯერ კიდევ არ ვიცოდით, როდის და რამდენად ჩქარა დადგებოდა ეს დრო, მაგრამ განშორების გარდუვალობის სუნი ჰაერში უკვე ტრიალებდა.

ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐ

აქ უცბად მოხდა ისეთი რაღაც, რაც განვების განაჩენს, ღვთის ნებას ჰგავდა. მოკვდა უკვე კარგა ხნის დავრდომილი გენერალური მდივანი ჩერნენკო და მის ადგილზე აირჩიეს შედარებით ახალგაზრდა, ცოტაოდენ პროვინციული, ჯერ ისევ „კილოიანი“, ჯანმრთელი და ხალისიანი მიხაილ გორბაჩოვი.

ამბობდნენ, ის **ლიბერალიაო**. მაგრამ მას ძალზე ფრთხილად ეჭირა თავი კონსერვატორთა ამ ძალმომრეობისას, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობად მიიღო ბრეჟნევისა და მის მსგავსთა განმგებლობისგან. სსრკ-ში ჩვენი ყოფნის მანძილზე ჯერ კიდევ არ შეიმჩნეოდა რაიმე რადიკალური გარდაქმნები, თუმცა სწორედ გორბაჩოვმა დაიწყო ძველი, კონსერვატიული გვარდიის ახალი, მისთვის ასაკითა და აზროვნების ხასიათით უფრო ახლობელი ადამიანებით შეცვლა. ის, მოსკოვის უნივერსიტეტის აღზრდილი, წარმომადგენელი იყო ახალი ფენისა თვით პარტიაში, სადაც მუშაობის ძველისძველი მეთოდები უკვე არავის აკმაყოფილებდა.

ჩვენი შორეთიდან ჯერ არ შეგვეძლო გვეწინასწარმეტყველა, თუ როგორ მოეკიდებოდა ის ჩვენს პრობლემებს და, როგორც ყველანი სსრკ-ში, ჩვენც დარხეული ხმების ანაბარაღა ვცხოვრობდით. ბეჭდვითი სიტყვა ძალზე ცოტა რამეს იუწყებოდა ახალ ლიდერზე და, ალკოჰოლიზმთან მისი დაუყოვნებლად დაწყებული ბრძოლისა და, ყველას გასაოგნებლად, სრულიად მოულოდნელად სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის გარდა, გორბაჩოვზე ჯერჯერობით ცოტა რამ თუ იყო ცნობილი. ქორწილებზე ღვინის სმის აკრძალვას, — „ჩრდილოეთის“ კიდევ ერთ ახალ იდეას — ენთუზიაზმით არ შეხვედრიან მეღვინეობის რესპუბლიკაში, სადაც სოფელში ყველა კომლი თავის ღვინოს წურავს. რაც შეეხება, შევარდნაძის დანიშვნას, მალე ღრმაზროვნად გადაწყვეტეს, რომ „რამდენადაც მაღალ პოსტზე ქართველი დაწინაურეს, ეს საქართველოსთვის კარგი იქნება“. შევარდნაძის შემცვლელი ახალი მდივანი უფრო მარტივი, რბილი, უბრალო, ტრადიციული კაცი იყო და ეს ყველას ხელს აძლევდა.

გორბაჩოვი ხელისუფლების სათავეში 1985 წლის მარტში მოვიდა. ზაფხულში მან უკვე დაიწყო ძველ კონსერვატორთა პოსტებიდან მოხსნა და თავისიანთა, უფრო ახალგაზრდა და უფრო ლიბერალური კადრების დაწინაურება. ამას მოჰყვა, როგორც აღვნიშნე, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე შევარდნაძის დანიშვნა. რამდენადაც რუსეთს დაბალ თანამდებობაზე ბევრი დიდად განათლებული დიპლომატი ჰყავდა, თავიდან ყველას გაუკვირდა, არჩევანი რატომ შეჩერდა დიპლომატიური ასპარეზისთვის სავსებით მოუმზადებელ, ქართველ, ახალმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილ მეთაურზე, მაგრამ მალე გაიგეს, რომ სწორედ პარტიის ერთგულმა ქვეშევრდომობამ მოუპოვა მას ეს მაღალი პოსტი. და ეს უკვე აღარ უკვირდათ.

ზაფხული შავი ზღვის ტრადიციულ კურორტებზე გავატარეთ. აქ ვიყავი ხოლმე ბავშვობაში და მინდოდა, რომ ეს სილამაზე ოლგასაც ეხილა. შავი ზღვა არა ჩვეულებრივად მიმზიდველია, ძველი კურორტების რაიონები კი ძალიან გაიზარდა, — მე ახლა აქ ვეღარაფერს ვცნობდი! დასასვენებელ ადგილში ვხვდებოდით პარტიულ მუშაკებს და მათ მეუღლეებს, რაც ძალზე მოსაწყენი იყო. მაგრამ ოლიას ირგვლივ მაშინვე მოიყარა თავი ახალგაზრდობამ, ზოგი მათგანი ინგლისურად ლაპარაკობდა და ოლია ისე იყო, როგორც თევზი წყალში, ის აქ „თავისუფალი სამყაროს დესპანის“ როლში გახლდათ. ახალგაზრდობა მას აქ სწორედ ასე აღიქვამდა. მისი „მაღალი საზოგადოების“ ყაიდაზე ცხოვრების, მისი ურთიერთობების საქმე საუკეთესოდ ეწყობოდა, მაგრამ განათლების პერსპექტივები სანუგეშო არ იყო. თუმცა გვარიანად ლაპარაკობდა რუსულად და ქართულად, მაგრამ ეს არ კმაროდა საბჭოთა სკოლის ფართო პროგრამის ასათვისებლად. ახლა არ უნდოდათ მისთვის შინ მეცადინეობის უფლების მიცემა, სკოლაში უნდა მისჯდომოდა მერხს, რაც მისთვის წარმოუდგენლად ძნელი იქნებოდა. მე სულ უფრო და უფრო მეშმოდა, რომ ვერ შევძლებდი „ისევ კოლექტივში შესვლას“ პარტიული ორგანიზაციის კონტროლქვეშ; ამაზე ფიქრიც კი ძილს მიფრთხობდა. უწინდებურად ისე მიყურებდნენ, როგორც აქ შეცდომით შემოფრენილ უცნაურ ფრინველს, — ცნობისწადილით მათვალიერებდნენ და, როგორც წესი, მიწყებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკს იმაზე, „რა დიდი კაცი იყო თქვენი მამა“. ამ თემისგან თავის დაძვრენა შეუძლებელი შეიქნა. ეს რაღაცნაირი ავადმყოფობა იყო, ყველა ატანილი ჰყავდა ამ თემაზე გაუთავებელი მსჯელობების წადილს, მე კი ძალიან, ძალიან მიჭირდა მათთვის რაიმე პასუხის გაცემა, ვბრაზდებოდი და ენერვიულობდი, ისინი კი ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ...

1985 წლის დეკემბერში გორბაჩოვს მივწერე პირველი წერილი, რომლითაც ვუხსნიდი, რომ ჩვენ სსრკ-ში ჩამოვედით „ოჯახთან შესაერთებლად“, მაგრამ რამდენადაც ამის მიღწევა ვერ შევძელით, უკვე აღარ გვქონდა რაიმე შემდგომი მიზეზი აქ დასარჩენად. მე ვთხოვდი ჩვენთვის სსრკ-დან გასვლის ნება მოეცათ, რამდენადაც ახლა საბჭოთა მოქალაქეები ვიყავით (თუმცა ორჯერადი მოქალაქეობით), ამის უფლება მთავრობისგან უნდა მიგვეღო.

არავითარი პასუხი არ მოგვსვლია. ეს საბჭოთა ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი ამბავია. არავინ მოგწერთ, რომ თქვენი წერილი მიღებულია და განიხილება, — მდივნები ამას არ აკეთებენ. თქვენ, უბრალოდ, უნდა იჯდეთ და ელოდოთ, უკეთესობის იმედი იქონიოთ და **ღმერთს** დახმარება შესთხოვოთ.

კატერინას სხვა წერილი არ მოსულა. კამჩატკის ქალაქ კლიუჩის ვულკანოსადგურის მისამართით გაგზავნილი არც ერთი ჩემი წერილისთვის მას ერთი სიტყვითაც არ უპასუხნია. ჩემს ვაჟიშვილს ერთხელაც კი არ დაურეკავს და არ მოუწერია მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან წამოვედით. მხოლოდ ძმისშვილები და ბიძაშვილები მწერდნენ.

ზაფხულში ჩემი ბიძაშვილი, პენსიაზე გასული მსახიობი, მოვიწვიეთ ჩვენთან. მან მალე მოძებნა საერთო ენა ოლიასთან, პიანინოზე უკრავდნენ, მღეროდნენ, ჩარლსტონს ცეკვავდნენ, და საერთოდ, მხიარულობდნენ. რაკი ყველა ნათესავი ვულთბილად მოგვეკიდა, დავასკვენი, რომ ჩემს შვილებთან ჩატარდა გარკვეული „სპეციალური მუშაობა“, რომ მათ ტვინს ულაყებდნენ ჩემზე სიცრუეებითა და ცილისწამებებით და ისინი ასე სწორედ ამიტომ გადასხვაფერდნენ. ეს ნამდვილად შემზარავი რაღაც იყო, ამ ფაქტის გაგება ვერანაირად შევძელი და არ შემეძლო მას შევრიგებოდი, თუცა **პატრიარქი,** რომელსაც დიდხანს ვესაუბრე ამაზე, მარწმუნებდა, რომ „სიყვარული გაიმარჯვებს“, რომ მე „უნდა ვიყო მომთმენი და ველოდო“. მე არ მესმოდა ეს „დასჯა“, განსაკუთრებით ჩემი ქალაშვილის — კატიასგან, რომელიც ყოველთვის ჩინებული გოგო იყო და მე გულმხურვალედ ვუყვარდი.

გორბაჩოვის სამდივნოდან პასუხი არ მომდიოდა, არ მომდიოდა პასუხი არც გრომიკოსგან, რომელთანაც შეხვედრას ვითხოვდი, რათა განგვეხილა ჩემი ძმის — ვასილის ბედ-იღბალთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. უბრალოდ **საერთოდ** არავითარი პასუხი არ ისმოდა. შეგიძლიათ, რაც ნებავთ, ის იფიქროთ!

ამან ისევ მაიძულა გამეხსენებინა ჩვენი ცხოვრება დასავლეთში, სადაც სერიოზულად და პატივისცემით ეკიდებიან ყველას, ვინც კი მთავრობას სწერს. ცივილიზებულ სამყაროში მთხოვნელის წერილისთვის პასუხის გაუცემლობა გაუგონარი უხეშობაა. მე კიდევ ერთხელ ვიგრძენი, თუ როგორ მოვწყდი წესს საბჭოური ცხოვრებისა, სადაც ორმოც წელზე მეტხანს ვიარსებე...

პირველ დღეებში მოსკოვში მოხდა ერთი ეპიზოდი, რომელმაც მიჩვენა, თუ რამდენად მოვასწარი ცხოვრების საბჭოური წესების დავიწყება. სხვაგვარ ცხოვრებაზე ჩემი „გადართვა“ სრული და წრფელი იყო. მოსკოვში კი ამის გამო ხანდახან ხათაბალაში ვვარდებოდი. მე და ჩემი ბიძაშვილი — წვერებიანი და სათვალიანი ახალგაზრდა დოქტორი, რომელიც ცოტათი ახალგაზრდა ჩეხოვს ჰგავდა, სასტუმრო „სოვეტსკაიას“ რესტორანში ვისხედით და ბორშჩს შევექცეოდით. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა სსრკ-ში ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ. ვიცინოდით, თავს ლაღად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარძნობდით. უცებ ყურადღება მივაქციე რაღაც ციფრებს ხავერდის ფარდაზე, რომელიც ჩვენგან ესტრადას ფარავდა: „1917-1984, — წავიკითხე ხმამაღლა და ვკითხე: — რაა ეს? ვინმეს იუბილეა?“

ბიძაშვილმა შეცბუნებით შემომხედა და სიცილი აუტყდა, ჩაბჟირდა კაცი და პირზე ხელს იფარებდა. „შენა, რა? — როგორც იქნა, ამოღერღა. — როგორც ჩანს, მთლად მოწყდი აქაობას? — სიცილს ვერ იკავებდა და აქეთ-იქით იხედებოდა, ხომ არავინ ისმენსო. — ციფრი 1917 სულ დაგავიწყდა?“ და მხოლოდ ამის შემდეგ მოვისაზრე, თუ რა ციფრები იყო ეს ციფრები: თარიღები ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისა, რომლებიც სსრკ-ში ყოველწლიურად აღინიშნება. დღესასწაულისა, რომელიც მე **არ ამბინიშნავს** აგერ უკვე ჩვიდმეტი წელია... და სავსებით დამავიწყდა, რადგან ეს უკვე აღარ იყო ჩემს ცნობიერებაში.

დიდი ხნის დავიწყებული დღესასწაულისა და ყოველდღიური ცხოვრების წესების გახსენება ძალიან მიჭირდა. მთავრობისგან პასუხების მიუღებლობა ადამიანებთან ურთიერთობის კულტურის სრულ უქონლობად აღიქვებოდა. თურმე, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგი მანერების ქონას! იმას, რომ უცნობებთან თავაზიანები ვიყოთ, გზა დავუთმოთ მათ, მადლობა ვუთხრათ ან ბოდიში მოვუხადოთ ქუჩაში. უსასრულო ღიმილის ამერიკული ჩვევა კი როგორ გვაკლდა სწორედ აქ, საზოგადოებაში, სადაც ყველანი უკიდურესად სერიოზულნი არიან და არ ფიქრობენ იმაზე, რომ სხვა ადამიანს ასიამოვნონ გულთბილი შეხედვითა და გაღიმებით...

დეკემბრის მომდევნო თვეებში არავითარი პასუხი არა და არ მიგვიღია. ჯერ კიდევ 1985 წლის ნოემბერში მრავალი საშობაო მილოცვა გავგზავნე ინგლისსა და აშშ-ში (ღია ბარათი გავუგზავნე ტერი უაიტსაც. რამდენიმე თვის შემდეგ მისგან მივიღე მოკლე ბარათი, რომლითაც შეგობრულ და საუკეთესოზე საუკეთესო სურვილებს მითვლიდა) იმის იმედით, რომ პასუხები მომივიდოდა — ჩვენ უცებ ასე დაგვაკლდა შობის დღესასწაული...

თბილისში ჩვენს ბინაში საახალწლო ნაძვის ხე დავდგით და 25 დეკემბერს ოლიას მეგობრები მოვიწვიეთ. განსაკუთრებული არაფერი გვქონია, ჩვეულებრივად ვუმასპინძლეთ. მაგრამ ძალიან გვინდოდა ეს დღე „ამერიკულად“ გაგვეტარებინა. რამდენიმე წერილი და საშობაო ღია ბარათი უკვე მოგვივიდა — უმთავრესად ინგლისიდან, — და ჩვენი სტუმრები ინტერესით ათვალიერებდნენ მათ. ჩვენ ვყვებოდით, როგორ მიდიან იქ ერომანეთთან სტუმრად და როგორ მიაქვთ ოჯახის ყველა წევრისთვის, ყველა მეგობრისთვის საჩუქრები... ასე ტრადიციული ამერიკული დღესასწაულები პრინსტონში, რომლებიც ოლიას ძალიან კარგად ახსოვდა და უყვარდა, ახლა უცებ არაჩვეულებრივად ძვირფასი გახდა ჩვენთვის: **მადლიერების დღე, აღდგომა, შობა, დამოუკიდებლობის დღე, შრომის დღე,** — ჩვენ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდით, მე სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი, და თუმცა აქ ჩემი ძველი მეგობრები ვარაუდობდნენ, რომ იმ ცხოვრებას მალე დავივიწყებდი, ასე სულაც არ მომხდარა, სწორედ პირიქით...

გადიოდა თვეები, პასუხები კი არ ჩანდა. მე მესმოდა, რომ ახალი ლიდერი ძალზე გადატვირთული იყო და ჩვენთვის არ ეცალა. მაგრამ რაღაც მავარაუდებინებდა, რომ ჩვენი თხოვნა მისთვის არც გადაუციაო... სსრკ-ში ასეთი რამეც ხშირად ხდება, თუკი რომელიმე მაღალჩინოსანი ბიუროკრატი წყვეტს — გადასცეს თუ არ გადასცეს უმაღლეს ხელისუფლებას ესა თუ ის თხოვნა. ზოგჯერ თვითონ ამ ბიუროკრატსაც შეუძლია გიპასუხოთ შეკითხვაზე — ჩემი საბჭოური გამოცდილება ასეთ შემთხვევებსაც იცნობს. მაგრამ ჩვენი თხოვნები უკვე იქცა დოკუმენტებად, რამდენადაც ისინი ქაღალდზე აღიბეჭდა და „ზევით“ გაიგზავნა. ადრე თუ გვიან — შესაძლოა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე დიდი ხნის შემდეგ — რაღაც პასუხი მაინც უნდა მიგვეღო.

ყოველ შემთხვევაში, იმისთვის, რომ თვითონ შეგვემოწმებინა, თუ რა ბედი ეწია ჩვენს წერილებს, 1986 წლის ყინვაან თებერვალს მოსკოვს გავემგზავრეთ. მატარებლით მივდიოდით. ის მძიმედ მიუყვებოდა გზას და ვტკბებოდით ძველმოდურ, რბილ და თბილ კუპეში ჯდომით. მინდოდა ოლგას სცოდნოდა, რაცაა მატარებლით ორი ხანგრძლივ, დღე-ღამის განმავლობაში მგზავრობა, უცებ თითქოს მეცხრამეტე საუკუნეში დავბრუნდით — და ამ დიდიხნის გადავიწყებულ ძველმოდურობაში ჩემთვის რაღაც დამამშვიდებელი იყო.

ყველა ჩვენს მეზობელს საგზალი თავზესაყრელად მოჰქონდა, ერთმანეთს ხილს სთავაზობდნენ, ჩვენ ღვინოს გვისხამდნენ და შემწვარი ქათმის ხორცითაც კი გვმასპინძლობდნენ. „აი, ჩვენი ბაბოებიც ასე მოგზაურობდნენ“, — ეუბნებოდი მე ოლგას, რომელსაც აქამდე მხოლოდ სწრაფი თვითმფრინავებით თუ ემგზავრა და ფრენისას მხოლოდ პატარა ლანგარზე დადებული საჭმელი და მისთვის მეტისმეტად მოკლე სავარძლებში გაშეშებული თავისი ფეხები ახსოვდა. აქ კი ჩვენ კომფორტულად გვეძინა სუფთა ზეწრებში. დღისით მე ფანჯრიდან თვალმოუწყვეტლად გავცქეროდი გადაშლილ ზამთრის პეიზაჟს და თავს ვუმხელდი თუ რა სანტიმენტალური აღმოჩნდა ჩემთვის ეს მგზავრობა: ეს ხომ იყო მგზავრობა იმავე რკინიგზით, რომელსაც ყოველთვის მივყავდი სამხრეთისკენ, შავი ზღვისკენ, და უკან, ჩრდილოეთში მაბრუნებდა — მთელი ჩემი ბავშვობის, ყმაწვილქალობის, მთელი ჩემი ცხოვრების თითქმის ყველა ორმოცი წლის მანძილზე...

ვასაოცარია, უცებ რა აღადგენს მეხსიერებაში, რა აცოცხლებს დავიწყებულ ბავშვობას. არა კრემლი, სადაც იმდენ წელიწადს ვცხოვრობდი (მე ამჯერად არც დავდიოდი მის სანახავად), არა მოსკოვი და მისი ქუჩები, არამედ აი, ეს გზა როსტოვის, ხარკოვის, ორიოლის, კურსკის, ტულის გავლით... მე არაფერი ვიცოდი: როგორ შეგვხვდებოდა მოსკოვი, რას გვეტყოდნენ იქ, რა საუბრები გველოდა ან როგორი ბრძოლების გადახდა მოგვიწევდა... მაგრამ ამ მგზავრობამ ჩემი არსება როგორღაც ააფორიაქა; ძველმოდური საძინებელი ვაგონები ისევ ისეთი იყო, როგორც მაშინ, ჩემს ბავშვობაში. და მე მესმოდა, რომ კონფლიქტი მომწიფდებოდა და უფრო და უფრო გამწვავდებოდა ჩემს გულში — ახლა, როცა უკვე ოფიციალურად ვითხოვეთ გასვლა... არც ისე იოლადაა საქმე, პატივცემულო ბატონო, როცა თქვენ იმავე გზით მიემგზავრებით მატარებლით, რომლითაც თქვენი ბავშვობის **ყოველ** ზაფხულს მგზავრობდით...

ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲔᲑᲘ

მოსკოვში, დათოვლილ სადგურში, დავეხვედი ვალოდია — ჩემი ოთხი ბიძაშვილიდან უმცროსი, და მისი მცირელიტრაჟიანი მანქანით წავედით მათთან, გორკის ქუჩაზე. მის ცოლს, რომელიც სიტყვამ მოიტანა და, ასევე სვეტლანა ალილუევა იყო, მეორე დღეს ოლგა დაჰყავდა გორკის ქუჩაზე ჩარიგებულ მაღაზიებში. ის ადმინისტრატორად იყო ჟურნალისტთა სახლში, ჩემი ბიძაშვილი კი მუშაობდა ჟურნალ „ზა რულიომ“-ში. მათი შვილი საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტს ამთავრებდა და ძალზე სასიამოვნოდ ლაპარაკობდა ინგლისურად; ოლიას ის ძალიან მოეწონა. აქ თოთხმეტი წლის ამერიკელი გოგონა უდიდეს სიმპათიას იწვევდა, მათ უმეტეს ახლა, როცა უკვე საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად. ყველას უჭირდა იმის დაჯერება, რომ სულ ერთ წელიწადში — ისიც საქართველოში! — ასე კარგად შეისწავლა რუსული ენა. ენის მასწავლებლები ძალზე ძლიერნი იყვნენ, ისევე როგორც ძალზე ძლიერი იყო თვით დაჩქარებული სწავლების მეთოდიც. ახლა ოლია მოსკოვში თავს, ჩამოსვლის დროს რომ იყო, ისეთ უბედურ არსებად არ გრძნობდა. მე მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მიმიკრიის უნარი მანცვიფრებდა: ქართველი გოგონადან, რომლადაც ის ცდილობდა თბილისში ქცეულიყო, აქ გადაიქცა რუს გოგონად, თანაც ასევე იოლად და სიამოვნებით. იქნებ, ბუნებით მსახიობია?

გორკის ქუჩაზე ცხოვრობდა ჩემი ძმისშვილი ალექსანდრეც, ვასილის ვაჟი, თეატრის რეჟისორი. ჩვენ მასთან დავდიოდით სტუმრად, ვისმენდით მისი მეგობარი ბოშების სიმღერებს გიტარის თანხლებით, ვსვამდით არაყს — აბა, უამისობა როგორ იქნებოდა! მე მას ვუთხარი, რომ წასვლას ვაპირებდით, და ძალიან დანაღვლიანდა და აღშფოთდა, რადგან არ იცოდა, რა სჯობდა. მას დედაჩემივით (ბებიამისივით) ნათელი თაფლისფერი თვალები ჰქონდა და ალილუევისებურად მგრძნობიარე და ნერვული იყო. ორმოცი წლისა არაჩვეულებრივად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ძალზე გამხდარი და მიმზიდველი ჩანდა. გულშეღონებით ვადარებდი მას ჩემს ვაჟიშვილს, რომელიც, თავის ასაკთან შედარებით, გაცილებით ხნიერი და დამძიმებული გამოიყურებოდა. მას უკვე დიდი ხანია ჩემთვის ხმა არ მოეწვდინა და ამიტომ ჩვენ არც ვცდილობდით მასთან შეხვედრას, მაგრამ ერთხელ, მოულოდნელად, ჩემს მასპინძლებთან დარეკა მისმა ცოლმა და დავინახე, თუ როგორ გაყუჩდა ტელეფონთან ჩემი ბიძაშვილი, და როგორ დაუგრძელდა სახე. შემდეგ ყურმილი დადო და, ერთხანს დუმილის შემდეგ თქვა: „მდა... რა დაემართა იმას? თათხვა დამიწყო, რაკი თქვენ ჩვენთან დაბინავდით! ისე დავიბენი, რა მეპასუხა, არ ვიცოდი“.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნოდია

მრავნულ მოძრაობათა თავისებურება კომუნისტური სისტემის ნგრევის ფონზე

ამ თემას დამუშავებულად და კვლევის დიდი ტრადიციების მქონედ ნამდვილად ვერ მივიჩნევთ, რადგან თვით მისი ობიექტი სულ რამდენიმე წელია, რაც არსებობს. მისი ორივე კომ-განზომილებაში რჩებოდა. კომუნისტური სისტემა და ეროვნული მოძრაობები — დიდი ხანია თეორიული განსჯის საგანია, მაგრამ ამ ორ საკითხზე მსჯელობა ერთმანეთს ამვიათად უკავშირდებოდა და ძირითადად სრულიად სხვა განზომილებაში რჩებოდა კომუნისტური სისტემის ნგრევა კომუნიზმის ექსპერტთათვის სამომავლო განვითარების მეტ-ნაკლებად შორეული პროგნოზი იყო, ეროვნულ მოძრაობებს კი, პირიქით, უმეტესად **წარსულ** მოვლენათა რიგში აყენებდნენ. იგულისხმებოდა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპაში დიდი იმპერიების დაშლისა და მესამე სამყაროს დეკოლონიზაციის პროცესი ძირითადად დასრულდა, ნაციონალიზმის (ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეოლოგიის) ხანაც არსებითად უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა. ანტინისტების უმრავლესობა ფიქრობდა, რომ კომუნიზმს დაანგრევდა მისი შინაგანი წინააღმდეგობები, უპირველეს ყოვლისა, უუნარობა ეფექტური ეკონომიკის შექმნისა, შესაძლოა, ადამიანების სწრაფვა პიროვნული თავისუფლებისაკენ. მათი ვარაუდით, კომუნისტურ საზოგადოებებში მეცხოვრე ადამიანებს რაღაც ეტაპზე საბოლოოდ უნდა დაენახათ, რომ კომუნიზმი უვარგისი სისტემაა, რომ ის ვერ უქმნის მათ ცხოვრების საკადრის პირობებს, და უარეყოთ იგი დასავლურ საზოგადოებაში გაბატონებული ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების სასარგებლოდ. ნაციონალიზმი ნაკლებად განიხილებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ალტერნატივად. იგულისხმებოდა, რომ, რადგან გლობალური მასშტაბით ერთმანეთს უპირისპირდებოდა კომუნისტური და ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლხედველობები, კომუნისტური ქვეყნების შიგნითაც პირველ პლანზე ეს დაპირისპირება უნდა მდგარიყო. შესაბამისად, კომუნისტები, უპირველეს ყოვლისა, ლიბერალ-დემოკრატებს უნდა დაემარცხებინათ, კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრენი დასავლურ დემოკატიაზე ორიენტირებული რეჟიმები უნდა ყოფილიყვნენ.

კომუნისტური ბანაკის ქვეყნებში არსებული ეროვნული პრობლემების განხილვა „სოვეტოლოგიის“ და მსგავსი დისციპლინების პერიფერიულ თემად ითვლებოდა. მაგალითად, 1990 წელს პოლ ჰენზი წერდა: „ორი ან სამი წლის წინათ საბჭოთა კვლევებზე დასპეციალისტებულ ამერიკელ მეცნიერთა გამოკითხვა რომ ჩაგეტარებინათ, უმრავლესობა, ალბათ, მხარს დაუჭერდა იმ დებულებას, რომ ეროვნებათშორისი ურთიერთობები მხოლოდ კანტიკუნტად თუ შეიძლებოდა ქცეულიყვნენ დაძაბულობის წყაროდ და მცირე გავლენას თუ მოახდენდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადწყვეტილებათა მიღებაზე“.[1] წამყვანი დასავლელი მოაზროვნეებიდან ამ თემის განსაკუთრებულ და საბედისწერო მნიშვნელობას მხოლოდ რამდენიმე თუ ხვდებოდა (ზ. ბჟეზინსკი, რ. ფაიფსი და ზოგი სხვა). იმ ავტორებსაც, ვინც ზოგადად სწორად ხედებოდა ეროვნული პრობლემის განსაკუთრებულ წონას, უჭირდათ წარმოედგინათ, კერძოდ, რა მოდუსში ითამაშებდა იგი გადამწყვეტ როლს. მაგალითად, ფრანგმა სოვეტოლოგმა ელენ კარერ-დ'ანკოსმა 1979 წელს გამოაქვეყნა წიგნი „გახლეჩილი იმპერია“, რომელშიც იგი წინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირის დაშლას ეროვნული პრობლემების გადაუჭრელობის ნიადაგზე.[2] შემდგომდროინდელი მოვლენების შუქჩენ ეს პროგნოზი, ცხადია, უაღრესად გამჭრიახად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, თუ ამ ავტორის კონკრეტულ არგუმენტაციაზე გავამახვილებთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ ასეთი შეფასება სათუოა. კარერ-დ' ანკოსი თავის პროგნოზს ამყარებდა სხვადასხვა საბჭოთა ეროვნების მდგომარეობისა და პერსპექტივების ანა-

[1] Paul Henre. „The Last Empire“. Journal of Democracy, 1990/2, გვ. 27.

[2] Helene Carrere D'Encosse, L'Empire Eclate, Flammarion, 1979. რუს გამოცემა: Расколотая империя. Лондон, 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზზე და იმ დროს მის ხელთ არსებული ობიექტური სტატისტიკური მასალით ხელმძღვანელობდა. სახელდობრ, გადამწყვეტ როლს იგი დემოგრაფიულ მონაცემებს აკუთვნებდა. ამ მონაცემების საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად გამოუტანა უპერსპექტივობის განაჩენი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს. განსაკუთრებით ლატვიასა და ესტონეთს, რომელთაც, რუსულ-ენოვანი მოსახლეობის განუხრელი ზრდის ტენდენციის გამო, მისი აზრით, დემოგრაფიული კატასტროფა და გარდუვალი ასიმილაცია ელოდათ. ამიტომ მათგან იმპერიას დიდი საფრთხე არ ემუქრებოდა. სამაგიეროდ, იმპერიის დამანგრეველი ძალა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამხდარიყვნენ ისლამის მიმდეარი ხალხები, რომელთა წილი საერთო-საკავშირო მოსახლეობაში, ბუნებრივი მატების განსაკუთრებით მაღალი ტემპის გამო, სულ უფრო გაიზრდებოდა და სამოლოოდ საფრთხეს შეუქმნიდა **რუსული** ეთნოსის დომინირებას იმპერიაში. თავისთავად ასეთ სცენარში არაოლგიკური არაფერი იყო, მაგრამ რეალურად პირიქით მოხდა: იმპერიის ნგრევის ინიციატივით პირველ რიგში გამოვიდნენ სწორედ ობიექტურად „სუსტი“ ბალტიის ერები, წერტილი კი ამ პროცესს თითქოს უკვე გარუსების პრასა მდგომმა უკრაინამ დაუსვა. რაც შეეხება ისლამურ **რესპუბლიკებს**, ისინი უფრო მეტად ერთგულნი დარჩნენ იმპერიის შენარჩუნების იდეისა, ვიდრე თვითონ რუსეთიც კი.

წარსულში გაკეთებული პროგნოზების დღევანდელი თვალსაწიერიდან კრიტიკა საერთოდ აღვილია. ეს მაგალითი იმ გარემოების წარმოსაჩენად მოვიტანე, რომ ისინიც კი, ვინც საბჭოთა კავშრის „იმპერიას“ ეძახდა და მას დაშლას უწინასწარმეტყველებდა, ხშირად ვერ ხედავდნენ გამიზნული პოლიტიკური ქმედების, **ეროვნული მოძრაობების** დადამწყვეტ როლს ამ პროცესში. ასე რომ, ის ფაქტი, რომ კომუნისტური სისტემის ნგრევის პროცესში პირველ პლანზე სწორედ ეროვნული იდეები და ეროვნული მოძრაობები გამოვიდნენ, დიდი უმრავლესობისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ხოლო ბევრის მიერ მეციფრადაც უარყოფილად იქნა შეფასებული. „პერესტროიკის“ პერიოდში გავრცელდა შეხედულება (მას განსაკუთრებით ენერგიულად გორბაჩოვის მომხრეები უჭერდნენ ხმას, მაგრამ არა მხოლოდ ისინი), რომ დემოკრატიული მოძრაობის მთავარი მოწინააღმდეგე კომუნიზმთან მებრძოლ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სწორედ ნაციონალიზმი, რომ ნაციონალიზმის გავრცელება ყველაზე მეტად უქმნის საფრთხეს ამ ქვეყნების მიერ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების ათვისებას. ლიბერალურად განწყობილ მოაზროვნეებს შორის პოპულარული გახდა გამოთქმა: „ნაციონალიზმი — ეს არის კომუნიზმის უკანასკნელი სტადია“. ამაში იგულისხმება, რომ ნაციონალისტური გრძნობების მოძალება და ეთნიკური კონფლიქტები ტოტალიტარულ ეპოქაში დამახინჯებული ადამიანური ცნობიერების განსაკუთრებით მძიმე გადმონაშთია, რომ ვიდრე ნაციონალიზმი განსაზღვრავს საზოგადოების განწყობილებას, იგი ვერ განთავისუფლდება ტოტალიტარული კომუნისტური ცნობიერების მარწუხებისაგან. ამ დროს იმას უსვამენ ხოლმე ხაზს, რომ როგორც კომუნიზმს, ისე სოციალიზმს ახასიათებს **კოლექტივისათვის** უპირატესობის მინიჭება ინდივიდთან შედარებით, რომ ორივე კოლექტივიზმის, კოლექტივის ინდივიდზე ბატონობის იდეოლოგიის სხვადასხვა ნაირსახეობაა.

კაცმა რომ თქვას, იუგოსლავიასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე სისხლიანი ეთნო-ტერიტორიული ომების ფონზე ეროვნული ცნობიერების აქტივიზაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება საკმაოდ გასაგებია. მაგრამ შეფასებათი დამოკიდებულება ერთია, ანალიზი და გაგება კი სხვა. როგორც რეალურმა გამოცდილებამ გვიჩვენა, კომუნიზმის აღსასრულს მართლაც მოსდევს ნაციონალიზმის საკმაოდ მახინჯი გამოვლინებები. მაგრამ თუ აზრი აქვს გამოთქმას „ნაციონალიზმი არის კომუნიზმის უკანასკნელი სტადია“, ასევე მართალია ისიც, რომ იგივე ნაციონალიზმი დემოკრატიის პირველი სტადიაცაა. **ამ თვალსაზრისით** კი არაფერი ახალი და განსაკუთრებული პოსტკომუნისტურ ეროვნულ მოძრაობებში არ არის. თვითდადგენის (თვითგამორკვევის, თვითგანსაზღვრის) ცნება („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნეს“) თავისთავად მოიცავს როგორც ზოგადდემოკრატიულ, ისე ეროვნულ-ინდიპენდენტისტურ შინაარსსაც: ხალხი იქცევა წამყვან პოლიტიკურ სუბიექტად და ამიტომ ადგენს თავის საკუთარ მოცულობასაც, ანუ იმ პოლიტიკური ერთობის შემადგენლობას, რომელშაც ცალკე სახელწოდო უნდა შექმნას: ხალხი, როგორც პოლიტიკური ქმედების დამოუკიდებელი სუბიექტი, არის დამოუკიდებელი ან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერი. ამიტომ მართვის დემოკრატიულ მოდელზე გადასვლის პერიოდი ყოველთვის თანხდება ეროვნული მოძრაობების აქტივიზაციის პერიოდს. ასე იყო მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში; იგივე პროცესები მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მიდიოდა და მიდის „მესამე სამყაროში“. იგივე მეორდება კომუნისტური ექსპერიმენტის ჩატარებით გამოწვეული დაგვიანების შემდეგ ყოფილ „სოციალისტურ ბანაკში“. ამ პროცესებს მაშინაც და ახლაც ახასიათებდათ საკმირო შემართება და მოსახლეობის მობილიზაცია ეროვნული იდეის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარშემო, მაგრამ ამავე დროს სისხლისმღვრელი ომები, ბარბაროსული ქმედება არასასურველი ეთნიკური ჯგუფების მიმართ, პოლიტიკური ისტერიის გამოვლინებები და ა. შ. ასე რომ, ზოგადი თვალსაზრისით, ისტორიულად უპრეცედენტო არაფერი ხდება.[1]

ამ ნაშრომში ჩვენი ამოცანაა გავარკვიოთ, ამ **ზოგადი კანონზომიერების** გათვალისწინებით, რა **თავისებურებებით** გამოირჩევა ეროვნული მოძრაობები და ეროვნული ცნობიერება კომუნისტური სისტემის ნგრევის პერიოდში. ჩვეულებრივ ეროვნულ მოძრაობებთან გვაქვს საქმე, იმათ სრულ ანალოგებთან, რაც არსებობდა, ვთქვათ, აფსტრია-უნგრეთის ან ოტომანთა იმპერიის ნგრევის პერიოდში, ან თუნდაც იმავე რუსეთის იმპერიის დანგრევის პირველი მცდელობისას, თუ „პოსტ-კომუნისტურობის“ მახასიათებელი ამ მოძრაობათა რაღაც არსებით სპეციფიკას განაპირობებს?

პოსტ-ტრადიციული და პოსტ-ანტიტრადიციული

ბუნებრივია, რომ არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, რითაც პოსტ-კომუნისტური ეროვნული მოძრაობა განსხვავდება სხვა ეროვნული მოძრაობებისაგან, ვეძებთო მათ პოსტ-კომუნისტურობაში, ე. ი. მათი ამოსავალი სოციალური ფონის განსხვავებულობაში. ეს სპეციფიკა შემდეგია: „კლასიკური“ ეროვნული მოძრაობების ძირითადი ნიშანი იყო ის, რომ ისინი ვითარდებოდა **მოდერნიზაციის** პროცესის ფონზე. ნაციონალიზმის, როგორც ეროვნული თვითდადგენის იდეოლოგიის, ჩამოყალიბება დროში თანხვდება და ერთ-ერთ ასპექტად ახლავს თან ტრადიციული საზოგადოებიდან თანამედროვე, „მოდერნულ“ საზოგადოებაზე გადასვლას. მოდერნიზაციაში აქ ვგულისხმობ იმას, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ სოციოლოგები, კერძოდ, გადასვლას აგრარული საზოგადოებიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე, მისი თანმხლები ურბანიზაციის პროცესებით; გადასვლას ელიტური და ხალხური კულტურის გათიშულობიდან საყოველთაო განათლებულობის (წერა-კითხვის დონეზე მაინც) და მასობრივი კულტურის საზოგადოებაზე. თავისი სკოლების სისტემითა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებული ქსელით; ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნით და შესაბამისი ბიუროკრატიული ფენის ჩამოყალიბებით; სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების სეკულარიზაციით, რასაც მოსდევს ეკლესიისთვის წამყვანი პოლიტიკური როლის ჩამორთმევა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის სუბიექტად „ხალხის“ ქცევა.

მოდერნიზაციის პროცესის მექანიზმის ზოგადი აღწერა საკმაოდ დამაჯერებლად აქვს მოცემული მარქსს. ეს ის სფეროა, სადაც სოციოლოგიის მისებრი „ბაზის-ზედნაშენური“ სქემა ძირითადად მუშაობს (სხვა ამბავია, რამდენად დაიყვანება მოდერნიზაციის საწყისი იმპულსები და, შესაბამისად, „ბაზისის“ ცნების შინაარსი წმინდად ეკონომიკურ მომენტებზე). მთავარი აქ ჩვენთვის ისაა, რომ მოდერნიზაციის პროცესისთვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი „ბაზისური“ ელემენტები თანდათან მწიფდება ტრადიციულ საზოგადოების წიაღში, შემდეგ კი ამ, რეალურად უკვე არსებულ ელემენტებზე დაყრდნობით ხდება საზოგადოების „ზედნაშენის“, ანუ მისი პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა მეტ-ნაკლებად რევოლუციური გზით (დემოკრატიული და ეროვნული მოძრაობების შედეგად). მოდერნიზაციის პროცესის პოლიტიკური მხარე — ძალაუფლების **დემოკრატიული** სისტემის ჩამოყალიბება, რასაც ჩვეულებრივ თან ახლავს ეროვნული სახელმწიფოს პრინციპის გაბატონებაც — ასეთ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის **შესაბამისობაში მოყვანა** მის უფრო სიღრმისეულ, „ბაზისურ“ სტრუქტურებთან (სამოქალაქო საზოგადოება, საბაზრო ეკონომიკა და ა. შ.).

მიუხედავად დამაგვირგვინებელი პოლიტიკური გადატრიალების რევოლუციურ-სისხლიანი ხასიათისა (ყოველგვარი კატაკლიზმების გარეშე მოდერნიზაციის პროცესი იშვიათად თუ სადმე მომხდარა), მთლიანობაში, გადასვლის ამგვარი მექანიზმი მაინც „ორგანულობის“ სახეს უნარჩუნებს ისტორიულ ევოლუციას. ძირითადი მოდერნიზაციული პროცესები თანდათანობით, ძველი საზოგადოების წიაღში ხდება, ისინი „თვით ცხოვრებას მოაქვს“. შესაბამისად, მიუხედავად რევოლუციური წყვეტისა დემოკრატიასა და „ძველ **რეჟიმს**“ შორის, ახალი საზოგადოება ხელაღებით არ ამბობს უარს „ძველის“ მემკვიდრეობაზე, პირიქით, ხშირად სიამაყითაც კი აცხადებს თავს მის მემკვიდრედ და სრული საფუძველიც აქვს სამისოდ. სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების ფერისცვალება არ უშლის ხელს იმას, რომ სულიერ, ზნეობრივ, კულტურულ სფეროში საზოგადოება, ნაწილობრივ მაინც, ტრადიციულ ღირებულებებს დაეყრდნოს.

პოსტ-კომუნისტური ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობების სოციალურ-ისტორიული ფონი ამისგან არსებითად განსხვავებულია. კომუნისტური წყობა თავისი არსით ტრადიციული

---

1. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. გ. ნოდია, „ქვემდებარე კონსენსუსი და დემოკრატიული საზოგადოება“, „ცისკარი“, № 1, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არა, ანტი-ტრადიციულია. ის ეყრდნობა უტოპიურ, ესქატოლოგიურ, პოსტ-ისტორიულ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც, თუმცა ახალი, კომუნისტური წყობის ჩამოყალიბება აუცილებლობით გამომდინარეობს მთელი წინამორბედი „ბუნებით-ისტორიული პროცესიდან“, **შინაგანად**, თავისი ღირებულებების, საზრისის, სტრუქტურის მხრივ მას არაფერი აქვს საერთო მთელ წინამორბედ ისტორიასთან (გარდა ტექნოლოგიური პროგრესისა, რომელსაც ის აგრძელებს). მარქსის ცნობილი თქმით, ეს არის გადასვლა კაცობრიობის „წინა-ისტორიიდან“ მის „ნამდვილ“ ისტორიაზე; მაგრამ მისივე თეორიის უფრო ზუსტი აზრი, უბრალოდ, ისაა, რომ კომუნიზმი არის ისტორიის აღსასრული, გადასვლა ისტორიის შემდგომ მდგომარეობაში.

მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ **კომუნისტური სისტემის** თვითგაზრებას, მის იდეოლოგიას. რეალური თვალსაზრისით კი („რეალური სოციალიზმი“) არის მოდერნიზაციის **გარეგნული** ამოცანების დაჩქარებული შესრულება (ფორსირებული ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, მასობრივი კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა განვითარება, ყოველისმომცველი ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანის ჩამოყალიბება დემოკრატიის ფორმალური ნიშნების იმიტაციით და ა. შ.) თანამედროვე საზოგადოების „სულის“ (თავისუფალი მეწარმეობა, სამოქალაქო საზოგადოება, პიროვნების უფლების აღიარება) ჩახშობის ხარჯზე.

ამიტომ პოსტ-კომუნისტური საზოგადოების როგორც ობიექტური მიმართება, ისე სუბიექტური დამოკიდებულება თავისი წინამორბედი რეჟიმისადმი განსხვავდება მოდერნული საზოგადოების დამოკიდებულებისაგან ტრადიციული საზოგადოებისადმი. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამოკიდებულება ორმაგია, „დიალექტიკურია“ (ახლის საფუძველი ძველის წიაღში მწიფდება, ახლის მიერ ძველის უარყოფით მეტ-ჩვიდრეობითობის ჯაჭვი არ წყდება), პოსტ-კომუნისტური რევოლუციის შემთხვევაში წყვეტი აბსოლუტურია. ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტაცია **არაფერს** რეალურს არ ხედავს უშუალო წარსულში ისეთს, რასაც შეიძლება დაეყრდნო და გააგრძელო ახლის შენებისას. ძველი **მთლიანად** უნდა დაინგრეს, რომ მის ადგილზე ახალი აშენდეს.

ამგვარი განცხადება ერთგვარ პროტესტს იწვევს ხოლმე, და არა მხოლოდ კომუნისტურ წარსულზე ნოსტალგიით შეპყრობილი ადამიანებისას. განა კომუნისტური რეჟიმის პერიოდში პოზიტიური სულ არაფერი გაკეთებულა? რა თქმა უნდა, გაკეთებულა. უკვე ვთქვით, რომ ეს რეჟიმი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი მოდერნიზაციული პროცესების დაჩქარებული ჩატარების მცდელობა, რასაც ამ გარეგნულ დონეზე მაინც რაღაც წარმატებები ჰქონდა. მართლაც მოხდა ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, განათლების დონის ამაღლება, ეს კი, თავის მხრივ, არა მხოლოდ თავისთავად არის ღირებული (მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლების თვალსაზრისით), არამედ დემოკრატიული წყობის შექმნის ხელშემწყობი (თუმცა, ცხადია, არასაკმარისი) ობიექტური პირობაცაა.

თუ კომუნისტური სისტემის დემონტაჟის პროცესებს წმინდად ობიექტივისტური თვალით, სოციოლოგიური კუთხით შეეხედავთ, მაინც არსებობს ერთგვარი ანალოგია ტრადიციული საზოგადოების ბაზაზე მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან, როდესაც ამ ცვლილებების წინაპირობები ჯერ თანდათან გროვდება, შემდეგ კი გამოხატულებას პოვებს პოლიტიკური სისტემის გარდაქმნაში. არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ დემოკრატიული ცნობიერების მატარებელი ელიტები ნამდვილად „ძველი რეჟიმის“ წიაღში ჩაისახა და ეს შესაძლებელი გახდა, სწორედ, ურბანიზაციისა და განათლების გავრცელების პროცესთა შედეგად (დემოკრატიული ცნობიერება ყველა ქვეყანაში უპირატესად ქალაქელებს და განათლებული ფენების წარმომადგენლებს ახასიათებთ). ეს ობიექტური პროცესები განაპირობებს იმ განსხვავებას, ვთქვათ, დღევანდელ და ორმოცი წლის წინანდელ რუსეთს შორის, რის გამოც თანამედროვე რუსეთს მეტი შანსი აქვს დემოკრატიული წყობა ჩამოიყალიბოს, ვიდრე წინა მცდელობის დროს ჰქონდა. ეს ზნიერად მხედველობიდან რჩებათ თვით ურბანიზებულ და განათლებულ დემოკრატ-რეფორმატორებს, რის გამოც მათ კომუნისტური წარსულისადმი ერთგვარი „უმადურობა“ და ჰიპერკრიტიკიზმი შეიძლება დაბრალდეს.

მაგრამ ეს „უმადურობა“ უსაფუძვლო არ არის. ისიც ვთქვით, რომ, თუმცა კომუნისტური წყობა დაჩქარებული ტემპით წყვეტს მოდერნიზაციის ცალკეულ ამოცანებს, ეს მოდერნიზაციის მხოლოდ **გარეგნული** მხარეა. რაც შეეხება მის „შინაგან“ კომპონენტებს, „სულს“, ისინი არა მარტო არ ვითარდება, არამედ პირიქით, მათი ჯერ კიდევ ტრადიციული საზოგადოების ბაზაზე შექმნილი წინამძღვრებიც ინგრევა და ისპობა. რაც გინდა ილაპარაკონ იმავე რუსეთის „ჩამორჩენილობაზე“ და ბარბაროსობაზე ამ საუკუნის დასაწყისში, ეს მაინც იყო ქვეყანა, სადაც რაღაცა უკვე **იწყებოდა**: საკმაოდ მაღალი ტემპით ვითარდებოდა მეწარმეობა, დაიწყო სოფლად არქაული თემის დაშლის პროცესი, ყალიბდებოდა სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, შეიქმნა და გავლენას იკრებდა ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ელიტა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარდებოდა კულტურა, რომელიც სულ უფრო ეწყვრებოდა ევროპულ კულტურულ კონტექსტში და ა. შ. ყველაფერი ეს არაპროპორციულად სუსტი იყო ქვეყნის უდიდესი ნაწილის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩამორჩენილობასთან (თვით ამ ელიტის თვალში— „აზიურობასთან“) შეფარდებით, მაგრამ თავისთავად მომავალი ევოლუციის საფუძვლად და საყრდენად გამოდგებოდა.

აი, ამ საწყისებს მოუღო ბოლო ახალმა რეჟიმმა. პიროვნული ინიციატივაზე დამყარებული საწარმოო თუ კომერციული საქმიანობა, სახელმწიფოს კონტროლს დაუმორჩილებელი საზოგადოებრივი ცხოვრება, პიროვნული თავისუფლების იდეები მიუღებლად გამოცხადდა და თითქმის პირწმინდად აღმოიფხვრა. ხოლო შესაბამისი ელიტები ფიზიკურად განადგურდნენ. რაც შეეხება უფრო ადრეულ, ტრადიციული საზოგადოებიდან მომდინარე სულიერ-კულტურულ ღირებულებებს და **საზრვნენ** სტერეოტიპებს, თუმცა ისინი, სახელცელილ-დეფორმირებულნი, ახალი რეჟიმის რეალური სიძლიერის დასაყრდენი გახდა, იდეოლოგიურ **კორდინატ**ია სისტემაში **ტრადიციულობა**, როგორც ასეთი, მაინც უარყოფითი ნიშნით ფასდებოდა. მართალია, საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს ვარაუდი, თითქოს **საკოლმეურნეო** სისტემის გამარჯვება **რუსეთში** იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ის, თუმცა დეფორმირებული სახით, აგრძელებდა პატრიარქალურ-თემურ ტრადიციებს, ეყრდნობოდა ცნობიერების შესაბამის სტერეოტიპებს, საზოგადოებრივ ცნობიერებაში (არც ტრადიციონალისტების და არც არატრადიციონალისტების თვალში) მაინც არ ხდებოდა საკოლმეურნეო ცხოვრების წესების იდენტიფიკაცია, როგორც, სწორედ, ტრადიციული ღირებულებების განხორციელების ნიმუშისა.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ იდეოლოგიურად ლიბერალურ-დემოკრატიულ (ან თუნდაც წინა-**მოდერნისტულ**, „ტრადიციონალისტურ“) მოდელებზე ორიენტირებული პოსტ-კომუნისტური ცნობიერებისათვის მისი უშუალო წარსული განიცდება, როგორც პოზიტიური ღირებულებს სრულიად მოკლებული რაიმე და მისი შეფასება გამოიხატება კატეგორიებით „დამახინჯება“, „გადაგვარება“, „დეფორმაცია“ და ა. შ. რაკი კომუნისტური წყობა ეყრდნობა მხოლოდ იდეოლოგიას, ამ იდეოლოგიის გადაგდების შემდეგ კომუნისტურ „მონაპოვარში“ არაფერი რჩება ისეთი, რაც ახლის შენების **საფუძვლად** გამოდგება. რაც შეეხება მოდერნიზაციის ზემოთ ნახსენებ გარეგნულ ატრიბუტებს, ისინი, მართალია, კომუნისტურ პერიოდში შეიქმნა, მაგრამ მათში არაფერია სპეციფიკურად კომუ-**ნისტური**: ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, განათლების გავრცელება არანაკლებ ახასიათებს არაკომუნისტურ საზოგადოებებს. განსხვავება მხოლოდ მოდერნიზაციულ პროცესთა განხორციელების ფორსირებულ ტემპშია, მაგრამ, რადგან თავის უკანასკნელ, კრიზისულ საფეხურზე კომუნისტური საზოგადოება სტაგაციაში ვარდება და ამ ტემპსაც კარგავს, **პოსტ-**კომუნისტური რეფორმატორის თვალში მისი ეს ძირითადი კოზირიც უფასურდება.

ამრიგად, კომუნიზმის შემდგომ დემოკრატიაზე გადასვლის ნიშნია ტრადიციასთან **სრული** წყვეტი, ანუ ახალი საზოგადოების **ცარიელ ადგილზე** აშენების ცნობიერება. ამით პოსტ-კომუნისტური რევოლუციის ცნობიერება სარკისებრ ასახავს კომუნისტური რევოლუციისას: „ინტერნაციონალშიც“ იმაზე მეტრიან, რომ ჯერ ძველი სამყარო უნდა ბოლომდე დავანგრიოთ, შემდეგ კი ახალი ავაშენოთ. თუმც მისი იდეოლოგი „ბუნებრივ-ისტორიულ პროცესზე“ ლაპარაკობდა, სინამდვილეში კომუნისტური რევოლუცია ისტორიის „ორგანულ პროცესს“ კი არა, ინტელექტუალების მიერ მოგონილ იდეოლოგიის ეყრდნობოდა. ამ იდეოლოგიის მიერ ხელოვნურად აგებული სამყაროდან გამოსვლის პროცესი საპირისპირო ნიშნით იმეორებს იმავე ზოგად კანონზომიერებას: წარსულიდან (უშუალო წარსულიდან, ანუ იმ წარსულიდან, რომელიც რეალურად არსებობს, როგორც აწმყოს ფუნდამენტი) არაფრის წამოღება არ შეიძლება ნათელ დემოკრატიულ და საბაზრო-კაპიტალისტურ მომავალში. მაშასადამე, პოსტ-კომუნისტური (ისევე, როგორც თავის დროზე კომუნისტური) რევოლუცია ეგზაფურს დაეყრდნობა, გარდა ინტელექტუალების თავებში არსებული წარმოდგენისა იმის შესახებ, თუ როგორი **უნდა იყოს** ეს „ნათელი მომავალი“, ანუ ნორმალური, სასურველი საზოგადოებრივი წყობა.

მაგრამ თუ კომუნისტური რევოლუციის შემთხვევაში ,ისეთი მკვეთრი დაპირისპირება წარსულისადმი სრულიად შეესაბამებოდა კომუნიზმის ზოგად ანტიტრადიციონალისტურ, ,იდეოლოგიურ-ესქატოლოგიურ ბუნებას, სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს პოსტ-კომუნისტური რევოლუციის დროს. კომუნისტური რევოლუციის რადიკალური ანტიტრადიციონალიზმი, მისი „არაორგანულობა“ თვითონ არის უარყოფის საგანი. პოსტ-კომუნისტური რევოლუცია **ისტორიაში დაბრუნების**, და არა მისი დაძლევის, მცდელობაა[1]. ამიტომ მისი პრობლემაა ისტორიაში თავისი ადგილის კვლავ პოვნა, საკუთარი თავის ხელახლა ჩაწერა ისტორიის „ორგანულ

[1] იხ. Shlomo Avinezi, „The Return to History: The Breakup of the Soviet Union“, Brookings Review 10 (Spring 1922), გვ. 30-39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსოვილში". მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ისტორიაში დაბრუნება და რას შეიძლება დაეყრდნოს იგი?

იდეენტობის კრიზისი და თვითგახსენება

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გამო, პოსტ-კომუნისტური რეგიონების ერთ-ერთი მძიმე სინდრომია **იდენტობის კრიზისი**. ეროვნული ცნობიერებისათვის პრობლემად იქცევა არა მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა (დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი განმტკიცება, „ცივილიზებული სამყაროს" შესაბამისი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სტრუქტურების შექმნა და ა. შ.), არამედ დადგენა იმ ამოსავალი ქვემდებარე მახასიათებლებისა, რაც შინაარსეულად ავსებს პოლიტიკურ „ჩვენს"-ს. თუკი ყველფერი, რაც მემკვიდრეობით არის მიღებული კომუნისტური ეპოქისაგან — პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკური სტრუქტურა — მიუღებელია, თუკი, უფრო მეტიც, ერის ზნეობრივი და ფსიქიკური სახე „გადაგვარებული" და „დამახინჯებულია" სოციალური წყობის ზემოქმედების შედეგად („ყველანი საბჭოთა ადამიანები ვართ"), მაშინ საიდანღა აიგება ის „ჩვენ", რომელმაც თავისუფლება უნდა მოიპოვოს ტოტალიტარული მარწუხებისაგან და „ცივილიზებული" ცხოვრება ააშენოს? სად არის ის „ჩვენი თავი", რომელიც ჩვენ თვითონ უნდა „გვეყუდნოდეს"?

რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი იმის თქმაც, თითქოს იდენტობის კრიზისის პრობლემა მაინცდამაინც პოსტ-კომუნისტური პერიოდისათვის არის სპეციფიკური. მოდერნიზაციის პროცესი ნერგავს, ამკვიდრებს რაღაც პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ საბჭოურ სტანდარტებს — „ცივილიზებული საზოგადოების ნორმებს", რომელთა საფუძველზე იქმნება ერთიანი (თუმცა სხვადასხვა ერებად დანაწევრებული) „კაცობრიობა". ამ „კაცობრიობის" მთელში თავისი ადგილის პოვნა, ზოგადცივილიზაციურ სტანდარტებსა და საკუთარ „თვითმყოფადობას" შორის სუბიექტურად მისაღები და ამავე დროს რეალობის შესაბამისი თანაფარდობის დადგენის აუცილებლობა ბადებს იდენტობის კრიზისის სიტუაციას, რომელიც თავისთავადაც (პოსტ-კომუნისტური სპეციფიკის გაუთვალისწინებლად) საკმაოდ უნივერსალურია თანამედროვე ეპოქისათვის. განსაკუთრებით მწვავეა ეს კრიზისი ერებისა და კულტურებისათვის, რომლებიც მბარგინალურად იაზრებენ თავს ზოგადცივილიზაციური ნორმების შემომტან ევროპულ კულტურასა და არაევროპულ კულტურებს შორის (ასეთი კი არც ისე მცირეა). ამგვარი კრიზისის მანიშნებელი იყო (და დღესაც არის), ძაგალითად, რუსული თვითცნობიერების გახლეჩა „ზაპადნიკურ" და „სლავოფილურ" საკადებად, რომელთაგან თითოეული ერთიან კაცობრიობაში შესვლის წესის სხვადასხვა პროექტს წარმოადგენს. მაგრამ მოდერნიზაციის „ოპუნური" ვარიანტის შემთხვევაში ისტორიული მემკვიდრეობითობის უშუალო ხაზის შენარჩუნება ამ კრიზისის ერთგვარად მაინც არსებულს და ეროვნულ ცნობიერებას კულტუროლოგიურ-ისტორიულ უნივერსუმში „ჩაწერილოვ ბის" შეგრძნებას ანიჭებს. მართალია, თვითიდენტობის პრობლემის გადაჭრისას ეროვნული ცოობიერება ამ შემთხვევაშიც უხვად იყენებს ქითოლოგიზირებულ წარმოდგენებს („ეროული მისიის", „მაღალი რასის", სხვადასხვა თანშობილი ჩვევების და ა. შ. შესახებ), საბოლოოდ ისინიც კონკრეტულ, წინასწარ არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ რეალობას უნდა მიებას.

რაკი პოსტ-კომუნისტური ცნობიერება მოკლებულია ასეთ მყარ „ნიადაგს" და თვითუარყოფის პრეზუმპციას ემყარება, მის ძირითად სტიმულტურად (საწყის ეტაპზე მაინც) **თვითგახსენების** მექანიზმი გამოდის. რაკი უშუალო მემკვიდრეობითობის ჯაჭვი გაწყვეტილია და რეალური ვერაფერს დაეყრდნობი, თვითაგების ძალისხმევა რაღაც **იდეალურ ნიმუშებზე** უნდა იყოს ორიენტირებული. ამ იდეალური ნიმუშის ფუნქციას ასრულებს ეროვნული **რაობა, წარმოსახული** იმ მომენტში, **როდესაც მისი „ორგანული"** განვითარება „არაორგანული" კომუნისტური ექსპერიმენტის წამოწყებამ გაწყვიტა. ისტორია უნდა **გაგრძელდეს** უშუალოდ ამ მომენტიდან. თვითშექმნა იქცევა თვითრეკონსტრუქციად, თვითაღდგენად. ისტორიის „ანტიისტორიული" ნაწილი უნდა წაშალოს, „გაირეცხოს" ისტორიიდან, როგორც უღირსი, მიუღებელი, „არალეგიტიმური", რაღაც ისეთი, რაც ვითომ კი იყო, მაგრამ სანამდვილეში არ იყო, ნამდვილი რეალობა არ ჰქონდა. ის აქტიურად და აგრესიულად უნდა მიეცეს დავიწყებას, როგორც კოშმარული სიზმარი. უნდა გაიდოს ხიდი „ნამდვილ" ისტორიასთან, რომლიდანაც გადაგვარებულ ეროვნულ სულსა და სხეულში „ორგანულობის" საღი სუბსტანცია გადმოედინება.

ასეთი თვითაღდგენის, თვითგახსენების ტენდენცია უშუალოდ ვლინდება პოსტ-კომუნისტური განთავისუფლების პოლიტიკურ ლოზუნგებში. მაგალითად, „პერესტროიკის" იდეოლოგიის ევოლუცია გარკვეულად დაიყვანება თვითგახსენების ფიგურების ევოლუციაზე. მისი თავდაპირველი კონცეფცია შეადგენდა **სტალინის** ეპოქის დავიწყება-განადგურებას და **ისტორიის** კვლავდაწყებას ჭეშმარიტი ლენინური მემკვიდრეობის საფუძველზე. ეკონომიკაში ეს „ნეპის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკის გაგრძელებას ნიშნავდა. პარალელურად, ეს იყო 1964 წელს ხრუშჩოვის გადაყენებით შეწყვეტილი ისტორიის გაგრძელებაც, როდესაც პირველად მოხდა სტალინური ისტორიის გაუქმებისა და ლენინთან „ხიდის გადების“ მცდელობა. ისტორია დაიშალა ციკლურ სეგმენტებად: გასახსენებელ-აღსადგენი პეროიდები შესაბამისი დადებითი პერსონაჟებით (ლენინი, ბუხარინი, ხრუშჩოვი) და დასაგრეხელ-გასანადგურებელი ეტაპები (წარმოდგენილი სტალინისა და ბრეჟნევის უარსაყოფი ფიგურებით). ეს მეორე, უფრო მოკლე ხიდი ხრუშჩოვის ხანასთან იდებოდა ასპარეზზე კვლავ გამოსული საპოციალიელების მეშვეობით, რომლებმაც გააგრძელეს ახალგაზრდობაში დაწყებული თვითგახსენების სამუშაო და „პერესტროიკის“ იდეოლოგიის ძირითად შემოქმედებად წარმოგვიდგნენ.

მაგრამ თვითგახსენების ამ მოდელმა ვერ იმუშავა. თვით რუსეთში „უმძრაო“ და „დასავიწყებელი“ ბრეჟნევისეული პერიოდის მანძილზე ელიტური ცნობიერების საკმაოდ ძირეული ტრანსფორმაცია მოხდა. სოლჟენიცინის „გულაგის“ მიერ გადამშვავებულ-რადიკალიზებულმა ცნობიერებამ თვითგახსენების უფრო რადიკალური ვარიანტი მოითხოვა, რომელმაც თვით ლენინის მოღვაწეობაც ისტორიის „ამოსაგდებ“ მონაკვეთში ჩართო, და მოინდომა ხიდის გადება ისტორიის იმ ნაკადთან, რომელიც ბოლშევიკების გაბატონებამდე მიედინებოდა. მაგრამ სახელდობრ სად მოხდა საბედისწერო გადახვევა და, შესაბამისად, საიდან უნდა გაგრძელებულიყო „სწორი“ ისტორია — დამფუძნებელი კრების გარეკვიდან თუ, ვთქვათ, მონარქის გადაყენებიდან, ამაზე სხვადასხვა აზრი არსებობდა.

უფრო მკაფიო და რადიკალური იყო „აღდგენითი“ ცნობიერების პოზიცია ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებსა და „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში. კერძოდ, „თვითგახსენების“ ცნობიერების ზოგადი სტრუქტურის ერთ-ერთი გამოვლენაა საბჭოთა რეჟიმის არალეგიტიმურობის და ოკუპირებულ-ახვეჭირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების იურიდიული კონტინუიტეტის კონცეფცია, რომელიც ბალტიის რესპუბლიკებში შეიქმნა და შემდგომ ფართოდ გავრცელდა სხვაგანაც, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ის განსაკუთრებული პედანტიზმით ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის რადიკალურმა, „შეურიგებელმა“ ვარიანტმა აიტაცა. თვით ბალტიის რესპუბლიკებში ამგვარი კონცეფცია თითქოს პოლიტიკური ტაქტიკის მოსაზრებებიდანაც შეიძლებოდა ახსნილიყო: რაკი დასავლეთის მთავარ სახელმწიფოებს არ უცვნიათ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ბალტიის რესპუბლიკების საბჭოთა რესპუბლიკებში ძალდატანებითი ინკორპორირების კანონიერება, ამ რესპუბლიკების შიგნით მოქმედ ეროვნულ მოძრაობებსაც, საერთაშორისო კონიუნქტურის გათვალისწინებით, საბჭოთა სტრუქტურების „არალეგიტიმურობაზე“ და სამართლებრივი მდგომარეობის, ანუ დამოუკიდებლობის **აღდგენის** მოთხოვნაზე უნდა გაეკეთებინა აქცენტი. მაგრამ პრაგმატულ-კონიუნქტურული მოსაზრებებით ამგვარი პოზიციის დაცვა მათთვისაც ყოველთვის გამართლებული არ იყო და იგივე დასავლეთის ქვეყნები, რომლებზეც თითქოს გათვლილი იყო იურიდიული კონტინუიტეტის პოზიცია, ყოველთვის სრული ენთუზიაზმით და გაგებით როდი ხვდებოდნენ მის ხაზგასმას.

მით უმეტეს, პოლიტიკურად არაადექვატური იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაფუძნება იმ ფაქტორზე, რომ, რაკი 1921 წელს საჭართველოს ოკუპაცია და ანექსია რუსეთის ძალი „უკანონოდ“ მოხდა, ამიტომ საქართველოს შეეძლო უგულებელეყო ასევე „უკანონო“ საბჭოური სტრუქტურები და პოლიტიკური ქმედება უპირატესად „საერთაშორისო სამართლის ნორმებზე“ აეგო: საქართველოს პირობებში, — საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნის წინააღმდეგ ხომ საერთაშორისო არენაზე არავინ სერიოზულ პრეტენზიას არ აცხადებდა. პოლიტიკური რაციონალობის თვალსაზრისით ამგვარი პოზიციის არაადექვატურობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მის რეალურ გავლენას მხოლოდ პოლიტიკური განათლების ნაკლებობით ვერ აგზსნით. საქმე აქ ის კი არ არის, რომ საერთაშორისო სამართლებრივი არგუმენტები განსაკუთრებით ძლიერი და მობილური იყო, არამედ ის, რომ ანტიისტორიის სრული უარყოფა არ ტოვებს სხვა ალტერნატივას, გარდა თვითგახსენების მექანიზმის მეშვეობით თვითდაფუძნების მცდელობისა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს შემთხვევაშიც თვითგახსენების მექანიზმის ფარგლებში არსებობდა და არსებობს ალტერნატული „წმიდად ეროვნული“ ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც „ისტორიაში დაბრუნებისას“ ათვლის წერტილად აღებული უნდა იქნას არა 1921, არამედ 1801 წელი. ეს ვარიანტი კიდევ უფრო ფანტასტიკურია არა მეტი ისტორიული დაშორებულობის გამო, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ 1801 წელს არავითარი ერთიანი ქართული სახელმწიფო არ არსებობდა. ასე რომ, იმ მდგომარეობასთან დაბრუნება დღეს ეროვნულ კატასტროფად აღიქმებოდა („სამართლიანობისათვის ისიც უნდა ითქვას, რაც თვითგახსენების“ ამ ვარიანტის სასარგებლოდ მეტყველებს. მართალია, სახელმწიფოებრიობის აღდგენის თვალსაზრისით ამგვარი უკან დახევა ბევრს ვერაფერს იძლევა, მაგრამ იგი უფრო ადექვატურია სხვა მხრივ: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საშწლიანმა გამოცდილებამ მე-20 საუკუნეში არსებითად ვერ შეცვალა ეროვნული ცნობიერების ტიპი, ამიტომ ის სოციალურ-პოლიტიკური მენტალიტეტი, რომელიც დღეს რეალურად არსებობს — ეს ბოლო წლე-

ბის მოვლენებმაც აჩვენა — უფრო ახლოს დგას ცნობიერების შუასაუკუნეობრივ მოდელთან, ვიდრე სახელმწიფოებრიობის თანამედროვე ტიპთან; მაგრამ თავისთავად დამახასიათებელია, რომ რეალური „უნიადაგობის“ შეგნების პირობებში თვითგახსენების პოსტ-კომუნისტური სინდრომი შეიძლება საკმაოდ შორს გასცდეს საკუთრივ კომუნისტური წარსულს.

თვითგახსენების პოზიცია შეგვიძლია ორგვარად შევაფასოთ. ერთი მხრივ, მას გარკვეული რეალური საფუძველი აქვს. საზოგადოებრივი ცხოვრების ტოტალური გასახელმწიფოებრიობის იდეოლოგიზირების, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების სრული დანგრევის (თუ ისინი მანამდე არსებობდა) პირობებში ერთადერთი, რაც ასე თუ ისე გადაურჩება იდეოლოგიის მაუნიფიცირებელ ძალას, არის ყოფითი ტრადიციები, კოლექტიურ მეხსიერებასა და ცხოვრებისეულ ჩვევებში შემორჩენილი ელემენტები „ორგანული“ არსებობისა. სწორედ ისინი შეადგენენ ერთადერთ **რეალურ** სოციალურ-კულტურულ ალტერნატივას „ცხოვრების სოციალისტური წესის“ მიმართ, რასაც ისტორიასა და „ორგანულობაში“ დაბრუნებას მოწყურებული საზოგადოება შეიძლება დაეყრდნოს. შემთხვევით არ არის, რომ პოსტ-კომუნისტური ეფოლუციის წარმატება სხვადასხვა ქვეყანაში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა **შემორჩა** ქვეყანას წინარეკომუნისტური წარსულისაგან. ქვეყნებს, რომელთა კომუნისტური ბიოგრაფია შუალედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იწყება, უკეთესი შანსები აქვთ შედარებით უმტკივნეული დემოკრატიზაციისა, ვიდრე იმათ, ვინც კომუნისტურ იდეოლოგიაზე აგებულ საზოგადოებაში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ცხოვრობდა, რაგვარ პირველ შემთხვევაში ერის მეხსიერებას უფრო ცოცხლად აქვს შემორჩენილი „ნორმალური“ ცხოვრების წესები. ეს ეკუთვნის, რომელთაც კომუნისტურ გადატრიალებამდე სამოქალაქო ცხოვრების უფრო მდიდარი ტრადიცია ჰქონდათ დაგროვილი, უკეთესი პერსპექტივები აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც არც კომუნისტური რევოლუციამდე ყოფილა შორს წესული დემოკრატიული მოდერნიზაციის გზაზე. ამ თვალსაზრისით, **გახსენებაც**, ხელახალ აქტივიზაციას ადამიანთა ფსიქოლოგიაში და სოციალურ ურთიერთობათა სისტემის მეხსიერებაში შემორჩენილი სამოქალაქო ცხოვრების მოდერნული ელემენტებისა, რომელთა დანგრევა ვერ მოასწრო ახალმა იდეოლოგიურმა რეჟიმმა, სავსებით რეალური საზრისი აქვს.

მაგრამ თვითგახსენების იდეოლოგიაზე თვითდაფიქსირებას მეორე მხარეც ახლავს. ის არა მხოლოდ ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რომ კომუნისტური მემკვიდრეობა მართლაც ერთგვარი სოციალური უფლობის პირობებში ტოვებს იმდენდებსა თუ ერებს და ერთადერთი დასაყრდენი მათ კომუნიზმამდელ ტრადიციებში შეიძლება ჰქონდეთ, — არამედ ერთგვარი **ნეგატიული რეაქციაც** არის ამ უმწეობაზე: „თვითგასხენების“ იდეოლოგია საშუალებას აძლევს ინდივიდსა და საზოგადოებას, ამ სოციალური უმწეობის **დაძლევაზე** კი არ იმეშაოს, არამედ ეცადოს **გაექცეს** მას, თავი დაალწიოს მტანჯველ, მაგრამ რეალურ ისტორიულ (თუნდაც თავისი იდეოლოგიით და გლობალური სარჩისით ანტიისტორიულ) გამოცდილებას და იდეოლოგიური უარყოფის აქტით ილუზორულად **გაიაქმოს** იგი.

ჩვენს შემთხვევაში სწორედ ამგვარი მექანიზმი მოქმედებს, როდესაც აკეთებენ ხდება იმ თავისთავად უეჭველი ფაქტისა, რომ 1921 წელს საქართველოში ძალდატანებით, უკანონოდ იქნა ექსპორტირებული ბოლშევიკური პოლიტიკური სისტემა და ამ ბრალი ყოველივე, რაც ამ ხელისუფლების სანქციით ხდებოდა, „არალეგიტიმურობის“ ნიშნითაა დაღდასმული. მაგრამ ამის გამეორებით ამ „არალეგიტიმური“ სამყაროს რეალურობას არაფერი აკლდება; შესაბამისად, აჯგვარ „არალეგიტიმურობაზე“ სიტყვიერი მითითება ვერაფერს შველის იმ პრობლემას, რომ გამოინახოს რეალური მექანიზმები „არალეგიტიმურობით“ წაწყმედილი სინამდვილის გარდაქმნისა. მაგრამ სიტყვა „არალეგიტიმურის“ დაკენებული გამეორება სწორედ ამ რეალური პრობლემებისაგან გაქცევას ემსახურებოდა. „არასწორი“ ისტორიის გაუქმების ეს პოზიცია დაახლოებით იგივე იყო, გაუპატიურებულ ქალს გაუპატიურების აქტის „არალეგიტიმურობაზე“ ეუბნებიან რომ განეცადაებინოს, იურიდიულად ისევ ქალწული გარო.

თვითგახსენება არ არის ერთადერთი მოდელი იდეოლოგიზირების საფუძველზე თვითაგებისა, ოსაც საზოგადოება პოსტ-კომუნისტური უნიადაგობის პირობებში მიმართავს. მეორეა თვითგაგება „ცივილიზებული სამყაროს“ **ნიმუშის** მიხედვით. თავისთავად ესეც სრულებით არ არის პოსტ-კომუნისტური სოციალური პროცესებისთვის სპეციფიკური ნიშნი. პირიქით, წინასწარ შოცემული ნიმუშების და ნორმების ათვისებისა და „მორგების“ მედელობა მოდერნიზაციის უნივერსალური მექანიზმია (რაც არ ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონზე, სადაც ეს ნიმუშები და ნორმები თავდაპირველად შეიქმნა, ანუ ჩრდილოდასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაზე). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სხვა შემთხვევაში ამ ნიმუშებისა და ნორმების დანერგვა ხდება ტრადიციული საზოგადოების კულტურულ-სოციალურ ნიადაგზე, ჩვენს მიერ განხილულ შემთხვევაში კი მათ პოსტ-კომუნისტური „უნიადაგობა“ ხვდებათ.

პოსტ-კომუნისტური კონტექსტი დროში უპირისპირებს ერთმანეთს თვითგაგების ორ მექანიზმს: ერთი მხრივ, თვითგახსენება მოითხოვს ხიდის გადებას საკუთარ ისტორიულ წარსულში, რაც, რეალურად, მეორე მსოფლიო ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპერიოდში ან კიდევ უფრო უკან დაბრუნებას ნიშნავს; რაც შეეხება „ცივილიზებული სამყაროს“ ნორმებისა და ნიმუშების ათვისებას, აქ ათვლის წერტილი დღევანდელი, მე-20 საუკუნის დამლევის სამყაროა. ამრიგად, პოსტ-კომუნისტური სამყაროო ორმაგ დროში აღმოჩნდება, ანუ აღმოჩნდება კოლიზიაში ორ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას შორის.

კერძოდ, თვითგახსენების დრო აბრუნებს აღმოსავლეთ ევროპას ისტორიულ ეპოქაში ორ მსოფლიო ომს შორის. ამით ბრუნდება ის მწვავე ეროვნული კონფლიქტები, რაც იმ პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, და თვით ნაციონალისტური იდეოლოგიის პრიმატის სულისკვეთებაც, რაც აგრეთვე იმ პერიოდის ძირითად მახასიათებლად ითვლება. „1914 წლამდე გამოცემული ატლასები უკეთეს სურათს გვაძლევს პოსტ-კომუნისტური საზოგადოებების ჩახლართულ კონფლიქტებზე (მაგალითად, იუგოსლავიაში), ვიდრე თანამედროვე რუკები. ვისაც კი შეუსწავლია 1910-იანი წლების ბალკანთის ომები, უკეთ არის მომზადებული იუგოსლავიის თანამედროვე მოვლენების გასაგებად, ვიდრე ის, ვინც იცნობს ამ საზოგადოებების ბოლო პერიოდების საერთო ეროვნულ შემოსავლებს ან სხვა მაჩვენებლებს“[1]. ამის ანალოგიურად, კომუნისტური იმპერიის დაშლის დასაწყისშივ ჩაყივეცა მთელმა კონფლიქტები, რომლებიც უშუალოდ მოჰყვა რუსეთის იმპერიის დაშლის პირველ მცდელობას 1917 წელს. მართალია, ჩშირად ამ კონფლიქტებს ლენინ-სტალინის პოლიტიკის მემკვიდრეობას, კერძოდ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა საზღვრების თვითნებურ გაყოფა-გადახალისებას აბრალებენ, მაგრამ მთლიანობაში მაინც შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მრავალი კონფლიქტი საბჭოთა კავშირის შექმნამდე არსებული კონფლიქტების რევიტალიზაციაა.

აქედან ჩანს საკმაოდ ცალმხრივი და პოლიტიკურად კონიუნქტურული ხასიათი ჩვენში პოპულარული იმ თეზისისა, რომ ყოველგვარი „ეთნოკონფლიქტები“ ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ხელოვნურადაა ინსპირირებული „გარკვეული პოლიტიკური ძალების“ მიერ. ზოგჯერ შეგნებული ინსპირაცია მართლაც თამაშობს რაღაც როლს, მაგრამ, საზოგადოდ, „ეთნოკონფლიქტები“ იმპერიული მემკვიდრეობის პრაქტიკულად გარდუვალი ელემენტია და რუსეთის იმპერია აქ გამონაკლისი სულაც არ არის. საგულისხმოა მხოლოდ, რომ იმპერიის დაშლისა და ახალი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების მცდელობის მეორე ჯერზე კონფლიქტებიც თითქმის იდენტური სახით მეორდება. მაგალითად, ჩვენთან მეორდება კონფლიქტები აფხაზეთში და შიდა ქართლში (სამხრეთ ოსეთში). შეიცვალა დემოგრაფიული სიტუაცია, რამდენადმე შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური კონიუნქტურა, მაგრამ თვით კონფლიქტების ფაქტი და მათი ბუნება იგივე დარჩა.

ევროპაში პერიოდი ორ მსოფლიო ომს შორის ცნობილია როგორც ისტორიული ხანა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ავტორიტარულ-ნაციონალისტური და ფაშისტური იდეოლოგიის და შესაბამისი სახის პოლიტიკური რეჟიმების მოძალება. ეს ტენდენცია გაბატონებული იყო მთელ კონტინენტურ ევროპაში და ამ რამდენიმე ქვეყანა თუ გადაურჩა. ძლიერია (ცხადია, მეტ-ნაკლებად) ეს ტენდენციები პოსტ-კომუნისტურ სამყაროშიც. ტიპოლოგიური პარალელების გავლება თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებულ აგრესიულ ეთნიკურ ნაციონალიზმს, ქსენოფობიას და მსგავს მოვლენებსა და საუკუნის პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელ განწყობილებებს შორის საკმაოდ იოლია. თანამედროვე პოსტ-კომუნისტური სამყაროს „შინაგანი დრო“ ემთხვევა ევროსალის ზავის შემდგომი ევროპის ევოლუციას: თვითდადგენის აქტის განხორციელების შემდეგ აქაც მიმდინარეობს ეროვნული სახელმწიფოების კონსოლიდაციის პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საერთო-ეროვნულ ინტერესებსა და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებს შორის ბალანსის მეტად მტკივნეული ძიება. ამ ბალანსის პოვნის სიძნელეზე, თვითიდენტობის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სიძნელეებთან ერთად, ბადებს სწორედ ეთნიკურ-ნაციონალისტური და ფაშისტური ტიპის იდეოლოგიებს. მეორე მხრივ, მოშლა სამოქალაქო საზოგადოების, კერძო მეწარმეობის სტრუქტურებისა, რაც ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის სოციალურ ბაზას შეადგენს, ამცირებს ამ ბაზის დამკვიდრების შესაძლებლობას. ამრიგად, პოსტ-კომუნისტური სამყაროო მხლოდ თავის „შინაგან დროს“ რომ მიპყვებოდეს, აქ ლიბერალურ-დემოკრატიული განწყობილებისა და შესაბამისი პოლიტიკური წყობის დამყარების შანსები ფაქტობრივად არ იარსებებდა; აღმოსავლეთ ევროპა (საუკეთესო შემთხვევაში, მცირე გამონაკლისით) განწირული იქნებოდა ავტორიტარულ-ფაშისტური რეჟიმების ცვლისა და მრავალწლიანი სისხლიანი ეთნიკური ომებისათვის.

მაგრამ, როგორც ვთქვით, პოსტ-კომუნისტური სამყაროო ორმაგ დროში ცხოვრობს. იგი თავისი თავის აგებას ცდილობს არა მხოლოდ „თვითგახსენების“ პრინციპით, არამედ „ცივილიზებული სამყაროს“ ნიმუშების გადმოღება-გადმონერგვის პრინციპებითაც. „ცივილიზებულ სამყაროში“ კი დღეს, ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდისაგან განსხვავებით, განუყოფლად ბატონობს ერთადერთი მოდა: ლიბერალური დემოკატია, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უპირობო აღიარებით და პიროვნებისა და ყოველგვარი, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე ზრუნვის პრიორიტეტით.

[1] Shlomo Avineri, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, თუმცა ზემოთ აღწერილი ეთნიკურ-ნაციონალისტური და ავტორიტარული ტენდენცია თავის მნიშვნელობას და ძალას ინარჩუნებს, მას რამდენადმე აწონასწორებს „გარე დროში“ არსებული ლიბერალურ-დემოკრატიული ნიმუშების მიზდეულობის ძალა. „ცივილიზებული სამყაროს“ ნიმუშებზე ორიენტაცია პოსტ-კომუნისტური სამყაროს **თვითგაგების** ერთ-ერთი პრინციპია, მისი **შინაგანი** ორიენტაციაა. იგი ზოგადად არც ნაციონალიზმს უპირისპირდება: უბრალოდ, ეს თვითიდენტობის პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი სახეა. ამ ნიმუშთა ათვისებას ვიღაც კი არ აძალებს პოსტ-კომუნისტურ სამყაროს, არამედ ეს მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. სამყაროში, სადაც ამა თუ იმ პოლიტიკური თუ ეკონომიკური ნიმუშების ათვისება „ცივილიზებულობის“, მოწონავე ერთა კლუბის წევრობის ნიშანია, მათი ნაკლებობა კი ჩამორჩენილობისა და „ბარბაროსობისა“, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა **ეროვნული ღირსების** საქმედ იქცევა. ლიბერალურ-დემოკრატიული ნიმუშების დანერგვა არც მხოლოდ პრინციპული (რაღაც ღირებულებების აღიარება და მათი შესატყვისი სოციალური წესრიგისათვის ბრძოლა) და არც წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით (საერთაშორისო მხარდაჭერა, ეკონომიკური დახმარება და ა. შ.) არის მოტივირებული, არამედ ემოციურადაც, ეროვნული ღირსების მოსაზრებითაც) „ვისზე ნაკლები ვართ, რომ დემოკრატიული წყობის აშენება ვერ შეგძლოთ“).

აქ ერთგვარი პარადოქსული ვითარება იქმნება. თანამედროვე დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მოდა საკმაოდ უარყოფითად უყურებს ნაციონალიზმს, როგორც ასეთს: ლაპარაკი ნაციონალიზმის, ეროვნული მოძრაობების პროგრესულ მხარეებზე, მათ დემოკრატიულ შინაარსზე, ჩვეულებისამებრ, საკმაო სკეპტიციზმით მიიღება. მაგრამ, მეორე მხრივ, ნამდვილი მოტივაცია, რომელიც კომუნიზმიდან გამოსულ საზელმწიფოებს აიძულებს, სწორედ ამ მოდელზე გამოჭრან თავიანთი პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, უფრო **ნაციონალისტური,** ვიდრე საკუთრივ ლიბერალური, საკუთრივ ეროვნულ ღირებულებებს პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებაში მეტისმეტად სუსტი დასაყრდენი აქვთ „ინტელიგენციად“ წოდებული სოციალური ფენის ნაწილში. ეს არც შეიძლება სხვაგვარად იყოს, რადგან კომუნისტური რეჟიმი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ლიბერალური ცნობიერების სოციალურ-ეკონომიკურ წინაპირობებს სპობს. პოსტ-კომუნისტური საზოგადოება საკუთარი, იმანენტური კანონებით რომ ვითარდებოდეს, ლიბერალური წესრიგის დამყარების შანსები აქ უკიდურესად მცირე იქნებოდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ შინაგანი კრიტერიუმების დაკარგვის პირობებში წინა პლანზე გადმოდის აღიარებული ნიმუშების ათვისების, თანაც წარმატებული ათვისების გზით კოლექტიური, ეროვნული ღირსების დაკმაყოფილების მოტივაცია. ამიტომ საზოგადოება ცდილობს, რაღაც ხარისხით მაინც შეასრულოს ლიბერალური წესრიგის ნორმები, არა იმიტომ, რომ შესაბამისი ღირებულებები მისი კულტურისა და მენტალიტეტის ელემენტებად ქცეულა, არამედ იმიტომ, რომ „ასეა საჭირო“, რომ უამისოდ საზოგადოება, ერი „ჩამორჩენილის“, ისტორიიდან ამოვარდნილის, მსოფლიო მოწინავე საზოგადოებიდან გარიყულის სტატუსს უნდა დასჯერდეს.

საქართველოს გამოცდილება

სწორედ ამ კონცეფტუალური სქემის შიგნით გასაგები ხდება საქართველოს ბოლო წლების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ზოგი თავისებურება. ამ განვითარების განსაკუთრებით დრამატული და წინააღმდეგობრივი ხასიათი ვერ აიხსნება მხოლოდ თვით საქართველოსთვის შინაგანი ტენდენციების ევოლუციისა და ურთიერთშეჯახებით; მის გასაგებად, ჩემი აზრით, აუცილებელია „თვითგაგების“ მექანიზმის, აგრეთვე, ეროვნული ცნობიერების „გარე“ ორიენტერებისა და მოდელების გათვალისწინებაც.

ეს განვითარება მიმდინარეობდა ორი ძირითადი იდეის — ეროვნულისა და დემოკრატიულის — დომინირების ნიშნით. არა მარტო რაიმე რეალური წინააღმდეგობა, არამედ წინააღმდეგობის შესაძლებლობაც კი ამ ორი იდეას შორის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის საწყის ეტაპზე გაცნობიერებული თითქმის არ ყოფილა. სიტყვები „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“, რომლებიც მათ შემდეგ ცალ-ცალკე დაუკავშირდა, ჯერ კიდევ სინონიმებად აღიქმებოდა. თავისთავად ცხადი იყო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის **პროდასავლური** ორიენტაციაც, უფრო წმორად, რაიმე წინააღმდეგობის არარსებობა დასავლურ ორიენტაციასა და ეროვნული თვითმყოფადობის ღირებულების შორის. იგულისხმებოდა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით უნდა დამთავრებულიყო, და ამიტომ დასავლეთი ბუნებრივი მოკავშირე იყო ამ ბრძოლაში; მეტიც, მას **მორალურად ევალებოდა** აქტიურად და არაორაზროვნად დაეჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. გუულბრყვილო პატიცეები პრეზიდენტ ბუშისა თუ გაეროს სახელზე (გაეროც დასავლური ცივილიზაციის ღირებულებათა გამომხატველად იყო აღქმული) ამის თვალნათლივი გამოსატულებაა. დასავლეთიდან მხარდაჭერის არქონა გაუგებრობის გრძნობას იწვევდა და ტაქტიკური მოსაზრებებით (რუსეთის შიში) ან კონკრეტული პოლიტიკოსების უპრინციპობით აიხსნებოდა.

ამ ვითარების აღწერისას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, დღევანდელი გადასახედიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შეეფასებთ ეროვნული მოძრაობის ამ ეტაპს: „მართლა დემოკრატიული“ იყო ის თუ არა. მთავარი ისაა, რომ სუბიექტურად პრინციპული კონფლიქტის შესაძლებლობა ეროვნულობას, დემოკრატიულობას და დასავლური მოდელების ათვისებას შორის ან სულ არ აღიქმებოდა, ან ცნობიერების უკანა პლანზე რჩებოდა. ეროვნული მოძრაობის შიგნით არსებული წინააღმდეგობები ეხებოდა ტაქტიკურ საკითხებს („რადიკალიზმი“ თუ „ზომიერება“) და არა ძირეულ ღირებულებებს. გაწყვეტილი ისტორიული ხაზის კვლავ გამოთელების წარმოდგენაც სავსებით ბუნებრივად თავსდებოდა ამ სქემაში და კიდეც აძლიერებდა მას. ამ წარმოდგენის თანახმად, ტოტალური ოკუპაციამ საშუალება არ მისცა საქართველოს დასავლური ტიპის ეროვნული სახელმწიფო შეექმნა (რაც, თავისთავად, სრულიად სწორი დებულება). ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენით საქართველო, უბრალოდ, განაგრძობდა გზას ერთხელ უკვე არჩეული მიმართულებით (რაც თავისთავად ცხადი სულაც არ არის).

მაგრამ ეს პირველადი ჰარმონია საკმაოდ მალე დადგა კითხვის ქვეშ. თვით ქართულ საზოგადოებაშიც წარმოიშვა ეჭვი „ეროვნული მოძრაობის“ დროშით მოქმედი ძალების „ჭეშმარიტ დემოკრატიულობის“ მიმართ. პირველივე მასობრივ აქციებზე თვალშისაცემი გახდა სხვისი ახზისადმი შეუწყნარებლობის ტენდენცია: ის, რაც, წესით, განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანთა შორის პოლიტიკური დისკუსიის საგანი უნდა ყოფილიყო, მყისვე გადაიზრდებოდა მტრებისა და მტრის აგენტების ძიებაში. ვერ გაუძლო ეროვნულმა მოძრაობამ ეთნიკური უმცირესობების პრობლემათა სირთულით გამოცდასაც. ქართველთა „თანშობილ“, ლამის ბიოლოგიურ ტოლერანტობაზე გამუდმებული მიითვებები უფრო სინანულს ტონალობაში ისმოდა: ზედმეტ ჰუმანიზმსა და შემწყნარებლობაში ხედავდნენ იმის მიზეზს, რომ დღეს საქართველოს „გათავხედებული სტუმრები“ პრობლემებს უქმნიან. „ეროვნულობა“ გაგებული იქნა ძირითადად რასობრივ-ბიოლოგიური ტერმინებით („ეროვნული სისხლი“, „ეროვნული გენი“ და ა. შ.), ხოლო ამ ბიოლოგიურ-გენეტიკური ერთობის გარეთ მყოფნი („არაქართული მოსახლეობა“) ავტომატურად იქცეოდნენ ეჭვის ობიექტებად. ამ ეჭვის გასაქარწყლებლად მათ უპირობოდ ევალებოდათ „ხმა ამოეღოთ“, ანუ დროდადრო რიტუალურად გამოეხატათ თავიანთი სრული და უკრიტიკო ერთგულება ეროვნული მოძრაობის ქმედებისა და გამოცხადებული მიზნებისადმი და დაეგმოთ ყველა ის, ვინც ასე არ იქცეოდა. ამგვარმა რასობრივ-ბიოლოგიურმა ცნობიერებამ, განსაკუთრებით „ეროვნული გამოღვიძების“ თავდაპირველ ეტაპზე, პრიორიტეტულად და ყველაზე აქტუალურად „დემოგრაფიული“ პრობლემა მიიჩნია, რაც სინამდვილეში ნიშნავდა „სისხლით“ ქართველების შობადობის დონის აწევას და მოსახლეობის საერთო რიცხვში უმცირესობათა წილის მაქსიმალურ შეკვეცებს. უმცირესობების მხრიდან რიმე პრეტენზიის გამოთქმა უკიდურესად მწვავე რეაქციას იწვევდა და ოფიციალური კონტრმოთხოვნების (ავტონომიების გაუქმება, გასახლება) წამოყენებით მთავრდებოდა. ყოველივე ეს გარკვეულ (თუმცა მეტად ჩუმ) პროტესტს იწვევდა ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენციის საკმაოდ თხელ ფენაში. მაგრამ საზოგადოების უმეტესი ნაწილი ამ მხრივ საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა და ეროვნული მოძრაობის განვითარების შესაშფოთებელ მხარად მხოლოდ „ეროვნული ერთიანობის“ ნაკლებობას მიიჩნევდა.

უფრო მნიშვნელოვანი, მტკივნეული და ანგარიშგასაწევი „გარედან“ მოსული სიგნალი აღმოჩნდა. იგივე დასაკვეთი, „ცივილიზებული სამყარო“, რომელიც საქართველოს ბუნებრივი მოკავშირე უნდა ყოფილიყო უბრალოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ანუ სამართლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა, სულ უფრო აშკარად ავლენდა საქართველოს მიმართ, მეტი რომ არა ვთქვათ, ერთობ სკეპტიკურ დამოკიდებულებას: დასავლეთის პრესაში ჩამოყალიბდა საქართველოს მეტისმეტად არასახარბიელო იმიჯი, რომელშიც მისი ეროვნული მოძრაობის ძირითადი მიმართულება წარმოჩნდებოდა როგორც ნაციონალისტურ-მოფაშისტო, ხოლო ამ მოძრაობის ლიდერები — როგორც ავტორიტარული სტილის მქონე და პოლიტიკურად უმწიფარი, უპასუხისმგებლო მოღვაწენი. ამ იმიჯის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის ოპოზიციაში ყოფნის დროს დაიწყო, მაგრამ საბოლოო სახე მან „მრგვალი მაგიდის“ და ზ. გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიიღო.

საქართველოში ეს თავდაპირველად აღიქმებოდა, როგორც ენით აუწერელი უსამართლობა, როგორც მტრის (მოსკოვის) მიერ გამოცხადებული „ინფორმაციული ომის“ შედეგი, ან ცალკეული ჟურნალისტების თუ მკვლევარების წინასწარი „არაობიექტური“ დამოკიდებულების გამოხატულება (გავიხსენოთ ჯორჯ ჰიუიტის ფფხაში ცოლი). მაგრამ თანდათან ცხადი გახდა ასეთი ახსნის ზედაპირულობა. როგორც აღმოჩნდა, საქართველოსადმი კრიტიკული დამოკიდებულება ახასიათებთ არა მხოლოდ ჟურნალისტებს, რომლებიც მოსკოვიდან აშუქებენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს (ყველა სოლიდური დასავლელი ჟურნალისტი, რომელიც მოსკოვში მუშაობდა, რამდენჯერმე მაინც ჩამოვიდა საქართველოში და თავის დამოკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებას სწორედ ან ვიზიტების შედეგად აყალიბებდა), არამედ საქართველოს ძველ მეგობრებსაც. საზოგადოება ნაწილისათვის მაინც ცხადი გახდა, რომ საქმე გვქონდა საქართველოს **საერთაშორისო იზოლაციასთან** და ეს იზოლაცია გაპირობებული იყო არა შემთხვევითი და კონიუნქტურული მიზეზებით, არამედ საქართველოს ახალი პოლიტიკური გეზის პრინციპული მიუღებლობით დასავლური („ცივილიზებული") პოლიტიკური ცნობიერების მიერ. ასეთი პრინციპული მიუღებლობის გაცნობიერება ასევე პრინციპულ რეაქციას მოითხოვდა ეროვნული ცნობიერების მხრივ. ან უნდა გვეღიარებინა ეროვნული მოძრაობის გეზის არსებითი მცდარობა და მომხდარიყო მისი კორექცია „ცივილიზებული" სამყაროსათვის მისაღები მიმართულებით, ე. ი. მონახულიყო ახალი მოდელი „ეროვნულობისა" და „დემოკრატიულობის" მომენტთა შეხამებისა; ან არსებითად გამტყუნებულიყო დასავლური სამყაროს პოზიცია, ე. ი. მაინც გადასინჯულიყო ეროვნული მოძრაობის ორიენტაცია, ოღონდ სხვა მიმართულებით: მომხდარიყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეალის „გაბერწრწნება" დასავლური ღირებულებისაგან და გადასულა ეთნიკურ-კულტურული და რელიგიური ფუნდამენტალიზმის პოზიციაზე.

ჩემი აზრით, სწორედ ესაა ყველაზე სიღრმისეული ფენა იმ დაპირისპირებისა, საზოგადოების იმ გახლეჩისა, რომელმაც დეკემბერ-იანვრის გადატრიალება-აჯანყების სახით მიაღწია თავის კულმინაციას. გულუბრყვილობა იქნებოდა, მოლიანად მივენდოთ რომელიმეს დაპირისპირებულ მხარეთა „ოფიციალური იდეოლოგიებიდან": ან იმას, რომ ეს იყო დემოკრატიული იდეებით შთაგონებული ფართო მასების აჯანყება დიქტატურის წინააღმდეგ, ან იმას, რომ „დემოკრატია" მხოლოდ ნიღაბი იყო, სინამდვილეში კი საქმე გვქონდა საერთაშორისო შეთქმულებასთან საქართველოს წინააღმდეგ, რომლის ორგანიზატორებადაც მოგვევლინენ „მასონები" თუ „ევრო-ამერიკული იმპერიალიზმი". მაგრამ ეჭშმარიტების რაღაც მარცვალი ერთ ვერსიაშიც არის და მეორეშიც.

პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლება აშკარად ატარებდა ავტორიტარიზმის ტენდენციას, რომელსაც კანონთარების შემთხვევაში შეეძლო ძლიერი რეპრესიული . რეჟიმისათვის ჩაეყარა საფუძველი. ეს ტენდენცია ნამდვილად იწვევდა ლიბერალურად განწყობილი ელიტის პროტესტს. მაგრამ ლიბერალური ცნობიერების სოციალურ-კულტურული ბაზა საქართველოში თავისთავად მეტისმეტად სუსტი იყო სამისოდ, რომ ავტორიტარული ტენდენციისათვის საკმაოდ მძლავრი კონკურენცია გაეწია. ლიბერალური ღირებულებების გამომხატველ მცირე და დაქსაქსულ პოლიტიკურ ჯგუფებს არ შესწევდათ იმის ძალა, რომ მოეხდინათ მომხრეთა საკმაოდ ფართო მობილიზაცია მზეიდობიან დემოკრატიულ მოძრაობაში; მით უმეტეს ვერ შეძლებდნენ ეს ძალები (რომც მოენდომებინათ) ხელისუფლების ძალით გადაყენება. პრესის თავისუფლების, პიროვნების უფლებათა დაცვის, მით უმეტეს, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, თუნდაც საბაზრო ეკონომიკისათვის გასაჭანის მიცემის მოთხოვნები (ანუ ოპოზიციის „ოფიციალური" მოთხოვნები) თავისთავად ვერ გახდებოდნენ ასე თუ ისე ძლიერი სოციალური მოძრაობის საფუძველი. თავისი შინაგანი ტენდენციებით, საზოგადოებაში გამეფებული მენტალიტეტი, პოლიტიკური ქცევის ჩვეულებით საქართველო უნდა წასულიყო სწორედ იქით, საითაც მიდიოდა — მოფაშისტო-ნაციონალისტური ტიპის ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებისაკენ, ანუ ისეთი რეჟიმის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც ტიპიური იყო ვერსალის ზავის შემდგომდროინდელი ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოებისათვის ევროპაში. ასეთი რეჟიმები იყო მეორე მსოფლიო ომის წინ თუნდაც იმავე ბალტიისპირეთში. ცხადია, ასეთი ვარაუდის შემოწმება დღეს უკვე შეუძლებელია, მაგრამ დასაშვებია იმის შესაძლებლობაც, რომ ასეთი რეჟიმი დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდებოდა „მენშევიკური" საქართველოს ევოლუციის შედეგადაც, მისთვის ბოლშევიკურ რუსეთს რომ „ეცლია". ასეა თუ ისე, ის მაინც ცხადია, რომ „პირველი რესპუბლიკის" შემდეგ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ბაზა საქართველოში ნამდვილად არ გაძლიერებულა. ასეთ პირობებში მოცემული პოლიტიკური რეჟიმის დამხობას იმის გამო, რომ პოლიტიკური ლიდერი თავისი პიროვნული თვისებების გამო ვერ ასრულებდა თავის ფუნქციას და „ვერ უვლიდა" ქვეყანას (რაც ფაქტობრივად ხდებოდა საქართველოში), მხოლოდ ახალი, უფრო კარგად დფუძნებული დიქტატურისთვის უნდა დაედო სათავე.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ევოლუცია არ განისაზღვრება მხოლოდ მისი „შინაგანი", „ობიექტური" კანონზომიერებებით. ამ ევოლუციაზე უდიდეს გავლენას ახდენს პოლიტიკურ-კულტურული ელიტის **ორიენტაცია**. საქართველოს შემთხვევაში, ეს ორიენტაცია, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მაინც, არსებითად პროდასავლური იყო. როდესაც გამოვთქვი ემპირიულად „არამეცნიერული" ვარაუდი, რომ 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა რომ არ დაეკარგა, ამ იქნებ დროთა განმავლობაში მოფაშისტო-ნაციონალისტური ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბებულიყო, ვეყრდნობოდი არა მხოლოდ „შინაგან" ტენდენციებს (მოსახლეობის უდიდეს ნაწილში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო ცნობიერების დეფიციტი, ეკონომიკის განვითარების სისუსტე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის პრობლემები), არამედ იმასაც, რომ ამგვარი რეჟიმები იმ დროს ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობაში იყო გამეფებული და თვით ეს ფაქტი ლეგიტიმაციას შესძენდა საქართველოში შინაგანი ავტორიტარული ტენდენციის განვითარებას: თუ პროგრესულ და განათლებულ ევროპაში ნაციონალისტურ-ავტორიტარული რეჟიმები ჩვეულებრივი მოვლენაა, რატომ არ შეიძლება იგივე იყოს საქართველოში? 90-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელი შინაგანი ავტორიტარული ტენდენცია სტალინიზმის გამოცდილების საფუძველზე კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ ამჯერად იგი აშკარა კონფრონტაციაში შევიდა პროდასავლურ ორიენტაციასთან, რომელიც ისტორიის ამ ეტაპზე უკვე შეუთავსებელი იყო მოფაშისტურ ავტორიტარიზმთან. ამ წინააღმდეგობამ კი, თუ მისი საბოლოო დამარცხება არა, რაღაცნაირი შეზღუდვა მაინც გამოიწვია.

ამ წინააღმდეგობის გაცნობიერება და მის მიხედვით პოლარიზაცია თანდათან მოხდა თვით ზ. გამსახურდიას გარშემო გაერთიანებული მმართველი კოალიციის შიგნით. სწორედ ამ პოლარიზაციამ და არა იმათმა წინააღმდეგობამ, ვინც იმთავითვე ოპოზიციაში შევიდა ახალ ხელისუფლებას, გამოიწვია ამ ხელისუფლების დამხობა. ეს პოლარიზაცია, ცხადია, პრეზიდენტის პირადი თვისებებით და სხვა სუბიექტური მიზეზებითაც იყო გაპირობებული. მაგრამ მხოლოდ ამ მომენტზე მისი დაყვანა არ შეიძლება. სწორედ მოგვიანებით ოპოზიციაში გადასული ძალების ევოლუცია აჩვენებს ზემოთ დახასიათებული კოლიზიის თავისებურებას: ლიბერალური ღირებულებების დაცვა მისი საწყისი პრიორიტეტი რომ ყოფილიყო, ისინი, ცხადია, „მრგვალი მაგიდის“ შემადგენლობაში იმთავითვე არ აღმოჩნდებოდნენ; ავტორიტარიზმის, „ძლიერი პიროვნების“, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვების ეტაპისათვის აუცილებელი მომენტის იდეოლოგია მათთვის შინაგანად საკმაოდ მისაღები და პროდასავლურ ორიენტაციასთან შეთავსებადი იყო. წარმოდგენა ამ შეთავსებადობაზე, როგორც ვთქვით, არც ისე არაკაშკაშა, რადგან, პრინციპულად, აღიფერი არაევროპული ნაციონალურ ავტორიტარიზმში არ არის. უბრალოდ, ამგვარი მიდგომა შეუთავსებელი აღმოჩნდა „დასავლურობის“ თანამედროვე მოდელთან. ეს შეუთავსებლობა თვალსაჩინო გახდა არა რაიმე თეორიული არგუმენტებით, არამედ იმ თითქმის სრული იზოლაციით, რომელშიც საქართველო ეროვნული მოძრაობის მიერ ზოგადად არჩეული მიმართულებისა და, განსაკუთრებით, ზ. გამსახურდიას პოლიტიკის შედეგად აღმოჩნდა.

შესაბამისად, ახალი, არადასავლური, რასობრივი-ფუნდამენტალისტური „იბერიიდან-კავკასიური“ ორიენტაცია (რომელსაც მშვენივრად ეხებიმბოდა ლოგიკურად მასთან თითქოს შეუთავსებელი რელიგიურ-ფუნდამენტალისტური „ანტიმასონური“ მართლმადიდებლური ორიენტაციაც) თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია დასავლეთის მიერ „თავისიანად“ არმიღებაზე. თავდაპირველად ზ. გამსახურდიას ფიგურა არა მარტო არ წარმოადგენდა რაიმე ანტიდასავლურ ტენდენციას, არამედ, პირიქით, სწორედ ეროვნული მოძრაობის დასავლურ ღირებულებებსა და პოლიტიკურ ძალებზე ორიენტაციის სიმბოლოც იყო: ჰელსინკის მოძრაობის ლიდერი, ევროპული ენების მცოდნე კარგ სიმბოლურ კომპლექსს ქმნიდა ისტორიული რომანების ავტორის, ასევე ევროპულად განათლებული მწერლის შვილთან. ევროპული ორიენტაციის ზოგადი აღიარება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ, მიუხედავად ზემოაღნიშნული ავტორიტარული ტენდენციებისა, „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობის ფასადური მხარე მაინც და ერიდებოდა მისი ძირითადი ელემენტების (მრავალპარტიული პარლამენტი, თავისუფალი პრესა) ბოლომდე ჩახშობას. ამიტომ, მიუხედავად ოპოზიციის მტკიცებისა, ნამდვილი დიქტატორული რეჟიმი მის დროს არ ჩამოყალიბებულა. ანტიდასავლურ ტენდენციას აშკარად მიეცა გასაქანი მხოლოდ საბოლოო პოლიტიკური დაზარცხების შემდეგ, როცა „კრემლის აგენტებსა“ და „პრო-კომუნისტური ძალებს“ სახე მასონებისა და ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის მიერ ორგანიზებული **მსოფლიო შეთვმულების** ვერსიამ შეავიწროვა (რაც უკვე პირდაპირი პლაგიატია უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე რუსული ეთნიკურ-კულტურული ფუნდამენტალიზმისაგან).

ახალი ქართველი ფიგურა, რომელმაც ქართული პოლიტიკური ცის კაბადონზე ზ. გამსახურდია შეცვალა, უფრო წმინდა სახით გამოხატავს საქართველოს დასავლური ორიენტაციის იდეას. მის უკან დგას **უკვე მოპოვებული** აღიარება „ცივილიზებული სამყაროს“ მხრიდან. ეს კი საზოგადოებისათვის იმდენად მომხიბლავი აღმოჩნდა, რომ რადიკალური ანტიკომუნიზმიდან მოსული ძალების თვალშიც კი ე. შევარდნაძის კომუნისტურ-აპარატული წარსული გადასწონა. სწორედ დასავლეთის მიერ ეს აღიარება ანიჭებს ლეგიტიმურობას მის პრეტენზიას — იყოს საქართველოში დემოკრატიული ტრანსფორმაციის გარანტიც.

ამაშიც ჩანს ამგვარი ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა და მოტივი: არა იმდენად საზოგადოების წოდაში მომწიფებული შინაგანი მოთხოვნილება, რამდენადაც განათლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიტის იმპერატიული მოთხოვნა — საკუთარი ქვეყანა თანამედროვე სტანდარტების დონეზე (ამ სტანდარტების აივიანებისაკენ მიმავალ გზაზე მაინც) იხილოს. პოსტ-გამსახურდიული საქართველო იხლიჩება ორ საწინააღმდეგო პოლუსს შორის: ერთი მხრივ, მას ძლიერად ეწევა თავისკენ შინაგანი ავტორიტარული ტენდენცია (ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები, „ფართო მასებზე" რომ არაფერი ვთქვათ, თვით „გამსახურდიული ფაშიზმის" წინააღმდეგ ნაბრძოლ განათლებულ ელიტაშიც კი არცთუ ძლიერია), მეორე მხრივ კი „ცივილიზებული საძეაროს" წევრობის სურვილი. გამსახურდიას ტრაგიკომიკური ფიგურის განდევნა მხოლოდ აღრმავებს ამ საკვანძო წინააღმდეგობას.

ანტიკომუნიზმი და ანტიიმპერიულობა

პოსტ-კომუნისტური ეროვნული მოძრაობების თავისებურება დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ყველა შემთხვევაში, ერთის გარდა, **ეროვნული** (ანტიიმპერიული) **მოძრაობა და კომუნისტური** სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა ერთმანეთს ემთხვევა. მართალია, თვით კომუნიზმის იდეა ევროპული წარმოშობისაა, რეალურად იგი პირველად რუსეთში განხორციელდა და სხვა ქვეყნებში სწორედ რუსეთის მიერ იყო ექსპორტირებული სამხედრო ინტერვენციის გზით. ამიტომ ამ ქვეყნებში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნულ ელფერსაც ატარებდა: ეს იყო ბრძოლა არა, უბრალოდ, „ცუდი", არამედ უცხო ქვეყნის მიერ თავსმოხვეული პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ. მისი დაძლევის ამოცანა უიგივდებოდა უცხო ქვეყნისმიერი ოკუპაციის დაძლევას, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამოიგავ, პოსტ-კომუნისტურ სამყაროში გვაქვს ეროვნულობისა და კომუნისტური რეჟიმისადმი დამოკიდებულების ორი სხვადასხვა მოდელი — რუსული და არარუსული (კომუნისტური წყობა, მაგალითად, ჩინეთში ან კუბაში არ იყო რუსეთის პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის შედეგი, მაგრამ ამ ქვეყნებში იგი ჯერ კიდევ არ გადავარდნილა. იქნებ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მას უცხო ძალის მიერ თავსმოხვეულის ელფერი არა აქვს, ამიტომ ჩინურ ან კუბურ პოსტ-კომუნისტურ ცნობიერებაზე მსჯელობაც ნაადრევია). არარუსული მოდელის ნიშანი ისაა, რომ აქ კომუნისტური რეჟიმის გადაგდების ამოცანა არსებითად გადაფილულია იყო იმით, რომ ანტიკომუნისტური მოძრაობის ენერგია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ენერგიას ერწყმოდა. ამ ორი მომენტის თანაფარდობის ზუსტი გაზომვა, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეროვნული ლოზუნგების მამობილზებული ძალა უმეტეს შემთხვევაში სჭარბობდა საკუთრივ ანტიკომუნისტური მოწოდებებისას. ამ აზრით, ნაციონალიზმმა უეჭველად კოსტრუქციული როლი ითამაშა კომუნისტური წყობის დანგრევაში.

ამ დამთხვევას მეორე მხარეც აქვს. იმ რეალური ფაქტის გაცნობიერებამ, რომ კომუნისტური რეჟიმი ამ ქვეყნებში უცხო ძალის მიერ თავსმოხვეული იყო, შექმნა იმის ილუზია, რომ ეს მოცემული ქვეყნებისათვის თუ საზოგადოებისათვის შემთხვევითი, **გარეგნული** მოვლენაა, და რომ თავიდან მის მოსაშორებლად საკმარისი იქნებოდა საკუთაკეთო ძალების გაყვანა (ან ნეიტრალიზება) და მათი ნების გამტარებელი ეროვნული მეხუთე კოლონის — პარტიული ბიუროკატიის თანამდებობებიდან გადაყენება. მაგრამ ის, რომ ინფექცია ორგანიზმში გარედან შეიჭრა, სულაც არ აადვილებს მასთან ბრძოლას. კომუნისტური იდეოლოგია და მმართველობის შესაბამისი ფორმა ადგილობრივ ნიადაგზე ყოველთვის პოულობს ელემენტებს, რომლებთანაც რეაქციაში შედის და რომელთაც თავის საყრდენად აქცევს. ამის შედეგად იდეოლოგიზებული ცნობიერება ამა თუ იმ ფორმით მსჯველავს საზოგადოების ყველა ფენას და ეროვნული ცხოვრების რეალობად იქცევა. ამ რეალობის დასაძლევად კი პოლიტიკური ცვლილებები (კომუნისტური პარტიისათვის ძალაუფლების ჩამორთმევა) მხოლოდ პირველი ნაბიჯია და ამ ნაბიჯის ვადადგმა სულაც არ არის კომუნისტური ინფექციისაგან ნამდვილი განთავისუფლების გარანტია. ნამდვილი განთავისუფლება მეტად ხანგრძლივ ფიზიკურ და სულიერ ძალისხმევას, როგორც ეკონომიკური სტრუქტურის, ისე სულიერი კონსტიტუციის ძირფესვად გარდაქმნას მოითხოვს, რასაც შეიძლება თაობები დასჭირდეს.

ამგვარი ძირფესვიანი ტრანსფორმაციის ამოცანა საზოგადოების ყველა ფენისაგან და ცალკეული ინდივიდებისაგან მოითხოვს რეალური ვითარებისათვის პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას. მაგრამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების ჩვეული დაკარგვა არის სწორედ კომუნისტური წყობის სულიერი მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. კომუნისტური ბაცილის პრინციპული გარეგნულობის იდეოლოგია საუცხოო დასაყრდენს აძლევს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ამ ბუნებრივ იმპულსს. ფსიქოლოგიურად გაცვლებით კომფორტულია ყველა არასასურველი და „ამოსაძირკვი" მოვლენის ტრის ხატად დაკავშირება. თავდაპირველად ეს გარე მტერია, მაგრამ შემდეგ იგივე ფუნქცია შიგა მტრებს ენაჭება. ხდება ტოტალიტარული ცოდვისათვის პასუხისმგებლობის პროცესი ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე თუ ინდივიდებზე. ამის გამოხატულებაა „ებულიანებზე ნადირობა", პარადოიდული შეთითმანია, რეალური პოლიტიკური პრობლემების მტრულ ძალთა ფარული შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულებებით ახსნა და სხვა მოვლენები, ეგზოტ დამახასიათებელი პოსტ-კომუნისტური ცნობიერებისათვის.

რაც შეეხება რუსეთს, აქ სურათი უფრო რთულია. რუსული სახელმწიფოებრიობის ტრადიცია იმპერიულია, სხვა ტრადიცია რუსეთს არა აქვს. რუსეთმა არა მარტო პირველმა განაცხადა კომუნისტური ექსპერიმენტი, არამედ, როგორც ჯერ კიდევ ბერდიაევმა აღნიშნა, იმპერიულ-მესიანისტურმა ტრადიციამ ახალი სიცოცხლე შეიძინა იმით, რომ რუსეთი იქცა კომუნისტური სამყაროს ლიდერად. კომუნისტური იდეოლოგიის თანახმად, იგი ამით მსოფლიო პროგრესის სათავეში აღმოჩნდა. კომუნისტური იდეის გავრცელება იმავდროულად რუსეთის იმპერიის გაფართოებასაც ნიშნავდა; თავისი გავლენისა და ძლევამოსილების უმაღლეს წერტილს რუსეთის იმპერიამ სწორედ **საბჭოთა** კავშირის სახით, **კომუნისტური** იდეის **წყალობით** მიაღწია.

მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირი მაინც იგივე არ იყო, რაც რუსეთის იმპერია — თუნდაც იმიტომ, რომ „რუსეთის იმპერია“ აღარ ერქვა. ფორმალურად, ეს იყო ზეეროვნული ფედერაციული სახელმწიფო, სადაც „რუსეთის“ სახელის მქონე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ესტონეთთან და ყირგიზეთთან თანაბარი სტატუსით შედიოდა. ამ უკანასკნელთ ეროვნული სახელმწიფოებრიობის რაღაც ნიშნები ქქონდათ. ეს ნიშნები, ასე თუ ისე, ხელს უშლიდნენ რუსიფიკაციის ტენდენციას, ხელს უწყობდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების შენარჩუნებას ან ჩამოყალიბებას. მართალია, შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილი ეროვნული მოძრაობები ამ ნიშნებს ფორმალურად მიიჩნევენ, მათი რეალური მნიშვნელობა მაინც საკმად დიდი იყო: საბოლოოდ საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე შექმნილი სახელმწიფოები სხვა არაფერია, თუ არა ყოფილი თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკა. პირველი პროლეტარული სახელმწიფოს არქიტექტორთა მიერ გავლებულ საზღვრებში. რუსეთის იმპერიის პატრიოტები იმთავითვე ხედავდნენ რუსეთის ეროვნულ რესპუბლიკებად დანაწევრების საფრთხეს, განიცდიდნენ მას როგორც იმპერიის ნგრევის დასაწყისს და, როგორც გაირკვა, არც მოტყუებულან.

ყოველივე აქედან ვამბობთ, რომ რუსეთის პოლიტიკური ზრაფვების ფუნდამენტალისტური („სლავოფილური“), ანტიდასავლური, ე. ი. ანტილიბერალური მიმართულების ამბივალენტური დამოკიდებულება კომუნისტური ფენომენისადმი. თავდაპირველად, ის ამ ტრადიციაში აღმული იყო როგორც ურიული ვირუსი, გამიზნული რუსი ერის გადასაგვარებლად და მოსასპობად. მეორე მხრივ, რუსეთის და საბჭოური იმპერიების პრაქტიკული მემკვიდრეობითობის ფაქტიც უდავო იყო. ყოველ შემთხვევაში, როდესაც დაიწყო კომუნისტური სისტემის და მასთან ერთად ჯერ „სოციალისტური ბანაკის“, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის დაშლა, საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა კომუნისტებისა და „პატრიოტების“, ანუ „წითელ-მიხაილოვური“ კოალიცია, რომელმაც სწრაფად შეაფასა გარდუვალი კავშირი კომუნისტური სისტემის ნგრევასა და მრავალეროვანი იდეოლოგიური სახელმწიფოს დაშლას შორის. შემთხვევითი არ არის, რომ თუმცა მრავალ პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაში შეიმჩნევა ნოსტალგია კომუნისტური პერიოდის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილობაზე, რუსეთი ერთადერთი იმთავანია, სადაც წითელი დროშის ქვეშ ანგარიშგასაწევი პოლიტიკური მოძრაობის მობილიზაცია გახდა შესაძლებელი. მართალია, ზოგ-**ერთ ქვეყანაში** (პოლონეთი, საქართველო, ლი-**ტვა) ყოფილი** კომუნისტების საარჩევნო რეგანში მოხდა და მათმა მოწინააღმდეგეებმა ეს „წითლების“ დაბრუნებად შერაცხეს, ასეთი კვალიფიკაცია უფრო პოლიტიკური რიტორიკის სფეროს განეკუთვნება და რეალობის სწორ შეფასებად ვერ ჩაითვლება: ამ შემთხვევაში ყოფილ კომუნისტებს უარი აქვთ ნთქვამი კომუნისტურ იდეოლოგიაზე და დასავლურ სოციალ-დემოკრატიულ მოდელებზე იღებდნენ ორიენტაციას. საკუთრივ კომუნისტური რესტავრატორული ძალები აქ ვერავითარი გავლენით ვერ სარგებლობენ. რუსეთში კი გვაქვს მეტ-ნაკლებად ძლიერი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ღიად აყენებს სწორედ კომუნისტური რეჟიმის რესტავრაციის მოთხოვნას. ამ ფაქტის ერთადერთი ახრიანი ინტერპრეტაცია სწორედ ისაა, რაც უკვე ვთქვეთ: რუსულ ცნობიერებაში კომუნისტური რეჟიმი იმპერიულ სახელმწიფოებრიობასთან და მსოფლიოს ლიდერობის მესიანისტურ პრეტენზიასთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში იგი უცხო ოკუპაციის ძირითადი სიმბოლო იყო.

მეორე მხრივ, რაკი „ეროვნული მოტივი“ იმპერიული და ფუნდამენტალისტურ-ანტიდასავლური ძალების მიერ მონოპოლიზებული აღმოჩნდა, რუსეთის დემოკრატიული მოძრაობა ეროვნულ კომპონენტს მოკლებული დარჩა. ეს, ერთი მხრივ, უფრო ლიბერალურად აქცევდა მას, მაგრამ მეორე მხრივ მასების მობილიზაციის უნარს უსუსტებდა. ამის მაგვრად, მასების მობილიზაციის მიზნით აქ უფრო მეტად გამოიყენებოდა სოციალურ-პოპულისტური, გამთანაბრებელი მოტივები: რუსეთის მომავალი პრეზიდენტის ელცინის პირველ გამარჯვება არჩევნებში ძირითადად კომუნისტური ბიუროკრატიის პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით მოხდა, რამაც თავდაპირველად მის მიმართ ლიბერალური ელიტის უნდობლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწვია. რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის „აჯაროვნული“ ხასიათი განაპირობებდა მის ორჭოფულ დამოკიდებულებას სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობებისადმიც. ერთი მხრივ, მისთვის გაუგებარი იყო შინაგანი კავშირი ეროვნულსა და დემოკრატიულ იდეებს შორის, და ეროვნულ მოძრაობებს ეჭვის თვალით უყურებდა. მეორე მხრივ, შიში იმპერიულობის ბრალდებისა და რეაქციონერებთან ერთ ბანაკში აღმოჩენის წინაშე აიძულებდა, შეეწყნარებინა (თუმც უხალისოდ) ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ამასთან ერთად, ეროვნულობასა და დემოკრატიას შორის შინაგანი კავშირის დაუნახავობის ფონზე და მის შედეგად რუსეთის დემოკრატიულმა მოძრაობამ იმპერიულობის ლიბერალური კომპონენტი შეინარჩუნა: იგი იჩემებდა და იჩემებს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ, შემდეგ კი უკვე ახალ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებში ეთნიკური უმცირესობების უფლებათა უპირატესი გარანტის როლს.

მაგრამ თვით პოლიტიკური მოძრაობის პრაქტიკა **აიძულებს** რუს „ზანადნიკებსაც“, რუსეთის ეროვნული სახელმწიფოებრიობის კონცეფცია შექმნან. ეს „იძულება“ **გამოჩნდა ჯერ** კიდევ მათი ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში: რაკი მასობრივი დემოკრატიული მოძრაობის ორგანიზაციები ბალტიის რესპუბლიკებში შეიქმნა („სახალხო ფრონტები“) და ეს მოძრაობები ყალიბდებოდნენ „ცენტრისგან“ (საკავშირო ხელისუფლებისაგან) დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რუსეთის დემოკრატიულმა მოძრაობამაც მისთვის ერთი შუხედვით აბსურდული იდეა აიღო საფუძვლად: რუსეთი მოითხოვდა დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირისაგან (ანუ საკუთარი იმპერიისაგან). ამ ბრძოლის ნამდვილი მნიშვნელობა დიდხანს გაუგებარი რჩებოდა თვით რუსი დემოკრატებისათვის და დასავლელი დამკვირვებლებისთვის, რადგან ფასდებოდა, როგორც მხოლოდ ძალაუფლებისათვის პიროვნული ბრძოლა ელცინსა და გორბაჩოვს შორის. მაგრამ მას შემდეგ მაინც, რაც ეს ბრძოლა ელცინის გამარჯვებით და, მაშასადამე, საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა (არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ამ სახელმწიფოს დაშლა ელცინის და რუსი დემოკრატების მიზანს სულაც არ შეადგენდა), გამარჯვებული მხარე დადგა იმ ამოცანის წინაშე, რომ შეექმნა რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალი, არაიმპერიული კონცეფცია (ან თუნდაც სხვაგვარი ტიპის იმპერიული სახელმწიფოებრივი კონცეფცია). ეს ამოცანა მეტისმეტად რთულია და რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება აშკარად მოუმზადებელი დახვდა მას.

დღეს ამ კონცეფციის შექმნის მეტად მტკივნეული და, ხშირად, ირაციონალური პროცესი მიმდინარეობს. ეროვნული ცნობიერება ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება: თვითგვემიდან („ჩვენ მონების ერი, არასრულფასოვანი საბჭოთა ადამიანები ვართ“) ახალ სიამაყემდე და „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ლოზუნგის გამოცხადებამდე, ოღონდ ეს ლოზუნგი ხანდახან ისევ ძველ იმპერიულ იერს იღებს და „განუყოფელი რუსეთის“ საზღვრებში რატომღაც ყირიმი, დნესტრისპირეთი ან საქართველოს ზოგიერთი ტერიტორია აღმოჩნდება; მეორე მხრივ, ლიბერალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი (სტაროვოიტოვა, ბონერი და სხვ.) რუსეთის ფედერაციასაც იმპერიად მიიჩნევს და შესაძლებლად თვლის იმ ავტონომიური რესპუბლიკების „გაშვებას“, რომლებიც ამას დაენებით მოითხოვენ. რუსეთის დაშლა, ზოგი ეზრიდნ, საგანგაშო სულაც არ არის, მეტიც, ზოგი ლიბერალი სრულიად მშვიდად უყურებს რუსეთისგან, ვთქვათ, ციმბირის ჩამოშორების პერსპექტივას. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმავე მოღვაწეებს, მოუწოდონ რუსეთის ხელისუფლებას აქტიურად დაუჭირონ მხარი სხვა „ნარჩენი იმპერიების“ დაშლასაც, რითაც რუსეთი ობიექტურად ისევ იმპერიულ როლს იბრუნებს. პრაგმატიკოსები (თვით ელცინის მეთაოლობით) თანდათან, სხვა პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების მიბაძვით, მიდიან რუსეთის ფედერაციის არსებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მარტივ იდეამდე, — მაგრამ იგივე ელცინი ხომ ცოტა ხნის წინათ ეუბნებოდა თავის ავტონომიებს, რაც-დენ სუვერენიტეტსაც მოინელეთ, იმდენი წაიღეთო, რაც ზოგმა ავტონომიამ საკმაოდ სერიოზულად მიიღო და განაცადა, რომ მშვიერივად მონელებს სრულ დამოუკიდებლობასაც. შედეგს თუ არა რუსეთი დაიბრუნოს ურჩი ავტონომიები, რომლებმაც უკვე გაიგეს სუვერენიტეტის გემო? ძალის გამოყენების გარეშე, როგორც ჩანს, ვერ შეძლებს. მაგრამ ძალის გამოყენება ახალ სიღრმეს შესძენს რუსეთის იდენტობის კრიზისს. პრობლემა: სად **მთავრდება** რუსეთი — კვლავ საბედისწერო რჩება მისთვის.

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობების ძირითადი კანონზომიერებები კომუნიზმის ნგრევის ეტაპზე არსებითად არ განსხვავდება სხვა ეროვნული მოძრაობებისაგან, რომლებმაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს რუკა არსებითად შეცვალეს. ეროვნული ოვითდადგენის და დემოკრატიული პოლიტიკური ერთობების ჩამოყალიბების პროცესი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის დაკავშირებულია კონტინენტური იმპერიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნგრევასთან, ყოველთვის მტკივნეულია. ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ის მექანიზმები, რაც ასე თუ ისე არბილებს ეროვნული პრობლემების მტკივნეულ ხასიათს (საბოჭალაკო საზოგადოების ინსტიტუტები, პოლიტიკური ქცევის წესები, ეკონომიკური ინტერესების გაცნობიერებაზე აგებული რეალისტური აზროვნება) პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებაში კიდევ უფრო სუსტია. კომუნისტური სისტემის ნგრევა ტოვებს ატომიზებული, სოციალურად უმწეო ინდივიდების ერთობლიობას, რომელთაც თავიანთი სოციალური წევრობის გრძნობის დასაფუძნებლად თითქმის არაფერი გააჩნიათ ეროვნული ცნობიერების გარდა, თანაც ესეც უფრო ხშირად ეთნიკურ-გვაროვნული ცნობიერების სახით გვევლინება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ძნელი საფიქრებელია, რომ პოსტ-კომუნისტურ სივრცეში უკვე ჩამოყალიბებული თუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული კონფლიქტები მალე გადაიჭრება. საამისოდ ამ საზოგადოებებს მეტად მწირი შინაგანი რესურსები მოეპოვებათ. იმის იმედი, რომ „ადამიანები გონს მოეგებიან“, ცხადია, არასერიოზულია. გამაშუალებელ-შემრიგებლური საერთაშორისო ინიციატივები უფრო კონფლიქტების კონსერვაციას ახდენს, ვიდრე მათ გადაწყვეტას. როგორც ჩანს, მსოფლიოს ეს ნაწილი ერთხანს მაინც დარჩება ეთნოპოლიტიკური არასტაბილურობის ზონად.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ახალი სტაბილური სისტემის ჩამოყალიბება დაკავშირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი მენტალიტეტის საკმარისად ღრმა ცვლილებებთან. ასეთ ცვლილებებს საზოგადოდ საკმაოდ დიდი დრო უნდა, მაგრამ ისტორიული დროის ერთგვარი „დაპრესილობის“ ხანაში ისინი შეიძლება შედარებით მალე მოხდეს. დიდი როლი ენიჭება დასავლური სამყაროს პოზიციას — არა იმდენად მისი უშუალო ჩარევის, რამდენადაც მაგალითის, ორიენტირის მომცემის სახით. განსხვავებით საუკუნის პირველი ნახევრისაგან, დღეს აგრესიული ნაციონალიზმი საკმაოდ არაშოდური რამეა, მოდას კი ადამიანებისთვის ყოველთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რაციონალურ არგუმენტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ზარნაძე

გაშმორეა სიზმარი, ღმერთო!

დიდ გალაკტიონზე მსმენია, წაუკითხავი არაფერი გამორჩენებოდაო. ზაურ ბოლქვაძის ენერგიაც შესაშურია ამ მხრივ — რომელ გზეთშიც უნდა გამოაქვეყნო, თუნდაც მინიატურა, შეგხვდება და აუცილებლად შეგიქებს! ყოველ შემთხვევაში, გაგრძნობინებს, რომ წაკითხული აქვს. ხოლო, ამავე დროს, თუ მოეწონა კიდევაც, მაშინ ხმა: „გმადლობ, მეგობრის ლექსო, თავალი რომ ამიცრემლე, გული რომ დამიწყნარე, სული რომ დამისვენე! რომ გამახსენე ჩემი ახალი, სოფელი, ეზო! რომ შემაყვარე თავი, გმადლობ, მეგობრის ლექსო!“

„ყოველ ღამე მესიზმრები, ბიჭო, წამოვჯდები საწოლზე და ვტირი. წერილს არ მწერ, სიტყვას არ იმეტებ, მე შენს ამბავს სხვებისაგან ვიგებ. თუ მოიცალი, მნახე, შვილო, ერთხელ და მე მოგცემ გზის ფულს აქეთ-იქეთ“.

ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, შუა აზიაში ბედის უკუღმართობით გადასროლილ ახალგაზრდა კაცს, სწორედ ზაურ ბოლქვაძის პირველმა, პაწაწკინტელა წიგნმა „ლელვის დასაწყისმა“, ნოდარ დუმბაძისა და ოტია იოსელიანის პირველმა მოთხრობებმა და ფრიდონ ხალვაშის მაგიურმა „გენაცვალემ“ დამძალა და ლამის ჯიბეგახვრეტილი დამაბრუნა საქართველოში!...

ხარბად ვკითხულობდი დ. თითქმის ზეპირად მახსოვდა „ლელის ციკლი“. ალბათ, იმიტომ, რომ უდედოდ გაზრდილი, ყოველ სტროფს ვითავისებდი და, თუ რამე მშურდა მათი ავტორისა, ის იყო, რომ დედამისი მის დავაჟკაცებას მაინც მოსწრებოდა! კერძოდ ის, რომ ლირიკული გმირი დედასთან ერთად სწევდა ქვრივ-ობლის მძიმე ჯაპანს: „შენ შუაღლი გქონდა იმ ღამეს ცხელი და გატეხილი იყავი წელში... შენ გაშრებოდა თვალებზე ცრემლი, მე ვკანკალებდი იმ გაშშალ ცრემლში. იცრემლებოდა მბაუტავი ცეცხლი, ბვცოოდა ცეცხლის ჩაქრობის შიშით ... ხურდებოდა პატარა კეცი უკანასკნელი ღერებით ფიჩხის... ჭერს ჩვენი დიდი წაბლის ხის ქოხის ჩურჩხელასავით ეკიდა მშვარტლი, მე ვაგროვებდი ნაკვერჩხლებს ჯოხით და ვაფიცებდი ნატეხებს მჭადის. ქარი ებრძოდა მორყეულ ჭიშკარს და ჭრიალებდა კედლები ქოხის, მელანდებოდა წითელი ჭინკა და ქურდი ჩვენი მეწველი ძროხის. შენ ჩაგქრობოდა თვალებში შუქი და გქონდა შუბლი სველი და ცხელი, გოგში ახსამდი გამთბარ წყალს თუნგით, ცომს ზელდი ჩუმად, სიცხიან ზელით, მიჩვენებოდა, რომ ახლოს, სადღაც, ვიღაც უსტვენს და თამამად დადის, შენ ჩაპაყურებდი ნაკვერჩხლებს ჩამქრალს და გამოცხობას უცდიდი მჭადის. იყო ქარი და არ იყო მთვარე, მე ვერ ვბედავდი, შენთვის რომ მეთქვა, თან მეშინოდა გამოსვლა გარეთ და ვფიქრობდი მთელ ღამეს თეთრად... შენ დილით შუბლი გიხურდა ისევ, მაინც ამბობდი — „დღეს არა მიშავს“!, ყამს მიმწუხრისას გიმატა სიცხემ, შეგიპყრო ჩემი ობლობის შიშმა!“.

ეროვნულისტიკის განყოფილებაზე სწავლისას ზედიზედ ორჯერ მომიწია ეროვნულ „ნიანგში“ პრაქტიკამ. ეს მართლაც ჩემი მეორე უნივერსიტეტი იყო. იმხანად უკვე ნოდარ დუმბაძე რედაქტორობდა მას, ხოლო პასუხისმგებელი მდივანი ზაური გახლდათ, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დავეხაჭმენე პრაქტიკანტი, რათა მეცამეტე გოკად არ მეგრძნო თავი — ხან რედაქციაში შემოსულ წერილებს გადამარჩევინებდა და, რომელიც მომეწონებოდა, პასუხს მაწერინებდა ერონალში გამოსაქვეყნებლად (იმ ანგარიშით, რომ ჯიბედაფუტაული და თმაშეთხელებული სტუდენტი კაცისათვის ჰონორარი გამოეწერა!..), ხან შემეხვეწებოდა — მომეზმარე, ძაბა, კაცურად და ამ წერილს შენებურად გაჰკარი ზალაშინოო!..

ერთხელაც იყო მწერალმა ქიშვარდი ისაკაძემ, არ მახსოვს, რასთან დაკავშირებით (იქნებ არც არაფერთან!). შესვენების დროს პუო-ღვინო მოიტანა რედაქციაში — მრგვლად მოხარშული დედალი, მწვანილი, მყავე, ხაჭაპურები და ღვინო. შეუდგნენ ტრაპეზს: ნოდარი, ზაური, დაუვიწყარი გიგლა ფირცხალავა, მიშა კუხალაშვილი, გარი მეტრეველი და, რასაკვირველია, რედაქციის უბერებელი მდივანი ქ-ნი სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია ციციშვილი. მე მოშორებით ვიჯექი კუთხეში და გაზეთს ვათვალიერებდი. უმალვე შემნიშნა ნოდარმა და სუფრასთან მიმიწვია. მწვანილს წავეტანე და უნდილად დავუწყე კიკნა. მკლავში მომკიდა ხელი ნოდარმა — კაცურად ჭამე, ძამა, ანეტიტს ნუ გვიფუჭებო!.. ზაურმა მიუგო: ნოდარი, ძამა, აი პრაქტიკაზეა ჯერ, აცალე პაწა და, ნამდვილი ნიანგელი რომ გახდება, ჭამა იქნება აქეთ გვასწავლოსო!.. გულიანად გაიცინეს. გამბედაობა შემემატა და, როდესაც მშობლებისა თქვეს, ზაურს ვკითხე, რომელ კურსზე იყავი, დედა რომ გარდაგეცვალა-მეთქი. დედაჩემს რა მოკლავს, ძამა, კაჟიეთაა ქალი და, შეიძლება ისეც მოხდეს, მე გავასწროო!.. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა და, თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა. ნოდარს ჭინკები მოეძალა თვალებში და მეუბნება — ეს შენ ზაურ ბოლქვაღე ხომ არ „გგონია, ბათუ მელიაა! პირი დავაღე და ახლა ქიშვარდი შემეშველა — რა მოხდა მერე, ამ კაცმა ახლა მაინც გაიგო, ზაურმა რომ ცოცხალი დედა საქვეყნოდ გამოიტარა, ხალხი კი აზრზეა არააო!.. მართლაც, მას შემდეგ კაი ოცი წელიწადი იცოცხლო ქალბატონმა კეხარიან და დღესაც მსიამოვნებს იმის მოგონება — ცოცხლად რომ ვიხილე ის ადამიანი, ვისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსებს ყელში ბურთგაჩრილი ვკითხულობდი შორეულ თერმეზში. „რატომ ამიკრძალე თვალები ცისფრად? რატომ გამიყინე მე თოვლი თმებში? რატომ ჩაიწია საფლავის მიწა ამ თეთრი აპრილის თვეში? რატომ ჩაიწნიქა საფლავი შენი? რისი ბრალი არის ნეტავ? აპრილის ჰაერი, ყვავილთა მტვერით, ხომ არ ჩაისუნთქე. დედავ?!"

როგორც ტარიელ ჭანტურია ბრძანებს: „ალბათ, არავის, თვით ტერენტი გრანელსაც კი, არ უხსენებია იმდენჯერ სიტყვა „სიკვდილი", რამდენჯერაც ზაურ ბოლქვაძეს". სხვათა შორის, იმავე „დედის რკალში" გაერთიანებული საკუთარ სიკვდილზე დაწერილი, არანაკლები გზნებითა და გაბედით აღბეჭდილი რამდენიმე ლექსი. „მე მალე აღარ ვიქნები, ალბათ, და მომირჩება ყველა ტკივილი... გამოაკერებ ჩემს წითელ საბანს შენ ახალთახალ ხარჩოს ტირილით". რა თქმა უნდა, დედას მიმართავს! თანაც საუცხოო პოეტური სახეა — ცრემლებით დანამული ხარჩული სულ სხვა ფერს იღებს!..

ერთი სიტყვით, პოეტი იმდენად გაუშინაურდა სიკვდილს, თითქოს ისიც შეუძლია, დააჩოქოს ან, პირიქით, დაადვიანოს იგი!.. მისთვის სიკვდილი და სიცოცხლე ერთი მთლიანობაა, ერთი სამყაროს ორი ყველზე დაშორებული წერტილი. და თუ ადამიანს სიცოცხლიდან სიკვდილში წასვლა სახიამოვნო ემოციებს არ ჰგვრის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეძნელება შეჩვეული ადამიანების მიტოვება.

მაშ, სიკვდილი თუ სიცოცხლე? ამ ალტერნატიულ თემას არაერთი პოეტი დასტრიალებდა იმთავითვე. შოთა ნიშნიანიძეს ერთ შესანიშნავ ლექსში ასეთი პასუხი გასცა ამ კითხვას: „შენ თუ მკვდარი ხარ და მე ცოცხალი, ვისთვის უფროა ღმერთი მოწყალე, თუ არ გავამხელთ, გვიჯობს!" („ცოცხალმა იკითხოს!"). მაგრამ: „გადაუარა ბალახმა საფლავს — სიცოცხლის წერტილს!.. შენ ჩემთვის როგორ არა ხარ, მე აღარა ვარ შენთვის!" — გარდაცვლილი უფრო ებრალვის ზაურს („მკვდარმა იკითხოს, თორემ...").

წელან ვთქვი, ზაურმა იმდენად გაიშინაურა სიკვდილი, რომ მისთვის სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლა (გინაც, პირიქით) თითქოს ზალიდან შუშაბანდში გასვლასა და უკანვე შემობრუნებას უდარს: „მომენატრება სიკვდილი — წავალ!.. მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!" არც მეტი, არც — ნაკლები! მაგრამ, ეს რომ გვეროდეს (ასევე, არც მეტი, არც — ნაკლები!), უკვდავებასთან წილნაყარი უნდა იყო!.. ხოლო თუ პოეტს დავუჯერებთ, აგე, რას გვიმტკიცებს თავის დედოლექსში, „ავტოპორტრეტში": „ჩემგან შორს არის არდადგეწყება და უკვდავების მკრთალი ლანდები, მე ამ პატარა ლექსში ვიწყები და ამ პატარა ლექსში ვთავდები!.." ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც გეძნელება ერწმუნო პოეტის სიტყვებს!..

ცნობილია, დიდი დავით კლდიაშვილი როდესაც დაძაბუნდა და ლოგინად ჩავარდა, მეხსიერებამაც ერთობ უღალატა. „სამანიშვილის დედინაცვალი" წაუკითხეს ერთხელ, იქნებ ამან უშველოსო!.. მომკვდარა სიცილით, ვიღაცაა, რა კარგად დაუწერიაო!.. კლდიაშვილთან ვინ რა შესაადარებელია, მაგრამ მეხსიერებადაქვეითებულ კაცს ადვილი შესაძლებელია, ბოლქვაძის „ლილეო" ასათანასა ეგონოს: „ეს ხარჩრაში აბღავლდა, თუ მეხი მეხობს მთავარი? მოიხარეთ, უშმა რაღაა, თუ ეს უბრალო მთა არი?! ვინ ზარცა იავნანურით ეს ამირანი კლდეგანი? თუ ეს კოშკია სვანური, რაღაა კოშკი ნუსტანის?! ცაზე ღრუბლთა ფთილები, გაფრენილ მერნის ფაფარი... თუკი ეს სინამდვილეა, რაღაა მაშინ ზღაპარი?!" მართლაც!

ან რომელი ტატანი არ მოაწერდა ხელს ამ თვალმარგალიტ სტროფს: „მაოცებს მთანი დაჭანღებულნი და ცაში მათი ღამის თევანი. მთა არის მიწა აჭანყებული, დედამიწაზე დაუტეკვარი"! ბარემ აქვე: „მარადისთას მიანათეს ტატოს თვალებმა, მარადისობაც დაეწაფა მის თვალებს ხარბად. ტატოს ფეხთაქვეშ დედამიწა დატორტმანებდა, კოჭლიც ამიტომ ეგონათ, ალბათ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკული ამბავი ვუამბე ერთხელ საკმაოდ ცნობილ რუს ლიტერატორს, ახე და ახე, თქვენებური ტურისტი ქალი იბრძოდოდა შავ ზღვაში, გურამმა გადაარჩინა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ დაიხრჩობოქანი. ცურავა არ ეცოდინებოდა და გული გაუსკდებოდაო, ამიხსნა. მეტი უმადურობა გაგონილა?!- ჯერ ერთი, თუ კაცმა ცურავა არ იცის და მაინც სხვის საშველად ზღვაში გადაეშვება, უკვეა გმირობა, მაგრამ... ახე შორს წავალთ!.. ზაურ ბოლქვაძემ მშვენიერი ძეგლი აუგო გურამ რჩეულიშვილს, კვარცხლბეკიც თვითონ აუშენა: „ახლა უშენოდ ქუხს და ყიყინებს შენი სიცოცხლის ალავერდობა... და ზღვა, ვით კაცი სიკვდილმისწრული, დამხობილი და ითხოვს შენდობას!“

ვისაც ახსოვს თუ არ ახსოვს საკუთარი ბაბუა, სულ ერთია, ბოლქვაძის „ბაბუის“ წამკითხველს ყველას ერუანტელი დაუვლის, გადამდები სენდახა თუ მწუხარების ერუანტელი: „იგი მოხუცდა და ბავშვად იქცა. აღარ უყეფდნენ სოფლის ძაღლები. უკაკუნებდა ხელჯოხით მიწას — სთხოვდა სამარის კარის გაღებას. ბოლოს, დაღლილი ამდენი წოლით, უკანასკნელად მიუჯდა ბუხარს. უკანასკნელად მოვიდა თოვლი, მოვიდა თოვლი და შეგვაწუხა“.

გავრისკავ და ვიტყვი, ჭეშმარიტად ქართული პოეზიის შენაძენია ეს მინიატურაც: „მიწა გნატრობდა საკუთარ ხორცად. ზეცა გნატრობდა საკუთარ სულად... და, დაასრულე სიცოცხლე როცა, ნეტარ მათ, ნატვრა რომ აისრულეს!“

მეტად თავისებური ზაური სატრფიალო ლექსებშიც. მათში მაყორი თითქმის გამორიცხულია. არც მთვარის შუქზე ნებივრობს მიჭნურთან და არც ლივლივა ზღვის პირას. იგი მხოლოდ სულიერ სიახლოვეს, სულიერ ჰარმონიას ეძიებს სატრფოსთან და თავიდანვე ეუბნეთ იმსჭვალება: „ვიცი, დამღუპავ დალუპვით ქალის, მაინც შენს მაცდურ ღიმილს ვენდობი, ის ერთადერთი ღიმილი არის მტანჯველი თავის ერთადერთობით. შენი თვალებიო უგრძნობლად დამთვრალს, შენივ ღალატი გამომფიხიზლებს, ვიცი: მიმიყვან სამარის კართან, მერე სიკვდილსაც აღარ მაღირსებ... ვიცი, ამბინევ ცხოვრების გზაკვალს, გავიიმედებ მაინც მაგ თვალებს, იგი ამქვეყნად სხვა თვალებს არ მგავს, სხვასაც ჩემსავით არვის აწვალებს... ღმერთმა შეგინდოს შენ უღმერთობა, რომ ჩემი ბედით ასე ერთობი, მე მტანჯავს შენი ერთადერთობა და ვცოცხლობ შენი ერთადერთობით“.

კიდევ უფრო დრამატული და თითქმის გრაფილისეულია მეორე სატრფიალო ლექსი, „ნუ ხველდებიან შენი თვალები“: „ნუ ხველდებიან შენი თვალები, ო, ნუ იფარე თვალებზე ხელებს!.. მე მომაკვდავი ნუ გებრალება, გთხოვ, შემიბრალო სიკვდილის მერე!.. ეგ მაგნოლია გადმომიხარე, ყვავილს მასუნქე და მიმაფერე!.. მალე მოვკვდები, ნუ შემიყვარებ, გთხოვ, შემიყვარო სიკვდილის მერე“!

თავისთავად იქნებ იდეალური კრიტერიუმი ვერ იყოს, მაგრამ პირადად მე პოეტის თვითმყოფადობას (რაიც, თავისთავად, ნიჭიერებასაც გულისხმობს!) მისივე ლექსების, ყოველ შემთხვევაში, სტროფებისა თუ ტაეპების, დამახსოვრებით ვადგენ. ალბათ, ოღონ ამოსაცნობი უნდა იყოს, ვთქვათ, ვის ეკუთვნის სიტყვები: „მზე აიწია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა“, „ბერნუში დაგიხატია ზაზოული“, „დამგვანებინან შენი დები მოწყენილ მერცხლებს“. „ჩემი ცხოვრება აეწყო ახე“, „მერე მოვკვდები ისე ლამაზად“, „ავგისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში“, „ხაქართველოსთვის, ხაქართველოსთვის, ხაქართველოსთვის, ბიბეში სწორედ!“ „ხმაურობდა ჩიტების დახურული ბაზარი“, „კაცი, რომელიც დაკალდა ქალაქს“, „მე ვარ ქართველი, შენ — ხაქართველო, ამაზე ტკბილად ვერაფერს გეტყვი!“, „ვეცეცე, ვეცეცე, ვერ დავეცეცე ხაქართველოს ხაოცნებო გზები“, „მე შენ გიტოვებ ისეთ ნაღვლს, ხსვისას რომ არ ჰგავს“ და სულ ახლახან მოვლენილი უძლიერესი „არყოფნისაკენ, არყოფნისაკენ!“... რასაკვირველია, კიდევ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, თვითმიზანი რომ იყოს!..

პირველად დავფიქრდი ამაზე და აღმოჩნდა, რომ ცოცხალ პოეტთა შორის, ერთი პირველთაგანი სწორედ ჩვენი ზაური ბრძანდება! ბოლოს, მე თვითონ ჩავფიქე ხაკუთარ თავს კრიჭაში: ეგ იმიტომ, რომ ადამიანი რითმიან, ხადა, ზაირის კილოზე დაწერილ ლექსს უფრო იოლად იმახსოვრებს-მეთქი! შეცდი, რადგან უმალვე ენაზე მომადგა იაპონური ტანკა: „ერთხელ შემთხვევით დედაჩემი მხარზე შევისვი... იგი იმდენად მსუბუქი იყო, რომ ვერ გავუძელ და ძირს დავუშვი“. ასე რომ, თავის გამოდება არ ღირს!..

ახლა ისიც გავიხსენოთ, ამ ათიოდე წლის წინათ, ზაურ ბოლქვაძის ორმოცდაათი წლისთავზე ვინ რა ►ქმა.

ნიდარ დუმბაძე: „ზაურ ბოლქვაძე ყოველმხრივ შემკული კაცია!“

ჭაბუა ამირეჯიბი: „ზაური საყვარელი კაცია, ყველა ხელისგულზე ატარებს“.

მუხრან მაჭავარიანი: „ნამდვილი პოეტია ზაური, თხემით ტერფამდე პოეტი“.

შოთა ნიშნიანიძე: „ზაურ ბოლქვაძე ყოველად უწყინარი და ბავშვივით წმინდა კაცია!“

ხოლო მისმა თანაკურსელმა, ასევე „ხამოციანელმა“ ტარიელ ჭანტურიამ თავის შესანიშნავ „ლომის პორტრეტში“ ასე ათქმევინა ზაურს: „ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე გოგონას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემსას, მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს გოგონა ჩემი!.. ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე ძმაკაცებს ჩემსას, მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს ბიჭები ჩემი!.. ვერ ვიტყვი, თითქოს არ ვუყვარდე სამშობლოს ჩემსას, მაგრამ მე უფრო მეტად მიყვარს სამშობლო ჩემი!.. და კიდევ ერთი ღიზსება აქვს სიცოცხლეს ჩემსას: თქვენს სიცოცხლეზე ნაკლებ მიყვარს სიცოცხლე ჩემი!"

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ზაურს იუმორის ნიჭიც აბადია. მკითხველს თავს არ შეკავებენ გრძელ-გრძელი ფრაგმენტების მოშველიებით პოეტის იუმორისტული კრებულებიდან, მხოლოდ რამდენიმე გონებამახვილური ფრაზით დავკმაყოფილდები. 1991 წლის პირქუშ დღეებში იგი წერდა: „ვამაყობ მამულით არაფორმალურით!", „სულ არ ვიცით პლურალიზმი, სიმართლისთვის ტყულა ვიბრძვით!", „ვარ ოკუპირებული სრულიად: ჩემი სული ანექსირებულია, ჩემი ტვინი დემონტირებულია, ჩემი გული პიკეტირებულია!"

1972 წლის 2 ივნისს „ლიტერატურულმა საქართველომ" გამოაქვეყნა ზაურის 63(!) სალაღობო ოთხსტრიქონიანი ლექსი ქართველ მწერლებზე. „ეგზიზნენ მხოლოდ ერთს: „შენსავით ვერავინ ვერ თესა, ვერ მოიმკო და ვერ მოხნა, შენ ფეხზე მოსიარული უკვდავი საქართველო ხარ!.. ვინც არ გალმერთებს, არ გაქებს და ვისაც შენი არ სჯერა, იმას რად უნდა მტერობა,ჭქონდეს, ნუ მოსჯრი მარჯვენას!".

მამა!.. „სამუშაოდან დაღლილი მოხველ და, მახსოვს, თუთუნს როცა ახვევდი, დედამ შეგხედა, ამოიოხრა, „ომი დაიწყო", თქვა და გახვედი. მე არ ვიცოდი, რა იყო ომი ან დედა რისთვის ტიროდა ასე, განზე გაიხმე და გავიგონე: „თავს მოუარე, მიხედე ბავშვებს"! მეორე დილით შეგიკრეს ბარგი, ტიროდნენ ჩვენი ნათესავები, შენ ამშვიდებდი და ბოლოს დარდით ერთი სიტყვა თქვი მხოლოდ „წავედი". თვალებით უთხარ დედას — „შენ იცი", ეზოში მეტი ველარ გასძელი, ჩქარი ნაბიჯით ჩაჰყევ ღელიხპირს, შეგვავლე მზერა უკანასკნელი... მას შემეკვ დიდი გავიდა ხანი, დამთავრდა ომი, დაბრუნდა ბევრი. ისევ გაბრწყინდა მრავალი თვალი. გამხიარულდა მრავალი ჭერი, იმ ნეტარ ღამით მამა მესიზმრა, მაკოცა ფრთხილად, „იძინე შვილო!", მითხრა და უცებ გადამენისლა სიზმარი, რომლის აღდგენას ვცდილობ. დაუვიწყარი სიზმარი იგი გამიმეორე, მაღალო ღმერთო!.. მოვიდა ჩემი კაცობის რიგიც. მამის გულში რომ იმედად ენთო".

ჭაბუა ამირეჯიბი: „მეოცე საუკუნეში ჩვენი კულტურის განვითარების ძირითადი ტვირთი სწორედ ამ, კეცის მჭადზე, დედას პურზე და ლობიოს შეჭამანდზე გამოზრდილებმა ზიდეს".

დიან, შიმშილში, შიშში, სიცივეში, ჭაპანწყვეტაში განვლო ჩვენმა ბავშვობამ. ამას რომ ვამბობ, ყველას ვგულისხმობ, ყველა ორმოცდაათიან-სამოციანელს. დალხინებული თითქმის არავინ ყოფილა: არც ზურიკელა, არც სოსოია, არც გოგიტა და არც ბევრი მათგანი, ვისაც, ზაურთან ერთად შარშან თუ წლეულს შეუსრულდა სამოცი წელი.

კვლავაც ბევრი შეასრულებინოს განგების ძალამ! ამინ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა წერეთელი

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ხალხური ზეპირსიტყვიერება

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით დაინტერესებულმა პირებმა იქ სხვა მრავალ საკითხთან ერთად, რომელიც უშუალოდ უკავშირდება რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებას, შეისწავლეს მისი ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან დამოკიდებულების საკითხიც.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების, კერძოდ კი მისი ცნობილი ლექსი „მადლი შენს გამჩენს ლამაზო"-ს ხალხური წარმოშობის თაობაზეა საუბარი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" 1968 წელს დაბეჭდილ ვახტანგ ჩიქოვანის სტატიაში სათაურით: „პოეტის საყვარელი სიმღერა". სტატიის ავტორს მოჰყავს ზემოთ აღნიშნული ლექსი და გამოაქვს დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ლექსი ხალხური ლექსიდან „მე ვარ და ჩემი ნაბადი" იღებს სათავეს. მართლაც, მსგავსება შეინიშნება ნ. ბარათაშვილის ლექსის ქვემოთ მოყვანილ სტროფს და ხალხური ლექსის სტიქონებს შორის:

ღარიბი ვინმე მოვსულვარ,
სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი,
ძმობილად — ბასრი ხანჯალი...
(„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო").

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა,
დავწვები, ჯავრი ჩამყვება
სამი ლამაზი ქალისა...
(„მე ვარ და ჩემი ნაბადი")

როგორც ვახტანგ ჩიქოვანი წერს: „ამ ლექსის ხალხური სასიმღერო, კილო, მსუბუქი ნაღვლიანი განწყობილება, სიტყვის საქცევი და რამდენიმე სპეციფიკური გამოთქმა აშკარად ანათესავებს ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნაწარმოებს. ასეთი თანხვდენილობა ურთიერთკავშირსა და გავლენაზე მეტყველებს".

წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ვისზე იმოქმედა, ბარათაშვილმა მოახდინა გავლენა ხალხურ შემოქმედებაზე თუ, პირიქით, ჩვენი პოეტია დამოკიდებული ეროვნულ საუნჯეზე? საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში ადრინდელი ფოლკლორული ჩანაწერები უნდა დავეხმაროს. სამწუხაროდ, ხალხური ლექსიძიერის ბარათაშვილამდელი ჩანაწერი არ მოგვეპოვება, მაგრამ თვით ნიკოლოზ ბარათაშვილი გვაძლევს პირველ ცნობას საძიებელი ხალხური ლექსის ადრინდელობის თაობაზე და იქვე ახახელებს საკუთარი ლექსის წყაროს. 1845 წლის 9 თებერვლით დათარიღებულ მიაკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „აი, ამ ქართულ ლექსს („მადლი შენს გამჩენს, ლამაზო") გიგზავნი მდაბიურად დაწერილს, როგორდაც ფიქრში მამივიდა — „მე ვარ და ჩემი ნაბადი", იმის ხმაზედ" (ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1945). როგორც ვხედავთ, საკითხი პოეტის მიერაა გარკვეული. მაშასადამე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკული შედევრი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო", ხალხური სიმღერის „მე ვარ და ჩემი ნაბადის" ხმაზე შექმნილი.

მგოსნის ფოლკლორთან დამოკიდებულების საკითხი შეისწავლა აგრეთვე მიხეილ მშვიდობაძემ, „ისევ მგოსნის ფოლკლორთან დამოკიდებულების შესახებ". („ახალგაზრდა კომუნისტში" 1988 წელს, № 75).

წერილში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ იზიარებდა ნ. ბარათაშვილი თავის თანამედროვეთა აზრს, გამოთქმულს თავის პოეზიაზე. მ. მშვიდობაძე აქვე შენიშნავს, რომ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრით არ შეეძლო გაეზიარებინა არქაისტ ალექსანდრე ჩიქოვანის შენიშვნა პოემის „ბედი ქართლისა“-ს შესახებ. ამ შენიშვნიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ჩიქოვანს პოემა მოსწონებია, მაგრამ, როგორც არქაისტი, ბარათაშვილს სწორედ იმას უსაყვედურებდა, რითაც, სხვა ღირსებებთან ერთად, ბრწყინავს მისი პოემა: ლიტერატურაში „ბადმიო ქართულის“, ხალხური სასაუბრო მეტყველების გაბედულად შემოტანას.

მართლაც, ნიკოლოზ ბარათაშვილს არ შეეძლო ალექსანდრე ჩიქოვანის ამ შეხედულების გაზიარება. იგი ლიტერატურის ძველი ნორმებისაგან განთავისუფლების გზით მიდიოდა. ეს ტენდენცია მის შემოქმედებაში ადრეც შეიმჩნევა, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო მონაკვეთზე იჩენს თავს. გაზეთ „ტფილისი ვედომოსტიში“ 1876 წლის 22 იანვარს ნიკო ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელშიც ხალხური შემოქმედების საგანძურთან მგზნენის მისვლა განიხილა, როგორც მისი ლექსის შინაარსისა და ფორმის თანდათანობითი განვითარების ბუნებრივი შედეგი. მიხეილ მშვიდობაძეს თავის სტატიაში მოჰყავს ნიკო ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები ნ. ბარათაშვილის ლექსზე: „ბადელი შენს გამჩენს, ლამაზო“: ეს ლექსი „თამამად შეგვიძლია ხალხური პოეზიისა და გენის ქნილად მივიჩნიოთ. ქართულ ლიტერატურაში პირველად მასში დაცულვებული ხალხის კილოკავი, საგანთა ხალხისეული დასურათება, ლექსის ხალხურობა — ერთი სიტყვით ქართულმა ხალხურმა პოეზიამ ამ ლექსში ჰპოვა თავისი ნამდვილი გამოძახილი“.

ამ ლექსს უადრესად მაღალი შეფასება აქვს მიცემული ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1886 წლის გამოცემის წინასიტყვაობაშიც.

აქ ხაზგასმულია, რომ ბარათაშვილის პოეზიის გვირგვინია პოემა „ბედი ქართლისა“, ამ პოემისთანა მას არა დაუწერია რა, გარდა „მადლიერის და ნამდვილ მარილიანნ“ ლექსისა „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“. — ეს რა თქმა უნდა, გადაჭარბებულიც კია, „ბედი ქართლისას“ სიმაღლეზე ამ ლექსს დაყენება არ შეიძლება. ბარათაშვილის პოემა ხომ მთელი ეპოქაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ წინასიტყვაობის ავტორი ეტყობა, ცდილობდა ამ მოსაზრებების გაბათილებას, დამწუნებელნი კი ამ ლექსს ბლომად ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ანტონ ფურცელაძე, რომელმაც ჟურნალი „ცისკრის 1863 წლის მესამე ნომერში მიმოიხილა „საქართველოს მოამბის“ პირველი ორი ნომერი. მეორე ნომერში ნ. ბარათაშვილის ეს ლექსი იყო დაბეჭდილი. ანტონ ფურცელაძემ განაცხადა, რომ „ბადლი შენს გამჩენს, ლამაზო“ არის „ყოვლის უმნიშვნელო“ ნაწარმოები, „მაგრამ ამითი მაინც არის კარგი, — განაგრძო მან, — რომ ნამღერად გამოდგება და როგორდაც ქართული პოეზიის სუნი უდის...“

მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ ანტონ ფურცელაძემ პირველმა შენიშნა ამ ლექსის ხალხურ პოეზიასთან თანაზიარობა, მაგრამ პოეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი არ მოიწონა. ანტონ ფურცელაძე ასე მოიქცა თერგდალეულებსა და მათ ორგანოსთან — ჟურნალ „საქართველოს მოამბესთან“ გაცხოველებული კამათის დროს. მან იგრძნო, რომ ბარათაშვილის „ბადლი შენს გამჩენს, ლამაზო“ და „შემოლამება მთაწმინდაზედ“ ილიას ჟურნალში შემოხვევით არ მოხვედრილან, თერგდალეულები სიტყვაკაზმული მწერლობის საფუძვლად ხალხურ სასაუბრო მეტყველებას მიიჩნევდნენ, ენის სისადავისა და დემოკრატიზაციისათვის იბრძოდნენ, ამ საქმეში კი თავიანთ თანამოსაგრენენ ნიკოლოზ ბარათაშვილს თვლიდნენ. მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან“ პროფესორი გიორგი აბზიანიძე უარყოფს ტრადიციულ შეხედულებას ანტონ ფურცელაძის ესთეტიკური კონცეფციის მთლიანად ნიჰილისტური ხასიათის შესახებ და ამტკიცებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ანტონ ფურცელაძე ძლევს ესთეტიკურ ნიჰილიზმს, ხელოვნების ნიმუშების ქეშმარიტ რეალისტურ გაგებამდე მაღლდება. ამის დასადასტურებლად გ. აბზიანიძეს მოაქვს ბარათაშვილის პოეზიისადმი ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულების მაგალითი. აი, რას ვკითხულობთ „ნარკვევების“ 321-ე გვერდზე:

„ბამბასა“ და „ზვილებს“ შორის ბრძოლის პერიოდში, 60-იანი წლების დასაწყისში, „საქართველოს მოამბესთან“ კამათის დროს, ანტონ ფურცელაძემ გამოთქვა ნიჰილისტური აზრები ცალკეულ მწერლებზე და მხატვრულ თხზულებებზე... მაგრამ იმავე პერიოდში გამოქვეყნებული მისი წერილები საუკეთესო ნიმუშია რეალისტური კრიტიკისა“.

ა. ფურცელაძე გარკვევით აღნიშნავს, რომ ახალი მიმართულება და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა ნ. ბარათაშვილით იწყება ქართულ ლიტერატურაში, „ნ. ბარათაშვილი „ქართლის ბედში“ ტირის თავის სამშობლოს ცუდს ბედს და ქადაგებს იმგვართა აზრთა, რომელიც მაშინ თვით რუსის მწერლობაშიც არ ისმოდა“.

თავისი აზრის დასამტკიცებლად ა. ფურცელაძეს მოჰყავს ადგილები ბარათაშვილის პოეზიიდან. ასეთსავე სწორ შეფასებას აძლევს ანტონ ფურცელაძე კონკრეტულად „მერანს“: „აგრეთვე რა იყო „მერანი“ ბარათაშვილისა, — წერს იგი, — თუ არ ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახლის აზრების და ახლის ცხოვრებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. აბზიანიძის ამ მსჯელობაში ერთი „უმნიშვნელო“ შეცდომაა: ნ. ბარათაშვილის პოეზიის ზემოთ მოყვანილი ფურცელაძისეული შეფასება, სადაც ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანთან ერთად, ახალი აზრების, ახალი მიმართულების შემომტანად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პიონერადაა გამოცხადებული, დაიწერა არა „იმავე პერიოდში“, არა 60-იანი წლების დასაწყისში, არამედ 1872 წელს, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის „რამდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ და ალექსანდრე ცაგარელის „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რამაც აიძულა ანტონ ფურცელაძე გადაესინჯა თავისი პოზიცია ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხში.

ასე, რომ ანტონ ფურცელაძის მიერ ბარათაშვილის ლექსების „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“ დაწუნება 60-იანი წლების დასაწყისში სწორედ მის ესთეტიკურ ნიჰილიზმზე მიუთითებს და სხვა არაფერზე.

ლექსი „მადლი შენს გამჩენს ლამაზო“ დაიწერა 1845 წლის 10 ივნვარს ნახჭევანში და ბარათაშვილის უკანასკნელი დათარიღებული ნაწარმოებია. ეს ლექსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტს მაიკო ორბელიანისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათში ჩაუწერია.

ისმის კითხვა: „რისთვის დასჭირდა პოეტს შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსი „შემთხვევით“ დაწერა? რაიმეს ხომ არ უმალავს იგი მაიკო ორბელიანს? პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ იგრძნო ეს და სხვადასხვარად სცადა წერილის ამ ადგილის წაკითხვა: ფრაზაში „მადლიერულად დაწერილს, როგორადაც ფიქრში მამივიდა“ მან ხელოვნურად შეცვალა სიტყვა „როგორღაც“ სიტყვით „როგორადაც“. მაგრამ, ვფიქრობთ, ნ. ბარათაშვილი, პოეტი აქ დაბეჭდითებით ხმარობს სიტყვას „როგორღაც“.

ჩვენი აზრით, ვინაიდან ნ. ბარათაშვილის ეს ლექსი, „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“ პოეტის სხვა ნაწერებთან შედარებით განსაკუთრებით ახლოს დგას ხალხურ შემოქმედებასთან, ამიტომ ამ ლექსის შექმნაც პოეტმა შემთხვევითობას მიაწერა, რის გამოც იხმარა სიტყვა „როგორღაც“.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების კავშირი ხალხურ პოეზიასთან დაახასიათა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა ანტონ ხინთიბიძემ წერილში „ხალხური პოეზია და ბარათაშვილი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1968 წელი, № 51).

სტატიის ავტორი ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ შემდეგი სტროფის ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან კავშირზე მიგვითითებს:

მორბის არაგვი არაგვიანი
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი.

როგორც ანტონ ხინთიბიძე აღნიშნავს „თვისი რითმით (იანი) ეს ლექსი მჭიდროდ უკავშირდება ქართულ ფოლკლორს. მნიშვნელოვან ნაწილს აქ „ამირანის“ შემდეგ ადგილს მოვიყვანთ:

ამირანმა დევი დასცა, ალაგი შეხვდა ქვიანი,
დასცა და ბეჭი მოსტეხა, დაწყუებინა
ღრიალი:
„ნუ მომკლავ, გმირო ამირან, შეგფიცო
მკლავი ხმლიანი“.

ბატონ ან. ხინთიბიძეს უყურადღებოდ არ რჩება ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში არაერთ ხალხურ გამოთქმას ვხვდებით. ამის დამადასტურებლად სტატიის ავტორს მოჰყავს მეფე ერეკლეს სიტყვები ნ. ბარათაშვილის პოემის მიხედვით:

ძველთაგან ასე წაამბობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია.

აქვე დასძენს, რომ ხალხი არა მხოლოდ ანდაზას, არამედ მრავალ ეპიურ ნაწარმოებსაც უძღვნის ამ იდეას: „ნაცარქექია, „ნასია“ და სხვა ანალოგიური ნაწარმოებები ამის დამამტკიცებელია“.

ასევე, სავსებით სამართლიანად მიიჩნევს იგი, რომ ხალხურ შემოქმედებასა და ნ. ბარათაშვილის პოეზიას რამდენიმე თემატიკურ-აზრობრივი მომენტიც აკავშირებს: ასეთებია: 1) ადამიანის ზნეობრივი თვისებები; 2) ბავშვის ბუნება; 3) სიყვარულისა და მშვენიერების გაგების საკითხი.

ანტონ ხინთიბიძე იმ მხრივაც ხედავს საერთოს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შორის, რომ პოეტის შემოქმედებაში მკაფიოდ მოჩანს სხვა ხალხთა შევიწროების დაგმობის იდეა, რაზედაც მეტყველებს ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ შემდეგი სტრიქონები:

თვითონ მეფენიც უძლეველნი
რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ
აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი
სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან:
„როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს? და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც ღღეს თუ ხვალ
თვითვე არიან!

და შემდეგი ადგილი ლექსიდან „ნაპოლეონი“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას,
და თქვა „ამაო ხელმწიფობამ რა შემიძინა?

მოჰყავს რა აღნიშნული სტრიქონები ნ. ბარათაშვილის შემოქმედებიდან, ანტონ ხინთიბიძე ასკვნის: „პოეტი მოაზროვნის ეს თვალსაზრისი უსათუოდ ხალხურ მრაწმსს გამოხატავს, მართლაც, ქართულ ფოლკლორს წითელი ზოლივით გასდევს გაუმაძღრობის, მიტაცებისა და განდიდების გმობის იდეა".

ანტონ ხინთიბიძემ ასევე კავშირი დაინახა ხალხურ ლექსს „მე ვარ და ჩემი ნაბადი" და „მადლი შენს გამჩენს" შორის. ორივე ლექსში იდეალად ლამაზი ქალია აღიარებული, ამას გარდა, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, „ბარათაშვილი ცდილობს აზრობრივადაც დაუკავშიროს. თავისი სატრფიალო განცდები სოფლის ღარიბ, უმწიკვლო, სპეტაკი ახალგაზრდობის ჯანსაღ, სატრფიალო და ვაუკაცურ განწყობილებას".

როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილმა თავისებურად დასვა და გადაჭრა კიდეც შინაგანი და გარეგანი სილამაზის რაობის საკითხი. პოეტის აზრით, გარეგანი სილამაზე წარმავალია. შინაგანი კი მარადიული და უკვდავია. ეს შეხედულება თვით ჩვენი ხალხის ფოლკლორში პოულობს საერთო ნიშნებს. უძველეს პერიოდებში შექმნილ წარმართული ნიშნების მქონე მხატვრულ ზღაპრებში მკვეთრად მოჩანს აზრი, რომ შინაგანი სილამაზის მქონე ადამიანები არ იღუპებიან. ასე, მაგ., ჯადოსნური ზღაპრის — „ისრის-მასრის სანდლის ქალის" თანახმად, ისრის მასრის სანდლის ქალი კი არ დაღუპულა, არამედ მისგან მშვენიერი ალვის ხე ამოვიდა. აბესალომ და ეთერის საფლავზეც ია და ვარდი ამოვიდა და ა. შ.

სხვა საერთო მომენტებიც შეიძლება აღინიშნოს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასა და ხალხურ პოეზიას შორის, მაგრამ ზემოთქმულიც საკმაოდ მიგვაჩნია იმის დასადგენად, რომ პოეტი-მოაზროვნის ნაწარმოებები სათავეს იღებენ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამირანაშვილი

სიმონ ჩიქოვანის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

სამოც წელს მიღწეულ სიმონ ჩიქოვანს თვალში სინათლე დაკლდა, მალე კი მთლიანად ჩაუქრა. ამ უბედურებასთან შეგუება მგონსნისათვის ძალიან ძნელი იყო. რუსი პოეტი პავლე ანტოკოლსკი ასეთ დეტალს აქცევს ყურადღებას: „ლექსები, რომლებსაც თბზავდა უსინათლო და რომლებსაც მისი კარნახით იწერდა მეუღლე და სატრფო მისი — მარიკა ჩიქოვანი, იმაზე მეტყველებენ, რომ უსინათლო ხედავდა, დიახ, დიახ, ხედავდა! ეს ლექსები ეძღვნება სატრფოს, სიკვბუკეში რომ შეიყვარა კუბოს კარამდე“.

1964 წლის 30 მარტს მარიკა ჩიქოვანს დღიურში ჩაუწერია: „დღეს ვერ არის გუნებაზე... რა ვქნა, არ ვიცი! სალამოს უცებ დაიწყო თავისი ხელის თვალიერება, თქვა, ვხედავ ხელსო, ჩემი ხალათიც დაინახა, საერთოდ მწვანეს და ცისფერს უფრო ხედავს“.

გაზეთ „ქუთაისის“ 1968 წლის 20 თებერვის ნომერში დაბეჭდილია მერვეკლასელ მეგი არველაძის მცირე მოგონება სიმონ ჩიქოვანთან მათი სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების შეხვედრის შესახებ. პოეტისათვის 1963 წლის ქრისტეშობისთვეში გაუმართავთ საღამო. პატარა მეგის სიმონის ლექსი წაუკითხავს: „თუ სიყმაწვილის მოყვანა გსურდა, უნდა გესროლა იები მინდვრის“. ბავშვმა ლექსის კითხვა რომ დაამთავრა, პოეტს იებით სავსე პატარა კალთა მიართვა, მაგრამ კალთის ჩამოსართმევად პოეტმა ხელი არ გაუწოდა. გოგონა მიხვდა, რომ პოეტი ვერ ხედავდა. მწერალ დავით კვიცარიძეს მეგი პოეტთან მიუყვანია, სიმონს იგი გულში ჩაუკრავს.

თვალისჩინწართმეული პოეტი ქართული ლიტერატურისა და პოეზიის ინტერესებით სულდგმულობდა. ძნელი, ძალიან ძნელი იყო უსინათლოსთვის ლექსის წერა, თუნდაც კარნახით, და მაინც უსინათლო სიმონ ჩიქოვანმა არაერთი ბრწყინვალე ლექსი შესძინა ქართულ პოეზიას.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ მიაწოდა ახალი ლექსების ციკლი „შემოდგომის დღეები აჭარაში“. „ლექსები მაშინვე გავგზავნეთ სტამბაში, — იგონებს პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი, — ბატონ სიმონს რედაქციის დავალებით დავურეკე და ვაცნობე, რომ მისი ციკლი იმავე პარასკევის ნომერში დაიბეჭდებოდა. მადლობა მითხრა და მთხოვა, ანაწყობი რამენაირად წამაკითხეთო.

მეორე დღეს დაკაბადონებული პირველი გვერდის ანაბეჭდთ ვეახელი. კარი, როგორც მუდამ, მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მარიკამ გამიღო. ბატონ სიმონს გვერდით მივუჯექი და დავიწყე კითხვა: „გარს მახვევია ფერი ზაფრანის, ჭადრის და ცაცხვის გრილი რტოები და წეროების გუნდებს გაფრენილს, როგორც სიმწიფის წლებს, ვეთხოვები“. ვკითხულობ და ხმა მითრთის, ხმა მითრთის და წამიწამ ვაცქერდები სიმონს სახეზე. მისი ბაგეები მოძრაობენ. იგი ჩემს პარალელურად ჩუმად, ძალზე ჩუმად იმეორებს სიტყვებს, სტრიქონებს, — არა, ჩემგან წაკითხულს კი არა, გულიდან ამოღებულს. ხმა მითრთის და ხანდახან, ჩემდაუნებურად, უადგილო ადგილას ოდნავ ჭაკეთებ პაუზას.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე იგონებს: „გორში რო გვეწვია თავისი სამოცი წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ რა დამართნოდა მის თვალებსა, არ ვიცოდით და უცებ თითქოს ვერც ვერას მივხვდით, რო წამოიწყო გორისადმი მიძღვნილი ლექსი, — „რა კარგია მზის ჩასვლისას გორი, ურმულივით აბლოგდება შელამება...“ — წამოიწყო **და წაგნი** მიიშველა მომდევნო სტროქონის გასახსენებლად მიიშველა და ვეღარ მიიშველა, ვერ გააარჩია, ვერც ეგრე თვალდათვალა, ვერცა სათვალითა, ორნაირი სათვალითა; ვერ გაარჩია და იტვრინა დარბაზშიაცა, რატომღაც იტვრინა, თუმცა ის ლექსი მაშინ ყველამ იცოდა ზეპირად, გორში მაინც ყველამ იცოდა, მაინც იტვრინა და მერე ერთბაშად ამოიძახა თითქოს ყველამო, მთელმა დარბაზმაო, ამოიძახა და გაინაბა; სიმონმა განაგრძო, გავიდა ბოლომდისა; გავიდა და სხვა აღარაფერი წაუკითხავს, შეწუხებული და მოდენებული მიეტანა სკამსა. ახალი ნაავადმყოფარი გახლდათ და ავადმყოფობას მივაწერეთ, — ჯერ არ ვიცოდით, თუ რა დამართნოდა მის თვალებსა; **თვითონ იცოდა, რაღა** თქმა უნდა, იცოდა და ებრძოდა, ებრძოდა ჩუმადა, გასაოცარი სიმტკიცითა და შეუპოვრობითა, ებრძოდა და თანაც ფარული სიხარბით უნდოდა, ერთხელ კიდევ ეხილა ყველაფერი, ერთხელ კიდევ მოეკლო ფეხით მოეკლო ამერ-იმერი, ერთხელ კიდევ რო დამტკბარიყო ჩვენი ქვეყნის სილამაზითა, — ტკბობა რო იცოდა სილამაზითა და თვალი რო ჰღალატობდა“.

სამოცი წლისთავის იუბილეზე სიმონ ჩიქოვანი ქუთაისელებმა მიიპატიჟეს. თავის მხრივ ბატონმა სიმონმა მეგობარი მწერლები მიიწვია და ქუთაისისკენ მიმავალ მატარებელში ადგილები დაიკავეს. რევაზ ჯაფარიძე გვიამბობს: „იუბილარის მხლებლებმა სამი თუ ოთხი კუპე დაკავავეთ და მაშინვე გარეთ, ტალანში გამოვედით. თავშიშველი სიმონი ღია ფანჯარასთან იდგა და ჩვეული გატაცებით ჰყვებოდა, დილადრიან როგორ შეხვდა კლასიკური გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელს ნიკო ლორთქიფანიძეს, „ბუნებით თავადს“, ჯაჭვის ხიდზე და როგორ შემოვდნენ იმ დილას ბოლშევიკების ჯარები ქუთაისში.

მცხეთა, ქსანი და შემდეგ გორიც უკან დარჩა. დაწოლას და დაძინებას არავინ აპირებდა. რაც მთავარია, თვით სიმონსაც აღარ ახსოვდა, რომ დიდი ხანია, ძილის დრო იყო. ისევ მისმა ვაუმა ნიკამ შეჰხედა და ყურში უჩურჩულა, ვაგონში ხალხს ღამეს თეთრად ვატეხინებთო, ხომ არ გინდა, აქედან გუდა-ნაბადი აგვიკრანო.

სიმონი შეწუხდა და მაშინვე საათი იკითხა, მერე ხელისგულები შუბლზე მიიდო და ღია ფანჯარაში შემომზირალ ღამის წყვდიადს დააკვირდა. სახეზე ისევ ნაღვლიანი ღიმილი დასთამაშებდა. წამიც და ისევ იფეთქებდა მოგონებების ფეიერვერკი. ნიკამ იძალა, კუპესაკენ წაუძღვა. აქ უკვე ყველამ შევნიშნეთ და ტკივილისაგან გული შეგვეკუმშა: სიმონი დაღლილი იყო, მუდამ ცოცხალი, მოუსვენარი ხელები მოსხმულიყვა ეკიდა, ფეხებს უსიცოცხლოდ მიაფრატუნებდა. ამაზე უფრო სხვა რამეს შეგვძრა: ტალანში, თავის კუპესაკენ რომ მიდიოდა, ორ-სამჯერ თითები კედელს მოუფათურა, თითქოს კარს ეძებდა. ვერ ხედავდა თუ მატარებლის ბიძგებისაგან იცავდა თავს? ამ აზრმა თურმე ყველა გაგვაწვალა, ვინც იმ ღამეს იმ ვაგონით ვმგზავრობდით, ოღონდ ზმამალა არავის არაფერი გაგვიმჟღავნებია. სიმონს თურმე მართლა დაჰკლებოდა თვალის სინათლე, იმდენად დაჰკლებოდა, რომ დამოუკიდებლად სიარული უჭირდა, მაგრამ სანამ შეეძლო, ამ თავის უბედურებას ყველას, თვით შინაურებსაც კი, უმალავდა. მერე რა ძალადაუტანებლად და უბრალოდ სჩადიოდა ამას! თავი ისე ეჭირა, როგორც ყოველთვის და აბა ვინ წარმოიდგენდა, თუ ამ ხალხისაგ, სიცოცხლის წყურვილით და სხვებზე, მომავალი ლიტერატურის ბედზე გაუწყვეტელი ზრუნვით ყელამდე აღვსილ კაცს რაიმე უჭირდა, სულ მალე სამუდამო წყვდიადის ჩამოწოლა ემუქრებოდა. ეს მხოლოდ თვითონ იცოდა და პირად უბედურებას იმის ღირსადაც არ თვლიდა, იგი სხვებისთვის ეგრძნობინებინა“.

მაგრამ, როგორც ქართულ ანდაზაშია, კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო. რევაზ ჯაფარიძე: „მეორე დილით მხცოვან იუბილარს ქუთაისის ერთ-ერთმა სკოლამ მოუწყო შეხვედრა. სკოლის ეზოში, მანქანიდან რომ გადმოდიოდა, სიმონი წამბრძიკდა, ხელები ჰაერში გაასაბსავა. მივცვივდით. ღიმილით მოგვიშორა და ძირს დაიხედა, ფეხი წამოვკარი რაღაცასო... ამ დაუვიწყარი შეხვედრების შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსების ციკლი „შემოდგომის დღეები აპარაში“ გამოქვეყნდა. ამას „განგის დღიური“ და სხვა ლექსებიც მოჰყვა. ლექსების მთელი ნიაღვარი! სიმონი თითქოს ხელახლა დაიბადა, ამ ქვეყანას ხელახლა მოეკლინა. ის უკვე უსინათლო იყო, ღამით, სტუმრების მომლოდინე, ჩიქოვანების სტუმართმოყვარე სახლს ფუტკრებივით რომ გარს ეხვია, ბნელ ოთახში იჯდა და მოზღვავებულ ხილვებს ებრძოდა. პოეტის არსება მთლიანად დაიპყრო ყოფნა-არყოფნის პრობლემამ, სიცოცხლის არსზე ფიქრმა. ვის ჰკარნახობდა თავის უკანასკნელ ლექსებს? როგორ ახერხებდა მრავალრიცხოვან ვარიანტებზე მუშაობას, რომლის დროსაც იქნება ისე არაფერი იყო საჭირო, როგორც თვალის ჩინი? პასუხი ამ კითხვებზე საიდუმლოდ დარჩა, ამაზე ლაპარაკი, სიმონის თანდასწრებით თუ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲭᲣᲠᲒᲚᲨᲣᲚᲐᲜ, მიღებული არ იყო. უკურნებელი სენით შეპყრობილ პოეტს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუცვლია თავისი ცხოვრების წესი, იმავე ინტერესებით ცხოვრობდა, რა ინტერესებითაც აქამდე ეცხოვრა და აზრადაც არ მოსდიოდა, ულმობელ ბედისწერას დანებებოდა.

სერგო კლდიაშვილი: „თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში სიმონ ჩიქოვანი ველარ ხედავდა. დიდი ხნის სნეულებამ უეცრად ჩაუქრო თვალის სინათლე. მისთვის სამუდამად დაღამდა. მძიმე დრამას განიცდიდა სიმონი.

სიმონ ჩიქოვანს პატივს ვცემდი, ვაფასებდი, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს. მაგრამ განსაკუთრებული გულის სითბო ვიგრძენი მისადმი სწორედ იმის შემდეგ, როცა თვალის სინათლე წაერთვა. ისიც ვიგრძენი, რომ სიმონს შეემატა რაღაც კიდევ უფრო ახალი თვისებები, რაღაც კი არა, წინანდელზე კეთილი და ნათელი,.. ბუნება ხომ საერთოდ მადლიანია და როცა ადამიანს რაიმე თვისებას წაართმევს, — თითქოს შეიცოდაო, — იმით უნაზღაურებს დანაკარგს, რომ ახალ სახიკეთო თვისებას მიანიჭებს. დარმავებულ სიმონს რომ ვუყურებდი და ვუსმენდი, ისე მეჩვენებოდა, თითქოს მას მართლაც ჩემთვის და სხვათათვის ჯერ უცნობი, ახალი ცხოვრება ჰქონდა დაწყებული.

სიმონი, წინა წლებთან შედარებით, ბევრად უფრო დამშვიდებული მეჩვენებოდა, თითქოს ერთგვარად კმაყოფილიც — იმით, რაც ახლად ჰქონდა შემატებული და რითაც ახლა გამდიდრებულიყო. მაშ, საიდან ჰქონდა ეს საოცარი სიმშვიდე, ეს საოცარი შერიგება თავის ახალ გარემოსთან!

სიმონი საუბრის დროს ისე გამოიცოცხლდებოდა ხოლმე, ნამდვილად ავიწყდებოდათ სხვებს, რომ მას დაკარგული ჰქონდა ხედველობა. როგორ, ვერ ხედავს მათ, ვისაც ასეთი გაცხარებით ელაპარაკება?! როგორ, ის, ვინც ასეთი აღგზნებით ლაპარაკობს ფიროსმანაშვილის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, რუსი და ფრანგი მხატვრების სურათებზე, ფერთა საოცრებასა და ოსტატობაზე, მხოლოდ ბგერების სამყაროში და საუკუნო ღამეში ცხოვრობს?! ვინ თქვა მისი უსინათლობა, ის ხავსებით თვალნათელი ადამიანია. მართლაც, თუმცა მისი თვალები მკვდარი იყო, თქვენ მაინც ისე მოგჩერებოდათ, როგორც ჯანსაღი ადამიანი.

რასულ რზა (აზერბაიჯანის სახალხო პოეტი) „ბოლო წლებში სიმონი ძმიმედ იყო ავად და მოკლებული იყო ყველაზე უბადლო სიკეთეს — ქვეყნიერების საკუთარი თვალით დანახვას. შინაგანად იგი ძალიან ღრმად განიცდიდა ბედის ამ ულმობლობას, მაგრამ გარეგნულად მშვიდი იყო, უდრტვინველად, დაუჩივლელად ეზიდებოდა ამ მძიმე ტვირთს“.

თვალის სინათლის დაკარგვით გამოწვეული პოეტის ტრაგედია შესანიშნავად გადმოსცა პოლონელმა მწერალმა-ლიტერატურათმცოდნემ ვაცლავ კუბაცკიმ, რომელიც კარგად იცნობდა სიმონს: „სანამ ჩიქოვანს ვესტუმრებოდი, გამაფრთხილეს, პოეტს თვალში სინათლე აკლდებაო. რა ტრაგედიაა სამხრეთის თუ აღმოსავლეთის ფერთა მოტრფიალე პოეტისათვის! საუბარში გავურბოდი ყველაფერ იმას, რასაც შეიძლებოდა უბედურება გაეხსენებინა ჩიქოვანისათვის. სიტყვა არ დამცდენია სინათლის თუ ჩრდილის შესახებ, არც გარემომცველი ბუნების სიმშვენიერეზე მითქვამს რაიე. არსებითად ყოველგვარი თემა სახიფათო იყო, მათ შორის — შემოქმედება. დელიკატურობის გამო მეშინოდა მელაპარაკა იმაზე, თუ როგორ მხიბლავდა მისი პოეზია. ჩიქოვანი საყელოგახსნილი უჯდა მაგიდას, ფერმიხდილი, გამხდარი. კინაღამ ვუთხარი, სოფელში ცხოვრება მოგიხდებათ-მეთქი. მაგრამ თვითონვე შეეხო მტკივნეულ თემას. მომიყვა, ამ ზაფხულს ქალაქში დავრჩი, რომ კატარაქტა საოპერაციოდ მომწიფდესო. თავის ავადყოფობაზე მშვიდად ლაპარაკობდა. წუვდიადში ინთქმებოდა და სწამდა, რომ ეს ერთადერთი გზა იყო სინათლისაკენ.

როცა, რუსთაველის საიუბილეო დღეებში, კვლავ მოეხვედი სიმონ ჩიქოვანის კაბინეტში, პოეტი უკვე აღარ იყო ცოცხალი. კატარაქტა საბედისწერო აღმოჩნდა. კედლიზე ეკიდა განსვენებულის უკანასკნელი ფოტოსურათები. ერთმა მათგანმა განსაკუთრებით ამაღელვა. ჩიქოვანს თავისი ხელნაწერი თვალთან ახლოს, სულ ახლოს აქვს მიტანილი, მზერა დაუძაბავს და ლამობს შეაჩეროს სხივი, რომელიც ულმობლად გაურბის. პოეტი ველარ კითხულობს იმას, რაც დაწერა, მაგრამ მაინც არ კარგავს სიმშვიდეს. იგი სინათლითა და ხოთბოთი სავსე ლექსებით შეჭყურეს მიმქრალ სამყაროს“. („ხმელი“, 1972 წ. № 8, გვ. 270).

ჯერ კიდევ 50 წლის სიმონ ჩიქოვანმა, როგორც ჩანს, იგრძნო სიბერის მსაზვრალი ძალა და ისიც, რომ სიცოცხლის ბოლო სადგურამდე ბევრი დრო აღარ რჩებოდა: „ჯერ დიდი კალო არ მილეწია, არც დიდ მორეფში მისვრია ბადე, ორმოცდაათი წელი მეწვია და მე მეგონა მეწვია ადრე. რას ვიფიქრებდი, აგრე ადრიან, თუ ხუთჯერ ათი წელი მნახავდა, თუმცა ჩემს სულში ქვეყნის მადლია, მაინც ხორბალი ველარ დახვავდა. არ მიმიღია არვინ ნობათი, არც სიყვარულის მცირე ბარათი, მცირე დრო დამრჩა შემოდგომამდი და აწ გამივსეთ საგზლის კალათი“.

მართლაც, ორმოცდაათი წლის გადახაზედიდან უკან რომ მიიხედავ, განვლილი გზა-შარა თვალის ერთ დახამხამებაზეაა მოჩანს, გგონია, გუშინ და გუშინწინ მოხდა ყველაფერი, მცირედ და უმნიშვნელოდ მოგეჩვენება ის, რისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკეთებაც მოასწარი დროის იმ მონაკვეთში, რომელიც სამყაროს ხრულაოფილად შეცნობიბ-თვის თუ იყო საკმარისი. „ნუთუ, ვერ შევძლებ კიდევ ვირბენო, მთებს ვეკ დავხედავ ღამის მთევარი, ნუთუ გაფრინდეა თეთრი მიმინო, და ვერ მოძებნის ჩემი მწევარი. ორმოცდაათი ფიქრი აფრინდა, თუ დაარხიეს ჭილის ქუდები, ნუთუ თვალები წლებმა დაბინდა და სიკვდილ-კვეკ, ვერ მობრუნდები“.

განვლილი წლები უნაყოფოდ დაბარჯულად ეჩვენებათ და გაკეთებულიც ეცოტავებათ სწორედ იმათ, ვინც სიცოცხლის ყოველი წუთი გააზრებულად დაბარჯა. „მე დიდი კალო ვერ მილეწია, ვერ გავუმართალ მშობელს იმედი, რა დროს ორმოცდაათი წელია, წელი ბევრია, ხვავი მცირედი“.

უკმარისობის განცდა დიდი შემოქმედიხათვის ბუნებრივია, ოღონდ იცის ფასი და ღირსება გაკეთებულისა და შექმნილისა და იცის ისიც, რომ არც ძალა, არც ღონე, არც დრო არ დაუშურებია, რომ ირგვლივ სიყვარული ეთესა: „ამდენი წელი როგორ გავუშვი, როგორც ნისლები დამშრალ ჭაობის, მაინც წელი მაქვს იმ სიყვარულში, რაც კუთვნილია ჩემი თაობის. არსად მჭერია პაპის უანწეები, თმაზე ნოემბრის თხელი ჭირხლია, მეც ხარი ვიყავ უღლის გამწევი და რქა უღელზე ბევრჯერ მიხლია“.

სამი წლის განმავლობაში ეურნალი „მნათობი“ ნაწილ-ნაწილ ბეჭდავდა სიმონ ჩიქოვანის იმ ლექსებს, სიცოცხლეში რომ არ ისურვა გამოქვეყნება. „მეც თუ დავბრმავდი, როგორც ფაუსტი, სიცოცხლე ჩალად არ ეღირება, შენი მშვენების ნათელს დავუცდი, მოხვალ და თვალი ამეხილება“. ეს ლექსი, ჩანს, მაშინ აქვს პოეტს დაწერილი, სინათლე ჯერ კიდევ რომ ედგა თვალებში, ოღონდ გრძნობდა, რომ სახედიხწერო ჟამი, როცა მთლიანად უნდა დაშრეტოდა თვალის სინათლე, მალე უნდა დამდგარიყო.

„წიგნს გიტოვებ, როგორც მზოიეს, გულის ხვავს და სულის იერს. ყველი ლექსი ღამეს გითევს, სცადე, ერთი ამოხე და შეღებავს სიხსნელი თითებს. მთის აღმართზე უღელს ვწევდი, თვალში შუქი დამკლებია. ამ მცირე წიგნს სიხსნლით ვწერდი და მთის თაფლით ნაკვებია“. — ეს სტრიქონებიც საყვარელი მეუღლის — მარიკასადმია მიძღვნილი, მარიკასადმი, რომელიც თავდაც ძმისად იყო ავად და თავს იმაგრებდა, ავადმყოფობას არ იმჩნევდა, რომ მეუღლე უმწეოდ არ დაეტოვებინა.

1964 წლის 27 მარტს ქალბატონ მარიკას დღიურში ჩაუწერია: „ხალაშოს 7 საათზე დაბრუნდა სიმონი საავადმყოფოდან. მე დავხედი ფეიზზე, რომ შემოვიდა, დერეფანშო გაჩერდა უმწეოდ და საცოდავად თქვა: „ვერაფერს ვერ ვხედავ“.

ამ დღის შემდეგ სიმონმა 2 წელი და ერთი თვე კიდევ იცოცხლა. ახალ გაზეთებს მარიკა და ნიკა უკითხავენ, ცდილობენ არ მოაწყენონ. მნახველებში ყოველდღე მოდიან. მარიკას წინადადებაზე, მოსკოვში წავიდეთ და ოპერაცია გაიკეთო, სიმონი პასუხობს: ასეთ მდგომარეობაში არ წავალ, ჭვეკანა მოვა და არ შემიძლია. კატარაქტს ამ მოვიშორებ და თუ თვალი ამეხილა, მერე წავალო, თუ არა და საერთოდ სიცოცხლე არ მინდაო. გამუდმებული ჯდომა ან წოლა, ცხადია, არ შეეძლო. როცა მარტინი რჩებოდნენ, მარიკას დაადებდა მხარზე ხელს და ოთახში დადიოდნენ, სტუმრებთან ერიდებოდა იმის გამეღვიძებაც კი, რომ უსინთლო იყო და ძალიან უჭირდა. სტუმრებს სავარძელში ჩამჯდარი ხვდებოდა.

1964 წლის 23 აპრილს ქალბატონ მარიკას დღიურში ჩაუწერია: „ეს დღეები ცუდად ვარ, თავბრუ მესხმის, ლოგინიდან არ მაყენებენ, სიმონს ვერ დავდევ ფეხდაფეხ, მეშინია არაფერს დაეჯახოს“.

სიმონ ჩიქოვანის ახლო ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს, მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, კომპოზიტორებს, მასზე ბევრად უფროსებს და მასზე ბევრად უმცროსებს, ყურადღება ერთი დღითაც კი არ დაუკლიათ. ყოველდღე რეკდა ტელეფონი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ერევნიდან, ბაქოდან; რეკავდნენ მისი მეგობრები: ანტოკოლსკი, ტიხონოვი, ანდრონიკაშვილი, ზაბოლოცკი, რასული რზა, ყაიხინ ყულიევი, ანა ანტონოვსკაია, პავლო ტიჩინა, სტეფანე ზორიანი, ჩაკოვსკი, ტვარდოვსკი, ანაკოლ გიდაში, ხულეიმან რუსტამი, მამედ რაჰიმი, კითხულობდნენ სიმონის ჯანმრთელობას, სთავაზობდნენ დახმარებას; ქართველები ხომ, ვინ ოვეში ორჯერ, ვინ კვირაში ერთხელ, ვინ ყოველდღე ნახულობდა პოეტს, მოდიოდნენ, კამათობდნენ, დაობდნენ, კითხულობდნენ ახალ ლექსებს. სიმონი იჯდა სავარძელში და ისე გაერთობოდა, სხვებსაც და თავადაც ავიწყებდოდა თავინი ავადმყოფობა. თითქმის ყოველდღე დადიოდა ხერგო ზაქარიაძე, ტელეფონით შეეხმიანებოდა ხოლმე კონსტანტინე გამსახურდია, არ ივიწყებდნენ გურამ ახათიანი, ხერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, რევაზ მარგიანი, არჩილ ხულაკური. ნახულობდნენ და ეხაუბრებოდნენ: მეცნიერი, ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი, ახალგაზრდა მხატვრები გიორგი შენგელაია და სოფიკო ჭიაურელი, კომპოზიტორები ზალვა მშველიძე და ოთარ თაქთაქიშვილი, ახალგაზრდა პოეტები ნელი გაბრიჩიძე, ლიანა სტურუა, მორის ფოცხიშვილი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები. სიმონ ჩიქოვანი უთუოდ უნდა მოეკრსულებინათ თბილისში სტუმრად ჩამოხსენ პოლონელ თუ ნორვეგიელ, ჩეხ თუ ბულგარელ მეცნიერებს და პოეტებს; რუს და ე. წ. ხაბეოთა პოეტებს ხომ სიმონი განსაკუთრებულად უყვარდათ. ინახულეს ალექსანდრე მეეიროვმა, მიხეილ ლუკონი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნმა, ევგენი ევტუშენკომ, ბელა ახმადულინამ. „რამდენი კეთილისმსურველი ყავს ჩემს სიმონს. ნუთუ არადერი არ გვიშველის?“ — წერს დღიურში მარიკა ჩიქოვანი.

თუნდაც მცირედით, ყველას უნდა გაუმახპინძლდე. დღიურში კი მაინც გაეთნა სიღარიბეზე ჩივილმა: „ვარ სრულებით უფულოდ, ვსესხულობ“.

სიმონს თვალის ოპერაციისთვის ამზადებდნენ; ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე, მაგრამ იმედებმა არ გაამართლეს: პოეტს თვალის ჩინი ვერ დაუბრუნეს.

1964 წლის მაისის 17-ში ქალბატონი მარიკა დღიურში წერს: „პროფესორის მკლავი კარგად დაინახო, ალბათ, იმიტომ, რომ თეორი ხალათი ეცვა. დანარჩენი ბუნდოვნად“.

ოპერაციამ ვერ გაამართლა. თითქოს იმედის ხმივი მიეცათ, სულ ცოტათი ჩაუდგა თითქოს სინათლე თვალებში, თავისი წიგნების თარო დაუნახავს, მიხაკებიც, მარიკას კაბის ფერიც დაუნახავს, თავისი ოთახიდან ფანჯარაც დაულანდია, მაგრამ ეს ხომ ის სინათლე არ იყო, რაც ახე სჭირდებოდა პოეტს, თუნდაც იმისათვის, რომ ადრე დაწერილი ლექსების 4 ათასზე მეტი სტრიქონი გადაემუშავებინა, გაეჩალხა, შეეცვალა სიტყვები, რომლებიც საჭოთირად ეჩვენებოდა. ბოლოს, მისი გარდაცვალების შემდეგ, მაინც ისევე გამოქვეყნდა ის ლექსები, შეუსწორებელი და დაუმუშავებელი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, აქ მაინც გაუმართლა, იქნებ სწორედ ეს გადაუმუშავებელი ვარიანტები უფრო ფასეულია: „მგონი ოცნებაც ხანდახან მარცხვენს, არ ვიცი გულში ვინ რას გაიგენებს, მე ვეფერები თბილისის ცაცხვებს, დაბალ ბაღებს და მაღალ აივნებს. მინდა ოცნების ზარს ხმა გავუთბო, ნებით ვეფერო მუხას ხაოზე, სიცოცხლის ლუკმა მოძმეს დავუთმო, თავად წავიდე სახაფლაოზე“.

1964 წლის ზაფხულში მეცნიერებათა აკადემიაში პაოლო იაშვილის ხაღამო გამართულა. მოგონებებით გამოსულან მწერლები, პოეტები. სიმონიც უხსენებიათ და უთქვამთ, როგორ გაიზარდა სიმონიც, ხალამის რიმ დასწერებოდაო, მაგრამ ავადმყოფობა და უჩინობა არ აძლევს ხაშუალებას ჩვენთან იყოსო. მისთვის გამოჭანმრთელება უსურვებიათ. როცა ყოველივე ამის შესახებ უამბეს სიმონ ჩიქოვანს, ტირილი აუვარდა.

საკუთარი უძლურება გულს უთუთქავდა, გრძნობდა დასახრულის მოახლოებას და ცრემლებს ვერიდა ადრე წასული მეგობრების გახსენება. 1965 წლის 29 მარტს ალ. სიგოას დაურეკია, რადგან ჩართეთ, უშანგი ჩხეიძე სიმონის ლექსებს კითხულობსო. მისმა გახსენებამაც ცრემდები მოჰგვარა პოეტს.

მეგობრები ცდილობენ ყოფა შეუმსუბუქონ და სიცოცხლე გაუხანგრძლივონ; ხან მოსკოვიდან „ოგონიოკს“ უგზავნიან, სადაც მისი ლექსების ახალი თარგმანებია დაბეჭდილი, ხან ჩვენი ქართული ჟურნალი „დროშა“ მოაქვთ, სადაც მთელი ორი გვერდი აქვს დათმობილი სიმონს; აქ მისი ლექსიცაა: „მელანდება ჭოჭრილი მთები. შინ შემოვლენ, დამინჯღრევენ კიბეს. ამაფრენენ ცაზე გუმბათები, ვარსკვლავებით ამოვსებენ ჯიბეს“. აქვეა კონსტანტინე ვანშენკინის წერილიც სიმონზე და ოთარ თურქიას ოთხი სხვადასხვა ფოტოტიუდი: პირველში პოეტი ლექსებს არჩევს ახალი წიგნისათვის, მეორეში სიმონ ჩიქოვანი სტუმრებთანაა — ოთარ თაქთაქიშვილთან და ნიკოლოზ ჩაჩავსთან, მარიკაც აქვეა, სტუმრებს ხილს სთავაზობს; მესამე სურათზე სიმონია გამოსახული, ფართოდ თვალებგახელილი. ამ სურათის მნახველი ვერ იფიქრებს, რომ პოეტს მზერა დაზრეტია და ნათლალინად იყურება სივრცეში. მოოთხე სურათზე სიმონია, ყვავილებს ყნოსავს.

კიევიდანაც მოუვიდა მიკოლა ბაჟანის წერილი და უკრაინული გაზეთი, სადაც სიმონის წერილია დაბეჭდილი მაქსიმ რილსკიზე; „ლიტერატურული საქართველოდან“ იოსებ ნონეშვილი გაზეთის ცინცხალ ნომრის უგზავნის, სადაც სიმონის ახალი ლექსებია დაბეჭდილი; მორის ფოცხიშვილი მოვიდა და სიმონის ლექსები შეარჩია ერთდროულ გაზეთ „პოეზიის დღეში“ დასაბეჭდად; უგზავნიან წიგნს, სადაც შევრენკოს „ანდერძია“ დაბეჭდილი სხვადასხვა ენაზე, ქართულად კი სიმონ ჩიქოვანისეული თარგმანია მოთავსებული.

ამრიგად, ყოველი მხრიდან ცდილობენ სიმონის გახარებას, მაგრამ სიკვდილი ულმობლად აქნევს ცელს და მიჰყავს პოეტისათვის ძვირფასი ადამიანები: შეატყობინეს გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალება, — ის ხომ სიმონზე ბევრად ახალგაზრდა იყო, შემოქმედებითი სიბრძნის ახაკში შესულს მხოლოდ ამის შეშდეგ უნდა შეექმნა შედევრები. გიორგის გამოტირებაც ვერ მოახწრო და ნინო ტაბიძის სიკვდილის ამბავი უთხრეს. ხაცოდავი ტიციანის ქვრივის, ცხოვრებისაგან განაწამები ნინოს სიკვდილმა მწარედ დაუწკეტა გული. „დაკრძალვის ამბავს რომ ვუყვებოდი, სიმონი სულ ტიროდა“, — უწერია ქალბატონ მარიკას. იმ ხაღამოს ქელეხიდან მოუტანეს ღვინო და ხაჭმელები, რომ სიმონსაც დაელია ერთი ჭიქა ღვინო და შენდობა ეთქვა. „როგორც ყოველთვის დღეს მოსდგეს ღამე, სიკვდილი აგრე მარქაფად მახლავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნჯო სიკვდილო, პასუხი გამეც, რად დამიშვამე ცხოვრება ვაგლახ".

სიცოცხლის მიწურულშიც კი პოეზიით სუნთქავდა და ლექსი იყო მისთვის სიხარულის მომგვრელი და ერთგვარი ელექსირიც. სიმონს მარტო საკუთარი ლექსების დაბეჭდვა როდი ახარებს. მეუღლე, ნიკა, სტუმრები უკითხავენ ყველაფერს, რაც კი იმ პერიოდში იბეჭდებოდა „ცისკარში", „მნათობში", „ლიტერატურულ საქართველოში", „დროშაში". წაუკითხეს იმ ლროისათვის ახალგაზრდა პოეტის ტარიელ ჭანტურიას პოემა და გაიხარა ბატონმა სიმონმა, ქართული პოეზიის უკვდავება და მისი უშრეტი შესაძლებლობანი კიდევ ერთხელ იწამა. წაუკითხეს პოლიო აბრამიას ახალი ლექსები და ერთმა განსაკუთრებულად მოხიბლა. თხოულობს წაუკითხონ ოთარ ჭილაძის ლექსები, უბარია, რომ ნიჩი სახით ქართულ პოეზიას ღირსეული ადგილი ეჭირება.

პოეტის სიცოცხლის ბოლოწუხრს, ბუნებრივია, ლექსად ნაღვლიანი ხმები და კილო მოუდიოდა. მაგრამ იქ ოპტიმიზმიცაა, სიმონის უკანასკნელ ლექსებში პოეზიის უკვდავება და მისი ზეიმია. „საფლავს ჩემ სხეულს თვითონ ავურჩევ, ბინად ავირჩევ მთაში იალაღს. მშვიდობით, ჩემო ლექსის საუნჯევ, ჩემო პატარა გულის ფიალავ! გზაზე დავტოვე ჩემი ამქრები, სულში ჩაჭკნება მწვანე ყლორტები. ნუთუ ნისლივით მალე გავქრები? ნუთუ უდროოდ ახე გშორდები? საფლავს ჩემს სხეულს თვითონ ავურჩევ, ბინად ავირჩევ მთაზე იალაღს. მშვიდობით, ჩემო ლექსის საუნჯევ, ჩემო პატარა გულის ფიალავ!"

1966 წლის **24** აპრილს სიმონ ჩიქოვანი გარდაიცვალა.

პოეტის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. გაზეთებში, გარდა ვრცელი ნეკროლოგისა, დაიბეჭდა მრავალი გამოსათხოვარი წერილი. სამგლოვიარო დღეებშივე გამოქვეყნდა სიმონ ჩიქოვანის უკანასკნელი, **1966** წლის **13** მარტით დათარიღებული ლექსიც: „იანვარი, თებერვალი, მარტი, სამი თვეა მეტად ულიმდამო. გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი მოგიზგიზე სიყვარულის გამო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი ცხოვრება იყო და გავდა...“

ქართულმა მწერლობამ განიცადა კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი, ჩვენს სამწერლო ოჯახს გამოაკლდა მისი გამორჩეული წევრი, პოეტი იორამ ქემერტელიძე. ჟურნალ „ციცინრის“ რედაქცია, მთელი კოლექტივი გულწრფელი სინანულით ვიგონებთ ჩვენს ყოფილ რედაქტორსა და მეგობარს, ადამიანს, რომელმაც თავისი ნიჭიერებითა და გულითადობით შესამჩნევი კვალი დატოვა ჟურნალის ცხოვრებაში.

იორამ ქემერტელიძე კოლორიტული, გამორჩეული პიროვნება იყო, მეგობართა თანამდგომი, კეთილმოსურნე, თბილი, საძმოში პურმარილიანი, თამადობისას დარბაისლურად მჭევრმეტყველი, დინჯი იუმორით დაჯილდოებული, თუმცა ამავე დროს მის თვალებს არ სტოვებდა ფარული სევდა, ალბათ გრძნობდა რასაც უმზადებდა წერამწერალი.

მწერლობა მისი ოჯახი იყო. სადაც კი მოუწია სამსახურმა, მის ირგვლივ მუდამ მეგობართა წრე იკვრებოდა, რამეთუ მის ბუნებრიობასა და კეთილგანწყობას არ შეიძლებოდა ვინმე გულგრილი დაეტოვებინა. ამიტომაც ალბათ მტერი და მოშურნე არცა ჰყავდა. „დილის“ რედაქციაში, რომელიც მისი დისიდენტური ჟღერადობის პოემის გამო დაატოვებინეს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“, რა თქმა უნდა, ჩვენს „ციცკარში“, შემდგომ გამომცემლობა „ნაკადულში“, მისი თანამოკალმენი და თანამშრომელნი სამუდამოდ თავს მის მეგობრებად თვლიან.

თავის სიცოცხლეზე ვერავინ იტყვის თვით პოეტზე უკეთ: „ეს იყო ბრძოლა საკუთარ თავთან, რომ შემენახა ღონეც და სულიც; ჩემი ცხოვრება იყო და გავდა სულ ბრძოლას... და სულ სიმშვიდის სურვილს“. სიცოცხლეში იგი სიმშვიდეს ვერ ეღირსა, რადგან დღევანდელი ჟამი ამის საშუალებას პოეტს არ მისცემს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბედისწერამ აღუსრულა მაინც წადილი — მარადი სიმშვიდე მოუვლინა მის სულს...

ზაურ კალანდია, ჯემალ ქირია, ბალათერ არაბული, ირაკლი ბაზაძე, ლევან მალაზონია, ელზა მეტრეველი, ზურაბ ნარმანია, ეთერ თვარაძე, ეთერ ბალიაშვილი, სოსო ბაჯელიძე, ზიზელი სირაძე, ლენა ღონღლაძე, მაყვალა თვარაძე, ნანა ჭულუხაძე.

10
4.11.96

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ალბათ ასე ვიტყვი ათი-თხუთმეტი წლის მე, (თუ დამცალდა)

სიტყვით რაც შეიძლებოდა,
რამც წამოწია წელი,
ეს არი, ჩემო ქვეყანავ,
მეტი ვერ შევიძელი...
ტყვია მე არ დამკლებია,
არც ალესილი ცელი,
წუთისოფელი რა გულქვა
ყოფილა მასპინძელი.

2-95 96-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 თეთრი